



სულიერ სამყაროში დაბრუნებისა და
იქ დამკვიდრების მსურველთა სახელმძღვანელო

დათო ყანდაშვილი

დათო ყანდაშვილი

სულიერ სამყაროში დაბრუნებისა და იქ დამკვიდრების მსურველთა სახელმძღვანელო

წიგნი III



დათო ყანდაშვილი

**სულიერ სამყაროში დაბრუნებისა
და
იქ დამკვიდრების მსურველთა
სახელმძღვანელო**

წიგნი III



გამომცემლობა „უნიპრესალი“
თბილისი 2009

© დ. ყანდაშვილი, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-734-2

2004 წლის 6 დეკემბერი

ზოგადად, აქსიომატურად, ყოველგვარი დასამტკიცებელი პირობების გარეშე, ადამიანი უნდა ცდილობდეს, ისწრაფოდეს სრულყოფილებისაკენ, ესწრაფოდეს, გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის იყო დაბადებამდე, სასურველია იმხელაზე, რამხელაზეც მისი პოტენციალი არსებობს ამ საკითხში. შემდგომ, როდესაც ადამიანი იგრძნობს და მიხვდება იმას, რომ სრულყოფის მცდელობაში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია, მან ეთიკურ სიღრმეებში ნებისმიერი ფორმით შესვლას მთლიანად უნდა დაანებოს თავი და მხოლოდ ერთადერთ რაიმეზე, უკეთესად გახდომის მცდელობის პროცესში მოძიებული ცოდნის, ინფორმაციის, მასალის (როგორც გსურთ, ისე დაარქვით) სრულ ჰარმონიულობაში მოყვანაზე უნდა იზრუნოს. ეს ცხოვრებისეულ დინამიკაში საკუთარ „მე“-ში ჰარმონიის დამყარებას ნიშნავს, ან უ პირველ ეტაპზე მამაკაცური და ქალური სანყისები თავ-თავიანთვე ნაწილში ცდილობენ საკუთარი ნეგატიურობის პოვნასა და აღმოფხვრას. მეორე ეტაპზე მამაკაცური და ქალური სანყისები ცდილობენ უკვე ერთმანეთში არსებული ნეგატიურობის პოვნასა და აღმოფხვრას და ამ ნეგატიურობის პოზიტიურობად გადაქცევას, საკუთარ შიდა არსთა ერთმანეთთან სრულყოფილ და მთლიან შეჯერებას.

აი ის, თუ რა უნდა გაკეთდეს ამის შემდგომ, სწორედ ამის შესახებ იქნება ეს წიგნი. ძირითადში შეიძლება საბოლოო დასკვნის სახით ითქვას, რომ სულ სამი ძირეული, ბაზური კატეგორია არსებობს, რომელთა წარმოებულიც თავადვე წარმოქმნის კიდევ ორ დამატებით კატაგეგორიას, ანუ სულ ხუთი ძირითადი კონსტანტური განყოფილებაა.

სამი ძირითადი, ბაზური კატეგორია:

1. მთლიანად სამყაროში არსებობს არასრულყოფილების ანუ მნიშვნელოვნების ცნების ჯეროვანი შეფასება, რაც, პრინციპში, არასრულყოფილების სრულქმნას ნიშნავს. **ეთიკა.**
2. საკუთარი მნიშვნელობის ჯეროვანი შეფასება, რაც, პრინციპში, საკუთარი მამაკაცური და ქალური სანყისების ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას ნიშნავს.

ჰარმონია.

3. მთლიანად სამყაროში არსებული სრულყოფილების ანუ მნიშვნელობის ცნების ჯეროვანი შეფასება, რაც, პრინციპში, სრულყოფილებით სრულყოფილ ტკბობას, ნეტარების მდგომარეობის მიღწევას ნიშნავს. **ესთეტიკა.**

ბაზური კატეგორიებიდან წარმოქმნილი ორი დამატებითი კატეგორია:

4. საკუთარი მნიშვნელობის ჯეროვნად არ შეფასება (დაკნინება), რაც, პრინციპში, საკუთარი ქალური სანყისის ცალმხრივ აქტივიზირებას, მამაკაცურ სანყისთან შესაბამისი ჰარმონიული მდგომარეობიდან გამოსვლას ნიშნავს. ეს ფაქტიურად არასრულყოფილების კომპლექსადაც შეიძლება იწოდოს. **ნესრიგი.**
5. საკუთარი მნიშვნელობის ზედმეტად გადაფასება (გაზვიადება), რაც პრინციპში საკუთარი მამაკაცური სანყისის ცალმხრივ აქტივიზირებას, ქალურ სანყისთან შესაბამისი ჰარმონიული მდგომარეობიდან გამოსვლას ნიშნავს. ეს კი, ფაქტიურად, სრულყოფილების კომპლექსადაც შეიძლება იწოდოს. **ქაოსი.**



აღბათ უკვე მიხვდით, რომ ეს წიგნი ესთეტიკაზე და ესთეტიურობაზეა ორიენტირებული იმ არსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ესთეტიკის ცნების განმარტებაში არის მოცული. ძალიან მოკლედ სანყისების ფუნქციონალური და ვიზუალური დანიშნულებები კი, ესთეტიკის ცნების დასაკმაყოფილებლად შემდგომში მდგომარეობენ:

1. ადამიანის შემადგენელი მამაკაცური სანყისი უნდა ცდილობდეს:

- ა) მაქსიმუმ საკუთარ არსში არსებული ქაოსი ეთიკაში გადაიყვანოს.
- ბ) მინიმუმ საკუთარ არსში არსებული ეთიკა ქაოსში არ გადაიყვანოს.
- გ) მაქსიმუმ საკუთარი ორგანული ნაწილი, ქალური სანყისი, ნესრიგიდან ესთეტიკაში გადაიყვანოს.
- დ) მინიმუმ საკუთარი ორგანული ნაწილი, ქალური სანყისი, ესთეტიკიდან ნესრიგში არ გადაიყვანოს.

2. ადამიანის შემადგენელი ქალური სანჯისი უნდა ცდილობდეს:

- ა) მაქსიმუმ საკუთარ არსში არსებული წესრიგი ესთეტიკაში გადაიყვანოს.
- ბ) მინიმუმ საკუთარ არსში არსებული ესთეტიკა წესრიგში არ გადაიყვანოს.
- გ) მაქსიმუმ საკუთარი ორგანული ნაწილი, მამაკაცური სანჯისი, ქოსიდან ეთიკაში გადაიყვანოს.
- დ) მინიმუმ საკუთარი ორგანული ნაწილი, მამაკაცური სანჯისი, ეთიკიდან ქოსში არ გადაიყვანოს.



სარჩევი

შესავალი..... 9

პირველი ნაწილი

მატერიალური სიამოვნება	14
პირველი თავი. კომფორტი (რამდენი)	14
იმიტაცია და კონტროლი	15
მატერიალური ცნობიერება	21
ცოცხალი არსების მატერიალური სხეულის კოორდინატორის, ტვინის პოზიტიური და ნეგატიური სურვილები	25
დემონურ, მონურ და სატანურ ბუნებათა განსაზღვრა და მათი ურთიერთქმედებანი	27
სატანა ანუ იგივე ეშმაკი	31
სატანისა და სატანური ბუნების ნიშან-თვისებათა ძირითადი ასპექტების მოკლე განხილვა.....	34
მეორე თავი. ქაოსი (როგორ)	38
ეგოცენტრიზმი	38
ხელოვნური ანუ მატერიალური პირობითი რეფლექსები	42
პირობითი მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი ნუსხა	45
დემონური ბუნების მქონე არსებათა საქმიანობა	49
შურის რაობა დემონურ ბუნებაში	51
სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობა დემონური ბუნების გადასახედიდან	54
დემონური ბუნებისგან თვითგანკურნება	55
მესამე თავი. წესრიგი (ვინ)	66
ეგოცენტრიზმი	66
ხელოვნური ანუ მატერიალური უპირობო რეფლექსები	70
უპირობო მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი ნუსხა	74
მონური ბუნების მქონე არსებათა საქმიანობა	78
შურის რაობა მონურ ბუნებაში	79
სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობა მონური ბუნების გადასახედიდან	82
მონური ბუნებისგან თვითგანკურნება.....	83
მეოთხე თავი. ოქროს შუალედი (რატომ და რისთვის)	95
სიყვარულის რაობის აღქმა	95
სინდისი და სირცხვილი	99

მეორე ნაწილი

სულიერ სამყაროში დამკვიდრება. ცოდნა.....	110
სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობა ადამიანური ბუნების გადასახედიდან	110
ადამიანური ბუნების ქვეშარიტად საჭირო და სასურველი თვითრეალიზაციის რაობა	114
მეხუთე თავი. ესთეტიკა (სად).....	126
ნეოცენტრიზმი.....	126
სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობა ესთეტიკის გადასახედიდან	128
არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს აღქმა	130
არსებული მატერიალური ან მენტარული გარემოს მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება	137
ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის აღქმა	143
ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება	148
მექვესე თავი. ეთიკა (როლის).....	155
ექსცენტრიზმი	155
სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობა ეთიკის გადასახედიდან	157
არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს სულიერი მდგომარეობის აღქმა.....	158
არსებული გარემოს სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება	165
ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის აღქმა	171
ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება	177
მეშვიდე თავი. სულიერი ჰარმონია (რა).....	184
დროებით (არამარადიულ) სამყაროთა გაჩენა-გაუჩინარების ერთი ციკლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	185
ეპოქათა თანამიმდევრული ურთიერთცვალებადობის მიზეზი	199
როგორ უნდა მივუდგეთ თითოეულ პროცესს.....	206
აბსოლუტური ქვეშარიტებისა და აბსოლუტური ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულება	211
ბოლოსიტყვაობა	215

შესავალი

როდესაც გავიფიქრებ ან წარმოვთქვამ, ან ვისმენ სიტყვას **ესთეტიკა**, ჩემს წარმოსახვაში ილვიძებს ისეთი ცნებები როგორებიცაა: მშვენიერება, გრაციოზულობა, სინატიფე, უმანკობა, სილამაზე, რომელსაც გინდა უბრალოდ უყურო და უსმინო და არავითარ შემთხვევაში ფიზიკურად არც მე შევეხო და არც სხვა ვინმე ნებისმიერი, რომ რაიმენაირი, შემთხვევითი ან შეგნებული დარღვევა, დისონანსი არ შევიტანოთ მასში ან მე და ან იმ სხვამ.

ეს სიტყვა, **ესთეტიკა** ხელთუქმნელი ხატის სინონიმით დამაქვს ჩემში და თითქოს სულ მუდამ იმისათვის მინდოდა მიმელნია, ჩემი არსის გაუკეთესების გზით, რომ თვითონ მას, მის მატერიალურად გაცოცხლებულს ყველაფერს, რასაც ჩემი წარმოსახვითი შეხედულებით ამაღ აღვიქვამდი, თავად მოდომებოდა ჩემთან უშუალო ურთიერთობა, თავად მოდომებოდა საკუთარი „მე“-ს ჩემთან გაზიარება, ჩათვალა, რომ მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და საჭირო ვიყავი, შემდგომ კი თანდათან უფრო და უფრო იმდენად მონდომებოდა, რომ საკუთარი არსი ჩემს არსთან მთლიანად შეერწყა.

ალბათ ამას არც დავწერდი, იმდენად პირადულ თემატიკად მიმაჩნია. უბრალოდ, არ ვიცი, ვერ ვიპოვე სხვანაირი ფორმა იმისათვის, რომ ჩემი ხედვით ესთეტიკის ცნობიერი არსის გადმოცემა მომეხერხებინა. ის იმდენად სათნო და ფაქიზია, რომ მისი შექმნა წარმოუდგენლად ძნელ რამეს წარმოადგენს, თუ არა შეუძლებელსაც კი, ადამიანის კვალობაზე. აი, დანგრევა-დაზიანება კი, იმდენად ადვილია, რომ ვიდრე საკუთარი ანგარებისათვის არ უძლევი ვინმე ნებისმიერს, ვგონებ, სჯობს ჯერ ნურც ნურსად გადაეყრება ჭეშმარიტად ესთეტიკისა და ესთეტიურობის შესაბამის რასამე ან თუნდაც ვისმე.

ხომ არ ვაზვიადებ, ზედმეტად ვაიდვალე ან ვპირფერობ? არა, და შევეცდები განვმარტო რატომ. ესთეტიკა თავისი ჭეშმარიტი ე. წ. კლასიკური გაგებით მთელს არსებულ სამყაროში არსებული სრულყოფილებით საზრდოობს, ჭეშმარიტი სრულყოფილების გამოვლინებას წარმოადგენს. მე და ნებისმიერი პიროვნება კი მასთან ურთიერთობისას უნდა ვცდილობდეთ, **ესთეტიკაში** არსებული სრულყოფილების ის ნაწილი მივილოთ და შევითვისოთ საკუთარ არსში, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობს ან, პირიქით, მასში ჯერ არ არსებული სრულყოფილების ახალი პორცია შე-

ვიტანოთ საკუთარი არსიდან. ამისათვის კი, ჩვენს საკუთარ არსში სრულყოფილების ეს ახალი პორცია ჭეშმარიტად უნდა არსებობდეს. სრულყოფილებად მონათლულ არასრულყოფილებას კი უზარმაზარი ზიანი მოაქვს უკლებლივ ყველასათვის.

მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ ეთიკას აქვს უფლება, შესთავაზოს ჭეშმარიტ ესთეტიკას სრულყოფილების ახალი პორცია. თავად კი, ეს პორცია მთელს სამყაროში არსებული არასრულყოფილების გადამუშავებით, ფილოსოფიური ძიებით უნდა ჰქონდეს მიღებული.

როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა ან თუნდაც ნებისმიერი სხვა ურთიერთობა ე. წ. მამაკაცურ და ქალურ სანყისებს შორის მიმდინარეობს. თანაც, ერთ შემთხვევაში, ვილაცასთან ან რალაცასთან მიმართებაში, მე თუ ქალური სანყისის საქმიანობით შეიძლება ვიყო დაკავებული, მეორე შემთხვევაში, სხვა ვილაცასთან ან რალაცასთან მიმართებაში, იგივე მე, შეიძლება მამაკაცური სანყისის საქმიანობით დავკავდე. ანუ, თუ მამაკაცური და ქალური სანყისების ნებისმიერი ფორმის ურთიერთობებს სქესობრივ ურთიერთობებს დავარქმევთ, გამოდის რომ, ნებისმიერი საქმიანობა და მოქმედება ნებისმიერი სახის ინდივიდებს შორის, სულიერ თუ მატერიალურ სამყაროში, სხვა არაფერია თუ არა **სქესობრივი ურთიერთობები.**

სქესობრივ ურთიერთობებს ორმაგი ბუნება გააჩნია:

- 1) სულიერი ე. წ. ღვთიური ბუნება, რომელსაც შედეგად სულიერი სიყვარული, სულიერი არსის გაზრდა, ჰარმონიულობა და ბუნებრივობა მოაქვს.
- 2) მატერიალური ე. წ. ცხოველი ბუნება, რომელსაც შედეგად მატერიალური სიყვარული, მატერიალური არსის გაზრდა, კომფორტი და ხელოვნურობა მოაქვს.

თვით ერთ პიროვნებაში მიმდინარე შიდა პროცესებსაც კი შეიძლება სქესობრივი ურთიერთობები ეწოდოს, როგორც ერთ ინდივიდში (მაგალითად, ჩემში) არსებული ორი სანყისის, მამაკაცური და ქალური სანყისის ურთიერთობები. ამ ურთიერთობების შედეგად კი ხდება შიგნით თუ გარეთ არსებული არსის ცვლილება, ხოლო ის, თუ რომელი მიმართულებით (ღვთიური ბუნებისა თუ ცხოველი ბუნების სასარგებლოდ), ეს უკვე კიდევ ერთი უზარმაზარი სხვა თემა გახლავთ.

ე. წ. ღვთიური ბუნებისკენ მიმართული „სქესობრივი“ ურთიერთობები ახდენს ინდივიდის არსის შეცვლას, რაც გამოიხატება

ინდივიდის რალაცაზე ან ვილაცაზე მიჯიჭვულობის შემცირებაში. ე. ი. ინდივიდის არსში არსებული სუბიექტურობის ობიექტურობად გადაქცევაში (რა) და ინდივიდის მიერ სუბიექტად აღქმულის ობიექტად აღქმადად გადაქცევაში (ვინ).

ე. წ. ცხოველი ბუნებისკენ მიმართული „სქესობრივი“ ურთიერთობებიც ახდენს ინდივიდის არსის შეცვლას, რაც გამოიხატება ინდივიდის რალაცაზე ან ვილაცაზე მიჯიჭვულობის გაზრდაში. ე. ი. ინდივიდის არსში არსებული ობიექტურობის სუბიექტურობად გადაქცევაში (რა) და ინდივიდის მიერ ობიექტად აღქმულის სუბიექტად აღქმადად გადაქცევაში (ვინ).

და ბოლოს, რაც შეეხება შუა რგოლს, თავისი ფუნქციონალური და ვიზუალური არსით ეს გახლავთ ადამიანის ცნება.

ე. წ. ადამიანური ბუნებისკენ მიმართული „სქესობრივი“ ურთიერთობები არ ახდენს ინდივიდის არსის შეცვლას, რაც გამოიხატება ინდივიდის რალაცაზე ან ვილაცაზე მიჯიჭვულობის არც შემცირებასა და არც გაზრდაში. ე. ი. ინდივიდის არსში არსებული ობიექტურობის სუბიექტურობად არ გადაქცევაში და სუბიექტურობის ობიექტურობად ვერ გადაქცევაში (რა), ხოლო ინდივიდის მიერ სუბიექტად აღქმულის ობიექტად ვეღარ აღქმაში და ობიექტად აღქმულის სუბიექტად აღარ აღქმაში (ვინ). ანუ ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელია არსებული არსის მდგრადობის აუცილებლობის შეგრძნება, დარწმუნებულობა საკუთარი არსის სრულყოფილებულობაში, მისი კონსტანტურობის დაცვაში.

ღვთიური ბუნების მქონე ნებისმიერი საქმიანობა, ე. წ. სქესობრივი ურთიერთობები ეფუძვნება და ეყრდნობა **ნდობას**, ადამიანური ბუნებისა – **რწმენას**, ხოლო ცხოველი ბუნებისა – **სარწმუნოებას (სარწმუნო ვნებას)**.

ალბათ შესავლის პირობაზე მეტისმეტად რთული ინფორმაციული დატვირთვა გამოვიდა, მაგრამ, ვფიქრობ, ღირდა მისი ასე წარმართვა, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი ხნის სურვილი ავიხდინე იმით, რომ ადამიანისა და ადამიანურობის ცნობიერ დატვირთვას მივუახლოვდი და შევხეხე. გარწმუნებთ, მე ეს განზრახულიც კი არ მქონდა. ახლა კი ნებისმიერი საქმიანობის შესაძლო მიმართულების ნუსხას ჩამოვწერ და, ვფიქრობ, ამ შესავალ ნაწილში ამით შემოვიფარგლები.

ნებისმიერი საქმიანობის, ანუ ე. წ. სქესობრივი ურთიერთობების, როგორც აბსოლუტის არსებულ ბუნებათა ჩამონათვალი:

- 1) ღვთიური ბუნება, ნდობაზე ბაზირებული, როგორც ევოლუციისა და ევოლუციონების წყარო. **ეთიკა**
- 2) ადამიანური ბუნება, რწმენაზე ბაზირებული, როგორც განონასწორებისა და განონასწორებულობის წყარო.

ჰარმონია

- 3) ცხოველი ბუნება, სარწმუნოებაზე ბაზირებული, მართებულ ვნებაზე ბაზირებული, როგორც ცივილიზაციისა და ცივილიზირების წყარო. **ესთეტიკა**
- 4) ანტიღვთიური, დემონური ბუნება, უნდობლობაზე, პირველობაზე ბაზირებული, როგორც ინვოლუციისა და ინვოლუციონების წყარო. **ქაოსი**
- 5) სატანური, ეშმაკური ბუნება, ურწმუნოებაზე, თვითნებობაზე ბაზირებული, როგორც ანგარებითი დაპირისპირებისა და დაპირისპირებულობის წყარო. **კომფორტი**
- 6) მონური ბუნება, არასარწმუნო, უმართავ ვნებაზე, უმეცრებაზე ბაზირებული, როგორც დაცემისა და გარყვნილების წყარო. **ნესრიგი**

პირველი ნაწილი

მატერიალური სიამოვნება

პირველი თავი

— კომფორტი —

მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფა

აბსოლუტურად ყველა ნიუანსი, რაც მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ქვემოთ ან ზემოთ იქნება გამოვლინებული მატერიალიზირებული ინდივიდის ყოფა-ცხოვრებაში, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დისკომფორტის გამომწვევი იქნება. მე, უბრალოდ, მსურს ჩამოვაცალიბო კომფორტის ცნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

კალია სრულიად (უფრო მეტიც, აბსოლუტურად) კომფორტულად გრძნობს თავს მწვანე მდელოზე, ბალახში; მცენარე აბსოლუტურად კომფორტულად გრძნობს თავს თუ მას ფესვები მიწაში აქვს, მზე დაჰნათის თავზე და ნვიმა ამარაგებს წყლით; აგრეთვე, ნებისმიერი სახის ცხოველი თუ ფრინველი აბსოლუტურად კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც მათი ბუნებისთვის შესაბამისი ბუნებრივი პირობები საუკეთესო ფორმითაა გამოვლინებული მათ გარშემო. მათთვის დისკომფორტის შექმნას იწვევს ბუნების შემადგენელი ნაწილების არათანაბრად შეზავების მდგომარეობა. ზედმეტი სიცივე, ზედმეტი სიცხე, ზედმეტი ტენიანობა თუ ზედმეტი ქარიანობა.

მაშინ ისინი მოთმინებით იწყებენ შექმნილი დისკომფორტის ატანას და ლოდინს, როდის დაისადგურებს მათთვის საყვარელი ბუნებრივი მდგომარეობა.

მაგრამ ეს ყველაფერი ეხება ყველა მატერიალიზებულ ცოცხალ არსებას დედამიწაზე, გარდა ერთი ცოცხალი არსებისა – ადამიანისა, რომელმაც, კომფორტული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ზედმეტი სიცივის საწინააღმდეგოდ ცეცხლი გამოიყენა, ზედმეტი სიცხის საწინააღმდეგოდ – ვენტილატორი, ზედმეტი ტენიანობის საწინააღმდეგოდ კედლები ააშენა და სახურავი დაადგა, ზედმეტი ქარიანობის საწინააღმდეგოდ კი კარები თუ ფანჯრე-

ბი გამოიგონა და შემინა კიდეც, რომ მაქსიმალური გერმეტულობისთვის მიეღწია.

საბოლოო ჯამში კი, მოხდა ისე, რომ ადამიანმა დაკარგა „ბუნებრივი“ კომფორტული მდგომარეობის ალქმისა და შეგრძნების უნარი და ბუნებრივ ცვლილებებთან დაპირისპირების, ხელოვნური კომფორტის შექმნის იდეით დაავადდა. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, ზემოთ ჩამოყალიბებული ფორმულირება იმის შესახებ, რომ კომფორტი მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობების სრულყოფილი უზრუნველყოფაა (არც მეტი და არც ნაკლები), ადამიანებისთვის ნაკლებად მისაღები იქნება, არადა, სწორედ ადამიანია პირველ რიგში ვალდებული მთლიანად მიიღოს ეს.

რა თქმა უნდა, ამით არ მინდა ვთქვა ის, რომ ადამიანი არ უნდა ეცადოს ბუნების რადიკალურ გამოვლინებებს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, არ გამოეხმაუროს და არ ეცადოს საკუთარი მატერიალური სხეული მისთვის საუკეთესოდ მისაღებ პირობებში ამყოფოს. მე მინდა ვთქვა, რომ ამაზე ადამიანმა თავისი პროტენცური შესაძლებლობების რაც შეიძლება მცირე ნაწილი უნდა დახარჯოს და ეს მისთვის ერთადერთ მიზნად, იდეაფიქსად არ იქცეს, რათა მატერიალური სხეულის, მატერიალური ყოფიერების უზრუნველყოფა არ გახდეს ადამიანისთვის საკუთარი არსებობის ერთადერთი აზრი და არსი.

ამისათვის კი, ვფიქრობ, აუცილებელია კომფორტის ცნების ჭეშმარიტი არსის ნვდომა. თუ ადამიანი საკუთარ იმუნოსისტემას იმდენად შეასუსტებს (გააზარმაცებს), რომ მას უბრალოდ საამონიავიკი კი სურდოს მომგვრელ გამჭოლ ქარად მოეჩვენება, ნელ-ნელა, თავისდაუნებურად, იგი ნებისმიერ მატერიალურ ბუნებრივ მოვლენას დაპირისპირებულ ძალად, მტრად შერაცხავს და, საკუთარი სხეულის უსაფრთხოების ძიებით დაკავებული, ხელოვნურ, დეკორატიულ საგანს დაემსგავსება. ცხოვრების მიზნად კი, სხეულისთვის პირობების დაუსრულებლად გაუმჯობესება დაისახება. ჩემი აზრით, ეს მუდმივ დისკომფორტში ყოფნაა.

ი მ ი ტ ა ც ი ა და კ ო ნ ტ რ ო ლ ი

ალბათ შეუძლებელია არ დათანხმება იმასთან, რომ მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის თემა და მასში შემავალი პუნქტობრივი ნუსხა, აბსოლუტურად ფარდობითია აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერი მატერიალიზირებული ინდი-

ვიდისათვის. ანუ არ არსებობს ორი მატერიალიზირებული ინდივიდი, რომელთათვისაც აბსოლუტურად ერთნაირი მოთხოვნილებები იყოს გარდაუვლად აუცილებელი.

ინტერესთა სფეროს განშტოებითი თვალსაზრისით, ეს ცნება, ანუ „კომფორტი“ ე. წ. „თუთიყუმის ეფექტით“ ხელმძღვანელობს და მთლიანად იმიტაციით საზრდოობს. წარმოიდგინეთ დღეს რამდენი ადამიანი არსებობს, რომელთაც მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის ნუსხაში შეტანილი აქვთ: ელექტროენერგია, გაზი, ტელევიზორი, ყურადღების ცენტრში მოქცევა (აღიარებულობა), სექსი, კოკა-კოლა, მანქანა, ძალაუფლება და ერთმანეთისგან არანორმალურად განსხვავებული რალაცეები. ნუთუ ეს ყველაფერი მიმბაძველობის გზით არ გახდა მათთვის გარდაუვლად აუცილებელი? და აქ ჩამოთვლილი ნუსხის გარეშე, ნუთუ დისკომფორტში არ იგრძნობენ ისინი თავს? – მე ვფიქრობ, დიახ, ასეა.

ამ სახის მიმბაძველობას, იმიტაციას კი, იმიტომ მიჰყვით ადამიანმა ხელი, რომ გარემოს (თავის გარშემო არსებული სიტუაციების, მისი საარსებო წყაროს – ბუნების) მაქსიმალური და, მისი გადასახედიდან, შესაძლოდ სრულყოფილი კონტროლი მოინდომა. დღეს-დღეისობით ადამიანის უპირველეს სურვილს საკუთარ ცხოვრებაში მოსახდენი შესაძლო მოვლენების მთლიანად გათვლა და გაანგარიშება, წინასწარ გათვალისწინება წარმოადგენს. ეს, ჩემის აზრით, აბსოლუტურად უაზრო და გიჟური ორიენტაცია კი, სისრულეში ადამიანის ტვინის საშუალებით ხორციელდება.

ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ტვინს, გარემოს კონტროლზე კონცენტრირების ნაცვლად, თვითკონტროლზე კონცენტრირება რომ აერჩია ორიენტაციად. თუ თავად ტვინის რაობას ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩინებთ, რომ იგი მატერიალური სხეულის მაკოორდინირებელი ნაწილია. თუკი მატერიალური სხეული ინდივიდის არასრულყოფილების თვალნათლივ გამოვლინებად შეიძლება მივიღოთ (რის მტკიცებასაც აქ აღარ შევუდგებთ), მაშინ ტვინის ძირითადი ფუნქცია მატერიალური სხეულის განონასნორებულ მდგომარეობაში მოყვანა და მისი სულიერ სხეულთან დაახლოების მცდელობა უნდა იყოს. ანუ სწორედ ტვინის საშუალებით უნდა მოხდეს თავის გარშემო არსებული სიტუაციების, ე. წ. ობიექტური რეალობის მაქსიმალურად მიღების მცდელობა და ბუნებრივი მოვლენების მიმბაძველობის (იმიტაციის) მცდელობით

ადამიანის სხეულში არსებულ ორგანოსთან, გულთან დაახლოება, მასში გადაზრდა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ტვინი ქეშმარიტი რწმენის საპირისპირო ცნების მატერიალური გამოვლინებაა და მისი ბუნება ე. წ. ურწმონოებაა ანუ ეჭვია. საკუთარ თავზე ტვინი თუ კონტროლს დააწესებს, ეს ადამიანში არსებულ ურწმუნოებასა და ეჭვიანობაზე კონტროლის დამყარებას და მათ მეთოდურ და ზომიერ შემცირებას ნიშნავს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ტვინი მეტად პატივსაცემი ნაწილია ადამიანისა. მისი რაიმეში დადანაშაულება, ადამიანში უკვე არსებული ურწმუნოების გამო, აბსოლუტური სიბეცე იქნებოდა. ის მხოლოდ აფიქსირებს ცდომილებას. თუ ადამიანის ტვინი ადამიანში არსებული ურწმუნოებისა და ეჭვების შემცირებასა და აღმოფხვარას ცდილობს, პირადად ჩემთვის, იგი არა მარტო პატივისცემის, არამედ აღფრთოვანების საგანიც კი ხდება. აი, ის, თუ როგორ უნდა მოახერხოს ეს ტვინმა, შევეცდები, შეძლებისდაგვარად აღვწერო.

პირველი ეტაპი. უპირველეს ყოვლისა ადამიანის ტვინმა უნდა მოახდინოს ადამიანში, როგორც მატერიალურ სხეულში არსებული ქაოსის (ხელოვნური გრძნობის) და წესრიგის (ხელოვნური გონების) რაოდენობრივი გაანგარიშება მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის შკალის (როგორც საზომი ხელსაწყო) მიხედვით. 1) ქაოსი, იგივე ხელოვნური გრძნობა, მატერიალურ დონეზე გამოვლინებულია გემოვნებით და მატერიალურ კეთილდღეობად არის აღქმული. გემოვნება კი ვლინდება აბსოლუტურად ყველაფერში, რასაც ადამიანის ხუთი მატერიალური გრძნობა მოიცავს. ეს გრძნობებია: სმენა, ხედვა, ყნოსვა, გემოს აღქმა (ენით) და შეხება. გემოვნება თავისი ბუნებით ინტერესების სფეროდან იმპროვიზაციული ინტერპრეტაციისკენ არის მიდრეკილი და მატერიალური გრძნობების დაკმაყოფილებას ემსახურება. 2) წესრიგი, იგივე ხელოვნური გონება, მატერიალურ დონეზე გამოვლინებულია აზროვნებით და მატერიალურ ცოდნად არის აღქმული. აზროვნებაც ვლინდება აბსოლუტურად ყველაფერში, რასაც ადამიანის ხუთი მატერიალური შეგრძნების ორგანოები მოიცავს. ეს ორგანოებია: ყურები, თვალები, ცხვირი, ენა და კანი. აზროვნება, თავისი ბუნებით, ინტერესების სფეროდან ინერციისკენ არის მიდრეკილი და მატერიალური შეგრძნების ორგანოების დაკმაყოფილებას ემსახურება.

აი, ამ ორი წარმომადგენლობითი ნაწილისთვის, გემოვნებისთვისა და აზროვნებისთვის, ვფიქრობ, ნებისმიერისათვის გასაგებია და ბუნებრივად აქსიომატურია, რომ არსებობს მკვეთრად აუცილებელი პირობებისა და მისთვის, ასე ვთქვათ, არასასიცოცხლო, მაგრამ სასურველი პირობების მიღების ნუსხა.

ტვინმა უნდა მოახდინოს გემოვნებისათვის გარდაუვლად აუცილებელი პირობების აღწერა და, ასე ვთქვათ, რაოდენობრივად მათი ჩამოყალიბება; შემდგომ, უნდა მოახდინოს აზროვნებისათვის გარდაუვალი აუცილებლობის პირობების აღწერა და რაოდენობრივად მათი ჩამოყალიბება. შემდეგ, ვფიქრობ, უკვე ადვილია იმის მიხვედრა, თუ რა უნდა მოხდეს. ორივე პარამეტრის ზემოთ აღნიშნული აღწერილობების დამთავრების შემდეგ – ტვინმა უნდა მოახდინოს მათი ერთმანეთთან შედარება. ეს ორი აღწერილობა რამხელაზეც გადაიკვეთება ერთმანეთში ანუ რამდენიც იქნება მათში აბსოლუტურად საერთო, სწორედ ეს უნდა აიღოს ტვინმა მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოდ, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ იმ ეტაპზე, როდესაც მოახდენს ე. წ. აღწერას. რაც შეეხება აღწერის ინტენსივობას, სასურველია, ტვინმა ის შეძლებისდაგვარად ხშირად, ყოველ შემთხვევაში, ძალიან იშვიათად არ აკეთოს და დროთა განმავლობაში შეიძლება იმ დონემდე მივიდეს, რომ მისთვის ეს ძალიან ადვილი საქმე გახდეს, ისე, რომ თითქმის ძალისხმევაც კი არ დასჭირდეს ამაზე.

პრინციპში, პირველი ეტაპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში უნდა აღდგეს და დამკვიდრდეს მატერიალური ყოფიერების ჭეშმარიტად გარდაუვალი აუცილებლობის ანუ ე. წ. ბუნებრივი კომფორტის რაობის ცნება.

მეორე ეტაპი. პირველი ეტაპის სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, ტვინს გემოვნება და აზროვნება, თავისი აბსოლუტურად ურთიერთშესაბამისი ნაწილების შერწყმით, აბსოლუტურ თანხმობაში მოჰყავს ერთმანეთთან. ამით ტვინი მთლიანად იცილებს ხელოვნურობას, რომელიც მატერიალიზირების შემდგომ იქნა მიწებებული მასზე და რომელზეც ის იქნა მიჯაჭვული. ის გადადის ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც ერთადერთი განსაზღვრება შეესაბამება – ჭეშმარიტი ხელოვნება.

სხვათაშორის, ჭეშმარიტი ხელოვნებაა ის ფასეულობა, რომელსაც მატერიალურ სამყაროში მატერიალური ცხოვრებით

მცხოვრები ყველაზე ღირსეული ადამიანები ყველაზე და ყველაფერზე მეტად აფასებენ.

მაგრამ... არის ერთი რიტორიკული შეკითხვა: საით უნდა მიემართებოდეს და რას უნდა ემსახურებოდეს ქვეშაირი ხელოვნება? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას გადაჰყავს ადამიანის ტვინი ე. წ. II ეტაპზე.

თუ პირველი ეტაპით მიღებული შედეგების ლოგიკურ ჯაჭვს გავყვებით, ადვილად აღმოვაჩინებთ, რომ თანკვეთილი ნაწილის მიღმა დარჩება ან გემოვნების (ქაოსის) ან აზროვნების (ნესრიგის) რაღაცა ნაწილი, ან, რაც უფრო მეტად სავარაუდოც კია, ორივე ერთად, რომლებიც ერთმანეთს არათუ არ შეესაბამებიან, არამედ, პირიქით, ეწინააღმდეგებიან კიდევ. მათთან მიმართებაში ადამიანის ტვინი უნდა ეცადოს, ისინი თავთავიანთ პირველწყაროსკენ მიმართოს, დააბრუნოს მათში.

1. ქაოსისთვის, მატერიალური კეთილდღეობისთვის, გემოვნებისთვის, როგორც ხელოვნური გრძნობის გამოხატულებისთვის, პირველწყაროს წარმოადგენს ბუნებრივი გრძნობა, რომელიც გამოიხატება ეთიკაში, სულიერ ცოდნაში, სამყაროს უზუნაესი პიროვნებისადმი ნდობაში ანუ ღვთისნიერებაში. ღვთისნიერება კი, ვლინდება აბსოლუტურად ყველაფერში, რასაც ადამიანის ხუთი სულიერი გრძნობა მოიცავს. ეს გრძნობებია: აღქმა, განხილვა, წარმოსახვა, განჭვრეტა და შემოქმედება. ღვთისნიერება, თავისი ბუნებით, ინტერესების სფეროდან ორიენტაციისკენ არის მიდრეკილი და სულიერი გრძნობების დაკმაყოფილებას ემსახურება.

2. ნესრიგისთვის, მატერიალური ცოდნისთვის, აზროვნებისთვის, როგორც ხელოვნური გონების გამოხატულებისთვის, პირველწყაროს წარმოადგენს ბუნებრივი გონება, რომელიც გამოიხატება ესთეტიკაში, სულიერ კეთილდღეობაში, სარწმუნოებაში. სარწმუნოება კი ვლინდება აბსოლუტურად ყველაფერში, რასაც ადამიანის ხუთი სულიერი შეგრძნების ორგანო მოიცავს. ეს ე.წ. ორგანოები თან აბსტრაქტულია და თან კონკრეტულად ძნელად აღსაქმელი, მაგრამ მაინც, კონკრეტულიც. ეს ე. წ. ორგანოებია: მოსმენა, დანახვა, სუ(ლ)ნთქვა, მეტყველება და შინაგანად შეგრძნება. სარწმუნოება, თავისი ბუნებით, ინტერესების სფეროდან ადაპტაციისკენ არის მიდრეკილი და სულიერი გრძნობის ორგანოების (სულიერი გონების) დაკმაყოფილებას ემსახურება.

ღვთისნიერებასა და სარწმუნოებასთან გემოვნებისა და აზროვნების ე. წ. ჭარბი რაოდენობის მიმართვის შემდეგ, ტვინის უფ-

ლება-მოვალეობრივი ზღვარი მთავრდება და მათ შემდგომ მართვაზე უფლებამოსილიცა და პასუხისმგებელიც ხდება ადამიანის სხვა ორგანული ნაწილი, **გული**. ისე რომ, ტვინი ამით შეძლებს მეორე ეტაპის სრულყოფილად შესრულებას.

რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხს, ის ასეთია: **ჭეშმარიტი ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ბუნებრივობის გაზრდას.**

საბოლოო დასკვნითი ფორმის ჩამოყალიბების შემდეგ, ამ ორი ეტაპის მოკლე აღწერა:

I ეტაპი. გემოვნებისა და აზროვნების თანკვეთილი ნაწილის, ერთმანეთის აბსოლუტურად შესაბამისი ნაწილის შეჯერების შედეგად ადამიანში ტვინის საშუალებით ისადგურებს კმაყოფილების შეგრძნება, რაც, პრინციპში, არსებული ყოფით კმარობის მდგომარეობას ნიშნავს.

II ეტაპი. გემოვნებისა და აზროვნების არათანკვეთილი, ერთმანეთისთვის აბსოლუტურად შეუსაბამო, ნაწილის მათ პირველწყაროში დაბრუნება ხელახლად გადასამუშავებლად, ოღონდ არა ადამიანის ტვინის, არამედ ადამიანის გულის მიერ. ამის შედეგად კი, ადამიანის ტვინის საშუალებით, აღმოიფხვრება ყველანაირი სახის უკმაყოფილების შეგრძნება, რაც, პრინციპში, *არსებულ ყოფიერებაში უკმარობის არქონას* ნიშნავს.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთის შეუსაბამო არათანკვეთილი გემოვნებისა და აზროვნების განსაზღვრა და აღმოჩენა საკუთარ ტვინში. 1) თუ გემოვნებისა და აზროვნების ცნობიერებებს ყოფიერება ემსახურება, ისინი ავტომატურად ემსახურებიან ერთმანეთს და ეს მათი თანკვეთილი ნაწილია. 2) თუ გემოვნებისა და აზროვნების ცნობიერებები ყოფიერებას ემსახურებიან, ისინი ავტომატურად ემსახურებიან „საკუთარ თავებს“ და თავისდაუნებურადაც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს არის ის ნაწილი, რომელიც თანკვეთილობის მიღმა იმყოფება.

ანუ ირკვევა, რომ ადამიანის ტვინმა უნდა იმოქმედოს ერთადერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით: გემოვნებისა და აზროვნების ცნობიერება უნდა განისაზღვრებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ყოფიერებისა და მიხედვით, ხოლო ყოფიერება, მთლიანად უნდა ემსახურებოდეს ცნობიერებას.

გამოვიყენებ ერთ ალბათ ყველასთვის ნაცნობ ფრაზას: მოთხოვნილებები უფრო მალე იზრდება, ვიდრე შესაძლებლობები.

ადამიანი, რომელიც შეძლებს საკუთარი მოთხოვნილებების საკუთარ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოყვანას ანუ მისი მოთხოვნილებები მისივე შესაძლებლობების მიხედვით ჩამოყალიბდება, ის საკუთარ ტვინს მისთვის საუკეთესო და სასურველ, აბსოლუტურად კმაყოფილ მდგომარეობაში, ყოფით კმარობის მდგომარეობაში მყოფობას შეძლებს. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ერთი შეხედვით დაუჯერებელ რალაცას: რაც უფრო შემცირდება მოთხოვნილებები, მით უფრო გაიზრდება შესაძლებლობები.

მოთხოვნილებები ტვინის პრეროგატივაა, შესაძლებლობები კი – გულის.

მატერიალური ცნობიერება

ეს ცნება გემოვნებისა და აზროვნების არათანკვეთილი, ერთმანეთისაგან აბსოლუტურად შეუსაბამო ნაწილების არსებობის შედეგად არის წარმოქმნილი. თუ უკვე დაფიქსირებულ მასალას დავეყრდნობით, ადვილად აღმოვაჩენთ, რომ სწორედ მატერიალური ცნობიერებაა ის „ენერჯის წყარო“, რომელიც ნებისმიერი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ნებისმიერ მოქმედებას განაპირობებს. ფაქტიურად აქ მნიშვნელობა არა აქვს, ერთუჯრედიან ამებაზე ვილაპარაკებთ, თუ ჩვენთვის ცნობილ ყველაზე განვითარებულ მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაზე ანუ ადამიანზე. მაგრამ, იმის არჩევის უნარი, საით მიმართოს მატერიალური ცნობიერება, ყველა მათგანს არ გააჩნია. ე. წ. მაღალი თუ დაბალი განვითარებულობა სწორედ ამ უნარის მიხედვით განისაზღვრება. მოდით, ჩამოვაყალიბოთ, საით შეიძლება იქნას მიმართული მატერიალური ცნობიერება და ესა თუ ის არჩევანი რა შედეგებს მოუტანს მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებას.

1. მატერიალური ცნობიერება შეიძლება იქნას მიმართული მატერიალური ყოფიერების გაუმჯობესებისაკენ. ეს სწორედ ის გზაა, რაც ამ თავის დასაწყისში იყო მოხსენიებული და რითაც არის დაკავებული დღეს-დღეისობით კაცობრიობა თავისი ორიენტაციული თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოთხოვნილებები გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მატერიალური ცნობიერების მატერიალურ ყოფიერებად გადაქცევის უნარი. ამ გზის გაყოლის შედეგად, მატერიალური სხეულის დამხმარე საშუალებების ხარისხი და რაოდენობა უსასრულოდ იზრდება ანუ იზრდება ხელოვნური მატერიალური საშუა-

ლებები. სამაგიეროდ, ხდება მატერიალური სხეულების ერთგვარი გაზარმაცება და აბსოლუტურად, ზედმინევენითი თანაფარდობით, რაც უფრო იზრდება ხელოვნური მატერიალური საშუალებები, მით უფრო მცირდება ბუნებრივი მატერიალური საშუალებები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მატერიალური სხეულის შესაძლებლობები (ბუნებრივი მატერიალური საშუალებები) სხეულის მამოძრავებელი ენერჯიის, ინდივიდუალური სულის გამოვლინებაა ცალსახად, გამოდის, რომ მცირდება ინდივიდუალური სულის შესაძლებლობები. პრინციპში, ვიღებთ იმას, რომ რაც მიღწეული ჰქონდა ინდივიდუალურ სულს ევოლუციური განვითარების გზით, ხელოვნური განვითარების, მეცნიერული პროგრესის გზით იწყებს ამის ნელ-ნელა კარგვას.

შედეგი. თუ მატერიალური ცნობიერება ცალსახად მიდრეკილია მატერიალური ყოფიერების გაუმჯობესებისკენ, იზრდება მატერიალური მოთხოვნილებები. რაც უფრო იზრდება მატერიალური მოთხოვნილებები, მით უფრო მცირდება სულიერი შესაძლებლობები.

2. მატერიალური ცნობიერება შეიძლება იქნას მიმართული სულიერი ყოფიერების გაუმჯობესებისკენ. ეს კი, ის გზა გახლავთ, რასაც ამ თავში აღწერილი ადამიანის ტვინისთვის სასურველი საქმიანობის მეორე ეტაპი მოიცავს. თვითონ ცნება **მატერიალური ცნობიერება**, მატერიალური მოთხოვნილებების მასალას წარმოადგენს. ასეთი შინაგანი ბუნება მას გემოვნების (მამაკაცური სანყისი) და აზროვნების (ქალური სანყისი) ურთიერთანგარიშგაუნეგლობამ შესძინა. თუმცა უნდა ითქვას, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავაბრალოთ მატერიალურ ცნობიერებას ის, რომ იგი მატერიალური მოთხოვნილებაა. ეს ძალიან დიდი (თუ არა გამოუსწორებელი) შეცდომა იქნებოდა.

ცნება **სულიერი ყოფიერება** კი, სულიერი მოთხოვნილებების მასალას წარმოადგენს. ასეთი შინაგანი ბუნება მას ღვთისნიერებისა (მამაკაცური სანყისი) და სარწმუნო(ვ)ნების (ქალური სანყისი) ურთიერთგაუგებრობის გამო გააჩნია, თუმცა ამ შემთხვევაშიც უზარმაზარი და ალბათ გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა მისთვის იმის დაბრალება, რომ იგი ცალსახად სულიერი მოთხოვნილებებია.

ფაქტიურად გამოდის, რომ აქ ლაპარაკია მატერიალური მოთხოვნილებების მასალის სულიერი მოთხოვნილებების მასალად გარდაქმნაზე. სულიერი მოთხოვნილებების მასალის ორიენ-

ტაციულ მიმართვაზე კი IV თავში იქნება გამახვილებული ყურადღება, რამეთუ ეს, I თავი ადამიანის ტვინის საქმიანობის გარშემო იძლევა ინფორმაციას და მოდით, ნუ დავავალებთ მას იმას, რაც მას ნამდვილად არ ევალება. ვფიქრობ, ისედაც, არც თუ ადვილად შესასრულებელი ფუნქცია და მისია აკისრია.

მატერიალური ცნობიერების სულიერ ყოფიერებად გარდაქმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი საკითხია მატერიალიზირებული ცოცხალი არსების ფუნქციონალურ საქმიანობათა შორის. თვითონ გარდაქმნის პროცესი ახდენს უშუალო კონტაქტს, კავშირის დამყარებას მატერიალური სხეულის ტვინსა და გულს შორის. ამ პროცესით ხდება ინდივიდუალურ სულში არსებული უპირობო რეფლექსების გამომწვევ მიზეზთან ცნობიერი ვერა, მაგრამ ყოფითი ურთიერთობების დამყარება. ასეა თუ ისე, იგი იძლევა შანსს უპირობო რეფლექსებისგან გათავისუფლებისა.

წმინდა წყლის მატერიალისტური თვალსაზრისით, ეს პროცესი და პროცესით მიღებული შედეგი გახლავთ უმაღლესი შედეგი, რასაც საერთოდ შეიძლება მიაღწიოს მატერიალურმა სხეულმა, უფრო თუ დავაზუსტებთ მატერიალური სხეულის ტვინმა.

შედეგი. თუ მატერიალური ცნობიერება ცალსახად მიდრეკილია სულიერი ყოფიერების გაუმჯობესებისკენ, მცირდება მატერიალური მოთხოვნილებები. რაც უფრო მცირდება მატერიალური მოთხოვნილებები, მით უფრო იზრდება სულიერი შესაძლებლობები.

ამ შემთხვევაში სულიერ შესაძლებლობებში იგულისხმება უშუალოდ მატერიალური სხეულის ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა, იმუნოსისტემის ადაპტაციის ხარისხი და საერთოდ ფიზიკური შესაძლებლობები, როგორც სხეულის მამოძრავებელი ძალის ანუ ინდივიდუალური სულის გამოვლინების უნარი, იგივე ჩაკრალური ბირთვების ურთიერთგაგებისა და ურთიერთანგარიშგანევის მდგომარეობის ხარისხი და რაოდენობა.

გემოვნებისთვის საკუთარ თავზე კონტროლის განევის საუკეთესო (თუ არა ერთადერთი) საშუალება გახლავთ სინდისი, როგორც შინაგანი ბუნებრივი ცენზურა.

აზროვნებისთვის კი საკუთარ თავზე კონტროლის განევის საუკეთესო (აქაც ალბათ ერთადერთი) საშუალება გახლავთ სირცხვილი, როგორც გარეგანი ბუნებრივი ცენზურა.

ამ ორი ბერკეტის მეშვეობით ბუნებრივად ხდება მატერიალური ცნობიერების სულიერ ყოფიერებაში გადაყვანა.

გემოვნებისთვის გარემოზე კონტროლის განვეის ერთადერთი მაპროვოცირებელი საშუალება გახლავთ ბრაზი (ტრაბახისგან წარმოქმნილი), როგორც გარეგანი ხელოვნური ცენზურა.

აზროვნებისთვის გარემოზე კონტროლის განვეის ერთადერთი მაპროვოცირებელი საშუალება გახლავთ ვნება (ცნობისმოყვარეობისგან წარმოქმნილი), როგორც შინაგანი ხელოვნური ცენზურა.

ამ ორი ბერკეტის მეშვეობით ბუნებრივად ხდება მატერიალური ცნობიერების მატერიალურ ყოფიერებაში გადაყვანა.

და კიდევ ერთი რამ, რაც, ჩემი აზრით, მეტისმეტად მნიშვნელოვანია აბსოლუტურად ყველა მატერიალიზირებული არსებისთვის, განსაკუთრებით კი ადამიანისთვის: სამწუხაროდ, როგორც წესი, ყველა მატერიალიზირებული არსება, განსაკუთრებით კი ადამიანი, საკუთარ არსში არსებულ მატერიალურ ცნობიერებას ფაქტიურად ერთდროულად მის ორივე შესაძლო მიმართულებით მიმართავს. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიმართულება ყოველთვის მეტია მეორეზე (ოდნავ ან ძლიერ), მაგრამ ამ გაორებულობაზე, ზედდებულობაზე დახარჯული ენერგეტიკული პოტენციალი ფაქტიურად უაზროდ იხარჯება. ანუ ადამიანებში არსებული პოტენციური ენერჯის ძირითადი ნაწილი იკარგება, ხოლო თვითონ ადამიანში კი მისი ტვინი ერთგვარ პარალიზებულ მდგომარეობაში ვარდება, რამეთუ ერთდროულად ორი ურთიერთგამომრიცხავი ქმედება მისთვის საკმაოდ გაუგებარია. საბოლოო ჯამში, ალბათ, სრულიად გასაგებია, რომ მატერიალური ყოფიერებისკენ მიმართული მიდრეკილება იმარჯვებს ხოლმე და ტვინსა და გულს შორის ურთიერთობები ნამდვილ ომს ემსგავსება. აი, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მიმართულების არაგაორებულობას.

ცოცხალი არსების მატერიალური სხეულის კოორდინატორის, ტვინის პოზიტიური და ნეგატიური სურვილები

ძირითადად, ეს საკითხიც ადამიანებზე იქნება ანყობილი. საკუთარი მატერიალური სხეულის გარშემო ჩამოყალიბებულ მატერიალურ ყოფიერებასთან მიმართებაში ადამიანის ტვინმა უნდა დაიკავოს ერთგვარი ჩაურევლობითი მიდგომა. მან სრულად უნდა მიიღოს ის მდგომარეობა, რაც მას განგების მიერ აქვს მინიჭებული. ეს არის უნივერსალური საშუალება ობიექტური რეალობის აბსოლუტურად მიღებისა. ასეთი პოზიციის დაფიქსირებით ადამიანის ტვინი ლებულობს თეზისს, რომ აბსოლუტურად ყველაფერი, რაც მომხდარა, რაც ხდება და რაც მოხდება, აბსოლუტურად ობიექტურია, აბსოლუტურად სამართლიანია. ეს არის ადამიანის ტვინის მიერ პოზიტიური სურვილის გამოვლინება მატერიალურ ყოფიერებასთან მიმართებაში.

სხვა ენაზე რომ ვთქვათ, ნებისმიერი მატერიალიზირებული ცოცხალი არსებისთვის კონკრეტულ ინკარნაციაში განგების მიერ მის (მატერიალური სხეულის) გარშემო ბუნებრივად შექმნილი მდგომარეობის განსჯა-განხილვა მის სხეულში არსებული ტვინის პრეროგატივას სცდება. ალბათ აქედან უკვე ადვილად იკითხება ადამიანის ტვინის ნეგატიური სურვილების გამოვლინების რაობა მატერიალურ ყოფიერებასთან მიმართებაში.

ანუ ეს სურვილები იმაში გამოიხატება როდესაც:

1) ტვინი ცდილობს სხეულისათვის არსებული მატერიალური ყოფიერების გაზრდას, რაც მატერიალური ცნობიერების მატერიალურ ყოფიერებად გადაქცევის მცდელობად შეიძლება შევაფასოთ. ამაზე უკვე საკმაოდ ვრცლად ვილაპარაკე ზემოთ.

2) ტვინი ცდილობს არსებული მატერიალური ყოფიერების შემცირებას, რაც მატერიალური ყოფიერების შემცირებად, მატერიალური ყოფიერების მატერიალურ ცნობიერებად გადაქცევის მცდელობად შეიძლება შევაფასოთ. ეს მიდგომა კი, სულიერების მეტიჩრულად გაზრდის საბაზით მატერიალური სხეულის შეზღუდვაში და წვალებაში გამოიხატება, მაშინ როდესაც ეს არც ადამიანისთვის და, მით უმეტეს, ადამიანის ტვინისთვის არავის არასდროს დაუვალვია (ვგულისხმობ ღმერთსა და განგებას, იმ ზეადამიანურ ძალებსა და მის პიროვნულ წარმომადგენლებს, რომლებიც მართავენ მიმდინარე მოვლენებს).

ახლა კი ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის ტვინის სურვილების პოზიტიურობა თუ ნეგატიურობა მის არსში არსებული მატერიალური ცნობიერების მიმართ.

ნებისმიერი მატერიალიზირებული ცოცხალი არსების არსში არსებული მატერიალური ცნობიერება ცოცხალი არსების მატერიალური ნაწილის ინდივიდუალურობას წარმოადგენს. ფაქტიურად კითხვა იმაში მდგომარეობს, თუ რაში უნდა დაიხარჯოს ადამიანის ტვინის ინდივიდუალური ნაწილი. ამ თავში ამის გარშემო საკმაოდ ბევრი ითქვა, ამიტომ სურვილების რაობის დონეზე შევეცდები იგი მარტივად ჩამოვაცალიბო.

1. ადამიანის ტვინის ინდივიდუალური გემოვნების ნაწილს უნდა სურდეს, სიამოვნება გასცეს, გაილოს. ეს იქნება სურვილის პოზიტიური მიმართულება. ხოლო სურვილის ნეგატიური მიმართულება იმით იქნება გამოხატული თუ ადამიანის ტვინის ინდივიდუალური გემოვნების ნაწილს სურს კმაყოფილება მიიღოს, დაკმაყოფილდეს.

2. ადამიანის ტვინის ინდივიდუალური აზროვნების ნაწილს უნდა სურდეს კმაყოფილება გასცეს, დააკმაყოფილოს. ამით ის პოზიტიური სურვილის მიმართულებით დაკავდება. თუ ადამიანის ტვინის ინდივიდუალური აზროვნება სიამოვნების მიღების სურვილით დაკავდება, ის სურვილის ნეგატიური მიმართულებით ივლის.

ცოტა წინ გავიქცევი და გეტყვით, რომ თუ მატერიალური ცნობიერება სულიერი ყოფიერების ფაქტობრივ გამოვლინებაში გადავა, ხოლო სულიერი ყოფიერება კი, თავის მხრივ – სულიერ ცნობიერებაში, ეს ავტომატურად გამოიწვევს მატერიალური ყოფიერების პირობების მკვეთრ გაუმჯობესებას. ადამიანი სულიერი ცნობიერების გაზრდის საშუალებით განგების მიერ მისთვის განსაზღვრული მატერიალური ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესებას ჭეშმარიტად დაიმსახურებს. სულიერი ცნობიერების ჭეშმარიტი სახით გაზრდა ხომ ყოველთვის და ყველგან აბსოლუტურად ყველა სამყაროში (მატერიალურშიც და სულიერშიც) უზენაეს მიზანს წარმოადგენს.

ეს ამ თავის მასალა არ არის. იგი ამ წიგნის IV თავიდან იწყება, მაგრამ აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ ადამიანთა ტვინისათვის საერთო სურათი დამენახებინა, რათა იცოდეს, რომ თავისი ფუნქციის კეთილსინდისიერად შესრულების შედეგად, აუცილებლად იქნება დაჯილდოვებული და თავად განგება იქნება უშუალოდ მისი შემწე და მფარველი.

დემონურ, მონურ და სატანურ (ემმაკურ) ბუნებათა განსაღვრება და მათი ურთიერთდამოკიდებულებანი

დემონური ბუნება მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებში **მასში არსებული გემოვნების პარამეტრითაა** წარმოჩინებული.

მონური ბუნება მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში **მასში არსებული აზროვნების** პარამეტრითაა წარმოჩინებული.

სატანური (ემმაკური) ბუნება მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში **მის აღქმაში ჩამოყალიბებული კომფორტის** პარამეტრითაა წარმოჩინებული.

არამატერიალიზირებულ ცოცხალ არსებებში ე.ი. იმ ცოცხალ არსებებში, რომლებიც სულიერ სამყაროში იმყოფებიან არც დემონური, არც მონური და არც სატანური ბუნება არც არსებობდა, არც არსებობს და არც იარსებებს.

იმ ნაწილში, სადაც გემოვნება და აზროვნება ერთმანეთთან მიმართებაში სრულ შესაბამისობაში არიან მოსულნი, დემონური და მონური ბუნებანი ერთმანეთს სრულად ანეიტრალევენ. ამ ანეიტრალევის შედეგად კი, მიიღება მთელს მატერიალურ სამყაროში დასაშვები არასრულყოფილების დიაპაზონში გამოვლინებული სატანური (ემმაკური) ბუნება შესაბამისად იმ რაოდენობით, რამხელაზეც მოხდება ეს ურთიერთანეიტრალიზირება.

მატერიალიზირებისას, ანუ დაბადებისას, მატერიალიზირებულ ცოცხალ არსებაში გემოვნებისა და აზროვნების რეალურად არსებული ნეიტრალიზირებული ნაწილი შეიძლება იწოდოს **ხელოვნურ პირობით რეფლექსად**, ხოლო გემოვნებისა და აზროვნების არაურთიერთშესაბამისობის, ერთმანეთთან ფაქტობრივად დაპირისპირებაში მყოფობის შედეგად შექმნილ ნაწილს კი, შეიძლება ვუწოდოთ **ხელოვნური უპირობო რეფლექსები**.

ბიბლიას თუ მოვიშველიებთ, ფაქტიურად მივიღებთ, რომ ადამისა და ევას მიერ ჩადენილი მცდელობების შემდგომ ადამიანი ზოგადად, მუდმივად ქმნის ხელოვნურ პირობით რეფლექსებს, რაც ბუნებრივი უპირობო რეფლექსების ტრანსფორმირების შედეგად მიიღება. რაც შეეხება უპირობო რეფლექსების თემას, აქაც უკუპროცესი მიმდინარეობს. საკუთარ არსებაში არსებული ღვთისნიერების (ღმერთისადმი ნდობის) გემოვნებად გადაქცევითა და სარწმუნოების (ჭეშმარიტი რწმენის) აზროვნებად გადაქცევით ადამიანი თავისდაუნებურად ქმნის ხელოვნურ უპირობო რეფლექსებს. მოკლედ, ყველაფერი ზუსტად იმის საპირისპიროდ ხდე-

ბა, რაც და როგორც უნდა ხდებოდეს. შედეგად ადამიანში იზრდება ჯერ დემონური და მონური ბუნების მაჩვენებლები და შემდგომ კი, ვითომც მათი შემცირების მიზნით, იზრდება სატანური (ემმაკური) ბუნება და პრინციპში ნელ-ნელა კარგავს იმ ცნობიერ არსს, რასაც სიტყვა „ადამიანი“ მოიაზრებს.

– დემონური ბუნების მატება ხელოვნურად შექმნილი მატერიალური შესაძლებლობების გაზრდაში, მატერიალური განვითარების პროცესში თავისთავად ხდება. ეს ადამიანში სრულყოფილების კომპლექსის, თვითგაკერპების პარამეტრის აწევას იწვევს.

– მონური ბუნების მატება ხელოვნურად შექმნილი მატერიალური მოთხოვნილებების მატებაში, მატერიალური სიამოვნების მიღების გაზრდის მცდელობაში, სულიერ კონსერვატიულობაში თავისთავად ხდება, რაც ადამიანში არასრულყოფილების კომპლექსის, კერპთაყვანისმცემლობის პარამეტრის აწევას იწვევს.

– სატანური (ემმაკური) ბუნების მატება ხელოვნურად შექმნილი მატერიალური პირობების ზრდის პროცესში თავისთავად ხდება, რაც ადამიანში ბუნებრივ გარემოსთან ადაპტაციის უნარის შემცირებას, ადამიანის იმუნოსისტემის (დაბადებიდან თანდაყოლილი იმუნიტეტის) შემცირებას იწვევს.

ახლა კი ორიოდ სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევამციროთ დემონური, მონური და სატანური ბუნების პარამეტრები, ანუ დაბადებიდან თანდაყოლილი (და ცხოვრების მიმდინარეობის პროცესში დამატებული) ხელოვნური უპირობო და ხელოვნური პირობითი რეფლექსები და რად გარდაიქმნებიან ისინი. ის კი, თუ რად გარდაიქმნებიან და რა საქმიანობით კავდებიან უკვე გარდაქმნილი ნაწილები, ამას ამ წიგნის IV თავში შეიტყობთ.

აბსოლუტურად ყოველივე, რაც გამოვლინებულია სულიერ თუ მატერიალურ სამყაროებში სულიერი თუ მატერიალური სახით, სამყაროს უზენაესი პიროვნების, აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენლისა და სამყაროს უწმინდესი პიროვნების, აბსოლუტური ჭეშმარიტების უკვე ზოგადცნობიერებად გადაქცეული ნაწილის პირადი წარმომადგენლის (ანუ მამა ღმერთისა და დედა ღმერთის, იგივე სულიწმიდის) ურთიერთობებში წარმოქმნილი ეგოს, ძალიან მცირედი, მაგრამ მაინც ურთიერთგაუგებრობის შესაბამისი რეაქციული შედეგია.

სწორედ ამ პერიოდში ხდება მათი ძისა და მათი ასულის (იგივე ღვთის ძისა და ღვთის ასულის) ინდივიდუალური გამოვლინების აუცილებლობა. მათი ინდივიდუალური გამოვლინებულობა კი,

იქამდე გრძელდება, ვიდრე მათ მშობლებს შორის არსებული ე. წ. ურთიერთგაუგებრობა სრულიად არ აღმოიფხვრება.

ამ პერიოდში ხდება სწორედ დემონურ, მონურ და სატანურ ბუნებათა გამოვლინებაც ცოცხალ არსებებში. ეს ყოველივე კი იმიტომ აღვწერე, რათა განსაზღვრა შევძლო იმისა, თუ რა წარმოშობს მათ.

– დემონური ბუნება ცოცხალ არსებებში წარმოიქმნება ინდივიდუალიზმის იმაზე მეტად გამოვლინებულობის შედეგად, ვიდრე ამას ღვთის ძე ახდენს.

– მონური ბუნება ცოცხალ არსებებში წარმოიქმნება საკუთარი ინდივიდუალურობის იმაზე ნაკლებად გამოვლინებულობის შედეგად, ვიდრე ამას ღვთის ასული ახდენს.

– სატანური ბუნება ცოცხალ არსებებში წარმოიქმნება საკუთარ არსში კოდირებული მამა ღმერთისა და სულიწმიდის ურთიერთობებში წარმოქმნილი ურთიერთგაუგებრობის (ე. წ. ბუნებრივი ეგოს) გაზრდით. ეს კი, საკუთარ არსში არსებული არაინდივიდუალიზმის ინდივიდუალიზმად გადაქცევით ხდება, რაც დემონური და მონური ბუნების სპეკულაციებით გამართლებას, გაიდევალისებასა და ნახალისებას იწვევს.

იმისათვის, რომ ცოცხალ არსებაში არსებული დემონური ბუნება ღვთიურ ბუნებად გადაიქცეს, აუცილებელია ის ღვთის ძის შეხედულებებს გაეცნოს და ეცადოს სრულად მიიღოს და გაითავისოს ისინი. კერძოდ, უნდა შეძლოს თავის თავში სძლიოს ბრაზის (ანუ განკითხვის) გამოვლინებებს, მიენდოს თავის შინაგან ცენზორს, სინდისს. ცოცხალი არსებისთვის განგების მიერ მინიჭებული ძალაუფლება მიმართული უნდა იქნას იმისაკენ, რომ იყოს სამართლიანი, არ დაუშვას, თავისი პიროვნებიდან გამომდინარე არც ერთი ტყუილი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, უმცირესი (ეს სხვამ თუ არა, თავად ხომ იცის, როდის იტყუება და როდის – არა). აგრეთვე მიდრეკილი უნდა იყოს იმისკენ, რომ მუდმივად შეიმეცნოს, შეიცნოს საკუთარი არსი, სულ უფრო ღრმად და ღრმად. შემდგომ ამისა ის ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლებს განსაზღვროს საკუთარი უფლებამოსილება და უკვე საკუთარი გემოვნების გამოვლინების მცდელობით უნდა მიმართოს ეს უფლებამოსილება ეთიკისკენ, რაც, თავის მხრივ, **ჭეშმარიტად საჭიროს** ქმნისკენ უნდა იყოს მიდრეკილი. ყოველივე ამის შესრულების შედეგად მოხდება საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნების გარდაქმნა ღვთიურ ბუნებად.

იმისათვის, რომ ცოცხალ არსებაში არსებული მონური ბუნება ცხოველ, ცოცხალ ბუნებად გადაიქცეს, აუცილებელია ის ღვთის ასულის შეხედულებებს გაეცნოს და ეცადოს, სრულად გაითავისოს და მიიღოს ისინი. კერძოდ, უნდა შეძლოს, სძლიოს თავის თავში ვნების გამოვლინებებს, მიენდოს თავის გარშემო არსებულ ცენზორს, სირცხვილს. ცოცხალი არსებისთვის განგების მიერ დაკისრებული კანონმორჩილება მიმართული უნდა იქნას იმისკენ, რომ ეზიაროს ხელოვნებას და მიდრეკილი უნდა იყოს თანაგრძნობისკენ, გულით მოქმედებდეს უფრო მეტად და მეტად. შემდგომ ამისა ის ნელ-ნელა შეძლებს განსაზღვროს საკუთარი პასუხისმგებლობა და უკვე საკუთარი აზროვნების გამოვლინების მცდელობებით ეს პასუხისმგებლობა უნდა მიმართოს ესთეტიკისკენ, რაც, თავის მხრივ, ჭეშმარიტად საჭიროდ ქმნილის აღიარებასა და შეგრძნებისკენ უნდა იყოს მიდრეკილი. ყოველივე ამის შესრულების შედეგად მოხდება საკუთარ არსში არსებული მონური ბუნების გარდაქმნა ცხოველ, ცოცხალ ბუნებად.

სხვათა შორის, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ორი ბუნების გარდაქმნით ავტომატურად მცირდება სატანური ბუნებაც. იმისათვის, რომ ცოცხალ არსებაში არსებული სატანური ბუნება ადამიანურ ბუნებად გადაიქცეს, აუცილებელია ის მამა ღმერთისა და სულიწმიდის ურთიერთგაუგებრობაში შექმნილ შეხედულებებს გაეცნოს და ეცადოს, სრულად მიიღოს და გაითავისოს ისინი.

კერძოდ, უნდა შეძლოს, სძლიოს თავის თავში არსებულ თვითგაკერპებისა და კერპთაყვანისმცემლობის გამოვლინებებს, რაც, თავის მხრივ, სიხარბისა და უმადურობის დაძლევით იქნება აღმოფხვრილი. ცოცხალი არსებისათვის განგების მიერ განსაზღვრული წინააღმდეგობები სიკეთის კეთების მცდელობით, სასოებითა და ნათელი ოცნებებით უნდა იქნას დაძლეული. შემდგომ კი თანდათან უნდა მივიდეს იმ მდგომარეობამდე, რომ სრულიად კმაყოფილი იყოს თავისი ყოფით ანუ იმით, რაც განგებამ განუსაზღვრა და მთლიანად, სრულიად მადლიერი იყოს ყველაფრისა, რაც ხდება მის გარშემო და ეს ყოფითკმარობა და მადლიერება უნდა მიმართოს ბედნიერებისა და ნეტარების მდგომარეობაში მოხვედრის მცდელობებისკენ. ამ ყოველივეს შესრულების შედეგად მოხდება საკუთარ არსში არსებული სატანური (ეშმაკური) ბუნების გარდაქმნა ადამიანურ ბუნებად.

ს ა ტ ა ნ ა ა ნ უ ი გ ი ვ ე ე შ მ ა კ ი

სატანა (იგივე ეშმაკი) მამა ღმერთისა და სულიწმიდის ერთობლივი ეგოსაგან (მათ შორის არსებული უმნიშვნელო ურთიერთგაუგებრობისაგან) დამოუკიდებლად წარმოქმნილი ან შექმნილი ეგოს სრული ნაწილის პიროვნულ, ინდივიდუალურ წარმომადგენელს წარმოადგენს. ეს თავი სწორედ მის წარმომადგენლობით ნაწილს წარმოაჩენს მისი ობიექტურად შეფასების მცდელობის ტენდენციით.

სატანის (ეშმაკის) და სატანური ბუნების წარმოშობის მოკლე ისტორია შემდგომში მდგომარეობს. თავდაპირველად, როდესაც წარმოჩინდება, წარმოიქმნება მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის ინდივიდუალური თუ არაინდივიდუალური ურთიერთგაუგებრობა, ეს ზემოთხსენებული ფენომენი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. ამ პერიოდში ხდება ღვთის ძისა და ღვთის ასულის პიროვნული ინდივიდუალური გამოვლინება. მიზანი მათი გამოვლინებისა კი გახლავთ წარმოქმნილი ურთიერთგაუგებრობის აღმოფხვრა. აი, სწორედ ამ პერიოდში ხდება მათ პარალელურად დემონური და მონური ბუნების წარმომადგენელთა ინდივიდუალური გამოვლინებულობაც. მათი გამოვლინების მიზანი და არსი კი გახლავთ წარმოქმნილი ურთიერთგაუგებრობის შენარჩუნება და გაზრდა. მაგრამ ძალიან დიდი სურვილი მაქვს იმისა, რომ არც ერთ მხარეს არ შეხედოთ ემოციურად და ნუ დაიწყებთ იარლიყების მიკერებას. გირჩევთ ჩაულრმავდეთ იმას, რომ ეს ყოველივე განგების ნებით არის გამოვლინებული, როგორც აუცილებელი გარდაუვალობა და მოვლენების ბუნებრივი სვლის იდეალურად ზომიერად (თანამიმდევრულად) მიყოლის შედეგი.

ნება მომეცით, მოკლე გადახვევა გავაკეთო. არსებობს ასეთი ტერმინი „ციხის ადამიანი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის დიდ ვადას, ზოგი მათგანი ამ სასჯელის მოხდის პროცესში ისე ეჩვევა ციხეს და მასში ჩამოყალიბებულ რეჟიმს, რომ, როდესაც სასჯელის ვადა გასდის და მას ათავისუფლებენ, ეშინია ახალი ცვლილებების შემოსვლისა მის ცხოვრებაში და ყველანაირად ცდილობს ციხეში დარჩენას. თავისუფალ საზოგადოებრივ სისტემაში მოხვედრის შემდგომ, ძალიან მოკლე პერიოდში, იგი ან ახალ, სხვა დანაშაულს სჩადის, იმისათვის რომ უკან ციხეში მოხვდეს, ან უფრო ხშირადაც კი, თუ ის „ციხის ადამიანი“ სრული კლასიკური გაგებით, უბრალოდ, თავს იკ-

ლავს ანუ ველარ ეგუება საკუთარი ნების გამოვლინების პოტენცი-
ალის არსებობას.

უხეშად თუ შევადარებთ, დაახლოებით ასევე წარმოიქმნებიან
დემონური და მონური ბუნების წარმომადგენლები. ეს ის ცოცხა-
ლი არსებები არიან, რომლებიც უკვე მიეჩვივნენ და მიეჯაჭვნენ
მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის არსებული ურთიერთგაუ-
გებრობის პარამეტრს მთელი თავისი წარმოჩინებული და წარმოუ-
ჩენელი სახით. ამ ბუნებათა მატარებელი არსებები არა მარტო ამ
ე.წ. „ეგო“-ს შენარჩუნებაზე ზრუნავენ, არამედ, თავის მხრივ, ცდი-
ლობენ განავითარონ, გაზარდონ ის, ანუ – რა იქნებოდა, თუ ეს
ურთიერთგაუგებრობა გაიზრდებოდა. რა შედეგებს დააფიქსირებ-
და ეს მოვლენა მეცნიერებაში, კულტურაში, იურისპრუდენციაში,
ისტორიაში, კოსმიურ რეალობაში, ინდივიდებს შორის ურთიერ-
თობებში და ა. შ. თქვენ შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ ეს ჩა-
მონათვალი რომ გავაგრძელო სხვადასხვა განხრებისა და განშტო-
ებების მიხედვით, მათი მხოლოდ ერთი სიტყვიტ მოხსენიებისთვის
საც კი ეს წიგნი არ მეყოფოდა.

აი, ამით არიან დაკავებულნი დემონური და მონური ბუნების
მქონე ცოცხალი არსებები და ამ ყოველივეს ისეთი სერიოზულო-
ბით უდგებიან, რომ მათთან ამ საკითხის გადახედვაზე დალაპარა-
კებაც კი მოგერიდება. სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც მათ არ-
სებული „ეგო“-ს გაზრდა დაიწყეს, დაიბადა სატანა და სატანური
ბუნება. თუ უფრო ადამიანურად ჩამოვაყალიბებთ, ეს ბუნება პირ-
დაპირი სინონიმია ხელოვნურად შექმნილი რეფლექსებისა.

ხოლო ის „ეგო“, რაც არსებობდა სატანური ბუნების ჩასახვამ-
დე, გახლავთ აბსოლუტურად პირდაპირი სინონიმი ბუნებრივად
შექმნილი რეფლექსებისა. რაც, საბოლოო ჯამში, ლოგიკურად აყა-
ლიბებს იმას, რომ სატანური ბუნება ცდილობს ხელოვნური რეფ-
ლექსების მაქსიმალურად გაზრდას ცოცხალ არსებებში, ხოლო
ადამიანური ბუნება (ანუ ღვთიურ და ცხოველ ბუნებათა საერთო
პროდუქტი) ცდილობს ხელოვნური რეფლექსების მაქსიმალურად
შემცირებას ცოცხალ არსებებში მათ საბოლოო გაქრობამდე.

ვინაიდან სატანა და სატანური ბუნება, ფუნქციური დანიშნუ-
ლების ცალსახად საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს და
მოძრაობს, თავის თავში ჯერ არ (ვერ) ჩამოყალიბებული ცოცხალი
არსების თავისკენ მოსაზიდად ათასგვარ ხიბლს (ვიზუალურ
ხიბლს, ცდუნების ინსტრუმენტებს) იყენებს, რასაც ამ თავის და-

სანყისში დანერილი პირველი სიტყვა, **კომფორტი**, სრულად მოიცავს.

საბოლოო ჯამში მაინც თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სატანისა და სატანური ბუნების გავლენის ქვეშ ცოცხალი არსებების უგუნური ნაწილი ექცევა, რომლებიც უმეცრების მოდუსის ზეგავლენის ქვეშ არიან. სრული კატეგორიულობით შემოიღია განვაცხადო, რომ სულიერ სამყაროში სატანა და სატანური ბუნება არც არასოდეს არ არსებულა, არც ამჟამად არ არსებობს და ვერც მომავალში ვერ იარსებებს. ის ყოველთვის მატერიალურ სამყაროში იყო, არის და იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის ურთიერთგაუგებრობა სრულიად აღმოიფხვრება, აღმოიფხვრება სატანური ბუნებაც მის პიროვნულ წარმომადგენელთან ერთად, ოღონდ ურთიერთგაუგებრობის აღმოფხვრიდან ცოტა უფრო მოგვიანებით.

რაც შეეხება დემონურსა და მონურ ბუნებებსა და მათ წარმომადგენლებს, ისინი იმ დროს წარმოიქმნებიან ასეთებად, როდესაც ღვთის ძის მიერ ე. წ. „ეგო“-ში (ბუნებრივ რეფლექსებში) შეტანილ საჭირო ცვლილებებზე უფრო მეტი ან ნაკლები ცვლილებების შეტანის მცდელობებით კავდებიან. ანუ დემონური და მონური ბუნება და მათი მატარებელი ცოცხალი არსებები სულიერ სამყაროში ჩნდებიან უდავოდ, მაგრამ ასეთებად გადაქცევის შემდეგ იქ დიდახანს აღარ ან უფრო ველარ ყოვნდებიან და მატერიალურ სამყაროში უწევთ გადასახლება, სადაც ფაქტიურად პირველნი – ნებით (დემონები), ხოლო მეორენი – უნებლიეთ (მონები) სატანური ბუნების შექმნას, ზრდა-განვითარებას, მფარველობასა და მსახურებას ახმარენ საკუთარ პოტენციალს.

სამაგიეროდ სატანა და სატანური ბუნება თავისი „მშობლების“ მიმართ არანაირად არ არის განმსჭვალული პატივისცემითა და სიყვარულით. მისი ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა სიხარბე, გაუმაძღრობა, თუმცა, ვფიქრობ, მის ობიექტურად შესაფასებლად ღირს მისი უფრო დანვრილებითი დახასიათება.

სატანისა და სატანური ბუნების ნიშან-თვისებათა ძირითადი ასპექტების მოკლე განხილვა

▲ 1. დროის პარამეტრის მიხედვით სატანა და სატანური ბუნება იმყოფება ანმყოში, მიმდინარე მომენტში, სადაც მისი უმთავრესი მიზანი საეჭვოს პოვნას წარმოადგენს. ის ხელახლა ცდილობს უკვე დაფიქსირებულის, ყველანაირად ათვისებულისა და მიღებული ზოგადი ცნობიერების განზოგადებას და განხილვას. სატანური ბუნება ამას ახდენს განკითხვის იდეაფიქსური სულისკვეთებით. აბსოლუტურად ყველაფერს, რაც მატერიალურობასა და მატერიალიზმს არ ემსახურება, იგი ნეგატიურს, ცუდს, ბოროტსა და არასასურველს უწოდებს. სატანა და სატანური ბუნება ცალსახად აცხადებს, რომ სულიერება მთელი თავისი არსებით სრულად უნდა ემსახურებოდეს მატერიასა და მატერიალურს. ამ მხრივ ის აბსოლუტურად რადიკალურია. ამ ტენდენციის შედეგად იგი ცდილობს, თვითონ ანმყოს შიგნით შექმნას ე. წ. მომავალი და წარსული, რაც რეალურად სიკვდილის ცნების ტოლფასია ფუნქციონალური, არსობრივი რაობის აბსოლუტურად არ არსებობის გამო.

▲ 2. სივრცობრივი პარამეტრის მიხედვით, სატანა და სატანური ბუნება იმყოფება საკოორდინაციო სისტემის ცენტრში. ამ პარამეტრში მისი უმთავრესი მიზანია მთელ არსებულ რეალობაში საკუთარი გავლენის გაფართოება, რათა საკოორდინაციო ღერძთა გადაკვეთის წერტილი გაზარდოს იქამდე, ვიდრე სრულიად არ მოიცავს ყოველივეს, რაც არის. მას სურს მატერიალური სამყარო სულიერ სამყაროში გადაიტანოს და სრულიად მოიცვას ისიც.

ვინაიდან სატანა და სატანური ბუნება სრულად, ასი პროცენტით კონცენტრირებულია საკუთარ თავზე, იგი აბსოლუტურად დარწმუნებულია საკუთარი მიზნებისა და მოქმედებების მართებულობაში (თუმცა თავად ხომ მაინც იცის, რომ მთლიანად ტყუილზე აქვს ყველაფერი აგებული). ამიტომ ნებისმიერი არსება, რომელშიც რაიმე სახის მერყეობა არსებობს, საბოლოოდ მაინც ექცევა მისი ზეგავლენის ქვეშ, მაშინ როდესაც მიზნების შესრულების პროცესში ეს უკანასკნელი მას სადმე გადაეყრება ან ნებით თუ უნებლიეთ გადაელობება ხოლმე. ურყევი და მტკიცე პიროვნების წინაშე სატანა მარცხისთვის არის განწირული, ამიტომ, ძლიერი და ჭეშმარიტი რწმენით შეიარაღებულ ცოცხალ არსებებს დამფრთხალი გაურბის და არასოდეს ეკარება.

▲3. ინტერესების პარამეტრის მიხედვით, სატანა და სატანური ბუნება იმიტაციის მიმართულების შეუდარებელი და უბადლო წარმომადგენელია. მას იდეალური სარკის ეფექტით შეუძლია ნებისმიერი რალაცის ან ვილაცის კოპირება. თუმცა კოპირების, იმიტირების პროცესში ამ ყოველივეს შინაგანი ალქმის უნარი სატანასა და სატანურ ბუნებას საერთოდ არ გააჩნია. სწორედ ამით აიხსნება ისიც, რომ საეჭვო რალაცის როლში შესვლისას და ამის დემონსტრირებისას (გათამაშებისას), ნებისმიერ არსებაში არსებული ნებისმიერი მერყეობის კოპირებისას, ის ადვილად ახერხებს სხვების მოქცევას მისი საკუთარი ზეგავლენის ქვეშ, ისე, რომ თავად არანაირად არ ითრგუნება, არ მძიმდება. მან ეს მხოლოდ განასახიერა, მაგრამ აბსოლუტურად ვერაფერი იგრძნო. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სატანა და სატანური ბუნება საუკეთესო მსახიობი გახლავთ, რაც კი საერთოდ შეიძლება წარმოიდგინოთ.

მას არასოდეს აწუხებს სირცხვილისა და სინდისის შეგრძნების მატარებელი ფასეულობები, რამეთუ ის არასოდეს არ ცდილობს თავის თავში ნეგატიურობის პოვნას. უფრო მეტიც, მას სულელურ აზრად მიაჩნია ის, რომ შეიძლება რაიმე ჰქონდეს გასასწორებელი. სამაგიეროდ აბსოლუტურად ყველა მის გარშემო მისთვის, მასთან შედარებით ნაკლოვანნი არიან.

სატანა და სატანური ბუნება სრულყოფილების კომპლექსის აბსოლუტური მაჩვენებლის წარმომადგენლობითი გამოვლინება, იმიტაცია, ობიექტური რეალობის გადასახედიდან ინერციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის „ცოდვილი შვილი“ გახლავთ.

▲4. მატერიალური გამოვლინებულობის პარამეტრის მიხედვით, სატანა და სატანური ბუნება წინასწარ გათვლა-გათვალისწინებისა და ანგარიშის წარმომადგენელია. მისთვის ყოველთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია კითხვა – **რამდენი?** – ანუ რაოდენობა, ვიდრე კითხვა – **რა?** – ანუ ხარისხი.

ვიზუალური, გარეგნული თვალსაზრისით სატანა და სატანური ბუნება ყოველთვის მაცდუნებლად მომხიბვლელი და მიმზიდველია, მაგრამ ამასთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ ეს მომხიბვლელობა აბსოლუტურად, სრული ასი პროცენტით, ხელოვნურად არის შექმნილი და მიღებული. მას ჰარმონიასთან და ჰარმონიულობასთან არაფერი საერთო არ გააჩნია, რამეთუ ამ გარეგნული ხიბლის უკან გარშემო არსებულზე, ყველაზე და ყველაფერზე კონტროლის მოპოვების უფლების, მართვის სურვილი იმალება. უფრო მეტიც, მას უყვარს, როდესაც გარშემო არსებულ გარემოში გან-

ხეთქილებას თესავს, ეს გარემოზე ბატონობის მიღწევის ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთიც კი) საუკეთესო საშუალება გახლავთ.

სადაც არ არის გაგება, იქ ისადგურებს ანგარება. სადაც არ აფასებენ ჰარმონიას, იქ უძვირფასესი ხდება კომფორტი. კომფორტის დაუსრულებლად ზრდის სურვილს მიყოლილი ცოცხალი არსების მართვა კი ისეთივე ადვილი რამ არის, როგორც ანკესზე წამოცმული ჭიაყელით თევზის დაჭერა.

როგორ უნდა აღმოაჩინოს მატერიალიზირებულმა ცოცხალმა არსებამ (ადამიანმა) თავის თავში სატანური ბუნება

თუ ცოცხალი არსება (ადამიანი) კმაყოფილდება იმით, რასაც განგება მას განუსაზღვრავს კუთვნილებაში მატერიალური ყოფიერების თვალსაზრისით და იგი მადლიერია განგებისა იმისათვის, რაც განგებამ მიანიჭა, მაშინ ის სრულიად თავისუფალია სატანური ბუნებისაგან და სატანის ზეგავლენისაგან, ანუ მას სატანური ბუნება საერთოდ არ გააჩნია.

თუ ადამიანი რაიმე მატერიალური ნივთის (იქნება ეს სხეულისთვის გამოსაყენებელი ატრიბუტი თუ სხეულის გარემოს ატრიბუტი) განჭვრეტის შემდეგ ისე მოიხიბლება მისით, რომ ერთგვარ ეიფორიაშიც კი აღმოჩნდება, მასში ამ მომენტიდან სატანური ბუნების ჩასახვა დაიწყება. შემდგომ მას ნუხილი შეიპყრობს იმის გამო, რომ ამის შეძენა არ შეუძლია (მისთვის განგებას ეს არ გაუთვალისწინებია). შემდეგ, ადამიანში გამოვლინებას იწყებს სიძუნწე. იგი ცდილობს ამ გზით შეძლოს სათაყვანებელი ნივთის შეძენის შესაძლებლობის დაგროვება. სიძუნწე, თავის მხრივ, გადაიზრდება სიხარბეში, რამეთუ ნამცეც-ნამცეც დაგროვებას დიდი დრო ესაჭიროება, მას კი, ჩქარა უნდა ნივთის მიღება. ამის შემდეგ, ადამიანი ცდილობს ისეთ გარემოში მოხვდეს, სადაც ჩქარა შეძლებს მატერიალური შესაძლებლობების გაზრდას და პირფერობას, მაამებლობას ერყვევა და იყენებს ამისათვის. მაამებლობას, თავის მხრივ, მავნებლობაში გადასვლა მოსდევს, ანუ ნელ-ნელა მორალური კოდექსისა და საკუთარი სინდისის რღვევის გზას ადგება.

ამ მიზნამდე სვლის პროცესში კი, ადამიანი ამ ნივთის (თუნდაც მეორე ადამიანის, საპირისპირო სქესის სხეულზე იყოს ლაპარაკი) გარშემო ცნობების ძიებით, ცნობისმოყვარეობით კავდება,

რაც, შემდგომ, ტრაბახში ვლინდება, საკუთარი შეგროვებული ცოდნის აფიშირებით, სანუკვარი მატერიალური ნივთის გარშემო. რაც უფრო მალე და მეტად დაარღვევს მორალურ და ზნეობრივ პრინციპებს, მით უფრო მალე შეძლებს ადამიანი ამ ნივთის შექნასა და დაუფლებას. თუ ამ პრინციპების დარღვევა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ეს ნივთი ღირს, ის ვერასოდეს შეძლებს მის მიღებას (გააჩნია, რა სურს). მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. ის უკვე კერპთაყვანისმცემელთა რიგებში გადადის, ხოლო თუ შეიძენს სასურველს, თვითგაკერპებას ახდენს. ორივე შემთხვევაში სასურველი „ნივთი“ დაეუფლება მას და იბატონებს მასზე.

ნუ მოინდომებთ იმას, რისი შესაძლებლობაც არ გააჩნიათ და სატანა ვერასოდეს შემოვა თქვენში.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი

— ქ ა ო ს ი —

პოტენციური ენერჯიის საკუთარ ინდივიდუალიზმზე კონცენტრირებული ნაწილი

ამ თავში წარმოჩინებული ნაწილი მთელს გამოვლინებულობაში არსებული რეალობის **ამბიციურ** ნაწილს წარმოადგენს. ის მხოლოდ ე. წ. ხელოვნურ „ეგო“-ში ანუ მატერიალურ სამყაროში არსებობს და მეტი არსად.

ქაოსი მატერიალური სამყაროს ანუ ხელოვნური „ეგო“-ს მამაკაცური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილია და პირდაპირი კავშირი აქვს მესამე თავში წარმოჩინებულ ნაწილთან, რომელიც, თავის მხრივ, მთელს გამოვლინებულობაში არსებული რეალობის **ემოციური** და მატერიალური სამყაროს ანუ ხელოვნური „ეგო“-ს ქალური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილია. ქაოსში, როგორც ფორმაციულ წარმონაქმნში, დემონური ბუნება დომინირებს და, თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, წესრიგთან, მონურ ბუნებასთან კონტაქტის დამყარების მიდრეკილებითაა დამუხტული. მხოლოდ ქაოსში ყოფნის დროს საკუთარ არსში ქაოსის აღმოფხვრის მცდელობები მისცემს საშულებას ცოცხალ არსებას დემონური ბუნება ღვთიურ ბუნებად გარდაქმნას და ამას იმხელაზე მოახერხებს, რამხელაზეც შეძლებს ქაოსის აღმოფხვრას თავის თავში.

ე გ ო ც ე ნ ტ რ ი ზ მ ი

თუ ცოცხალი არსება საკუთარ ინდივიდუალიზმზე კონცენტრირდება, ნებით თუ უნებლიეთ ავტომატურად ექცევა აბსოლუტური ჭეშმარიტების პირად წარმომადგენელთან, სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან დაპირისპირებაში. უნდოდა ეს თუ არა, ის იწყებს სამყაროში უკვე არსებული დარღვეული ნაწილის პარალელურად ახალი დარღვევების შეტანას არსებულ რეალობაში. ფაქტიურად ცოცხალი არსება იწყებს უკვე არსებული ე. წ. ბუნებრივი „ეგო“-სგან განსხვავებული სხვა (დელტა) ეგოს შექმნას, თუმცა სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის ამას საერთოდ ვერ აცნობიერებს. რა თქმა უნდა, ეს ქმედებაც, როგორც აბსოლუტუ-

რად ყველაფერი, სიკეთის მოტანის სურვილით ხორციელდება (დანყებით სტადიაში მაინც).

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის, რომ ამ ტიპის ცოცხალი არსებები ძალიან ნიჭიერნი არიან, მაგრამ საკუთარი იდეები იმდენად ალაგზნებს მათ გონებას, რომ ზედაპირული პოზიტიურობის ხიბლი სიღრმისეული ნეგატიურობის წარმოსახვითი დანახვის უნარს უხშობს. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ ისინი, ძირითადად, საკუთარი ინდივიდუალურობის (ამ შემთხვევაში მამაკაცური სანყისის) ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

ასეა თუ ისე, ეს ცოცხალი არსებები ქმნიან ე. წ. ხელოვნურ „ეგო“-ს, რაც, სრული გლობალური გადასახედიდან ერთადერთ ჭეშმარიტ „ეგო“-დ შეიძლება იქნას წოდებული. თვითონ ფაქტი მატერიალური სამყაროს არსებობისა, გახლავთ ამის უტყუარი დასტური. მაღალი ეთიკის მქონე არსებისათვის ეს აქსიომატიურია და დამტკიცებას არ საჭიროებს. მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები, მამაკაცური სანყისის აქტივიზირებული ფორმით გამოვლინებულნი, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ანუ ისინი, როგორც მატერიალური სხეულები თავისი ბუნებით ეგოცენტრულები არიან. ერთი წამით მაინც თუ წარმოიდგენთ, რამხელა დაპირისპირებას წარმოქმნის ერთი და იგივე ადგილას, ერთსა და იმავე მომენტში მყოფი ინდივიდების სურვილი, რომ ერთმანეთთან ურთიერთობის დროს საკუთარი შეხედულებები იქნას მიღებული სახელმძღვანელოდ ცხოვრებაში და მხოლოდ იმისათვის უსმინონ ერთმანეთს, რომ ცუდი, ნეგატიური, გასაკრიტიკებელი აღმოაჩინონ მასში. პირადად მე, ახლა აღწერილ სიტუაციას იმაზე უკეთ ვერ დავახასიათებ, როგორც ამას გადმოსცემს სიტყვა **ქაოსი**.

დამერწმუნეთ, ძალიან ვცდილობ მაქსიმალურად კორექტული და კომპეტენტური მიდგომა გამოვიჩინო ეგოცენტრულობის ცნების მიმართ. თუ სიღრმისეულად შეხედავთ, აუცილებლად აღმოაჩინებთ იმას, რომ იგი ვერ მოგიტანთ რაიმე სახარბიელოს.

ეგოცენტრულობის ბუნების ყველაზე დამახასიათებელი (დომინანტური) თვისება საკუთარი აზრისა და შეხედულებების სხვა ინდივიდებზე მოხვევის სურვილში მდგომარეობს. ეს, შეიძლება ითქვას, დანყებითი სტადიის ყველაზე თვალში საცემი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. შემდგომ კი, ეს, უკვე სხვა სტადიებში, უამრავ ფორმაში გადაიზრდება, მაგრამ ყველა ეს ფორმაც მთლიანად ძალადობაზე, დაუფლებაზე, დაპყრობაზე, სისასტიკეზე, დას-

ჯაზე, განკითხვაზე, განადგურებაზე, შეცდენაზე, მოტყუებასა და უამრავი ასეთი ტიპის თვისობრივ გამოვლინებაზე გადადიან.

პირადად მე ამ საკითხის კვლევის პროცესში იმ დასკვნამდე მივედი, რომ ფესვი აქ ჩამოთვლილი არასასურველი თვისებების ბუკეტისა, სწორედ ზემოხსენებულ მცდელობაში, ანუ საკუთარი აზრის სხვაზე მოხვევის სურვილში მდგომარეობს. თუ ცოცხალი არსება (ჩვენს შემთხვევაში – ადამიანი-მამაკაცი) საკუთარი ცნობიერებისა და ნებისყოფის საშუალებით თავის თავში ამ თვისებას დაუპირისპირდება, ის სერიოზულ წარმატებას მიაღწევს, შეძლებს საკუთარ თავში არსებული ეგოცენტრულობის მნიშვნელოვნად შემცირებას (რა თქმა უნდა, სასურველია მისი სრული გაქრობა, მაგრამ ეს ძალიან ძნელი შესასრულებელია).

რაც შეეხება ნაყოფს ამ ფესვისა და მისგან აღმოცენებული ხისა, როგორც საბოლოო შედეგობრივი პროდუქცია, ეს გახლავთ **ტრაბახი**. აი, ეს ტრაბახი, როგორც ნიშან-თვისება არის ყველაზე უარესი იმ ყველა ალბათობისა, სადამდეც შეიძლება მივიდეს ეგოცენტრული ორიენტაცია. ფსიქოლოგიური ენით თუ გადმოვცემთ, ეს არის სრულყოფილების კომპლექსის გამოვლინების საბოლოო დონე. ტრაბახი შეიძლება გამოხატულ იქნას ცინიზმის, გართობის მცდელობის, უხეშობის, უტაქტობის, უზრდელობის, თავხედობის და ამგვარი ტიპის გამოვლინებების სახით.

საკუთარი აზრებისა და შეხედულებების სხვაზე მოხვევის სურვილი და მცდელობები დემონური ბუნების საწყის სტადიაში ყოფნას გულისხმობს. ეს აზრები და შეხედულებები, მისი მატარებელი ცოცხალი არსების რწმენის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომლითაც იგი თავისდაუნებურადაც კი უპირისპისდება სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და ღვთის ძის იდეებს, აზრებსა და შეხედულებებს. ეს ყოველივე კი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ცოცხალ არსებას იმაზე უფრო სწრაფად უნდა მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესუალური განვითარება, ვიდრე ეს საჭიროა ანუ ვიდრე ეს შესაძლებელია (ვიდრე ამის მიღება შეუძლია მთელს გამოვლინებულ რეალობას). ამის გამო, გარდაუვლად აუცილებელი ხდება ცოცხალი არსების მატერიალურ სამყაროში გაგზავნა ე. ი. მატერიალიზირებულ მდგომარეობაში გადაყვანა, სადაც მას დახვედებიან ის ცოცხალი არსებები, რომლებიც მატერიალიზირდნენ იმის გამო, რომ მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესუალური განვითარება იმაზე ნელა სურდათ, ვიდრე ეს საჭირო იყო, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ანუ ვიდრე ამის მიღების

უნარი გააჩნდა მთელს გამოვლინებულ რეალობას. მატერიალური სამყაროს ამ წარმომადგენლებს წინამდებარე წიგნის შემდეგი თავი აღწერს. მათ ამგვარი პასიურობის სურვილმა სიღრმისეული (წარმოსახვითი) აღქმის უნარი უბრალოდ გაუზარმაცა და ყოველგვარი სიახლის მამართ შიშის შეგრძნება ჩაუსახა. ეს მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები უკვე შეჩვეული არიან ერთფეროვნებას, ანუ წესრიგის მოყვარულნი არიან. საკუთარ არსში არსებული პოტენციური ენერჯიის დახარჯვას და დაკმაყოფილებას კი ზედაპირული შეხებით, ზედაპირული აღქმით შეცნობის სურვილით იკლავენ. მათ ე. წ. მონური ბუნება გამოიმუშავეს.

შევხედოთ, რა მივიღეთ. პირველად მოხსენიებულ კატეგორიას თითქოს სადღაც ეჩქარებაო, ზემოცანები აქვს საკუთარი თავისთვის დასახული და რეალურად მართლაც დგება ზემოცანების წინაშე. კერძოდ, ააჩქაროს, ასე ვთქვათ, გააცოცხლოს, მეორედ მოხსენიებული კატეგორია, რომელსაც პროცესები ხელოვნურად აქვს შენელებული. ვღებულობთ წყვილს დემონური ბუნებისა და მონური ბუნების სახით და, რაგინდ მიუღებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს არის მატერიალური სამყაროს სრულყოფილი, არადამახინჯებული აღწერილობა მაღალეთიკური გადასახედიდან.

თუ ვინმეს სურს საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნების ტრანსფორმაცია, უპირველეს ყოვლისა უნდა აღიაროს, რომ მასში დემონური ბუნება არსებობს. თუ აქსიომატურ დონემდე დავიყვანთ ზემოხსენებული ინფორმაციის საფუძველზე იმას, რომ მატერიალურ სამყაროში მამაკაცური საწყისით აქტივიზირების შედეგად მამრი სქესის წარმომადგენლად და, მით უმეტეს, ადამიანად მატერიალიზირდება, ავტომატურად გულისხმობს ცოცხალ არსებაში დემონური ბუნების არსებობას. უფრო მეტიც, თუ მატერიალურ სამყაროში დემონური ბუნების არსებობის მიზეზად მივიღებთ ადამიანს, მაშინ საკუთარ არსში ამ ბუნების აღიარებულობა-არაღიარებულობის საკითხი ბუნებრივად მოიხსნება.

ვფიქრობ, უკვე შეიძლება მეორე საფეხურზე გადასვლა ანუ იმაზე, თუ როგორ მოვახდინოთ საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნების ტრანსფორმირება ღვთიურ ბუნებად.

ხელოვნური ანუ მატერიალური პირობითი რეფლექსები

იმისათვის, რომ ცოცხალ არსებაში არსებული დემონური ბუნება ღვთიურ ბუნებად ტრანსფორმირდეს, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარი აზრებისა და შეხედულებების სხვა ცოცხალ არსებაზე მოხვევის სურვილი უნდა გადაიქცეს საკუთარი აზრებისა და შეხედულებების სხვა ცოცხალი არსებებისთვის გაზიარების სურვილად. ერთი შეხედვით, ეს არც თუ ისე რთულ საქმედ მოგეჩვენებათ, მაგრამ თუ ღრმად შეხედავთ ამ საკითხს, ვფიქრობ, თავადვე დარწმუნდებით ამის წარმოუდგენლად დიდ, უზომოდ დიდ სირთულეში.

ამ ურთულესი პრობლემის დასაძლევად, დასაწყისისთვის საჭიროა მატერიალური პირობითი რეფლექსებისაგან გათავისუფლება. ეს ცოცხალ არსებას ბუნებრივი (სულიერი) უპირობო რეფლექსების ზეგავლენის ქვეშ გადასვლის, ანუ საკუთარ არსში არსებული ქაოსის ეთიკაში გადაყვანის საშუალებას მისცემს.

მაშ ასე, ჩამოვყალიბოთ ხელოვნური ანუ მატერიალური პირობითი რეფლექსების არსი, ე. ი. ის, რაც უნდა იქნას დაძლეული დემონური ბუნებისაგან გათავისუფლებისათვის და ღვთიური ბუნების გაზრდისათვის. მხოლოდ გარდაუვლად აუცილებელი განსაზღვრებით შემოვიფარგლები. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, დემონური ბუნების წარმოქმნის მიზეზი სულიერი სამყაროს რეალობაში არსებული დარღვეული ნაწილის აღმოფხვრის იმ მცდელობებში მდგომარეობს, რომლებიც სულიერ სამყაროში არსებულ ობიექტურ რეალობას არ ითვალისწინებენ, ანუ არ ითვალისწინებენ იმის გარკვევას, მათ მიერ ათვისებული ინფორმაცია არსებული დარღვეულობის შესახებ აითვისა თუ არა მთელმა სულიერმა სამყარომ და, ასე ვთქვათ, ვიდრე ეტაპობრივი ჰარმონიზირების პროცესი დამთავრდება, წინ გარბიან შემდგომი ევოლუციონებისკენ. არადა, თუ ცოტა ხნით გადახედავდნენ მთელს სურათს გლობალური ინტერესებიდან გამომდინარე, ადვილად დაინახავდნენ, რომ ის დარღვეულობა, რის აღმოფხვრასაც ასე გამალებით ცდილობენ, სწორედ ასეთი ტიპის საქმიანობამ, ჯერ არჰარმონიზირებულ სამყაროში ევოლუციონების ახალი პორციის შეტანის მცდელობამ გამოიწვია.

შემდგომ ამისა კი, თუ წარმოქმნილი დემონური ბუნების მიერ ეს გლობალური ინტერესების გადახედვა ვერ მოხდება, მაშინ მას-

ში წარმოიქმნებიან პირობითი მატერიალური რეფლექსები. დემონურბუნებაშეძენილი ცოცხალი არსება მოიხედავს რა უკან და დაინახავს, თუ რამდენად ჩამორჩენილან სხვა ცოცხალი არსებები მასთან შედარებით, ფარდობითობით ზომვაში გადადის ყველაფრისა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ექმნება, ავადდება მნიშვნელოვნების გრძობით. უკვე გაამპარტავებული, ჯერ მის ინტელექტუალურ დონემდე არ მისული ცოცხალი არსებების მიერ საკუთარი უპირატესობის აღიარების მოთხოვნას იწყებს. სწორედ ამისთვის წარმოქმნის იგი მატერიულ პირობით რეფლექსებს.

მაგრამ... ვინაიდან ასეთი ტიპის ცოცხალი არსება სამყაროს ფუნქციონალური ინტერესებისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების მსახურების საზღვრებიდან გავიდა და, უფრო მეტიც, ამ მსახურების საპირისპირო საქმიანობით დაკავდა, უმაღლესი „ენერგოგამანაწილებელი ბანკიდან“ უწყდება ენერჯის მინოდება. ამის გამო იგი ცდილობს საკუთარი ენერგოკრიზისი აინაზღაუროს, აღიდგინოს, რეგენერაცია მოახდინოს არაფუნქციონალური, ვიზუალური თვითრეალიზაციით. ამ ქმედების მიზანი კი, იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული ქაოსის მდგომარეობაში ნელ-ნელა და ეტაპობრივად გადავიდნენ ზედმეტად პასიური, მონური ბუნების მქონე არსებები, რითაც ისინი საკუთარ ენერჯიას გადასცემენ ამ ქაოსის შემქმნელს. თანაც, ამას ისე გააკეთებენ, რომ თავად არაფერი ეცოდინებათ. ამგვარად იქმნის დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება ენერჯის მიღების ალტერნატიულ წყაროს, თუმცა ეს მთლიანად არაეთიკურია და ამ პროცესში მონაწილე უკლებლივ ყველა ცოცხალი არსების სულიერ დაცემას განაპირობებს.

დემონური ბუნების მქონე არსებას, მისდა საუბედუროდ, მოთმინების უნარი არ გააჩნია, ალბათ ამიტომაცაა, რომ საკუთარ არსში ჩაღრმავების (შეტყუების) სურვილის შესრულებისას საკუთარი შეხედულებების გაზიარების სურვილი (მისთვისაც კი შეუმჩნევლად) ამ შეხედულებების სხვაზე მოხვევაში (იძულებით სწავლების) ტენდენციაში გადადის. დემონური ბუნების წარმომადგენელი ავტომატურად მიმართავს თავის ინტერესებსა და ყურადღებას იმ ნაწილზე, სადაც პოტენციურად არსებული, მაგრამ არარეალიზირებული, გამოუყენებელი ენერჯია ეგულება. იმისათვის, რომ ეს ნაწილი თავისკენ მიიზიდოს, ის ახალი პირობითობების შემოტანით ახდენს ამ ნაწილის დაინტერესებას, დაინტრიგებასა და პროვოცირებას. საერთო ჯამში, მას ეს ყოველთვის წარმატებით გა-

მოსდის, იმ განსხვავებული შემთხვევების გარდა, როდესაც მონური ბუნების წარმომადგენლები თავად არიან ფუნქციონალური ინტერესებით დასაქმებულნი **ანუ როდესაც ისინი თავადვე ცდილობენ საკუთარი პოტენციური ენერჯის ჭეშმარიტად მიზნობრივ გამოყენებას.**

თუ ადამიანურ ენაზე გადავთარგმნით, დემონური ბუნების მთავარი ძალა მაინც ცდუნების უნარში მდგომარეობს და თუ ვერ შეძლებს ამას, ე. ი. თუ მისთვის საინტერესო ობიექტი არ ცდუნდება (მიუხედავად საკუთარი ძლევამოსილებისა), ვერ შეძლებს სასურველი მიზნის მიღწევას, ანუ მისთვის ესოდენ საჭირო კოსმიური ენერჯის აღებას.

ვფიქრობ, ძალიან გაუგებარ რაიმეს არ ვიტყვი, თუ დასკვნის სახით აღვნიშნავ იმას, რომ დემონური ბუნება და მისი მატარებელი არსებები პირდაპირ დაპირისპირებულნი არიან სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან და მის ძესთან (ანუ ღვთის ძესთან), რომლებიც ყველანაირად ცდილობენ აბსოლუტურად ყველა თავის ქმედებაში ობიექტური რეალობა ზედმინევენით გაითვალისწინონ. უფრო მეტიც, მე გეტყვით, რომ ისინი მამა ღმერთსა და ღვთის ძის დაუძინებელი მტრები ხდებიან. ეს კი, თითქოს ერთი შეხედვით უბრალო რაღაცამ, მათმა მოუთმენლობამ, ბუნებრივი მიმდინარე მოვლენების ბუნებრივი სვლისთვის საჭირო საქმიანობის კეთების დაჩქარების მცდელობებმა გამოიწვიეს.

მაგრამ მოდით, ქვემოთა იარუსს დავუბრუნდეთ ანუ იმ ნაწილს, რომლებიც მოვლენების ბუნებრივი სვლის პროცესს ჩამორჩნენ თავიანთი პასიურობის გამო და მონური ბუნების წარმომადგენლობით ნაწილად ჩამოყალიბდნენ. დემონური და მონური ბუნების წარმომადგენელთა ურთიერთობების დროს დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება იძულებული ხდება სულ ახალი და ახალი პირიბითობები (პროვოკაციული ინტერესები) ანუ პირობითი მატერიალური რეფლექსები შექმნას, რადგან, რაღაცა ტიპის პირობითი მატერიალური რეფლექსის შეჩვევის შემდეგ მონური ბუნების წარმომადგენელი წესრიგის მდგომარეობაში გადადის (ქაოსის შინაგანი მდგომარეობიდან გამოდის) და ამ რეფლექსის შემოტანის ავტორს აღარ აძლევს ენერჯიას. თუ დემონური ბუნების მქონე ძალადობით მოინდომებს ენერჯის წართმევას, რაღა თქმა უნდა, ის ამას შეძლებს, მაგრამ ძალადობით წართმეული ენერჯია თავისი შემცველობით არ იქნება იმ რაციონალური თვისებების მქონე, რაც ნებაყოფილობით გაცემულ ენერჯიას გააჩნია.

გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად დემონური ბუნების მქონე არსების სურვილების არაეთიკურობისა, თავისდაუნებურად ახდენს დარღვეულ ობიექტურ რეალობაზე კონცენტრირებასა და ე. წ. გაზარმაცებული ცოცხალი არსებების აქტივიზირებას, მათ დაბრუნებას, მიმართვას ობიექტური რეალობისაკენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს უზენაესი განგებულობის ყოვლისმომცველობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობის პროცესში უზენაეს ფასეულობად ცოცხალ არსებებს არჩეული აქვთ ე. წ. ხელოვნური „ეგო“ ანუ მატერია და მატერიალური სხეულები, ხოლო ე. წ. ბუნებრივ „ეგო“-ს ანუ სულიერებასა და სულიერ სხეულებს მათივე მხრიდან არჩეული უზენაესი ფასეულობის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას ცდილობენ. ალბათ ამ შესავლის შემდგომ უკვე შეგვიძლია, პირობითი მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი ჩამოყალიბება და ამ პუნქტების მოკლე განხილვა მოვახდინოთ.

პირობითი მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი ნუსხა:

- I სუბიექტური რეალობის ევოლუციონების სურვილი (*ემოცია*)
- II არადასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ხორცშესხმის სურვილი (*ამბიცია*)
- III სუბიექტური რეალობის იდეალურ რეალობად გარდაქმნის სურვილი (*გონება*)
- IV არადასამკვიდრებელი ჭეშმარიტების გარემოსთვის თავზე მოხვევის, ძალადობით დამკვიდრების სურვილი (*გრძნობა*)

პირობითი მატერიალური რეფლექსების მიყოლა, საკუთარ სუბიექტზე კონცენტრირებულობას ნიშნავს. ამის შედეგად კი, საკუთარი ინდივიდის სამყაროს უზენაეს პიროვნებად აღიარებულობის ილუზია ჩნდება. ეს ტენდენცია თანდათან, შეუმჩნევლადაც კი, ძალას იკრებს და იმდენად ჯდება ძვალ-რბილში, რომ საკუთარი პიროვნების იდეალურ არსებად აღქმის უეჭვილობა მთლიანად ეუფლება ცოცხალ არსებას. აქ, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი პუნქტის არც თუ ისე დაწვრილებითი განხილვა, ვფიქრობ, დასანახსა და გასაგებს გახდის ამ ტენდენციის არასასურველობას, როგორც თვითონ ამ ტენდენციას მიყოლილი არსებისათვის, ისე მის გარშემო არსებული მთელი ცოცხალი სამყაროსათვის. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დემონური ბუნება, თუ არ გაასწორებს თავის შეხედულებებს, სატანურ ბუნებაში შეიძლება გადაიზარდოს. ამის

მოკლე მონახაზს ამ ოთხი პუნქტის განხილვის შემდგომ გავაკეთებ. ახლა კი ამ პუნქტებზე შევჩერდები.

I ემოცია – სუბიექტური რეალობის ევოლუციების სურვილი

მოვლენების ბუნებრივი სვლა ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირება, როგორც უმთავრესი ფუნქციური საქმიანობა, აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ აღიარებული პირადი წარმომადგენლის, სამყაროს უზენაესი პიროვნების შეხედულებების შესაბამისად ხდება. ის ცოცხალი არსებები კი, რომლებსაც ეს ცვლილებები კონკრეტული დროის ინტერვალში მცირედ ეჩვენებათ, უფრო აქტიური მოქმედების მუხტით ხელმძღვანელობენ (არ ითვალისწინებენ რა მთელს სამყაროში არსებული ცოცხალი არსებების ადაპტაციის უნარს).

მიუხედავად მათთვის ამ ასპექტის ახსნისა, ისინი საკუთარ შეხედულებებს უფრო უკეთესის მომტანად მიიჩნევენ და სამყაროს უზენაეს პიროვნებას უსამართლობაში სდებენ ბრალს. ისინი ემოციურ დონეზე უპირისპირდებიან მამა ღმერთს, თვლიან რა, რომ ისინი უკეთესად გავაკეთებდნენ იმას, რასაც სამყაროს უზენაესი პიროვნება აკეთებს.

შედეგად ჩნდება პარალელური რეალობა, რაც, რეალურად, სუბიექტური რეალობა გახლავთ. ასე ჩნდება მამაკაცურ სანყისში ორმაგოვნება (კარგი და ცუდი; კეთილი და ბოროტი; სიმართლე და ტყუილი) და ე. წ. უსამართლობასთან დაპირისპირება, რაც, ფაქტიურად, საკუთარი შეხედულებების სამყაროს უზენაესი პიროვნების შეხედულებებთან დაპირისპირებაა და მეტი არაფერი.

II ამბიცია – არადასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ხორცშესხმის სურვილი

ძირითადი სტრატეგიული ორიენტაციიდან გასული (დემონური ბუნების მქონე) ცოცხალი არსება ამ ორიენტაციის პარალელურად ცდილობს თავისი შეხედულებების არა კონცეპტუალურ განხილვას, არამედ ნებისმიერ ფასად მათ ხორცშესხმას და ამისთვის ის უკვე მზად არის ყველაფერზე წავიდეს. მასში ემოციური წყენა

იმდენად უკონტროლო ხდება, რომ ამბიციურ დონეზე ის ბრაზისა და ძალადობის სიმბოლოდ გვევლინება.

სამწუხაროდ, იგი ნელ-ნელა ეჩვევა შინაგანი ცენზურის ანუ სინდისის დარღვევას, რამეთუ საკუთარი არსის კრიტიკული თვალთ შეხედვის უნარი დაკარგა და მისი კრიტიკა მხოლოდ სხვა ცოცხალ არსებებს მოიცავს, სამყაროს უზენაესი პიროვნების ჩათვლით და მისი გათვალისწინებით. პირველ რიგში, იგი განიკითხავს ყველასა და ყველაფერს, რაც მის შეხედულებებს ეწინააღმდეგება ან ვერ გებულობს. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სინდისის იგნორირების ზრდაში ყველაზე ძლიერი კატალიზატორი ხდება უზარმაზარი კონკურენცია მისნაირი მიდრეკილების ცოცხალ არსებებთან, რომელთაც, თავის მხრივ, საკუთარი შეხედულებების ხორცშესხმა განუზრახავთ. ვიდრე ეს კონკურენტები, სინდისის იგნორირების ხარჯზე, ერთმანეთთან რალაცა ტიპის კომპრომისებზე შეთანხმდებიან, უფრო უარესი მტრებიც კი ხდებიან ერთმანეთისთვის, ვიდრე მამა ღმერთს განიხილავდნენ ასეთად.

III გონება – სუბიექტური რეალობის იდეალურ რეალობად გარდაქმნის სურვილი

მატერიალურ სამყაროში საკუთარი შეხედულებების მეტ-ნაკლებად რეალიზირების შემდგომ, დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებები რალაცა ტიპის კოალიციას აყალიბებენ და იმაზე იწყებენ ფიქრსა და მსჯელობას არსებული სუბიექტური რეალობა როგორ მოიყვანონ მაქსიმალურად იდეალურ მდგომარეობამდე. ამისათვის ისინი ათასგვარი პირობითი სპეკულაციური სიახლეების შემოტანით ხელმძღვანელობენ. მათი ძირითადი მცდელობა მიმართულია ცოცხალი არსებების მატერიალური სხეულებისთვის მაქსიმალურად სასიამოვნო, ხელოვნური პირობების შექმნის მექანიზმების გამოგონებისკენ. თავისდაუნებურად ეს მცდელობა მიმართულია მონური ბუნების მქონეთა თავისკენ მოსაზიდად, რითაც ბუნებით ზარმაცი მონური ბუნების მქონე არსებებს კიდევ უფრო მეტად აზარმაცებენ. თავად დემონური ბუნების მქონენი კი, საკუთარ მოჭარბებულ (სპეკულაციური გზებით უხვად ნაშოვნ) ენერგიას მთლიანად ხარჯავენ ამ საქმიანობაში. აქაც ერთვება უზარმაზარი კონკურენციის მექანიზმი და ყოველი მათგანი ცდი-

ლობს, იყოს უფრო ორიგინალური, უფრო ავტორიტეტული, უფრო დაფასებული.

ყველაზე უფრო დემონურნი კი, ძალაუფლების მოპოვების მცდელობით, სუბიექტური რეალობის მმართველად ქცევის სურვილით იმართებიან, რასაც, ცალსახად, სინდისის მაქსიმალურად გამოხატული არაეთიკურობით აღწვენ.

IV გრძნობა – არადასამკვიდრებელი ქეშმარიტების გარემოსთვის თავზე მოხვევის, ძალადობით დამკვიდრების სურვილი

ერთგვარი ზავის დადების შემდგომ დემონური ბუნების წარმომადგენელთა შორის იწყება ახალი დაპირისპირება საკუთარი შეხედულებების ერთპიროვნული გამარჯვებისათვის. მათში ის გაიმარჯვებს, ვისი ლოგიკაც უნაკლოა და ვისი აზრთა წვდომის სიღრმეც უფრო მეტია, ვიდრე დანარჩენებისა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შეხედულებათა დამკვიდრება მეტისმეტად ნაადრევია. თუმც ამას ეს დემონად ქცეული არსება არად დაგიდევთ. ის ხომ სწორედ ამიტომაც არის დემონად წოდებული, რამეთუ ამ ინფორმაციის სხვათა მიერ აღქმის უნარს (მაქსიმალურად მონდომების შემთხვევაშიც კი) არაფრად დაგიდევთ.

ფაქტიურად, ეს ძლევამოსილი და სასტიკი არსება იწყებს გარემოზე გლობალური მასშტაბით ამ შეხედულებების თავზე მოხვევას. რა თქმა უნდა, ეს მატერიალურ სამყაროში, სუბიექტურ რეალობაში ხდება. ეს დაახლოებით სწორედ ის გახლავთ, რასაც დღეს გლობალიზაციის პროცესს ეძახიან. არადა, დროთა განმავლობაში თვით დემონური ბუნების მქონე არსებებიც კი, უსუსურ მდგომარეობაში ვარდებიან და, მე ვიტყვოდი, ბუნება გაორებული უხდებათ. ისინი ნელ-ნელა მონური ბუნების არსებებად გარდაიქმნებიან.

შეიძლება ძალიან უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ეს შეხედულებები დაახლოებით იმ შეხედულებათა მსგავსია, რაც სულიერ სამყაროში, ანუ ობიექტურ რეალობაში, არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა ან პარალელურად მკვიდრდება, მაგრამ იმ უზარმაზარი განსხვავებით, რომ იქ შეხედულებები სულიერებაზე და სულზეა აგებული, მაშინ როდესაც აქ, სუბიექტურ რეალობაში შემოტანილი შეხედულებები, მატერიალიზმზე და სხეულზეა აგებული, რაც ორმაგად გაუგებარს ხდის მათ.

დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებების სპექტრის პარალიზებული მდგომარეობის ფონზე მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებები აქტიურდებიან და ამ დროს, მე ვიტყვოდი, მიმდინარეობს ყველაზე უარესი პროცესი მატერიალურ სამყაროში: *ორივე ბუნების მქონე არსებები ნელ-ნელა და მეთოდურად სატანური ბუნების შექმნას იწყებენ.*

თუ მსჯელობას უფრო მარტივ დონეზე დავიყვანთ, დემონურ და მონურ ბუნებათა ურთიერთობისას ავტომატურად ხდება შეხედულებების ურთიერთგაზიარება და მათი მეთოდური დამკვიდრება. ეს არის ის ქმედება, სადაც დემონური და მონური ბუნების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა აზრს დაკარგავდა.

დემონური ბუნების მქონე არსებათა საქმიანობა პირობითი მატერიალური რეფლექსების დამკვიდრების შემდგომ

დემონური ბუნების მქონე არსება პირობით მატერიალურ რეფლექსებზე მონური ბუნების მქონეთა ორიენტირების შემდგომ თუ ვეღარ ახერხებს მათში სხვა, ახალი პირობითი მატერიალური რეფლექსების შეტანას ან, მისთვის კიდევ უფრო რთულ შემთხვევაში თუ გამოელა ახალი პირობითი მატერიალური რეფლექსების ნუსხა საკუთარ თავში (ბოლომდე თუ რეალიზირდა ანუ „დამთავრდა“), თავად ხდება იმ პირობითი მატერიალური რეფლექსების მსხვერპლი, რომლებიც სხვა, მასზე უფრო ძლიერი დემონური ბუნების მქონე არსებებმა შეიტანეს სუბიექტურ რეალობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი თავადვე ხდება ორიენტირებული იმაზე, რომ საკუთარი დამკვიდრებული პირობითი მატერიალური რეფლექსების გავლენა შეინარჩუნოს (ხდება კონსერვატორული ბუნების, რომელსაც ნებისმიერი უმნიშვნელო სიახლეც კი, აღიზიანებს, წყობიდან გამოყვანის დონემდე). ფაქტიურად, იგი თავადვე ხდება თავისი დამკვიდრებული სუბიექტური რეალობის მონა-მორჩილი. უკვე მასში წარმოიქმნება პოტენციური ენერჯის ჩაგროვება, რამეთუ მან აღარ იცის რა აკეთოს და, უხეშად რომ ითქვას, „ღობე-ყოფს ედება“. სხვათა შორის, მის მიერ განსწავლული მონური ბუნების მქონენიც კი ფანატიკური მუხტის გაცივების შემდეგ უკმაყოფილონი არიან მისით და მისგან ახალი პირობითობისთვის შესაბამისი საქმიანობით დაკავებას მოითხოვენ. ისინი ვერ ხვდებიან იმას, რომ მათ კერპს ამისათვის საჭირო სიღრმისეული ცოდნა, უბ-

რალოდ, არ გააჩნია. სამაგიეროდ ეს დემონური ბუნების არსება, უხვად და ურცხვად იგონებს თითიდან გამონოვილ სპეკულაციურ არგუმენტებს თავისზე ძლიერი დემონების ავტორიტეტის გასასვრელად. მაგრამ ყველა ეს ცრუ ბრალდება მხოლოდ თვითონ მას უტყვის სახელს და ერთადერთი დაზარალებული საკუთარი ცილისნამებისა თავადვე ხდება.

საბოლოოდ ამ დემონს სხვა გზა არ რჩება, თუ არა მონური ბუნების მქონეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად გადაქცევისა. ეს ჩემთვის პირადად სრულიად თვალნათელს ხდის, რამ წარმოშვა ისეთი გაგება, როგორცაა ე. წ. ხალხის მმართველობა; ხალხი (მასა) როგორც მმართველი ძალა; ხალხის დიქტატურა; ხალხის მიერ ხელისუფლების არჩევა; დემოკრატიული საზოგადოება და ა. შ.

აი, ასე გადაიქცევა დემონური ბუნების მქონე მონური ბუნების მქონეთა ვითომ მსახურად. ეს კიდევ ერთი (მაგრამ უკანასკნელი) ფინტია, ილუზიის შექმნაა მისი მხრიდან.

მაგრამ ამ ფსევდომსახურების (ვითომ მსახურების) პარალელურად დაცლილი დემონური ბუნების მქონე არსება თავისზე უფრო ძლიერი დემონური ბუნების მქონეთა მიერ გამონროთობილი და განსწავლული მონური ბუნების მქონეთა არაფიქტიური თავყვანისმცემელი და მსახური ხდება. მასში მის მიერ დამკვიდრებული პირობითი მატერიალური რეფლექსების შენარჩუნების სურვილი ახალი, მისთვის შეუცნობელი პირობითი მატერიალური რეფლექსების აღქმის სურვილით იცვლება.

თუ ამ ცვლილებას სახელს შეურჩევთ, აღმოჩნდება, რომ დემონური ბუნება მონური ბუნების გამრუდებულ სატანურ ბუნებას უღრმავდება და თავადვე გარდაიქმნება სატანური ბუნების წარმომადგენლად. ეს საკმაოდ დიდად განსხვავდება მონური ბუნების სატანურ ბუნებად გადაქცეული ნაწილის ინტერესებისაგან, თუმცა ფაქტიურად მთლიანად მასზე დამოკიდებულია. იგი სირცხვილდაკარგული, უპირობო მატერიალური რეფლექსების ზეგავლენისაგან გათავისუფლებული (ყველაზე არასასურველი მიმართულებით) მონური ბუნების დაკმაყოფილების საშუალება ხდება.

მე იმას არ ვიტყვი, რომ ეს არსება ამას არ იმსახურებს, მაგრამ, სამუხებაროდ, ამ მუტაციური ტრანსფორმირების შედეგად მთელი სამყაროს ჭეშმარიტად საჭირო, გლობალური ინტერესები ზარალდება, რამეთუ ამ მდგომარეობიდან უკვე ორმაგად, თუ არა სამმაგადაც კი, ძნელია გამოსვლა. არადა, სწორედ ეს ტენდენცია

მიმდინარეობს დღეს-დღეისობით პლანეტა დედამიწის მკვიდრთა, ადამიანთა ურთიერთობებს შორის. რაც შეეხება სინდისის ცნებას, ამ ტენდენციის მიყოლით ის სრულიად იკარგება ამ ცოცხალი არსებების აღქმაშიც და გაგებაშიც.

შ უ რ ი ს რ ა ო ბ ა დ ე მ ო ნ უ რ ბ უ ნ ე ბ ა შ ი

დემონური ბუნების, როგორც ასეთის, წარმოქმნის მიზეზი გახლავთ სამყაროს უზენაეს პიროვნებად აღიარებული ცოცხალი არსებისთვის კონკურენციის განწევის სურვილი. თავად ამ კონკურენციის განწევის, შეჯიბრების სურვილის ავტორი კი გახლავთ *შური*, სამყაროს უზენაეს პიროვნებად გადაქცევის სურვილი. ცალსახად სამყაროს უზენაეს პიროვნებაზე უპირატესობის მოპოვების სურვილით შეპყრობილი ცოცხალი არსება თავადაც კი ვერ ამჩნევს, როგორ აქცევს თავის საორიენტურო ობიექტს (მისთვის უკვე სუბიექტს) მეტად თავის აღქმაში. ერთადერთი, რითაც ის არის დაკავებული, მამა ღმერთში არასრულყოფილების, შეცდომის, სუსტი ადგილის, არაობიექტურობის, ნეგატიურობის და ასეთი რაღაცეების აღმოჩენის სურვილია. შედეგად დემონური ბუნების მქონე არსება ბუნებრივი „ეგო“-ს (მამა ღმერთის „ეგო“-ს), მთელს სამყაროში არსებული დარღვეული ნაწილის, შესწავლის მცდელობით კავდება.

რომ არა *შური*, პიროვნული დაპირისპირების, პირველობის მოპოვების სურვილი, მე ვფიქრობ, დემონური ბუნების არსებათა საქმიანობა ჭეშმარიტად სიკეთის მომტანი იქნებოდა.

მაგრამ... პირველობის სურვილით გატაცებულ, განუსაზღვრელი უფლების მსურველ არსებას, ამ თავისი მეცადინეობის პროცესში მხედველობის არედან მთლიანად ეკარგება ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომ განუსაზღვრელ უფლებებს, მათთვის ზედმინევნიტ შესაბამისი, განუსაზღვრელი მოვალეობების სკურპულოზური დაცვის აუცილებლობა მოჰყვება (მოეთხოვება).

რალაცა დონის ცოდნის (მისი შეხედულებით, მამა ღმერთზე უფრო დიდი რაოდენობის ცოდნის) დაუფლების შემდეგ, დემონური ბუნების მქონე არსების უკიდურეს გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი (რაც გარდაუვალია), რომ მას არ აღიარებენ სამყაროს უზენაეს პიროვნებად. ამის შემდგომ, ეს არსება ცდილობს ან მამა ღმერთის ინდივიდუალურობის განადგურებას (რაც ალბათ ყველას

გესმით, რომ შეუძლებელია), ან მამა ღმერთის მფარველობის ქვეშ არსებული ცოცხალი არსებების იძულებას, ის აღიარონ თავიანთ ღმერთად. მაგრამ ესეც შეუძლებელია, რამეთუ, მამა ღმერთის მფარველობის ქვეშ ყოფნის მსურველ ცოცხალ არსებებს მამა ღმერთი არავის დააჩაგვრინებს.

მაშინ დემონური ბუნების მქონე არსებები ფაქტიურად ორი არჩევანის წინაშე დგებიან: ისინი ან უნდა განადგურდნენ პიროვნულად და მამა ღმერთისა და მთელი სამყაროს არაინდივიდუალურ ნაწილს უნდა შეუერთდნენ, ან მატერიალურ სამყაროში უნდა გადასახლდნენ (რაც შეეხება იმ გზას, რომ შინაგანად შეიცვალონ საკუთარი ბუნება, ეს ამ თავში შემდგომ იქნება განხილული).

ახლა კი, მოდით, ვნახოთ, რა ფორმებით გამოვლინდება შურიდან დაწყებული გადაგვარება უკვე დემონურ ცოცხალ არსებებში. თუ ერთი ცოცხალი არსება სხვა ცოცხალ არსებებს აშინებს, უბრაზდება, ტუქსავს, განიკითხავს, ფიზიკური ან მორალური დამცირებით შეურაცხყოფს, შეიძლება განისაზღვროს აბსოლუტურად ზუსტად, რამხელაა მასში დემონური ბუნების ელემენტები. რაც შეეხება თავად ამ ბუნების მქონე ცოცხალ არსებას, მას ზუსტად იმხელაზე ეშინია ყველა იმ ქმედების პოტენციური შედეგებისა, რასაც თავად ახდენს და ახორციელებს სხვების მიმართ.

ბრაზი და მისი ნებისმიერი ფორმა, დემონური ბუნების გამოვლინების თვალსაჩინო დემონსტრირებას წარმოადგენს.

შურის ცნებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ის შურისძიებას (ძალადობას) ახდენს სხვა ცოცხალი არსებების მიმართ იმის გამო, რომ ამ არსებებმა ისე არ თქვეს, არ იმოქმედეს ან თუნდაც არ იაზროვნეს, როგორც მას მიაჩნდა მისაღებად და საჭიროდ. სასურველი შედეგის მისაღწევად კი სრულიად ნორმალურ და მისაღებ საშუალებად მიაჩნია დაშინების, იძულების მეთოდის გამოყენება.

ბრაზი დემონური ბუნების სუსტ ნერტილად შეიძლება იწოდოს.

აგრეთვე აუცილებლად აღსანიშნავია დემონური ბუნების სატანურ ბუნებად გარდაქმნის ტენდენცია მატერიალურ სამყაროში საკუთარი შეხედულებების მეტ-ნაკლებად დამკვიდრების შემდგომ (იგულისხმება მიკროსამყაროში თვითრეალიზაცია).

თუ ცოცხალი არსება სხვა ცოცხალი არსების მხრიდან აშკარად გამოხატული ცდუნების სურვილით ინტერსდება და ის ცდილობს საცდუნებელი ცოცხალი არსების მიზიდვას ამ არსებისთვის

სასურველი ნივთებით, სხვადასხვა დაპირებებით, ფულით თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით, შეიძლება აბსოლუტურად ზუსტად განისაზღვროს, რამხელაა მასში დემონური ბუნების სატანურ ბუნებად გარდაქმნილი „ელემენტები“. ამ პიროვნებაში ზუსტად იმდენია შიშები, რამდენიცაა განსხვავება მის მატერიალურ თუ სოციალურ (ე. წ. თანამდებობრივ) შესაძლებლობებსა (რეალურად არსებული და თავისთვის წინასწარ განსაზღვრული) და საცდუნებლად არჩეული ობიექტიდან მომდინარე, სავარაუდო მოთხოვნილებებს შორის.

ამ არსების მთავარი მამოძრავებელი ძალა ენერგეტიკული, „სულიერი სიხარბე“, გახლავთ. თვითრეალიზირებული დემონური ბუნების სატანურ ბუნებად გადაქცეული სუბსტანციისთვის „სულიერი სიხარბე“, ენერგეტიკული შიმშილი, ბუნებრივი მოვლენა ხდება.

შურის ცნებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას შურს იმ დემონური ბუნების მქონე არსებებისა, რომლებმაც სატანურ ბუნებაში გადასული მონური ბუნების მქონეებში შეძლეს საკუთარი შეხედულებების აშკარა ან შენიღბული ძალადობით დამკვიდრება.

დროთა განმავლობაში სატანურ ბუნებაში გადასული დემონური ბუნების მქონე არსება მთლიანად დამოკიდებული ხდება სატანურ ბუნებაში გადასული მონური ბუნების მქონე არსებებზე.

„სულიერი სიხარბე“ ზემოთ განხილული არსების ყველაზე სუსტი ადგილი ხდება.

სქესობრივი (სექსუალური) აქტის ფუნქციონალური და ვიზუალური რაობა დემონური ბუნების გადასახედთან

დემონური ბუნების წარმომადგენელი მხოლოდ მონური ბუნების მატარებელთან ამყარებს სქესობრივ (სექსუალურ) კონტაქტს და ისიც მხოლოდ მას შემდგომ, რაც თავად სატანურ ბუნებაში ტრანსფორმირდება. ის უპირატესად მიდრეკილია მონური ბუნების მქონის იმ წარმომადგენელთან, რომელიც, თავის მხრივ, გადავიდა სატანურ ბუნებაში.

ასეთ ინდივიდში სქესობრივი ვნება წარმოიქმნება მასში არსებული ენერჯის არაეთიკურად გაცემის, ეგოისტური სურვილის შედეგად. ანუ ამ ინდივიდისთვის ეს არის შიგნით, მის მიერ დახარჯული ენერჯის აუცილებლად ანაზღაურების (აღდგენის) რეფლექსუალური საშუალება. საბოლოოდ, სატანურ ბუნებად გარდაქმნილი დემონური ბუნების სქესობრივი ფიზიკური აქტი სატანურ ბუნებად გარდაქმნილ მონურ ბუნებასთან პირველი მათგანისთვის ახდენს შინაგანი მდგომარეობის რეგენერაციას (საკუთარი დახარჯული ენერჯის აღდგენას) და მეორისათვის (მონური ბუნების მქონე არსებისთვის), თავისდაუნებურადაც კი, მოჩვენებითი ცვლილებების მიწოდებას (გარყვანას და დაცემას).

რაც შეეხება ამ პროცესის გარეგნული, ვიზუალური, ფორმით გამოვლინებას, ეს გამოიხატება მატერიალური სხეულის შემადგენელი რბილი ადგილების ენერჯიულ დეფორმირებაში. ამ ქმედებით დემონური ბუნების მატარებელი არსება იქმნის იმის ილუზიას, თითქოს რაღაცა გარეგნული ცვლილებების შეტანას ახდენს სექსუალურ პარტნიორში. ამით ის საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას იკმაყოფილებს. სატანურ ბუნებად გარდაქმნილი მონური ბუნების მქონის მატერიალური სხეულის შემადგენელი რბილი ადგილები (სარძევე ჯირკვლები ანუ მკერდი, საჯდომი ანუ დუნდულები, ბარძაყები, მუცლის არე, კანი მთელს სხეულზე) სქესობრივი აქტის შემდგომ ისევ იმ მდგომარეობას უბრუნდებიან, როგორ მდგომარეობაშიც ისინი იმყოფებოდნენ აქტის დაწყებამდე. სამაგიეროდ, ორივე მხარე კმაყოფილი რჩება. პირველი – ვითომ ცვლილების შეტანითა და მისთვის აუცილებელი ენერჯის მიღებით, ხოლო მეორე – სიტუაციის უცვლელად დატოვებითა და მისთვის პრობლემად გადაქცეული, მასში აკუმულირებული ენერჯის გაცემით (გადაგდებით). თუმცა, რამდენადაც უსარგებლოა ეს

ცვლილებები (მათი იმიტაცია), იმდენადვე არასახარბიელოა და ნე-გატიური ბუნებისა ის ენერგიაც, რომელიც ამ ცვლილებების იმი-ტირების პროცესში იქნა გამოთავისუფლებული და გადანაწილე-ბული მეორედან პირველში.

შემდგომ ამ არსებების ცხოვრებაში ეს ერთხელ აპრობირებუ-ლი პროცესი (სქესობრივი კონტაქტი) უკვე ჩვევაში ჯდება და აუ-ცილებელ სასიცოცხლო ატრიბუტად ფასდება. თითოეული ასეთი აქტის შემდგომ თითოეული მათგანი უფრო და უფრო იბილნება.

დემონური ბუნების თვითგანკურნება

სრული კატეგორიულობით შემიძლია განვაცხადო, რომ ასე-თი ბუნების მქონე არსებას საკუთარი მანკიერებებისგან განკურ-ნება შეუძლია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამის გაკეთება ყველა მასში არსებულ სურველებზე მეტად სურს. ეს შეიძლება ძალიან მკაცრადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ უფრო თუ დავაკონკრეტებთ, ეს ერთადერთი სურვილიც კი უნდა გახდეს დემონური ბუნების მქონე არსებისა. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ეს შეუძლებლადაც კი შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ მინდა, თუნდაც თეორიულ დონეზე მაინც დაიჯეროთ – ეს, არათუ შეუძლებელი, არამედ, პირიქით, სრულიად შესაძლებელი, ჭეშმარ-იტიად საკეთებელი, ჭეშმარიტიად საჭირო და მალალ-ეთიკური დო-ნის გადასახედიდან ძალიან, ძალიან ძნელი, მაგრამ ადრე თუ გვიან გარდაუვლად განსახორციელებელია.

თუ პირველი რეაქციიდან, ერთგვარი შოკური ეიფორიიდან, გამოსვლას მოინდომებთ (იმის გამო, რომ თქვენგან საკუთარ ინ-დივიდზე არანორმალურ ძალისხმევას მოითხოვენ), მაშინ უკვე შეგვიძლია ამ პროცესის განხილვის დაწყება საფეხურებრივი თა-ნამიმდევრულობით. თუ თქვენ ამას არ მოისურვებთ (რაც უფრო მეტად სავარაუდო მგონია), უბრალოდ, მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ, ოღონდ უკვე კომფლიქტური სიტუაციების ფონზე. ვფიქრობ, აზრი არა აქვს ამ სურვილის გაღ-ვიძებაზე ბევრი ვნერო და რეკლამები ვაკეთო, რამეთუ, ვისაც ეს მეტ-ნაკლებად სურს, ის დაინტერესდება, ვისაც არ სურს, ის მაინც ცინიკური ღიმილით გააგრძელებს თავის გზას.

მაშ ასე, ვისაც გასურთ საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნებისგან გათავისუფლება ერთად გავაგრძელოთ ამ თემის შეძლებისდაგვარად ღრმად და მოკლედ განხილვა.

უპირველეს ყოვლისა, ამ თემმატიკას ორ ნაწილად გავყოფ. პირველი ნაწილი იქნება დემონური ბუნების სატანურ ბუნებად გადაქცეული ნაწილისგან გათავისუფლების საშუალებების ახსნა, რომელიც თავის მხრივ ორი ძირითადი პუნქტით იქნება წარმოდგენილი:

1. სხვა პიროვნებების საკუთარ პიროვნებაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება (ვიზუალური მანკიერებისგან გათავისუფლება).

2. სულიერი ნაწილის პირველადობის აქსიომატური აღქმის მიღება (ფუნქციონალური მანკიერებისგან გათავისუფლება).

მეორე ნაწილი იქნება თავად დემონური ბუნებისგან (მისი სუფთად ამ სახით არსებულისაგან) გათავისუფლების საშუალებათა ახსნა.

1. საკუთარი შეხედულებების დაქვემდებარება იმ შეხედულებებზე, რომელთა საფუძველზეც რელიგიები ჩამოყალიბდა (ვიზუალური გან(რ)წმენდა).

2. საკუთარი შეხედულებების სავარაუდო განხორციელების შემთხვევაში, მათი პოტენციური შედეგების საფუძვლიანი შეცნობა და გაცნობიერება საკუთარ წარმოსახვაში (ფუნქციონალური გან(რ)წმენდა).

1. სხვა პიროვნებების საკუთარ პიროვნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედიდან ეს გახლავთ პიროვნების მიერ საკუთარი თავისთვის მინიჭებული ქარბი უფლებებისაგან გათავისუფლების საშუალება. ადამიანური აღქმის დონეზე, თუ ერთ არსებას უჩნდება იმის სურვილი, რომ მასზე დამოკიდებული არსებები ამ დამოკიდებულებითობისაგან გაათავისუფლოს, ამით იგი თავად თავისუფლდება ძალაუფლების ქონის, დასაკუთრების, დაუფლების, დაპყრობის სურვილისაგან. თუმცა ღირს აღინიშნოს ისიც, რომ ეს ჯერ არა სიღრმისეულად, არამედ ზედაპირულ მატერიალურ დონეზე ვრცელდება ამ ინდივიდის მხრიდან. ის ერთბაშად ვერანაირად ვერ მოახერხებს საკუთარი შეხედულებების იდეალურად მისაღებ მდგომარეობამდე მიყვანას, – სამწუ-

ხაროდ, ეს შეუძლებელია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სხვა პიროვნებების საკუთარი ზეგავლენისგან გათავისუფლების მცდელობა მანაც უნდა ჩაითვალოს მატერიალიზირების შემდგომ შექმნილი მანკიერებისგან გათავისუფლების სურვილად. ეს დამოკიდებულების მატერიალური ფორმა ხომ ინდივიდის მატერიალიზირების შემდეგ მოხდა, ამ მატერიალურ სამყაროში ადაპტირების კვალდაკვალ. დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება, შევიდა რა მატერიალურ სამყაროში, იქ მოახდინა ეს პროცესები საკუთარი სულის ანარეკლში საკუთარი „მე“-ს სრული გადაყვანის შეგრძნებით. ამ ანარეკლისგან განზე განდგომა ანუ გვერდიდან დაკვირვება კი შეცვლის არა დემონურ ბუნებას, არამედ დემონური ბუნების ქეხედულებების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ მოვლენებს, რასაც დემონური ბუნების სატანურ ბუნებად გარდაქმნილი ნაწილი შეიძლება (და უნდა) ეწოდოს.

თავიდან ეს ყველას და თავად ამ პიროვნებასაც, საკუთარი ზეგავლენიდან (ხისტი წნეხიდან) სხვა პიროვნებათა გათავისუფლება გმირობად სურთ მონათლონ. მაგრამ ისინი სასტიკად ცდებიან. ეს მხოლოდ პირველი, ყველაზე მარტივი ნაბიჯია და თუ მას არ მოჰყვება მეორე, ეს პიროვნება უფრო დიდი ინერციით (ინდუქციის ეფექტით) დაუბრუნდება დასაკუთრებისა და დაუფლების პოლიტიკას... **რატომ?** – ყველაფერს ხომ იმხელაზე სჭირდება შეფასება, რასაც ის წარმოადგენს. თავად დაფიქრდით, თუ პიროვნებამ ეს აქტი რალაც სიღრმისეულისთვის არ ჩაიდინა, მაშინ რა გასაკვირია სავალალო შედეგები? რეალური შეფასება კი შემდგომში მდგომარეობს: პირველ საფეხურზე სატანურ ბუნებაში გადასული დემონური ბუნების მქონე ინდივიდი შექმნილი მანკიერების ვიზუალური ნაწილისგან უნდა გათავისუფლდეს იმისათვის, რათა შექმნილი მანკიერების ფუნქციონალურ ბუნებაში წვდომის პროცესში მისი ყურადღება წამდაუნუმ იმ ვიზუალურმა, ხელოვნურად შექმნილმა პირობითობებმა არ წარიტაცონ. ამავე დროს იგი უნდა მიეჩვიოს და გამოიმუშაოს იმის უნარი, რომ „გვერდიდან ყურების“ პროცესში საკუთარი სულის ანარეკლში შესვლის რეფლექსუალურ ჩვეულებას ერთხელ და სამუდამოდ ძლიოს. მან უნდა გამოიმუშაოს იმის უნარი, რომ შეეძლოს საკუთარი შეხედულებებისაგან განსხვავებული შეხედულებების მოსმენა (როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს მისთვის) და მაქსიმალურად მცირედ ჩარევა (ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გარდაუვალი აუცილებლობის დონეზე დადის). *მაგალითისთვის: მაშინ, როდესაც ვილაც*

უპირებს მას თავად დასაკუთრებასა და დაპყრობას, აუცილებლად უნდა დაიცვას მისგან თავი ან როცა ანარეკლში მონაწილეობა საჭიროა მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველსაყოფად. ფაქტიურად, სხვა შემთხვევებისთვის უმჯობესი იქნება თავი შეიკავოს, თუ რა თქმა უნდა, განკურნების სურვილი მისთვის ჭეშმარიტად უპირველეს მიზანს წარმოადგენს.

ალბათ ეს მეტისმეტად წარმოუდგენელი და ძნელი გასაკეთებელი ჩანს, მაგრამ დამერწმუნეთ, ცოცხალ არსებას ყველაფრის მიჩვევის უნარი გააჩნია. აი, როდესაც პირველი „ლომკები“ ანუ ვიზუალური უმოქმედობით გამოწვეული ვაკუუმით წარმოქმნილი ფსიქოლოგიური სირთულეები დაიძლევა და ეს მდგომარეობა არანაირ დეპრესიულ ფონს არ შეუქმნის ინდივიდის შიდა-ფიზიოლოგიურ ბუნებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს, პირველი საფეხური დემონური ბუნების მქონე არსებამ დაძლია, გაიარა.

რა ნიშნებით შეიძლება ამის გაგება? – თუ პიროვნებას მატერიალური კეთილდღეობა იმაზე მეტად აღარ იზიდავს, ვიდრე ეს მისი სხეულის უზრუნველყოფისათვის არის საჭირო, თუ არ სურს, სხვათა ყურადღების ობიექტი იყოს, თუ აუღელვებლად შეუძლია ნებისმიერი პიროვნების მიერ ნებისმიერ თემაზე გამოთქმული შეხედულებების მოსმენა, თუ საკუთარ პიროვნებასთან მიმართებაში გამოთქმული ქების ან ძაგების მიმართ არააფექტურია (ეიფორიული ან სკანდალური თვალსაზრისით), თუ არ გააჩნია საკუთრების შეგრძნების ფორმალური გამოვლინების სურვილიც კი, თუ, გვერდიდან ხედვით ნებისმიერი სიტუაციის ანალიზის უნარი გააჩნია – მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია, ანუ მან შეძლო საკუთარ არსში არსებული სატანური ბუნების ვიზუალური მანკიერი ნაწილისაგან გათავისუფლება.

2. სულიერი ნაწილის პირველადობის აქსიომატური აღქმის მიღება მატერიალურ ნაწილთან მიმართებაში

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედიდან, ეს გახლავთ პიროვნების მიერ იმ მოვალეობების აღება (სულიერ ასპექტში), რომლებიც მას შეესაბამებოდა და რომელთა იგნორირებასაც ახდენდა. ეს საფეხური გახლავთ სატანური ბუნებისაგან (ე. წ. ფუნქციონალური მანკიერებისგან) გათავისუფლების საშუალება, ცალსახად დემონური ბუნების მქონე არსების შემთხვევაში.

რაში გამოიხატება იგი? ეს გამოხატულია საკუთარი „მე“-ს მატერიალურ ნაწილად არ აღქმულობით. დემონური ბუნების მქონე არსება უნდა მიხვდეს იმას, რომ მატერიალური სხეული, რომელსაც იგი ვიზუალურად ხედავს და ვიზუალური შეხებით შეიგრძნობს, მისი ინდივიდუალური სულის არასწორი შეხედულებების შედეგად გამოვლინებული ფორმაციაა. მან უნდა აღიქვას, რომ იგი ამ დროებით მატერიალურ ფორმაში იმყოფება, მაგრამ ის არ არის ეს მატერიალური ფორმა, მატერიალური სხეული. მხოლოდ ამ აზრის შეგუების შემდგომ პიროვნება საკუთარ წარმოსახვაში შეძლებს მატერიის, მთელი მატერიალური გამოვლინების სულიერებაზე, მთელ სულიერ გამოვლინებაზე დაქვემდებარებას. მისთვის სულიერება და სულიერი ნაწილი ისეთივე შეგრძნებად-აღქმადი ხდება, როგორიც იყო აქამდე მატერიალური ნაწილი. ასეთი ტიპის დემონური ბუნების მქონე არსებისთვის სული და სულიერება აქსიომურად იძენს პირველადობისა და უპირატესობის ცენზს მატერიასთან და მატერიალურობასთან შედარებით.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ მდგომარეობის აღდგენის მცდელობასთან, რაც იყო ინდივიდუალური სულის ანარეკლის ჩამოყალიბებამდე და მასში შესვლამდე საკუთარი შეხედულებების რეალიზაციის მცდელობების საფუძველზე. ნელ-ნელა ხდება ამ შეხედულებების გვერდიდან გადახედვა და მათში მატერიისთვის უპირატესობის მინიჭების სპეკულაციური არგუმენტების გაცხრილვა. ხელახლა ფასდება და დგინდება თითოეული ფასეულობის არსი, უამრავი წვრილი და მსხვილი დეტალის ჭეშმარიტი და-ნიშნულების მნიშვნელობა.

მთავარი დოქტრინა თუ მიღებულია, ანუ სულიერება თუ პირველადია მატერიალურთან შედარებით, მაშინ სამუშაოც მეტ-ნაკლები ეფექტურობით, მაგრამ, ცალსახად, სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. მაგრამ მუშაობა, ძირითადად, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ანუ მუშაობა მიმდინარეობს მატერიალიზმიდან სულიერებისკენ. უნდა გითხრათ, რომ ეს ძალზე შრომატევადი საქმეა და, სამწუხაროდ, მისი მაქსიმალური ეფექტურობის, მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია სუბიექტური (მატერიალური) რეალობიდან საკუთარი შეხედულებების ობიექტურ (სულიერ) რეალობამდე სრული, მთლიანი მისვლა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საფეხურის გავლის გარეშე დემონური ბუნების მქონე ცოცხალი

არსება ვერანაირად ვერ შეძლებს შემდეგ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას.

იმის შესახებ, თუ რატომ არის ეს ყოველივე ასე მონყობილი

შეძენილი სატანური ბუნება მთლიანად ცოცხალი არსების ნების შედეგად არის შექმნილი და საკუთარი ცდომილებები, უბრალოდ, ვალდებულიც კია თავადვე გამოასწოროს. სხვა შემთხვევაში ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს არსება ხელახლა მოხვდება ამ სატანური ბუნების ზეგავლენის ქვეშ, რამეთუ არ ექნება გააზრებული საკუთარი მცდარი მოქმედებების არასახარბიელო შედეგები.

ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში რა მდგომარეობამდეც შეიძლება მიიყვანოს ამ საფეხურმა ცოცხალი არსება გახლავთ ის, რომ იგი შეძლებს მშვიდობიანი და სასიამოვნო თანაცხოვრების პრინციპები მიიღოს საკუთარი ინდივიდუალური სულისათვის და საკუთარი დროებითი ინდივიდუალური სხეულისათვის. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაიწყოს საკუთარი სხეულის ნამება მისი ექსტრემალურ მდგომარეობაში ჩაყენებით, მასთან ერთგვარი დაპირისპირებით, თითქოს ის იყოს დამნაშავე იმაში, რომ თავად ვერ შეძლო საკუთარ შეხედულებათა განჭვრეტა, ვიდრე მათ რეალიზაციას შეუდგებოდა. პირიქით, იგი უნდა მიუდგეს სხეულს, როგორც ამ ყოველივეს დანახვის საშუალებას და ყოველმხრივ უნდა ეცადოს, მისთვის აუცილებელი პირობებით სრულყოფილად უზრუნველყოს იგი.

თუ პიროვნებას საკუთარი სხეულის ჭეშმარიტად საჭირო და გარდაუვლად აუცილებელი პირობების აღქმის უნარი გააჩნია, თუ მუდმივად ცდილობს, წარსულში დაშვებული საკუთარი შეცდომები აღმოაჩინოს, თუ ცდილობს საკუთარი შეცდომები მაღალფასეულობრივ დონეზე გააანალიზოს და ანალიზის საფუძველზე საკუთარი შეხედულებების რეალიზაციით ჩადენილი მოქმედებები ხელახლა გადასინჯოს, თუ საკუთარ სულს საკუთარ სხეულთან შედარებით, უპირობოდ, პირველადობას ანიჭებს და საერთოდაც, სულიერების ნუსხაში სპეკულაციური მსჯელობის შედეგად მატერიალური ცნებები არ ჰყავს შეყვანილი, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია, ანუ მან შეძლო გათავისუფლება საკუთარ არსში არსებული სატანური ბუნების ფუნქციონალური მანკიერი ნაწილისაგან და საერთოდ, ზოგადად, მასში არსებული მთელი მანკიერებისაგან.

3. საკუთარი შეხედულებების დაქვემდებარება იმ შეხედულებებზე, რომელთა საფუძველზეც რელიგიები ჩამოყალიბდა

კოსმიური იურისპრუდეციის გადასახედიდან, ეს გახლავთ პიროვნების მიერ მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის აღქმისა და გათავისების საშუალება. ეს საფეხური გახლავთ სატანური ბუნებისგან გათავისუფლებული დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსების გან(რ)წმენდილი მსოფლმხედველობით ჩარჩოებში გადასვლის საშუალება, თუმცა მხოლოდ გარე-ვიზუალურ დონეზე.

საკუთარ თავზე საკმაოდ სერიოზული და მეთოდური მუშაობის შემდგომ ამ ცოცხალ არსებას უკვე განგების ქაოტურ მცდელობებში აქტიურ და მონესრიგებულ დამხმარე საშუალებად ეძლევა იმ შეხედულებათა სიღრმისეულ ცოდნაში წვდომის უნარი, რომელთა საფუძველზეც (იმ გეოგრაფიულ მდებარეობაში, სადაც ეს პიროვნება იმყოფება) რელიგია (გლობალიზაციის პირობებში კი – მთელს დედამიწაზე არსებული ყველა რელიგიები) ჩამოყალიბდა. ამ მომენტიდან დემონური ბუნების მქონე არსებას ეძლევა მყარი საყრდენი, რაც მისთვის წარმოუდგენლად დიდი დახმარებისა და გვერდში დგომის ტოლფასი რამაა. აქ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხვედრა, თუკი ცოცხალი არსება ცალსახად, საკუთარი ნებითა და სურვილით, მოახდენს საკუთარი შეხედულებების (უკლებლივ ყველა მათგანის) დაქვემდებარებას შეხედულებებზე, რომელთა საფუძველზეც რელიგიებია ჩამოყალიბებული.

ახლავე ავხსნი იმას, თუ რატომაა ეს ასეთი დიდი (მე ვიტყვოდი, გრანდიოზული) მნიშვნელობისა. თუ მატერიალიზირებული ცოცხალი არსების შეხედულებების გასწორება, მატერიალური გადასახედიდან სულიერებისკენ მიმართებაში ხდება, რელიგიის საფუძვლად დადებული შეხედულებით, პირიქით, მცდარ შეხედულებათა გასწორება სულიერი გადასახედიდან მატერიალურისკენ მიმართებით ხდება. ამ შემთხვევაში არა აქვს იმას მნიშვნელობა, იქნება ეს იმპერსონალური (ანუ ზოგადი, არაინდივიდუალური) თუ პერსონალური (ანუ პიროვნულად ინდივიდუალური). თუ დემონური ბუნების მქონესთვის ეს შეხედულებები ავტორიტეტულ, სარწმუნო წყაროდ აღიქმება, იგი უეჭველად შეძლებს საკუთარი მცდარი მიმართულებების სრულყოფილად დანახვას.

ფაქტიურად ამ მომენტიდან ცოცხალ არსებაში იწყება დემონური ბუნებისაგან განკურნება, რამეთუ იგი მოიცილებს სამყაროს

უზენაეს პიროვნებასთან დაპირისპირების მიდრეკილებას, რის შედეგადაც შეიძინა დემონური ბუნება. თუკი ის, დაექვემდებარება შეხედულებებს, რომელთა საფუძველზედაც შეიქმნა რელიგიები; ის ავტომატურად დაექვემდებარება სამყაროს უზენაეს პიროვნებას და აღიარებს მის უზენაესობას, რამეთუ ეს შეხედულებები სწორედ უზენაესი პიროვნებიდან მომდინარეობენ და მისი გამხმოვანებელი (ვინც არ უნდა იყოს ის) სამყაროს უზენაესი პიროვნების ნების რეალიზაციის საშუალება გახლავთ (რაც არანაირად არ აკნინებს, პირიქით, ჩემი აზრით, უფრო ამალღებს ამ შეხედულებათა გამხმოვანებლებს).

ამ სწავლებათა შეთვისების შემდგომ დემონური ბუნების მქონე არსებას უჩნდება დიდი ალბათობა იმისა, რომ სრულყოფილად დაინახოს და აღიქვას მატერიალურ სამყაროში არსებული რეალობა, განივითაროს ობიექტური შეფასების უნარი. ის ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე იღებს და ითვისებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც აქამდე იგნორირებული ჰქონდა. ამჯერად სრულიად უმტკივნეულოდ და დაუძაბავად, ყოველგვარი გართულების გარეშე, ეს არსება იძენს ცოდნას ფასეულობათა ზოგადი განხილვის, ჭეშმარიტი ინფორმაციული განხილულობის დონეზე. ის იწყებს ყველაფრის დანახვასა და გაგებას ისეთად, როგორც ეს არის ჭეშმარიტი სახით.

ამ შემთხვევაში ინდივიდუალური სული დაკავებულია მონაფეობრივი საქმიანობით ანუ რაიმენაირი სახის დაპირისპირება ინდივიდუალურ სულსა და ინდივიდუალურ სხეულს შორის, შეუძლებელიც კია, რომ არსებობდეს. ხოლო რაც შეეხება ინდივიდუალურ სხეულს, განგების მხრიდან მას ეძლევა ჭეშმარიტად გარდაუვლად აუცილებელი ყველაფერი, რაც მას ესაჭიროება და როგორც ეს მონაფის მდგომარეობაში მყოფ ინდივიდუალურ სულს შეესაბამება.

ეს პროცესი სასურველია გაგრძელდეს იქამდე, ვიდრე ინდივიდი სრულად არ შეითვისებს და შეისისხლხორცებს შეხედულებებს, რომელთა საფუძველზეც რელიგიები ჩამოყალიბდა, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივად ეს არის მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში იდეალურად საუკეთესო საქმიანობა უკლებლივ ყველა და ნებისმიერი დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებისათვის.

თუ ცოცხალი არსება რელიგიური პრინციპების დამფუძნებლებს (ლაპარაკია ჭეშმარიტ რელიგიებზე) დაუქვემდებარებს სა-

კუთარ პიროვნებას, თუ მონაფეობრივი თანამიმდევრულობის პრინციპით შეეცდება ამ შეხედულებათა სიღრმისეულ წვდომასა და აღქმას, თუ ამ სწავლის პროცესში არანაირი ფორმით არ შეეცდება შეცნობილი ნაწილის რეალიზაციას (აპრობირებას), თუ მთლიანად დაკავდება სულიერი განსწავლის სულისკვეთებითა და ზედმიწევნით დაიცავს ამ შეხედულებების მიერ მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია, ანუ მან შეძლო საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნების ვიზუალური ნაწილისაგან გათავისუფლება და აქვს ძალიან დიდი შანსი სულიერ სამყაროში დაბრუნებისა.

4. საკუთარი შეხედულებების პოტენციური შედეგების საფუძვლიანი შეცნობა, გაცნობიერება საკუთარ წარმოსახვაში

კოსმიური იურისპრუდენციის მიხედვით, ეს გახლავთ პიროვნებაზე განპირობებული უფლებამოსილების ქვეშარიტად მართებული მიმართულებით წაყვანისა და აღსრულების საშუალება. ეს საფეხური მეტისმეტად განსხვავებული ბუნებისაა წინამდებარე სამთან შედარებით. იგი ცოცხალი არსების დემონური ბუნებისგან მთლიანად გათავისუფლების საშუალება გახლავთ, ანუ ფუნქციონალური დემონური ბუნების მოცილება ხდება ცოცხალი არსების „მე“-დან.

ვფიქრობ, ერთობ დამაინტრიგებელი საფეხურია და მისი ახსნისთვის, თქვენი ნებართვით, ცოტა უკან მოგვინევს მოგზაურობა. ალბათ გახსოვთ ის, რომ ცოცხალი არსებები დემონური ბუნების მქონეებად, ცალსახად, ევოლუციების ქარზად მიყოლამ ჩამოაყალიბა (რამეთუ, მათ ჰარმონიზირების პროცესი იგნორირებული ჰქონდათ). აი, სწორედ ამ ევოლუციების პროცესში მათში ჩამოყალიბდა რაღაც შეხედულებები, რომლებიც სულაც არ იყო საღ აზრს მოკლებული. მაგრამ ობიექტურ რეალობაში მათი რეალიზაცია მეტისმეტად ნაადრევი იყო, რასაც მათ აგრესიული დაპირისპირებით უპასუხეს და სამყაროს უზენაეს პიროვნებას პირველობაში შეეცილნენ. აი, ახლა კი, მესამე საფეხურის გავლის შემდგომ, როდესაც უაზრო, პიროვნული დაპირისპირების სურვილები მათში მთლიანად აღმოიფხვრა და ისინი მთლიანად დაექვემდებარნენ სამყაროს უზენაეს პიროვნებას, ეს „განხეთქილების ვაშლები“ (ანუ შეხედულებები ევოლუციების შესახებ) უკვე სამყაროს უმაღლე-

სი წარმომადგენლის ინტერესების ყურადღების არეალში ხვდება. ეს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, რაც გაცილებით უფრო ძლიერი არგუმენტი და გარდაუვალი ფაქტია მეოთხე საფეხურის შექმნისა, გახლავთ ის, რომ ეს ძალიან ნიჭიერი ცოცხალი არსებები იმ შეხედულებების სრულყოფილად შეთვისების შემდგომ, რომელთა საფუძველზეც რელიგიები შეიქმნა, მონიდომებენ რალაცით დაკავდნენ. ამხელა პოტენციალის მქონე არსებას შეუძლებელია უმოქმედობა მოსთხოვო.

გან(რ)წმენდის კურსის დამთავრების შემდგომ სამყაროს უზენაესი პიროვნების ხელშეწყობით ამ ცოცხალ არსებებში იღვიძებს ის შეხედულებები ევოლუციონების შესახებ, რომლებიც მათ გააჩნდათ მატერიალურ სამყაროში დაცემამდე და რომლებიც თავისი სიღრმისეული დონით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ის შეხედულებები, რომლებიც მათ შეითვისეს და შეისისხლხორცეს (ანუ რომელთა საფუძველზეც შეიქმნა რელიგიები). ფაქტობრივად, ეს არის პირდაპირი შეთავაზება ამ ცოცხალი არსებებისთვის სულიერ სამყაროში დაბრუნებისა.

რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში ამ არსებამ?

ვფიქრობ, ეს ცოტა ვინმესთვის იქნება გასაგები, მაგრამ ეს საფეხური აუცილებლად გასავლელია თავის პიროვნებაში დემონური ბუნების სრულიად აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთი ხარისხის შეხედულებებზე, რომლებიც მატერიალურ სამყაროში ფანტაზიის სფეროდაც კი არ არის აღქმული, ანუ სრულიად მიუღებელია მისთვის. სამაგიეროდ ეს საჭიროა და მისაღებია სულიერი სამყაროს ევოლუციონების ტენდენციის სრულყოფილად ჩამოყალიბებისა და ყოველმხრივ განხილვისათვის. ადრე თუ უდაოდ ყველაზე ნიჭიერი ნაწილი ცოცხალი არსებებისა დემონურ ბუნებაში გადავიდნენ, ახლა უკვე მთელი სამყაროს ინტერესების დაცვით განმსჭვალულნი ასეთი გრანდიოზული საქმიანობის მონაწილენიც კი შეიძლება გახდნენ.

ამ თავისი ძველი შეხედულებების უკვე დამკვიდრებული შეხედულებებისაგან მკაცრად გამიჯვნის შემდგომ, ცოცხალმა არსებამ თავის წარმოსახვაში უკვე დამოუკიდებლად უნდა შეძლოს ამ ნოვატორული შეხედულებების რეალიზაციის შემთხვევაში პოტენციური შედეგების საფუძვლიანი შეცნობა, განხილვა და თვით სამყაროს უზენაესი პიროვნებისთვის, მამა ღმერთისთვის გაზიარება. ეს არის ამ ცოცხალი არსების „ღვთის ძეგ“ აღიარება პიროვნულ, ინდივიდუალურ დონეზე და ევოლუციონების სტრატეგიულ და

ტაქტიკურ განჭვრეტაში მონაწილეობის უფლების მოპოვება უპიროვნო, არაინდივიდუალურ დონეზე.

ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ ამის მქმნელი ცოცხალი არსება არანაირად არ მიეჯახვოს ამ საქმიანობას, თორემ ხელახლა მოუწევს დემონური ბუნების შექმნა. ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ უნდა „დაიცალოს“ იმ შეხედულებების გარშემო, რომლებიც მასში როდესაც ჩამოყალიბდა. ეს არის ყველაზე რთული და სარისკო საქმიანობა, რითაც შეიძლება დაკავდეს ცოცხალი არსება საერთოდ, მაგრამ ამავე დროს ყველაზე დიდი პატივი – ზეცაში, უშუალოდ სამყაროს უზენაესი პიროვნების სიახლოვეს – მოხვედრის საშუალებაცაა.

თუ ცოცხალი არსება საკუთარ არსში არსებულ შეხედულებათა პოტენციურ შედეგებს აცნობიერებს, ისე რომ სრულყოფილად იცავს იმ გარემოს შესაბამის (ობიექტური რეალობის შესაბამის) შეხედულებებს, რომელშიც იგი იმყოფება და თუ მის არსში არსებული შეხედულებები სამყაროს უზენაესი პიროვნებისთვის წარსადგენად და მთელ სამყაროში არსებული ცოცხალი არსებების საკეთილდღეოდ, ჰარმონიზირებულ მდგომარეობაში მოსაყვანად შექმნა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მას ეს საფეხური გაუვლია, ანუ შეძლო საკუთარ არსში არსებული დემონური ბუნებისაგან სრულიად გათავისუფლება და აუცილებლად დაბრუნდება სულიერ სამყაროში... და თანაც დაბრუნება სულიერი სამყაროს მაღალ იერარქიულ ადგილზე, მაღალი იერარქიული სტატუსით.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

— წ ე ს რ ი გ ი —

პოტენციური ენერჯის მთელს ინდივიდუალიზმზე კონცენტრირებული ნაწილი, გარდა საკუთარი ინდივიდუალიზმისა

ამ თავში წარმოჩინებული ნაწილი მთელს გამოვლინებულ-ბაში არსებული რეალობის ემოციურ ნაწილს წარმოადგენს. ის, ე. წ. ხელოვნურ „ეგო“-ში, ანუ მატერიალურ სამყაროში არსებობს მხოლოდ და მეტი არსად.

წესრიგი მატერიალური სამყაროს ანუ ხელოვნური „ეგო“-ს, ქალური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია და მას პირდაპირი კავშირი აქვს მეორე თავში წარმოჩინებულ ნაწილთან, ქაოსთან.

წესრიგში, როგორც ფორმაციულ წარმონაქმნში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, მონური ბუნება დომინირებს და თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, ქაოსთან, დემონურ ბუნებასთან კონტაქტის დამყარების მიდრეკილებითაა დამუხტული.

მატერიალურ სამყაროში ყოფნის დროს საკუთარ არსში წესრიგზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების მცდელობები ცოცხალ არსებას საშუალებას მისცემს, მონური ბუნება ცხოველ, ცოცხალ ბუნებად გარდაქმნას და ამას იმხელაზე მოახერხებს, რამხელაზეც შეიძლება წესრიგზე მიჯაჭვულობის აღმოფხვრას თავის არსში და მის ყველანაირ გამოვლინებაში.

გ ე ო ც ე ნ ტ რ ი ზ მ ი

თუ ცოცხალი არსება, მთელს არსებულ ინდივიდუალიზმზე კონცენტრირდება (საკუთარი ინდივიდუალიზმის იგნორირების ხარჯზე) იგი უნებლიედ ავტომატურად ექცევა მთელი ზოგადი ცნობიერების პირად წარმომადგენელთან, სამყაროს უწმინდეს პიროვნებასთან დაპირისპირებულობაში. უნდა ეს თუ არა, ის იწყებს ზოგადი ცნობიერების მიერ აღმოფხვრილი დარღვეული ნაწილის შენარჩუნებაზე ორიენტირებულ ქმედებებს და, თან, ამისათვის ყველაფერზე შეიძლება წავიდეს. ფაქტიურად, ცოცხალი არსება ზოგადი ცნობიერების მიერ აღმოფხვრილ ბუნებრივ „ეგო“-ს ე. წ. ხელოვნურ „ეგო“-დ გარდაქმნის. სამწუხაროდ, იგი საერთოდ ვერ

აცნობიერებს ამას. საქმე იმაში გახლავთ, რომ ცოცხალი არსება იმდენად მიეჩნია ბუნებრივი „ეგო“-ს ამ ნაწილთან ერთად თანაარსებობის შედეგად შექმნილ ვითარებას, რომ მისთვის ამის შეცვლა წარმოუდგენელი და ყოვლად მიუღებელი რამ ხდება.

ამ ტიპის ცოცხალი არსებები ძალიან ერთგულები არიან, მაგრამ ამჯერად მათი ერთგულების ობიექტი, სამწუხაროდ, არასწორად არის შერჩეული. ისინი მეტისმეტად დამოკიდებულნი ხდებიან „ეგო“-ს ინდივიდუალურ გარემოზე, ხოლო საკუთარი ინდივიდუალიზმი, ფაქტიურად, მიძინებული ჰყავთ. ისინი საკუთარ არაინდივიდუალიზმზე რომ კონცენტრირებულიყვნენ, სრულიად უმტიკვენულოდ შეძლებდნენ გლობალური რეფორმების მიღებას და თანდათან საკუთარ არსში ზოგადი ცნობიერების მიერ შემოტანილი ცვლილებების აუცილებლობის აღქმასაც და ობიექტურ რეალობაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასაც მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს.

სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ცოცხალი არსებები ქალური სანყისის აქტივიზირებული ფორმით (მდედრი სქესის წარმომადგენლებად) გამოვლინებულნი. ისინი, როგორც მატერიალური სხეულები, თავისი ბუნებით ე. წ. გეოცენტრულები არიან. აბა წარმოიდგინეთ, რამხელა ინერტულობას წარმოქმნის ერთსა და იმავე მომენტში, ერთსა და იმავე ადგილას მყოფი ინდივიდების სურვილი, ერთმანეთთან ურთიერთობისას ახალი, უკვე შეცნობილისაგან არანაირად განსხვავებული, შეხედულებები არ შემოვიდეს ცხოვრებაში და მხოლოდ იმისთვის ეკონტაქტებიან ერთმანეთს, რომ საკუთარი შექება, კომპლიმენტი, პირფერობა და მამებლობა აღმოაჩინონ. პირადად მე, მიმაჩნია, რომ ამ სიტუაციას საუკეთესოდ აღწერს სიტყვა **ნესრიგი**.

გეოცენტრულობის ყველაზე მეტად დამახასიათებელ თვისებად მიმაჩნია, უკვე დამკვიდრებულ ზოგად ცნობიერებაში არა მარტო რაიმე ახალი ცვლილების შემოსვლის არ ნდომა, არამედ სასტიკი და მკვეთრი დაპირისპირება ვინმეს მხრიდან ამის მცდელობასთან (ნებისმიერ ცოცხალ არსებაზე ან თუნდაც გარშემო არსებულ არაცოცხალ გარემოზეც კი).

მაგრამ... ვიდრე გეოცენტრიზმის ამ უმთავრეს ნიშან-თვისებაზე გადავალთ, აუცილებელია, აღინიშნოს გეოცენტრიზმის ნეგატიური მიმართულების ფესვი ანუ ტენდენცია დაემორჩილოს გეოცენტრიზმის მიმყოლ (საკუთარი შეხედულებების თავზე მოხვევის

მსურველ) ეგოცენტრისტებს. ეს უკანასკნელნი, ცბიერებისა და ტყუილების საშუალებით, ყოველთვის ახერხებენ ზემოხსენებული „პრინციპული“ არსებების შეცდენას, რაც იმაში გამოიხატება, რომ აკეთებინებენ იმას, რასაც კატეგორიულად უპირისპირდებოდნენ. ანუ ჯერ შენიღბული და შემდგომ კი, აშკარად გამოხატული, უკვე შეუნიღბავი ფორმით, აიძულებენ საკუთარ ცნობიერებაში ცვლილებები შეიტანონ. როგორც წესი, ეს თვალთმაქცობით შეტანილი ცვლილებები კი სულისთვის და შემდგომ უკვე სხეულისთვისაც ყოველთვის არასაჭირო, ბინძური, საშინლად დიდი ზიანის მომტანია. არადა საიტერესოა, მაინც რა აიძულებს ე. წ. ეგოცენტრისტებს ასე ბრმად, ცხვრებივით გააბრიყვებინონ საკუთარი თავი ამ ე. წ. ეგოცენტრისტებს? – რა და – **იმედი**. დიახ, იმედი. იმედი იმისა, რომ ეს საკუთარი შეხედულებების თავზე მომხვევი ყოველთვის ისეთივე ყურდლებიანი იქნება მის მიმართ, როგორც თვალთმაქცობის პერიოდში იქცევა, გულწრფელად შეიყვარებს, მიხედავს, უპატრონებს და ადრე თუ გვიან ამასაც (თავის შეხედულებათა თავზე მოხვევას) მოიშლის. არადა მშვენივრად იცის, რომ თავიდანვე, დასაწყისშივე ეს ურთიერთობები ყალბია. ის ამას შიდა ინტუიციურ დონეზე ყოველთვის გრძნობს, თუმც ეგუება აზრს – რამდენიმე უარესი ვარიანტიდან შედარებით უკეთესი ამოირჩიოს. რაც შეეხება იმას, დაანებებს თუ არა თავს ეგოცენტრისტი ძალადობას ცნობიერ დონეზე, პასუხი ცალსახად მარტივია და კატეგორიული – **არა**. ის არასოდეს შეეშვება ამ მცდელობებს და მით უმეტეს იმასთან, ვისთანაც ეს ერთხელ მაინც გაუვიდა.

თუ ეგოცენტრიზმზე ორიენტირებული მატერიალიზირებული ცოცხალი არსება შეეჩვევა იმას, რომ იგი ეგოცენტრისტის ბატონობის ქვეშ უნდა იყოს, იმდენად შეეგუება თავის ბედს, რომ ამას ბუნებრივ მდგომარეობად ჩათვლის, ამით იგი საკუთარ არსში ჩაბუდებულ პასიურ ბუნებას მონურ ბუნებად გარდაქმნის. შემდგომ კი, ამ მონურ ბუნებას იმ დონემდე გააღრმავებს, რომ შეიძლება ძალიან დიდი ხნის (ათასწლეულების) განმავლობაში ვეღარ დააღწიოს ამას თავი. თვით ამ გაღრმავებული მდგომარეობის მაჩვენებელი იქნება ცოცხალ არსებაში წარმოქმნილი ტენდენცია ცნობის-მოყვარეობისაკენ, ანუ მატერიალურ სამყაროში არსებული „ეგო“-თი დაინტერესებისკენ. ეს ხელოვნური „ეგო“ გახლავთ მატერიალური სხეულისთვის სასიამოვნო პირობების უსასრულოდ და უაზროდ გაუმჯობესება, ანუ ე. წ. ხელოვნური კომფორტის შექმნა. „დაცემის“ შემდგომ სტადიაზე კი, მოხდება მონური ბუნების სა-

ტანურ ბუნებად გარდაქმნა. აი, ეს ყოველივე მოაქვს ისეთი თვისების მიყოლას, რასაც **ცნობისმოყვარეობა** მოიცავს თავის არსში (აქვე მინდა აღვნიშნო, ის რომ ცნობისწადილი ცნობისმოყვარეობის ზუსტად საპირისპირო მიმართულებას მოიაზრებს და სწორედ მისი არქონის გამო ვარდება გეოცენტრისტი იმ მდგომარეობაში, რაც აქ აღვწერე).

ცნობისწადილით დამუხტულობის შემთხვევაში ცოცხალი არსება თუ სიღრმისეული აღქმის, შეცნობის სურვილით არის დამუხტული, ცნობისმოყვარეობით დამუხტულობის შემთხვევაში, ის ზედაპირული აღქმით (შეხებით) შეცნობის სურვილზე გადადის.

ახლა კი, მოდით, გეოცენტრისტის (როგორც წესრიგის მოყვარულის) უმთავრეს თვისებას, სტატიკური მდგომარეობის მუდმივობის შენარჩუნების სურვილს დავუბრუნდეთ. სწორედ ეს თვისება ანიჭებს მონური ბუნების მატარებელ ცოცხალ არსებებს უნარს იმისა, რომ შეძლოს დემონური ბუნების მქონეთა ძალადობრივ გამოვლინებებს დაუპირისპირდეს. დემონური ბუნების მქონეთა არსენალში არსებული ცდუნების იარაღი, პირადად მე, თუმცა ყველაზე საზიზღარ, მაგრამ ყველაზე ძლიერ იარაღად მიმაჩნია. თუ ასეთი არსება ვერ შეძლებს ცდუნების გზით (ასე ვთქვათ – „ტკბილი ხრიკებით“) საკუთარი მიზნის მიღწევას, ის უკვე აშკარა ძალადობაზე, ძალმომრეობაზე გადადის. ამ შემთხვევაში, მონური ბუნების მატარებელ არსებაში თავს იჩენს ახალი „აქილევსის ქუსლი“ **შეცოდების** სახით. მიუხედავად მასზე განხორციელებული აშკარა აგრესიისა, „მონინააღმდეგის“ სხეულისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენება მიულებელ აზრად ეჩვენება. გეოცენტრისტი, როგორც ყოველივე მატერიალიზირებულის თავყანისმცემელი, უზენაეს ფასეულობად მატერიალურ სხეულს აღიქვამს და ვერანაირად ვერ ეგუება იმ აზრს, რომ, თუნდაც აშკარა შეურაცხყოფის გამო, შეიძლება უზენაესი ფასეულობა დაარღვიოს.

ხდება ძალიან უცნაური რამ. ერთი მხრივ, ეს დაპირისპირება საშინლად არასასიამოვნოა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის შოკური თერაპია ორი არასწორად მიმართული ორიენტაციისათვის. დემონური ბუნებისთვის, ეს, უნდა თუ არა, საკუთარ არსში ჩახედვის აუცილებლობას უზრუნველყოფს, ხოლო მონური ბუნებისთვის მკვდარი, უსიცოცხლო წესრიგის თავყანისცემისგან გათავისუფლების აუცილებლობისა და რაიმენაირი არაინდივიდუალური მოქმედების საჭიროების მოკარნახე ხდება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მონური ბუნების მქონე ერთპიროვნულად ვერასოდეს ძლევს დემონური ბუნების მატარებელს და ამ უკანასკნელის დამარცხება ერთიანი კოლექტიური ძალის მეშვეობით ხდება, რაც უკვე არსებულ წესრიგში ცვლილებების შეტანის საბაზი ხდება. ეს ცვლილებები კი, მართალია ქაოსის შეტანის გზით, მაგრამ მაინც ზოგადი ცნობიერების დიდად ან მცირედ გაზრდის გამოხატულება გახლავთ.

სამწუხაროდ, მონური ბუნების მქონეთა ერთობლიობა, როგორც საზოგადოება, ზოგადი ცნობიერების გაზრდის შედეგად მიღებულ ფასეულობრივ მიღწევებს გაცილებით უფრო ნაკლებად აფასებს, ვიდრე ამ მიღწევების საფუძველზე შექმნილ უსაფრთხოების სისტემას მის ყველა გამოვლინებაში.

ხელოვნური ანუ მატერიალური უპირობო რეფლექსები

იმისათვის, რომ ცოცხალ არსებაში წარმოქმნილი მონური ბუნება ცოცხალ, ცხოველ ბუნებად ტრანსფორმირდეს, უნდა მოხდეს ამ ბუნების მატარებელი არსების გარშემო არსებული მატერიალიზირებული ცოცხალი არსებებისა თუ არაცოცხალი გარემოსადმი მიჯაჭვულობისაგან, მათი შენარჩუნების სურვილისაგან და მათი ზედაპირული შეხებით შეცნობის სურვილისაგან გათავისუფლება. ეს ჩამოთვლილი სახასიათო ნიშნები უნდა გადაიქცნენ გარშემო არსებული არსებების სულიერი ნაწილით დაინტერესებაში, ცოცხალი და არაცოცხალი მატერიალური გამოვლინებულობის ზოგადცნობიერული დონის ახსნის ძიების სურვილში, სიღრმისეული აღქმით შეცნობის სურვილში (ცნობისნადილში). აი, ამ ყველაფრის შესასრულებლად საჭიროა მატერიალური უპირობო რეფლექსებისაგან გათავისუფლება, რაც ცოცხალ არსებას ბუნებრივი ანუ სულიერი პირობითი რეფლექსების ზეგავლენის ქვეშ გადასვლის ანუ საკუთარ არსში არსებული წესრიგის ესთეტიკაში გადაყვანის საშუალებას მისცემს.

ახლა კი ვეცდები, ჩამოვაცალიბო ის, რისგანაც თურმე გათავისუფლებაა საჭირო, თუ ამ ნაწერს დავუფერებთ (ანუ ე. წ. ხელოვნური ე. ი. მატერიალური უპირობო რეფლექსები). ამისათვის კი მათი წარმოქმნის მოკლე ისტორიას მიმოვიხილავ.

მონური ბუნების წარმოქმნის მიზეზი სულიერ სამყაროში წარმოქმნილი დარღვეულობის აღმოფხვრილი ნაწილის არ მიღებაში, ვერ გაცნობიერებაში მდგომარეობს. მონური ბუნების მქონენი ვერ ითვალისწინებენ ობიექტური რეალობის ცვალებადობის აუცილებლობას (არ ითვალისწინებენ იმას, რომ მათ მიერ ათვისებული ინფორმაცია არსებული დარღვეულობის შესახებ, ამ დარღვეულობის შემცირებას უნდა ემსახურებოდეს) და ამის გამო ექცევიან ასეთი ბუნების ზეგავლენის ქვეშ. მათ უნდა შეიგნონ ის, რომ მიზანი არის დარღვეულობის არ არსებულობის მდგომარეობის მიღწევა და არა დარღვეულობის რალაცა დონის მდგომარეობის მუდმივად ერთნაირ ნიშნულზე შენარჩუნება. ისინი ამას ვერ იცნობიერებენ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ძალიან შეეჩვივნენ უკვე არსებულ ვითარებას.

დარღვევის წარმოქმნის მეორე მიზეზი სწორედ ეს იყო, ანუ რალაცა დონის ჰარმონიზირებულობის შედეგად მიღებული მდგომარეობის ხიბლით ევოლუციურების გავრძელებაზე უარის თქმა.

შემდგომ ამისა კი, თუ წარმოქმნილი მონური ბუნების მიერ ამ გლობალური ინტერესების გადახედვა ვერ მოხდება, მაშინ ამ ბუნების მქონეში წარმოიქმნებიან მატერიალური უპირობო რეფლექსები. მონური ბუნებაშეძენილი ცოცხალი არსება აღარ იყურება წინ და ველარ ამჩნევს, რამდენად ჩამორჩა ევოლუციურულ ცოცხალ არსებებს, რომლებიც სულიერ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობის შესაბამისი ცნობიერებით არიან განმსჭვალულნი და რეალურადაც სულიერ სამყაროში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ის კი დრომოჭმული პრინციპების შედეგად ჩამოყალიბებული რეალობით ხელმძღვანელობს და ყველასა და ყველაფერს ამ ცნობიერებით უდგება. რა მოხდება შემდგომ? – ასეთი ტიპის არსება საკუთარი ინდივიდუალიზმის იგნორირებით, საკუთარი უმნიშვნელობის გრძნობით დაავადდება და, საკუთარი უსუსურობის შეგრძნებით დამძიმებული, საკუთარი არსისა და ამ არსის შესაბამისად შექმნილი გარემოს შენარჩუნებაზე კონცენტრირდება.

ვინაიდან ასეთი ტიპის ცოცხალი არსება სამყაროს ფუნქციონალური ინტერესებისა და ზოგადი ცნობიერების მსახურების საზღვრებიდან გავიდა და, უფრო მეტიც, თავისდაუნებურად ამ მსახურების საპირისპირო საქმიანობით დაკავდა, აუცილებელი ხდება მისი მატერიალურ სამყაროში გადასახლება და რაიმე ტიპის მატერიალურ სხეულში ჩასახლება, რომელსაც ის არაფუნქციონალური

დანიშნულების მიმართულებით იყენებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკუთარი საქმიანობის ფუნქციონალური მიმართულების მიმართვის შემთხვევაში იგი შეძლებს უბრალოდ და უმტკივნეულოდ დაუბრუნდეს იმ მდგომარეობას, რასაც ახლად შექმნილი ობიექტური რეალობა წარმოშობს (სადაც ის ვერ გადავიდა და საიდანაც „ჩამოვარდა“).

მონური ბუნების მქონე არსებას, მისდა საუბედუროდ, მოთმინების უნარი გადაგვარებული ფორმით გააჩნია. იგი ერთგვარად გაუცხოვებულია საკუთარ არსთან, მის ინტერესებთან და მოთმინების ცნება მასში ნებისმიერი სიტუაციის შემგუებლობაშია გადაზრდილი და, სამწუხაროდ, ნებისმიერ მასზედ გამოვლინებულ ძალისხმევას „ყურმოჭრილივით“ ემორჩილება. მასთან აზრის გაზიარების მცდელობას ყოველგვარი აზრი აქვს დაკარგული, რამეთუ მას საკუთარი ცნობიერების გაუმჯობესება არათუ არ სურს, სასტიკად წინააღმდეგია ამისათვის საკუთარი ენერჯისა და დროის დახარჯვისა. ამიტომ ალბათ ლოგიკურიც კია ის, რომ იგი ისეთი ცოცხალი არსების ზეგავლენის ქვეშ ექცევა, რომელიც საკუთარი აზრებისა და შეხედულებების მასზე მოხვევას (იძულებით მიღებას) მოახდენს. ასეთი ცოცხალი არსებები კი ბუნებით დემონური ბუნების მქონენი არიან.

თავისუფალ, უკონტაქტო რეჟიმში, მონური ბუნების მქონენი მათში უმოქმედობის შედეგად წარმოქმნილი უპირობო მატერიალური რეფლექსების შესატყვისი საქმიანობით არიან დაკავებულნი, რაც იმაშია გამოხატული, რომ ისინი ცდილობენ საკუთარი პოტენციური ენერჯია შეინარჩუნონ, არ დახარჯონ, მისი ფუნქციონალური რეალიზაცია არ მოახდინონ. ამ მოქმედების შედეგად კი ხდება მცდელობა იმისა, რომ რალაცა განსაზღვრული, ჩამოყალიბებული ნესრიგის ფარგლებში იმოქმედონ და მხოლოდ ამით შემოიფარგლონ. საკუთარ ინდივიდში ჩაგროვილი არარეალიზირებული პოტენციური ენერჯია გამოუყენებლობის შემთხვევაში ინდივიდისათვის შინაგანი დისკომფორტის გაჩენის მიზეზი ხდება, რის გამოც იგი დემონური ბუნების წარმომადგენელთან ამყარებს კონტაქტს, რათა ე. წ. „ჭარბი“ ენერჯია მოიშოროს და ამგვარად ექცევა მისი მბრძანებლობის, ბატონობის ქვეშ.

ერთგვარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონური ბუნება და მისი მატარებელი არსებები სამყაროს უწმინდესი პიროვნებისა და მისი ასულის პირდაპირი დაპირისპირებულობის მდგომარეობაში ხვდებიან. სულიწმიდა (დედა ღმერთი) და ღვთის

ასული ხომ ყველანაირად ცდილობენ აბსოლუტურად ყველა თავისი ქმედება ობიექტური რეალობის ევოლუციურებას მოახმარონ. ეს მათთან დაპირისპირებულნი კი ობიექტური რეალობის მუდმივად ერთგვარ სტატიკურ, კონსტანტურ მდგომარეობაში გადაყვანით არიან დაკავებულნი. დიახ, სწორედ ამან, მათმა სულიერმა გაზარმაცებამ, მოვლენების ბუნებრივი სვლისათვის საჭირო საქმიანობის კეთების შენელების მცდელობამ გამოიწვია ის ყოველივე, რაც ეხება მონური ბუნების შექმნასა და თვისებებს.

რაც შეეხება მონური და დემონური ბუნების მქონეთა მატარებლებს შორის ურთიერთობებს:

მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება საკუთარ არსში წარმოქმნილი უპირობო რეფლექსების დაკმაყოფილებას ახდენს მათი საშუალებით და ამ ურთიერთობების გრაფიკულ, ცხრილურ ნესრიგში ჩასმას ცდილობს (მას ასე სჩვევია), რასაც დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება, რა თქმა უნდა, ვერანაირად ვერ მიიღებს. მისთვის ხომ მიუღებელია ერთფეროვანი ინერციით სვლა და იმპროვიზაციულობის, იმპულსურობის, რალაც ტიპის ქაოსის არ გამოვლინება. მონოტონურ-ინერციულ სვლაში ხომ ინდივიდუალიზმი საერთოდ იკარგება, ეს კი დემონური ბუნების მქონესათვის ე. წ. სიკვდილის ტოლფასია. საბოლოო ჯამში, ადრე თუ გვიან, მათ შორის ჩნდება ურთიერთუკმაყოფილება და კონფლიქტი, რაც დროთა განმავლობაში აუცილებლად გადადის ურთიერთდაპირისპირებაში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს დაპირისპირებაც კი მეტად პოზიტიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რამეთუ მონური ბუნების მქონე არსებაში საკუთარი ღირსების ე.ი. სულიერი ინდივიდუალიზმის (საკუთარი არაინდივიდუალიზმის) ცნებას აღვიძებს და აჩენს შანსს იმისა, რომ იგი ზოგადი ცნობიერების ძიების გზაზე დააყენოს, თუმც, სამწუხაროდ, კონფლიქტის დამთავრებისთანავე, იგი ისევ ეჯაჭვება ოდნავ შეცვლილ რეალობას.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ უვე შეიძლება მოვახდინოთ უპირობო მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი აღწერა.

უპირობო მატერიალური რეფლექსების პუნქტობრივი ნუსხა

I. ემოცია – სუბიექტური რეალობის იდეალიზირების, მარად უცვლელად დატოვების სურვილი.

II. ამბიციაცია – არადასამკვიდრებელი ცნობიერების წარმოსახვის სურვილი.

III. გონება – სუბიექტური რეალობის იდეალურ რეალობად გამოცხადების სურვილი.

IV. გრძნობა – არადასამკვიდრებელი ცნობიერების ზედაპირული, ვიზუალური შეხებით შეცნობის სურვილი.

უპირობო მატერიალური რეფლექსების მიყოლა ცოცხალ არსებათა სუბიექტურობაზე კონცენტრირებულობას ნიშნავს. ამის შედეგად მთელი არსებული გამოვლინებულობის მატერიალური სამყაროთი შემოსაზღვრა და ამის შედეგად კი, თავის მხრივ, მთლიანად საკუთარი „მე“-ს მხოლოდ მატერიალურ სხეულად აღქმა და მისით შემოსაზღვრულობა ხდება. თვითონ ეს ტენდენცია, ვფიქრობ, საკმაოდ ადვილი მისახვედრია, რომ ფუნქციონალური ნაწილის ვიზუალურ ნაწილზე დაქვემდებარებას იწვევს (სულისა და სულიერების აღქმა იკარგება) და ამ ტიპის ცოცხალ არსებაში მონურ ბუნებას ანვითარებს. აგრეთვე სერიოზულად გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ამ ტენდენციის მიყოლის შედეგად, მონური ბუნება აუცილებლად გადავა სატანურ ბუნებაში. ამასაც აუცილებლად შევეხებით, ოღონდ იმის შემდეგ, რაც ამ ოთხი პუნქტის განზოგადებას მოვახდენთ.

I. ემოცია – სუბიექტური რეალობის იდეალიზირების, უცვლელად დატოვების სურვილი

მოვლენების ბუნებრივი ცვლილებები ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირებისთვის განსაზღვრული შეხედულებების განხორციელება სამყაროს უწმინდესი პიროვნების, სულიწმიდის მიერ ხორციელდება. ცოცხალი არსებები კი, რომლებსაც ეს ცვლილებები კონკრეტული დროის ინტერვალში წარმოუდგენლად დიდად ეჩვენებათ, უფრო პასიური მოქმედების მუხტით ხელმძღვანელობენ (არ ითვალისწინებენ რა მთელი სამყაროს ფუნქციონალური ორიენტაციის, ევოლუციონების აუცილებლობას), ვიდრე ეს საჭირო და აუცილებელია სამყაროს ინტერესების გადასახედიდან.

მიუხედავად მათთვის განმარტებული აუცილებლობისა, ისინი არსებული რეალობის უცვლელად დატოვების, მიჯაჭვულობის სულისკვეთებით იმდენად ძლიერად არიან განმსჭვალულნი, რომ სამყაროს უწმინდეს პიროვნებას უსამართლობაში სდებენ ბრალს. ამის შემდგომ კი, ემოციურ დონეზე უპირისპირდებიან სულიწმიდას, თვლიან რა, რომ ის არის მათი იდეალური არსებობის რაღაც უცნობი მდგომარეობით შეცვლის მიზეზი. ამ გაუგებრობის შედეგად, ჯერ კიდევ „გუშინ“ ობიექტურ რეალობად აღქმული სიტუაცია სუბიექტურ რეალობად გარდაიქმნება და, გლობალური გადასახედიდან, ქალურ სანყისში ჩნდება ორმაგოვნება (სიბნელე და სინათლე, სილამაზე და სიმახინჯე, შიში და სიყვარული და ა. შ.). ყოველივე ამის პარალელურად იბადება ე. წ. უსამართლობის ცნება არსებულ რეალობაში, რის გამოვლინებასაც გულდასმით (დაჟინებით) ცდილობენ ევოლუციურების პროცესს ჩამორჩენილები. ერთი ძველი გამონათქვამისა არ იყოს, ეს არსებები ახერხებენ შავი კატის დაჭერას ბნელ ოთახში, მაშინ როდესაც კატა იქ საერთოდ არ იმყოფება. აი, ასეთ გამოგონილ უსამართლობასთან შეგუება (მათ ცნობიერებაში ეს ასე არის წარმოჩინებული), საკუთარი პასიურობის შედეგად შექმნილ ნებისმიერ მდგომარეობაზე მორგება სულიწმიდასთან მათ კიდევ უფრო დიდ დაპირისპირებას იწვევს.

II. ამბიცია – არადასამკვიდრებელი ცნობიერების წარმოსახვის სურვილი

ობიექტური რეალობიდან სუბიექტურ რეალობაში მოხვედრილი ზარმაცი ცოცხალი არსებები (უკვე მონური ბუნების მქონენი) უკვე აღმოფხვრილი ბუნებრივი „ეგო“-ს კვალდაკვალ ცდილობენ ის, დასამკვიდრებელი, ცნობიერება აღმოაჩინონ, რომელსაც მათ სთავაზობდნენ. დამოუკიდებელი ძიების პროცესში ისინი ოცნებობენ, მაგრამ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის გარეშე ამ ცნობიერების ზიარება შეუძლებელია. ამ ოცნებებში (ოპოზიციურ ცნებებში) ეს ცოცხალი არსებები ძირითადად არადასამკვიდრებელი, არასაჭირო ცნობიერების წარმოსახვას ახდენენ.

ახალ სუბიექტურ რეალობაში ეს არსებები ობიექტური რეალობისთვის შესაბამისი გარეგანი ცენზურის ანუ სირცხვილის დარღვევას ეჩვევიან, რამეთუ სუბიექტური რეალობის კრიტიკული თვალთ ხედვის უნარი არ გააჩნიათ და, უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ მუდმივ და არასაჭირო თვითკრიტიკულობის მდგომარეობაში

იმყოფებიან. ასეთ არსებას ეცოდება ყველა და ყველაფერი, რაც მისი შეხედულებით დაუმსახურებელ, არასასურველ მდგომარეობაში ვარდება. სწორედ ეს ხდება მასში სირცხვილის იგნორირების მიზეზი. იღვიძებს ვნება, რაც დაზარალებულისათვის დახმარების განევის შემდგომი, წმინდანყლის რეფლექსუალური შედეგია. სირცხვილის იგნორირების (უსირცხვილობის) ზრდის ყველაზე ძლიერი კატალიზატორი კი ხდება ერთად შეყრილი მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებების აზრთა ურთიერთგაცვლა. ამ ურთიერთობების პროცესში ისინი ერთმანეთს უმტკიცებენ იმას, რომ ყველაფერი, რაც მოხდა ვილაცასთან ან რალაცასთან მიმართებაში, წამდვილად უსამართლობა იყო და სრულიად დაუმსახურებლად მიიღო ამ ვილაცამ ნებისმიერი სახის დაზარალება.

უსირცხვილობა იმაში გამოიხატება, რომ ეს ცოცხალი არსებები თანდათან უფრო მეტად და მეტად უპირისპირდებიან განგებას (ამ შემთხვევაში სულიწმიდას პიროვნულ დონეზე).

III. გონება – სუბიექტური რეალობის ერთადერთ იდეალურ რეალობად გამოცხადების სურვილი

მატერიალური სამყაროს (სუბიექტური რეალობის) მეტ-ნაკლებად შეგუების შემდგომ მონური ბუნების მქონე არსებები ცდილობენ მაქსიმალური სიამოვნების მიღება შეძლონ. ისინი, უკვე ცალსახად, სხეულად აღიქვამენ საკუთარ „მე“-ს. თანდათანობით ამ რეალობას ისინი ერთადერთ და იდეალურ რეალობად აღიქვამენ და უკვე ამის შენარჩუნებაზე და არდაკარგვაზე იწყებენ ზრუნვას. შემდგომ უკვე ეს ცოცხალი არსებები იწყებენ იმ პირობითი სპეკულაციური სიახლეების მიღებას, რასაც მათ დემონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებები სთავაზობენ. განსაკუთრებით კი ის სიახლეები მოსწონთ, რაც მათ მატერიალურ სხეულებს სუბიექტურ რეალობაში არსებულ სირთულეებს უადვილებს. საკმარისია, რაიმე სიახლეს შეეჩვივნონ, რომ წამიერად მათი შენარჩუნებისა და არ დაკარგვის ინერციული სურვილით განიმსჭვალებიან. ვისაც იგი არ გააჩნია, მისი შეძენის სურვილი უპირველესი და უძლიერესი ხდება. შეძენის შემდეგ კი ისე ერჩევინ, თითქოს არასოდეს უცხოვრიათ ამ რალაცის გარეშე.

მაგრამ ყველაზე მეტად მონური ბუნების მქონე არსებებს ძალაუფლების მქონე სუბიექტური რეალობის მმართველი დემონური ბუნების არსებები იზიდავთ. მათთან ისინი სრულიად დაცულად

გრძნობენ თავიანთ სხეულებს და ისეთი შეგრძნება ეუფლებათ, რომ ეს მუდმივი სტაბილურობა იქნება და აღარასოდეს არაფრის შეცვლა აღარ გახდება საჭირო მათი ცხოვრების რეალობაში. ასეთი ცოცხალი არსებები, სამწუხაროდ, მთლიანად კარგავენ სირცხვილს და მთელი სამყაროს განმგებლებად დემონური ბუნების მქონე არსებებს მიიჩნევენ.

IV. გრძნობა – არადასამკვიდრებელი ცნობიერების ზედაპირული, ვიზუალური შეხებით შეცნობის სურვილი

მატერიალური სამყაროს (სუბიექტური რეალობის) ერთადერთ სამყაროდ აღქმისა და ერთგვარად ცხოვრებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის შემდგომ, მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება ცდილობს აითვისოს სუბიექტური რეალობა ზოგად ცნობიერულ დონეზე, რასაც უცნაურად ახორციელებს. ის ახდენს არა სიღრმისეული ცოდნის (დემონური ბუნების მქონეთა შეხედულებების) შესწავლას, არამედ ზედაპირული, ვიზუალური შედეგების შესწავლას ამ ცოდნისა. ამ მცდელობის შედეგად, ეს ცოცხალი არსება ახდენს უკვე დამკვიდრებული, მცდარი ცნობიერების შეცნობას ზედაპირული შეხების მეშვეობით. ეს, სამწუხაროდ, სრულიად საკმარისი ხდება იმისათვის, რომ მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება დემონური ბუნების შექმნის სურვილით შეიპყრას. თუმცა ეს აბსოლუტურად შეუძლებელი რამაა. მას შეიძლება როდესმე ეგონოს, რომ დემონური ბუნება შეიძინა, მაგრამ სინამდვილეში ის სატანურ ბუნებას შეიძენს. მთელი მის მიერ შექმნილი ცოდნა დემონური ბუნებიდან მომდინარე ცოდნის ფიქცია და იმიტაციაა და მეტი არაფერი. ეს ცოდნის ბუტაფორია გახლავთ.

თუ უფრო მარტივ დონეზე დავიყვანთ, მონური ბუნების დემონურ ბუნებასთან ნებისმიერი უშუალო ურთიერთობისას ხდება არადასამკვიდრებელი ზოგადი ცნობიერების ზედაპირული შეხებით შეცნობა მონური ბუნების მიერ. ამ ორი ბუნების მიერ უშუალო ურთიერთობის გარეშე ეს ზედაპირული შეხებით შეცნობა უბრალოდ ვერ მოხდება. თუმცა, სავალალო შედეგი ამ ურთიერთობებისა, რბილად რომ ითქვას, საკმაოდ სავარაუდოა, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის.

**მონური ბუნების მქონე არსებათა საქმიანობა
უპირობო მატერიალური რეფლექსების ზეგავლენიდან
გასვლის შემდგომ, როდესაც ისინი პირობითი რეფლექსების
ზეგავლენის ქვეშ ექცევიან მთელი არსებით**

მონური ბუნების მქონე ცოცხალ არსებაში მატერიალური პირობითი რეფლექსების „ადაპტირების“ შემდეგ თავს იჩენს ინერციული ტენდენცია, მაცდუნებელი გახდეს და საკუთარი პოტენციური ენერჯიის მიღების მსურველი თავისი შეხედულებების მიხედვით, მთლიანად საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციოს. ეს დემონური ბუნების მიერ მასზედ ზემოქმედების პროცესში განსწავლული, მეტაფორული ენით „კურსდამთავრებული“ გახლავთ. ასეთი ტიპის არსებაზე უპირობო მატერიალური რეფლექსები თითქმის აღარ მოქმედებენ და საკუთარი მატერიალური სხეული ისე შეუძლიათ წარმოაჩინონ (გამოაწყონ, მორთონ, წარმოადგინონ), რომ თვით დემონური ბუნების მქონე არსებებიც კი მისი თაყვანისცემის სულისკვეთებით განიმსჭვალონ. ამ შემთხვევაში როლებიც კი იცვლება, ანუ მონური ბუნების მქონე არსება თავადვე ცდილობს დაიქვემდებაროს დემონური ბუნების მქონე არსებები.

მაგრამ... მან მშვენივრად იცის, რომ ხანგრძლივი ურთიერთობების, თანაცხოვრების პირობებში, ეს მაცდუნებელი ხიბლი აღარ იმუშავებს (ასე ვთქვათ „გაცვდება“). ახალი, ფუნქციონალური რაიმეს შექმნა კი მის ძალებს აღემატება და საკუთარ დაქვემდებარებაში მოქცეული დემონური ბუნების პარტნიორს სხვა მისნაირი ახალი „ობიექტი“ მოხიბლავს. ამიტომ, მონური ბუნების მქონე არსება, მხოლოდ იმ ურთიერთობებით იფარგლება, სადაც მისი მხრიდან რაიმე სახის მოვალეობა და პასუხისმგებლობა არ მოითხოვება. ამ შემთხვევაში ის თავს გრძნობს ერთგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

ეს არც თუ ისე ძნელი მისახვედრია, რომ მონური ბუნება ამ შემთხვევაში ცალსახად სატანურ ბუნებაში გადასვლისკენ არის მისწრაფებული. ვფიქრობ, იოტისოდენად არ დავარღვევ ობიექტური შეფასების საზღვრებს, თუ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში ამ ტიპის არსების ნებისმიერ საქმიანობაში ანგარებას ლომის წილი უკავია. ზემოთხსენებული სირცხვილის ცნება კი, სრული ატროფირებულობისკენ მიიმართება ანუ სირცხვილის ცნება და სირცხვილის გრძნობა სრულიად იკარგება ამ ცოცხალი არსების აღქმასა და გაგებაში. ამ მოვლენის ფართოდ დემონსტრაციულ გა-

მოვლინებულობას კაცობრიობის დღეს-დღეისობითი ცხოვრების წესი წარმოადგენს, რომელიც სულისა და სხეულის, მაქსიმალურად ანგარებითი და ავხორცული მიმართულებით, სიშიშვლის გამოჩინების 24-საათიანი მცდელობებითაა დაკავებული.

შურის რაობა მონურ ბუნებაში

მონური ბუნების, როგორც ასეთის, წარმოქმნის მიზეზი გახლავთ სულიერ სამყაროში არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირების ფუნქციონალურ პროცესთან, ევოლუციურებასთან დაპირისპირების სურვილი. ამ სურვილის ავტორი კი გახლავთ შური.

დაგეთანხმებით, ეს ძალიან უცნაური ფორმაა ამ ცნებისა. ცოტა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს არის შური საკუთარი მდგომარეობისა „წარსულში“ (წარმოსახულში, ოცნებებში). ამ გადასახედიდან შური ერთი ტენდენციის, კომპონენტის, თუნდაც პიროვნების ჭარბი განჭვრეტის შედეგით მოჩანს. ანუ შური გახლავთ გრძნობის ობიექტის განჭვრეტის შედეგად წარმოქმნილი მიჯაჭვეულობის მდგომარეობის ამსახველი ცნება.

ცალსახად არსებული სურვილით დამუხტული ცოცხალი არსება თავადაც ვერ ამჩნევს, როგორ ნათლავს სამყაროს უწმინდეს პიროვნებას (სულიწმიდას) პირად მტრად თავის აღქმამში. მას ობიექტურ რეალობაში შემოტანილ სიახლეში ყველაფრის ტენდენციურად, უარყოფითად, სიბინძურედ, მანკიერებად, სიბილწედ და ასეთი ტიპის მატარებელ მოვლენებად სურს დანახვა. ალბათ, არც ისე ძნელია იმის მიხვედრა, რომ იგი ყველანაირად ცდილობს, არ მიიღოს და ჩირქი მოსცხოს ამ სიახლეებს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი არ უნდა და ძველი ურჩევნია. ამგვარად ხდება ცოცხალი არსების წარსულზე მიწებება და მონური ბუნების ჩასახვა. ეს ხომ სხვა არაფერია თუ არა რალაც განვლილი პერიოდის ისეთად შენარჩუნების სურვილი როგორიც იყო იქამდე, ვიდრე შეიცვლებოდა. მონური კი იმიტომაა, რომ საკუთარი არსში იდეალურად აღქმული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ცოცხალი არსება, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისი ნებით, ნებისმიერი სახის დამცირებაზე, ღირსების შელახვაზე, გაჭირვებასა და ტანჯვაზეა წამსვლელი. აქ დიდი ტვინის ჭყლეტა აღარ არის საჭირო იმაზე, რომ შემდგომ, ეს მონური ბუნების არსებები მატერიალურ სამყაროში

გადაიგზავნებიან და ისეთ პირობებში მოხვდებიან რაზეც ოცნებობდნენ. ისე, სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, ის, რომ მატერიალურ სამყაროში მონური ბუნების მქონე არსებები გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით არიან, ვიდრე დემონური ბუნების მქონე არსებები. ეს იმასთან დაკავშირებით ვთქვი, რომ ის, რაც მონური ბუნების მქონე არსებებმა ნებაყოფლობით არ მოინდომეს (იგულისხმება ევოლუცირება), ამის საპირისპიროს კეთებას დემონური ბუნების მქონე არსებები აიძულებენ (იგულისხმება ინვოლუცირება), იმისათვის, რომ მათში არსებული არარეალიზებული ენერგია მიითვისონ. ახლა კი ვნახოთ, რა ფორმებით გამოვლინდება შურიდან დაწყებული გადაგვარება უკვე მონური სულის ცოცხალ არსებებში.

თუ ცოცხალი არსება სხვა ცოცხალი არსებების მიმართ მლიქვნელობს, პირფერობს, მამებლობას ეწევა, უსიტყვოდ ყველაფერში ეთანხმება, გულის მოგებას ცდილობს, ფიზიკურად და მორალურად ლაქუცსა და მსახურებას ეწევა, შეიძლება აბსოლუტურად ზუსტად განისაზღვროს რამხელაა მასში მონური ბუნების ელემენტები. მონური ბუნების მქონე არსებას ზუსტად იმდენად ეშინია ცოცხალი არსებებისა, რამდენადაც იტყუება, ანუ რამდენიც არის მის მიერ ნაფიქრალს, ნათქვამსა და ნამოქმედარს შორის განსხვავება. ეს ყოველივე ვნების (უპირობო მატერიალური რეფლექსების) სახით ვლინდება. ვნება მონური ბუნების გამოვლინებას წარმოადგენს.

შურის ცნებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი სიზარმაცის შედეგად მას ისეთი შესაძლებლობები არ გააჩნია, როგორც მისთვის საშურველ ცოცხალ არსებებს. ამის კომპენსირებისთვის მას სრულიად ნორმალურად და მისაღებად მიაჩნია მამებლობით მოინდომოს ამ არსებებმა სულ თავის გვერდით ამყოფონ იგი, ანუ მათი მფარველობის ქვეშ მოექცეს.

ვნება მონური ბუნების სუსტ ადგილად შეიძლება იწოდოს.

აგრეთვე აუცილებლად აღსანიშნავია, მონური ბუნების სატანურ ბუნებად გარდაქმნის ტენდენცია მატერიალურ სამყაროში ადაპტაციის შემდგომ. თუ ცოცხალი არსება სხვა ცოცხალი არსებების ცდუნებას, საკუთარი სხეულის მონდომებინებას, საკუთარი პიროვნებისადმი პროვოკაციული ქმედებით და მსგავსი ტიპის რალაცეებით დაინტრიგებას ცდილობს, შეიძლება აბსოლუტურად ზუსტად განისაზღვროს, რამხელაა მასში მონური ბუნების სატანურ ბუნებად გარდაქმნილება. მასში ზუსტად იმდენია შიშები ზო-

გადად, რამხელაზეც განსხვავდება მიმდინარე რეალობა მის მიერ წინასწარ დაგეგმილი რეალობისგან. მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა მატერიალური სიხარბე გახლავთ. სიხარბე, ზოგადად და მისი ნებისმიერი ფორმით გამოვლინებულობა, სატანური ბუნების ფორმაციულ გამოვლინებებს წარმოადგენს.

შურის ცნებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად ის ცდილობს თავად გახდეს შურის ობიექტი (საშურველი) ყველა მათგანისთვის, ვისიც შურდა და რალაც საბაბით დაპირისპირდა მათთან. შურით მოქმედების მეორე ეტაპზე კი ის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გაზრდას ცდილობს უკვე აპრობირებული ცდუნების მეთოდით.

როგორც ობობა, ისე „აბამს ქსელს“ და შიგ მოხვედრილ მსხვერპლს ბოლომდე ცდილობს „გამოსწოვოს სისხლი“, ანუ მთლიანად შეძლოს მათი საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. თუ ვინმე (არჩეული ობიექტი) მის ქსელში არ ებმება ის საშინლად ბრაზდება ამის გამო, პირად შეურაცხყოფად აღიქვამს ამას და, ქსელში გაბმულების მეშვეობით, ცდილობს მისთვის სამაგიეროს გადახდას შეურაცხყოფის, დამცირების და, ზოგიერთ შემთხვევაში, განადგურების სახითაც კი.

მონური ბუნებიდან სატანურ ბუნებაში გადასული ცოცხალი არსება სხვა ცოცხალ არსებებში არსებული ვნებითი მიდრეკილებით იზიდავს და მართავს მათ. თავად, დროთა განმავლობაში, ვნებისადმი გულგრილი ხდება და მისი უმთავრესი ნიშან-თვისება მატერიალური სიხარბე ხდება. სწორედ ეს გახლავთ მისი ყველაზე სუსტი ადგილი.

სქესობრივი (სექსუალური) აქტის ფუნქციონალური და ვიზუალური რაობა მონური ბუნების გადასახედთან

მონური ბუნების მქონე მხოლოდ დემონური ბუნების მქონესთან ამყარებს სქესობრივ (სექსუალურ) კონტაქტს და ისიც, მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავად ტრანსფორმირდება სატანურ ბუნებაში. ის უპირატესად მიდრეკილია დემონური ბუნების მქონის იმ წარმომადგენლებისკენ, რომლებიც თავად გადავიდნენ სატანურ ბუნებაში.

ასეთ ინდივიდში სქესობრივი ვნება წარმოიქმნება, მისთვის ეს არის შიგნით ჩაგროვილი ენერგიის აუცილებლად გამოყენების რეფლექსუალური საშუალება. აქვე აუცილებლად მინდა აღინიშნოს ძალზედ მნიშვნელოვანი რამ: – ეს ენერგია (რაც ჩაგროვდა) თავდაპირველი სახით არის ჭეშმარიტად სუფთა, ღვთაებრივი, პოზიტიური მუხტის მქონე. მაგრამ უმოქმედოდ, უძრავად ყოფნის შედეგად, დროთა განმავლობაში, იგი იცვლის თავის ბუნებას და ნელ-ნელა ბინძურდება, იხრწნება, ნეგატიური მუხტის მქონე ხდება, როგორც მდინარის მორბენალი, მფეთქავი წყალი ქაობის წყალში მოხვედრის შემდეგ.

საბოლოოდ, სატანურ ბუნებაშექმნილი მონური ბუნების მქონე არსება სქესობრივი აქტით დემონურ ბუნების მქონესთან ახდენს შინაგანი მდგომარეობის გადახალისებას (საკუთარი ჩაგროვილი ენერგიის გადაყრას) და თავისდაუნებურადაც კი, ახდენს თავისში ცვლილებების იმიტაციის, ილუზიური მოქმედების მექანიზმის მიღებას, რაც მას სატანურ ბუნებად ქცეული დემონური ბუნების მხრიდან მიენოდება. (რაც ფაქტიურად პირდაპირი დამხმარე საშუალებაა მისი იმაზე მეტად დაცემისა და გარყვნის, ვიდრე ის აქამდე იყო და არსებობდა მასში).

რაც შეეხება ამ პროცესის გარეგნული, ვიზუალური ფორმით გამოვლინებას, ეს გამოიხატება საკუთარი ენერგიის მიწოდებისა და საკუთარი სხეულის გამოყენების უფლების მიცემის სანაცვლოდ, მისთვის (მონური ბუნებისთვის) მდგრადი, უცვლელი, არაცვალებადი გარეგანი მდგომარეობის (მატერიალური რეალობის) მოთხოვნის სურვილში. ის ამ მოთხოვნას უყენებს იმ სექსუალურ პარტნიორს, რომელსაც პერიოდულად ამარაგებს საკუთარი „აშმორებული“ ენერგიით.

ამ ქმედებით მონური ბუნების მქონე არსება იქმნის იმის ილუზიას, რომ თითქოს რაღაც შინაგანი უცვლელობის დამყარებას ახ-

დენს სექსუალურ პარტნიორში. ამით ის საკუთარი უმნიშვნელობის გრძნობას, არასრულყოფილების შეგრძნებას ინეიტრალებს საკუთარ აღქმაში (ტვინში).

ამავე დროს აუცილებელი აღსანიშნავია ისიც, რომ მონური ბუნების მქონე არსებამ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მისმა სექსუალურმა პარტნიორმა სხვასთან არ მოინდომოს სექსუალური კონტაქტის დამყარება. ამისათვის ის იძულებულიც კი ხდება, მუდმივად იზრუნოს, რომ თავისი მატერიალური სხეულის ე. წ. რბილი ადგილები და გარეგნული შესამოსელი მუდმივად კარგად გამოიყურებოდეს. თუ ის მობეზრდება სექსუალურ პარტნიორს, ჩამოყალიბებული გარეგნული მატერიალური რეალობა ხომ შესაცვლელი გახდება. ეს კი ამ არსებისათვის ჭეშმარიტად კატასტროფის ტოლფასია. ამის თავიდან ასაცილებლად კი უსასრულოდ იზრდება სპეკულაციური გარეგანი თუ შინაგანი იმიტაციური ფორმები და მოვლენები, რაც, თავის მხრივ, უსასრილოდ მიაქანებს ამ ორ ბუნებას სრული ამორალიზმისა და უზნეობისაკენ.

მონური ბუნების თვითგანკურნება

აქაც ისევე, როგორც დემონური ბუნების შემთხვევაში, ვიტყვოდი, რომ სრული კატეგორიულობით შეიძლება იმის განცხადება, რომ მონური ბუნების მქონე არსებას ამის გაკეთება მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. თვითგანკურნების მხურვალე სურვილის ქონის შემთხვევაში შეუძლია. ფაქტიურად (ძალიან მკაცრი ნათქვამია, ეს ძალიან კარგად მესმის) ეს უნდა გახდეს ერთადერთი სურვილი მონური ბუნების მქონე არსებისა.

დემონური ბუნებისაგან განსხვავებით მონური ბუნების შემთხვევაში, შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, ამის მაგალითის მოყვანა შემიძლია ანუ ვიზუალურად დანახვების შანსი არსებობს. ეს მაგალითებია: ბერ-მონაზვნობა, რომლის ინსტიტუციური ფორმაც, ჩვენდა საბედნიეროდ, დღესაც არსებობს; რალაც გარკვეულ ასაკამდე ეკლესიურ სასწავლებლებში ყოფნა და აღზრდისა და განათლების იქ მიღება (რაც საუბედუროდ, დღეს სრულიად გადაგვარებული ფორმითაა გამოხატული); სასულიერო სემინარიებისა და საერო-სასულიერო სასწავლებლების მიერ განწესებული განრიგით ყოფა-ცხოვრება, ვიდრე იქ ხდება სწავლება

(რაც, ვგონებ, საერთოდ აღარ არსებობს თავისი ფუნქციონალური სახით და ვიზუალური ფუტლიარილა შემორჩა).

ასეა თუ ისე, დამეთანხმებით, ადვილი დასანახავია ამ ჩამონათვალის მიხედვით, თუ რაზეა ლაპარაკი. ის, თუ ეს სისტემა ამჟამად როგორ ფუნქციონირებს, ნამდვილად არ არის ამ წიგნში განხილვის საგანი.

ასე რომ, ვისაც გასურთ საკუთარ არსში არსებული მონური ბუნებისაგან გათავისუფლება, ერთად გავაგრძელოთ ამ თემის შეძლებისდაგვარად ღრმად და მოკლედ განხილვა.

უპირველეს ყოვლისა, ამ თემატიკას ორ ნაწილად დავყოფ. პირველი ნაწილი იქნება მონური ბუნების სატანურ ბუნებად გადაქცეული ნაწილისაგან გათავისუფლების საშუალებათა ახსნა, რომელიც, თავის მხრივ, ორი ძირითადი პუნქტით იქნება წარმოდგენილი:

1. საკუთარი პიროვნების სხვა პიროვნებებზე დამოკიდებულებისაგან გამოყვანა (ვიზუალური მანკიერებისაგან გათავისუფლება);
2. პირადი, საკუთარი, სულიერი, ინდივიდუალური ინტერესების გაღვიძება (ფუნქციონალური მანკიერებისაგან გათავისუფლება).

მეორე ნაწილი კი, იქნება თავად მონური ბუნებისაგან (მისი სუფთად ამ სახით არსებულისაგან) გათავისუფლების საშუალებათა ახსნა, რომელიც, თავის მხრივ, ორი ძირითადი პუნქტით იქნება წარმოდგენილი:

1. მთელი არსებული რეალობის განგების ნების გამოვლინებად, ობიექტურ რელობად მიღება (ვიზუალური გან(რ)წმენდა);
2. საკუთარი არსის მატერიალურ შემოქმედებაში გადმოცემა წარმოსახვითი მაქსიმალური გამოვლინებითა და გაცოცხლებით ბუნებრივი ხელოვნების სახით (ფუნქციონალური გან(რ)წმენდა).

1. საკუთარი პიროვნების სხვა პიროვნებებზე დამოკიდებულებისაგან გამოყვანა

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედედან, ეს გახლავთ პიროვნების მიერ საკუთარ თავზე დაკისრებული ქარბი მოვალეობებისგან გათავისუფლების საშუალება.

ადამიანური აღქმის დონეზე თუ ავხსნით ამ ფენომენს, ეს იქნება არსების სურვილი, გათავისუფლდეს საკუთარი პიროვნების სხვა პიროვნებებზე არსებული იმ დამოკიდებულებებისაგან, მატერიალური დაქვემდებარებულობებისაგან, რომელიც თავადვე მოახვია საკუთარ თავს. ამით იგი თავისუფლდება ძალაუფლების ქვეშ ყოფნისგან, ვილაცის ან რალაცის საკუთრებად გადაქცეულობისაგან, დაპყრობილ მდგომარეობაში მყოფობისაგან. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს ჯერ არა სიღრმისეულად, არამედ ზედაპირულ მატერიალურ დონეზე ვრცელდება ამ ინდივიდის მხრიდან. ამ საფეხურზე ის ამას ახდენს ყოფილი კერპის პერსონალურ გამოვლინებულობასთან დაგროვილი უკმაყოფილების გამოხატვის ხარჯზე.

ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის, რომ სხვა პიროვნებების ზეგავლენისაგან გათავისუფლების მცდელობა მხოლოდ მატერიალიზაციის შემდგომ შეძენილი მანკიერებისაგან გათავისუფლების სურვილად უნდა ჩაითვალოს. მატერიალური დამოკიდებულების ქვეშ მოქცევის ნებისმიერი ფორმა ხომ ინდივიდის მატერიალიზაციის შემდეგ მოხდა ამ მატერიალურ სამყაროში ადაპტაციის კვალდაკვალ.

მონური ბუნების მქონე ცოცხალმა არსებამ, შევიდა რა მატერიალურ სამყაროში, იქ მოახდინა ნებისმიერი ქმედება საკუთარი სულის ანარეკლში საკუთარი „მე“-ს სრული გადაყვანის შეგრძნებით. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მონური ბუნების მქონე არსებას მატერიალური სამყაროს ან საკუთარი სხეულის საკუთარი ინდივიდუალური სულის ანარეკლად აღქმის უნარი უბრალოდ არ გააჩნია, ამ ყოველივეს ისე ვერ შეხედავს, რასაც სულიერი განდევილობის ცნება მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მისი აღქმის მაქსიმუმი ამ საფეხურზე მატერიალური განდევილობის (ხილული ასკეტიზმის) ცნებას უბრალოდ ვერ გასცდება. აი, ეს მატერიალური განდევილობა ცოცხალ არსებაში შეცვლის არა მასში არსებულ მონურ ბუნებას, არამედ მონური ბუნების შეხედულებების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ მოვლენებს, რასაც მონური ბუნების

სატანურ ბუნებად გარდაქმნილი ნაწილი შეიძლება და უნდა ეწოდოს.

თავიდან ეს პიროვნების მხრიდან აღიქმება ისე, თითქოს რაღაც წარმოუდგენლად დიდი მსხვერპლი გაიღო და რაღაცა უცნაური ტიპის მნიშვნელოვნების (სხვებზე მეტობის, უპირატესობის) შეგრძნებით იმუხტება და თუ ის ამას თავის თავში ვერ დაძლევს, ან ადრე თუ გვიან დაუბრუნდება თავის ადრინდელ ყოფას, ან აუტანელ, ბუზლუნა არსებად გადაიქცევა. რატომ? – იმიტომ რომ ყველაფერს საღად შეფასება სჭირდება. თუ პიროვნებამ ეს საქციელი რაღაცა ღირებულისთვის არ ჩაიდინა და მხოლოდ მატერიალური სამყაროთი უკმაყოფილების სურვილმა გააკეთებინა, როგორ მიიღებს რაიმე დადებითს? სალი მსჯელობა კი მისთვის ასეთი იქნებოდა: პირველ საფეხურზე მონური ბუნების მქონე ინდივიდი სატანურ ბუნებაში გადასული ნაწილის გარეგნული ვიზუალური მანკიერებისგან უნდა გათავისუფლდეს იმისათვის, რათა სატანური ბუნების შექცენამდე თავისში არსებული მდგომარეობა აღიდგინოს და როდესაც მასზე ხელოვნურად დაკისრებული პირობითობებისაგან გათავისუფლდება გაცილებით უფრო ადვილად შეძლებს იმაზე კონცენტრირებას, თუ რა ჯობდა რომ ეკეთებინა, თუმცა ვიზუალური სატანური ბუნების მოცილების შემდგომ მისი ფუნქციონალური (სატანური) ბუნება მასში ჯერ კიდევ სერიოზული და ძნელად ამოსაძირკვი პრობლემა იქნება. სწორედ ეს უნდა იყოს მისი მიზანი პირველ საფეხურზე. მან უნდა გამოიმუშაოს იმის უნარი, რომ სხვათა შეხედულებების მოსმენისას ამ შეხედულებებს არ მიენეშოს. ამისათვის კი, აუცილებელი ხდება საკუთარი შეხედულებები გაუჩნდეს აბსოლუტურად ყველაფერზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უსულო ნივთივით უსარგებლო იქნება ცნობიერების თვალსაზრისით და პირველ რიგში საკუთარი თავისათვის. ამ ტიპის ცოცხალი არსება ამ ამოცანის შესრულებას მხოლოდ მაშინ მოახერხებს, თუ მასში სატანური ბუნების მოცილების მხურვალე სურვილი იარსებებს.

თავიდან ამ მარტოდ ყოფნის შეგუება და დაძლევა, ნამდვილად ძალიან ძნელი რამაა, მაგრამ შემდგომ მონური ბუნების არსება ძალიან ადვილად ერჩევა ამას. ის ხომ რაღაც ინერციის ალებაში „ჩემპიონია“ და ამ ინერციის ერთგულებაში მდგომარეობს ხოლმე მისი უსიამოვნების ყველა მიზეზი. ამ ასკეტური ყოფის შეგუებით, ეს პირველი საფეხური მონური ბუნების განკურნებისა სრულდება.

თუ პიროვნება მატერიალურ კეთილდღეობას გაურბის, თუ ცდილობს სხვა პიროვნებებისაგან განზე იყოს ანუ მათთან ურთიერთობაში არ იყოს არანაირი ფორმით, თუ მას არ ახალისებს და არ ანაღვლებს ის მოვლენები, რაც მის გარშემო არსებულ მატერიალურ გარემოში ხდება, თუ არც ემხრობა და არც უპირისპირდება იმ პიროვნებათა შეხედულებებსა და ინტერესებს, რომლებიც შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ გარდაუვლად მაინც იქნებიან მის გარშემო, თუ ცდილობს არ ააღელვოს (არ გააღიზიანოს ან არ ალაფრთოვანოს) მის მიმართ გამოხატულმა გამოვლინებამ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია ანუ მან შეძლო გათავისუფლება საკუთარ არსში არსებული სატანური ბუნების ვიზუალური (გარეგნული) ნაწილისაგან.

2. საკუთარი ინდივიდუალური სულიერი ინტერესების გაღვივება

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედიდან ეს გახლავთ პიროვნების მიერ მისთვის შესაბამისი, აქამდე იგნორირებული საკუთარი უფლებების რეალიზაციის აუცილებლობის აღქმის საშუალება.

ეს საფეხური გახლავთ სატანური ბუნებისაგან (ე. წ. ფუნქციონალური მანკიერებისაგან) გათავისუფლების საშუალება – ცალსახად მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებების გადასახედიდან.

ამ შემთხვევაში ეს განკურნება გამოხატული იქნება იმაში, რომ ეს არსება საკუთარ „მე“-დ აღიქვამს საკუთარი მატერიალური სხეულის მამოძრავებელ ძალას, ენერგიას. ის ამ ენერგიას შეარქმევს სულს, თუმც ვიზუალურად მისი წარმოდგენისა და აღქმის არც სურვილი აქვს და არც შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მამოძრავებელ ენერგიას იგი ინტუიციურად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სხეულს (ხილულ მოძრავ ობიექტს), მაინც მისთვის ეს მატერიალური სხეულია ის ძირითადი ბაზური რამ, რის გარშემოც ხდება მისი აზრთა ჩამოყალიბება. თუ არ იქნება ის, რასაც ეს ენერგია ამოძრავებს, მაშინ ის ვერც ამ ენერგიის რაიმენაირი სახით გამოვლინების დაფიქსირებას ვერ შეძლებს. ფაქტიურად, მატერიალური სხეული ხდება მისი კვლევის საგანი, როგორც მისთვის სათაყვანებელი ენერგიის მხოლოდ ამ სხეულე-

ბით გამოვლინების ერთადერთი საშუალება (რა თქმა უნდა, ეს მის აზრზეა ლაპარაკი).

ამის შედეგად მისთვის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ხდება სხეულის ყოფნა-არსებობა, ანუ სიკვდილი, ავადმყოფობა და ნებისმიერი სხეულისთვის შექმნილი ბუნებრივი პრობლემა მისთვის ძირითად პრობლემებად აღიქმება.

მატერიალური სხეულის არსებობის პერიოდი, სხეულის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამ საფეხურზე გადასული მონური ბუნების მქონე არსებისათვის უზენაესი ფასეულობების ცენტს იძენს.

ასეა თუ ისე, მონური ბუნების მქონე არსებას უჩნდება და უყალიბდება პირადი, უკვე თავისი, ინტერესები. ამ ინტერესებს, ერთი მხრივ, ძნელია, უნოდო სულიერი, მაგრამ, მეორეს მხრივ, ძნელია, უნოდო მატერიალური. ყოველ შემთხვევაში, ისინი სხვა პიროვნებებზე დამოკიდებულობისაგან თავისუფლდებიან და საკუთარი მატერიალური სხეულის დამოკიდებულების ქვეშ ექცევიან. შეიძლება გასაკვირადაც კი ჩანდეს, მაგრამ მათთვის ეს სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნას აღქმული.

ამ საფეხურზე მონური ბუნების მქონე არსება ეჩვევა სულიერი სამყაროს მატერიალურ სამყაროდ გარდაქმნილ ნაწილთან მშვიდობიან, არაძალისმიერ, არადაპირისპირებულ თანაცხოვრებას. ის საკუთარი „მე“-ს უკვე ამ ბუნების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად აღქმას იწყებს, ცდილობს მიხედოს და მოუაროს ბუნებრივ მატერიალურ გარემოს (ფლორად და ფაუნად წოდებულს ჩვენს ეპოქაში). ამ ურთიერთობის საფუძველზე ის, თავისდაუნებურადაც კი, ამყარებს კონტაქტს სულიერი სამყაროს მატერიალიზირებულ ნაწილთან ანუ სულიერ სამყაროსთან შედის ერთგვარ პირდაპირ, უხეშად რომ ვთქვათ, ირიბულ, მაგრამ მაინც კონტაქტში. ამ საფეხურის გავლის გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელია ამის შემდგომ მესამე საფეხურზე გადასვლა.

მინდა აღვნიშნო, თუ რატომ არის ასე მოწყობილი:

შექმნილი სატანური ბუნება მონური ბუნების შემთხვევაში, მისი უინიციატივობის (მე ვიტყვოდი, გაზარმაცების) შედეგია და აუცილებელია, მასზედ მიწებებული მცდარი გეოცენტრული აზროვნება თავად გააანალიზოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აუცილებლად ხელახლა გახდება საკუთარი სიზარმაცის მსხვერპლი. საკუთარი მატერიალური სხეულისა და ზოგადად, მატერიალიზირებული სხეულების მატერიალური ნაწილის ფუნქციონალური ინტე-

რესების შესწავლის შემდგომ კი, მასში ახალი ინერციული მიდრეკილება ჩამოყალიბდება, რომელიც ცალსახად, ერთ ნერტილში ყოფნის, უმოქმედობის სურვილისგან განკურნავს და აღარ მისცემს ენერჯის მოკვდინების საშუალებას (მოიცვილებს არაფერში არ გამოყენების ტენდენციას).

ამ საფეხურზე ყოფნისას დაუშვებელია, მატერიალურ სხეულთა ფუნქციონალური ინტერესების შეცნობის შემდგომ, თავად მოინდომოს ბუნებრივ პროცესებში ექსპერიმენტების ჩატარება, ანუ დაგროვილი ცოდნის პროვოკაციული რეალიზაციის მცდელობა. ამ სპონტანური სურვილების აყოლას, სჯობს (იგი ვალდებულები ცია), უბრალოდ შეასრულოს და უზრუნველყოს მატერიალური სხეულის ფუნქციონალური ინტერესების დაცვა. უფრო მეტსაც გეტყვით, ამ ცოდნის დაგროვების პროცესში მან აუცილებლად უნდა დაიცვას ბუნებრივ მოვლენებში ჩაურევლობის პრინციპი და ამ ყველაფრის გვერდიდან დანახვამ და გაგებამ მას დიდი ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიანიჭოს.

თუ პიროვნება საკუთარი მატერიალური სხეულის მამოძრავებელ ძალას ამ სხეულზე მეტად აფასებს, თუ სხეულის ფუნქციონალურ ინტერესებს იმის გამო ახორციელებს, რომ ეს საჭიროა და არა იმიტომ, რომ ასე სურს, თუ ჯანმრთელობა და სიცოცხლე (ამ შემთხვევაში მატერიალური სხეულის არსებობის პერიოდი) მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური სხეულისთვის შექმნილი ნივთები (სიმდიდრე, ქონება, ტექნიკური მოწყობილობები, აღიარებულობა, დიდება და ა. შ.), თუ მისთვის ცნობილი მატერიალური სხეულების ფუნქციონალური ინტერესების ცოდნის სურვილი გააჩნია, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია, ანუ მან შეძლო საკუთარ არსში არსებული სატანური ბუნების ფუნქციონალური ნაწილისაგან სრულიად გათავისუფლება.

3. მთელი არსებული რეალობის განგების ნების გამოვლინებად, ობიექტურ რეალობად მიღება

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედიდან ეს გახლავთ პიროვნების მიერ საკუთარი უფლებამოსილების მაქსიმალურად მიღებისა და გაზრდის საშუალება.

ეს საფეხური გახლავთ სატანური ბუნებისაგან გათავისუფლებული მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსებების რელიგიურ გან(რ)წმენდილ მსოფლმხდველობით ჩარჩოებში გადასვლის საშუალება (თუმც მხოლოდ გარე, ვიზუალურ დონეზე).

საკუთარი პიროვნების სხვა პიროვნებათა ზეგავლენისგან გათავისუფლებისა და საკუთარი ინტერესების გაღვიძების შემდგომ ცოცხალ არსებას განგების მხრიდან ეძლევა ერთ დროს დაკარგული კავშირის აღდგენის შანსი. ამ დროს მონური ბუნების მქონე არსებისთვის საუკეთესო არჩევანი იქნებოდა იმ დროისა და ადგილის შესაბამისი რელიგიური დოგმატური ცოდნა მიეღო, სადაც ის რეალურად იმყოფება (თანამედროვე პირობებში ეს მეტისმეტად რთული გასაკეთებელი გახდა, რამეთუ გლობალიზაციის პერიოდში, ფაქტიურად, დედამიწაზე არსებული ყველა ჭეშმარიტი რელიგიის დოგმატური ცოდნა უნდა იქნას დაცული).

ამ მომენტიდან მონური ბუნების მქონე არსებას უჩნდება მყარი საყრდენი, რაც მისთვის საკუთარ აზროვნებაში არსებული შიშების, ეჭვებისა და გაორებულობის განეიტრალების საშუალებაა. არ უნდა დაგვავინყდეს ის, რომ მონური ბუნება ინერციაზეა დამოკიდებული, ინერციული ტიპისაა და მისი მატარებელი არსებისათვის ძალიან რთულ საქმეს წარმოადგენს როგორც რალაცის დაწყება, ისე ამ დაწყებული რალაცის დამთავრება. მაგრამ შუა ნაწილი ანუ პროცესი დასაწყისსა და დასასრულს შორის მისთვის ბუნებრივად მიმდინარე რამედ აღიქმება და სრულიად უშუალოდ მიჰყვება მის მიმდინერობას.

თუ მონური ბუნების მქონე ცოცხალი არსება რელიგიის დოგმატურ პრინციპებს დაექვემდებარება და გაჰყვება თავისი ჭეშმარიტი ფორმით წარმოდგენილს, მაშინ მიიღებს ყველასა და ყველაფერს ისე, როგორც ეს დოგმები შთააგონებენ მას. მათ კი მათი ძირითადი ტენდენციური განხილვით, უნდა ასწავლონ მონური ბუნების მქონე ცოცხალ არსებას, რომ აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი ღმერთის შემოქმედების შედეგია, რომ მთელი არსებული რეალობა წარსულში, აწმყოსა და მომავალში განგების ნების გა-

მოვლინებაა, რომ მთელი არსებული რეალობა ობიექტურობას წარმოადგენს და არანაირი ტიპის უსამართლობა არც არსებობდა, არც არსებობს და ვერც იარსებებს, რამეთუ ყველა და ყველაფერი იმას ღებულობს, რასაც იმსახურებს. **ეს დაეხმარებოდა მათ საკუთარ პიროვნებაზე საკუთარი ნებისყოფით ზემოქმედების გაღვიძების სურვილში, ჭეშმარიტად იმაზე უკეთესი (და ასე მუდმივად: უკეთესიდან კიდევ უფრო უკეთესისკენ) რეალობა დაემსახურებინათ, ვიდრე გააჩნიათ.**

თუ ჭეშმარიტად რელიგიური დოგმატური ცოდნა მონური ბუნების მქონე არსებისთვის ავტორიტეტს წარმოადგენს, მაშინ მას მიეცემა რა ცოდნის აღქმის უნარი, ამ მომენტიდან დაიწყება მისი განკურნება. – და რატომ? – ეს არსება მოიცვამს იმ ორიენტაციულ მიდრეკილებას, რის გამოც შეიძინა მონური ბუნება, ანუ სამყაროს უწმინდეს პიროვნებასთან დაპირისპირების მიდრეკილებას.

ამ საფეხურზე ხდება სულიერებისა და სულის ხედვისა და წარმოსახვის ცვლილება. წინა საფეხურზე თუ ეს ხედვა მატერიალური სხეულისა და მატერიალური ფუნქციონალური ინტერესების გადმოსახედიდან იკითხებოდა, ამჯერად ეს საფეხური პირიქით, მატერიალური სხეულისა და მისი ფუნქციონალური ინტერესების დანახვის საშუალებას იძლევა სულიერი სამყაროდან ჩამოტანილი სულიერი ცოდნის საფუძველზე, სადაც უზუნაეს ფასეულობად გამოცხადებულია სული, როგორც მარადიული ნაწილი ცოცხალი არსებისა, ხოლო სხეული გამოცხადებულია, მხოლოდ რაღაც დროის ინტერვალში არსებულ, დროებით, გარდამავალ ნაწილად.

ამით კი კვდება თავად სიკვდილის ცნება და მატერიალურ სხეულში ყოფნის პერიოდი და მატერიალური სხეულის არსებობის პერიოდი სულიერ სამყაროში გადასვლისთვის, გადასახლების სურვილის გაღვიძებაში მიძღვნისთვის გამოყენებაში მოიაზრება და მეტი არაფრად.

ეს საფეხური სასურველია გაგრძელდეს იქამდე, ვიდრე ინდივიდი სრულად არ მოსპობს საკუთარ ტვინში უსამართლობის შეგრძნების, მისი არსებობის შესახებ თუნდაც ერთ პატარა, ციცქნა აზრს. ფაქტიურად, ეს არის მატერიალურ სამყაროში მყოფი ყველა და ნებისმიერი მონური ბუნების მქონე არსებისათვის.

თუ ცოცხალი არსება საკუთარი პიროვნებისთვის განსაზღვრულ (ეპოქისა და ადგილმდებარეობის მიხედვით) რელიგიურ-დოგმატურ პრინციპებს დაექვემდებარება და რელიგიურ ცოდნას

მიიღებს, თუ ამ ცოდნის შექმნის პროცესში არასდროს, არანაირი ფორმით არ შეეცდება მის გაკრიტიკებას (თუნდაც თავისთვის და თუნდაც უმნიშვნელოდ), თუ მთელს არსებულ რეალობას ობიექტურ რეალობად აღიქვამს და განგების ნების გამოვლინებად მოი-აზრებს, თუ შეძლებს იმ აზრის ერთხელ და სამუდამოდ მიღებას, რომ უსამართლობა არ არსებობს და აღიარებს, რომ ეს მისი აზროვნების მანკიერ ნაყოფს წარმოადგენს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ამ პიროვნებას ეს საფეხური გაუვლია ანუ მან შეძლო საკუთარ არსში არსებული მონური ბუნების ვიზუალური ნაწილისაგან გათავისუფლება და ძალიან დიდი შანსი აქვს სულიერ სამყაროში დაბრუნებისა.

4₂. საკუთარი არსის მატერიალურ შემოქმედებაში გადმოცემა წარმოსახვის მაქსიმალური გამოვლინებითა და გაცოცხლებით, ბუნებრივი ხელოვნების სახით

კოსმიური იურისპრუდენციის გადასახედიდან ეს გახლავთ პიროვნებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობის სრულად და პირნათლად შესრულების, დაკმაყოფილების საშუალება.

ეს საფეხური ცოცხალი არსების მონური ბუნებისაგან მთლიანად გათავისუფლების საშუალება გახლავთ, ანუ მისი საშუალებით ფუნქციონალური მონური ბუნების მოცილება ხდება.

მაგრამ ამ საფეხურის ასახსნელად ცოტა უკან მოგვინევს დაბრუნება. ალბათ გეხსომებათ ის, რომ ცოცხალი არსებები მონური ბუნების მქონეებად ცალსახად ტრანსცენდენციურების მიყოლა ჩამოაყალიბა (რამეთუ მათ ცივილიზირების პროცესი იგნორირებული ჰქონდათ). აი, სწორედ ამ ტრანსცენდენციურების ზედმეტად გახანგრძლივების სურვილის გამო მათში ვერ ჩამოყალიბდა (თავის არსებაში არ შეუშვეს) ის შეხედულებები, რომელთა საფუძველზეც სულიერმა სამყარომ და სულიერ სამყაროში არსებულმა ობიექტურმა რეალობამ ევოლუციურება (ბუნებრივი „ეგო“-ს რალაც ნაწილის აღმოფხვრა) მოახდინეს. შედეგად კი ისინი დაუპირისპირდნენ გარდაუვალი ცვლილებების განმხორციელებელს, სულიწმიდას, და მატერიალურ სამყაროში მოუწიათ მატერიალიზირება.

აი, ახლა კი, მესამე საფეხურის გავლის შემდგომ, როდესაც უაზრო, პიროვნული დაპირისპირების სურვილები მთლიანად აღ-

მოიფხვრა, ისინი ხელახლა დაექვემდებარნენ სამყაროს უნმინდეს პიროვნებას.

პირადად მე მგონია, რომ ეს, მეოთხე საფეხური ყველაზე რთული, მაგრამ ამავე დროს ყველაზე საინტერესოა მონური ბუნების მქონე არსებისათვის. ამ საფეხურზე მას, პასუხისმგებლობის დონეზეც კი, ევალება ერთგვარად იმ შეხედულებათა წარმოსახვის დონეზე თავისში აღმოჩენა, რაც მან წარსულში არ მოინდომა და, მინდა ვთქვა, რომ მას მიენოდა ეს შეხედულებები იმდენად, რამდენადაც მას ეს სურს და რამდენადაც ის ამას იმსახურებს, მაგრამ... ეს მხოლოდ პირველი ნაწილია ამ პასუხისმგებლობისა. ის კოლექტიური აზროვნებითი ბუნების არსებაა და თუ ამ შეხედულებებს თავისნაირივე არსებებს არ გაუზიარებს, შეიძლება სერიოზულ დეპრესიაში (ფსიქოლოგიურ მარტოობაში) აღმოჩნდეს, რასაც ის ვერც გაუძლებს და ვერც გაიზრდება სულიერი თვალსაზრისით. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი მხრიდან მისთვის განგების მიერ მიწოდებულ შეხედულებათა შემოქმედებითი ფორმით გადმოცემა, რაც შეიძლება სულიერი და მატერიალური სამყაროების ესთეტიკური ფორმით დაკავშირებადაც კი აღვიქვათ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ის მომენტი, რომ თუ პიროვნება ამ ტიპის შეხედულების საფუძველზე არ ქმნის საკუთარ შემოქმედებას (მის ნებისმიერ გამოვლინებაში), იგი არასოდეს არ იქნება ჭეშმარიტად ღირებული და ფასეული და, თუ აბსოლუტური შეფასება გსურთ, იგი არასოდეს არ იქნება შემოქმედება.

თუ ჭეშმარიტად შემოქმედი პიროვნება საკუთარ შემოქმედებას მიეწეება და აღიარებულობის სურვილით შეიპყრობა, იგი ავტომატურად დაჰკარგავს ჭეშმარიტი შემოქმედების შექმნის უნარს მომავალში, რამეთუ განგება ამ შემოქმედებისათვის აუცილებლად საჭირო მასალით ანუ სულიერ სამყაროში დაბრუნების შესახებ ჩამოყალიბებული შეხედულებებით მას აღარ მოამარაგებს.

მაგრამ მინდა ვითხრა, რომ ამ შემთხვევაში მატერიალური შემოქმედება მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი. მიზანს ამ შეხედულებათა საკუთარ არსში დამკვიდრება და სულიერ სამყაროში არსებული ობიექტური რეალობისათვის შესაბამის დონემდე მისვლა წარმოადგენს. ეს იმისათვის, რომ მონური ბუნების მქონე არსება სრულად გათავისუფლდეს მონური ბუნებისაგან და სულიერ სამყაროში დაბრუნების უფლება აღიდგინოს.

ვფიქრობ, ადამიანებისთვის, რომლებიც აქამდე გამოყვნენ ამ ნაწერს, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ რატომ არის მიზანი შეხედულებათა აღქმა და არა მათი მატერიალურ შემოქმედებაში რეალიზაცია. ეს, სხვა ენაზე რომ ვთქვათ, ცოცხალ არსებაში ჭეშმარიტად გაცნობიერებულ დონეზე, ზოგადი ცნობიერების იმ ნაწილის აღდგენა იქნება, რომელთა არ მიღების გამო ღმერთმა უწყის რამდენი ათასწლეული დაეხეტებოდა მატერიალურ სამყაროში.

თუ პიროვნება შინაგანი აღქმის დონეზე უცნაურ, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებული ხედვის უნარს ამჩნევს საკუთარ თავში, თუ მასში არ არის გამორჩეულობის და პირველობის სურვილი, თუ შიგნით გრძნობს დაუოკებელ სურვილს, რაიმე ფორმით გადმოსცეს საკუთარი შინაგანი მდგომარეობა, რათა სხვებსაც აგრძნობინოს, დაანახოს ეს, წარმოუდგენლად სასიამოვნო მდგომარეობა, თუ მას ამ შეხედულებების ხორცშესხმული ნაწილით (მატერიალური შემოქმედებით) სარგებლის მიღების სურვილი არ გააჩნია და სურს, უბრალოდ ისე შეძლოს მატერიალური ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფა, რომ სხვა რაიმეზე არ დაიხარჯოს, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ ამ პიროვნებას ეს საფეხური უკვე გაუვლია და მთლიანად გათავისუფლდება მონური ბუნებისაგან და სხეულიდან გასვლის შემდეგ სულიერ სამყაროში დაბრუნდება.

მეოთხე თავი

მატერიალური ჰარმონია (ოქროს შუალედი) სულიერი ყოფიერებისა და მატერიალური ყოფიერების ურთიერთშეთავსება და შერწყმა სრული რელაქსაციის დონემდე

*ბედნიერია ადამიანი, როდესაც იცის,
რომ ჭეშმარიტად სანთელივით ღმერთისთვის იწვის,
არც არაფერს ეჯაჭვება, არც არსად იცდის,
შუქსაც გამოსცემს და სითბოსაც, იწვის და იწვის.
და ის არ ხდება მსხვერპლი თავის აღქმის და ფიცის,
რადგან ღვთიური სანთელია და ღვთისთვის იწვის.*

Желание получить удовольствие, быть насложденным, поражает обязательность овладеть этим чем-то или кем-то, что в последствии превращается в манию власти, провозглашая свою (частную) собственность святостью.

Тот, кто ни чем и ни кем не владеет в своем внутреннем восприятии, т. е. не хочет владеть, тому можно доверить все и всех; тот овладеет всем и всеми воспринимая все окружающее единым целым, а себя – частью целого.

И будет устанавливать гармонию соблюдением граненной верности; будет отдавать любовь соблюдением сочувствия и сердечного вглубления; будет чтить добровольность соблюдением утонченности и заботливости; и будет находиться в довольственном покое соблюдения объективности и внимательности (внимать, слушать, слышать и услышать все, что нужно доверившим ему сверху и доверяющим ему снизу).

სიყვარულის რაობა თავისი აბსოლუტური სრულყოფილი გაგებით

თვითონ ცნება სიყვარული ავტომატურად, არაუძრაობას, მოქმედებას მოიაზრებს და რალაც ორ სუბსტანციურ გამოვლინებას შორის კონტაქტის დამყარებას ემსახურება. ის ამ ორ სუბსტანციას შორის ერთმანეთში ჩაღრმავების პროცესში წარმოქმნება. ე. ი. სიყვარული ჩაღრმავების პროცესის მიმდინარეობის დროს წარმოქმნილი ფასეულობა გახლავთ.

მაშასადამე, სიყვარულის მიღების რაოდენობა და ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია იმ ორ სუბსტანციაზე, რომელთა ურთიერთობის პროცესშიც ის წარმოიქმნება.

თუ შევეცდებით სიყვარულის, როგორც მიღებული შედეგის რაოდენობისა და ხარისხის, შეფასებას, აუცილებლად დაგვჭირდება იმ ცნების მიგნება, რომელიც იკავებს იმ ვაკუუმს, რაც სიყვარულის (ერთმანეთში ჩაღრმავებულობის) უკმარისობის შედეგად წარმოიქმნება. ეს ცნება კი, ამ ორი სუბსტანციის მიერ ერთმანეთში ზედაპირულად ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილი გახლავთ. იგი იწოდება სიტყვით **შიში**.

ორი სუბსტანციის ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში, რამხელაზეც არ არის წარმოქმნილი სიყვარული, იმხელაზე, ავტომატურ რეჟიმში, წარმოიქმნება შიში. ის უამრავი რაოდენობის ფორმებით არსებობს და ათასი რამით შეიძლება იყოს გამოხატული, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეს არსებითი არ არის. მთავარი არსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ურთიერთობების პროცესში, შედეგებით უკმაყოფილო გონიერმა არსებამ, სასურველი შედეგის მისაღებად ურთიერთობებში სიყვარულის რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა უნდა მოინდომოს. ამისათვის მან საკუთარ არსში არსებული შიშები უნდა აღმოაჩინოს, დააკომპლექტოს და ნელ-ნელა, მეთოდურად გარდაქმნას ისინი სიყვარულად. ასეთი, ერთი შეხედვით ძალიან რთული (ასოციაციურად თითქმის შეუძლებელი) ამოცანის შესასრულებლად, აქ საკმაოდ მარტივი ლოგიკის გამოყენებაა შესაძლებელიცა და სასურველიც. კერძოდ, ამ ამოცანის გადაჭრის მსურველმა თავისი ზედაპირული მიდგომები ნებისმიერ მათ გამოვლინებაში უნდა გარდაქმნას სიღრმისეულ მიდგომებად. აი, ხომ ხედავთ, სულაც არ ყოფილა ძნელი ადამიანმა შიშები სიყვარულად გადაიქციოს და არა უსაფრთხოების საშუალების გამოგონებებად, ძალადობად, სიძულვილად, შურისძიებად და ა. შ.

ისმება ძალიან საინტერესო შეკითხვა: მაინც რა არის ის ორი სუბსტანცია, რომელთა ურთიერთობით მიღებული შედეგი სრული სიყვარული იქნება რაიმე მინარევის გარეშე? – ეს ორი სუბსტანცია (ორი ცნება, როგორც მომქმედი სუბიექტი) არის ნდობა, რომელიც ჭეშმარიტ რწმენასთან ურთიერთობისკენ არის მიდრეკილი და რწმენა, რომელიც ჭეშმარიტი ნდობისკენ (ნდობის ღირსეული უფლების მქონესთან) ურთიერთობისკენ არის მიდრეკილი. თავად პროცესი კი, რომელიც მათ შორის წარმოიქმნება (და რისი მიმდინარეობის დროსაც წარმოიქმნება სიყვარული), გახლავთ სარწმუნო-

ნო(ვნ)ება. ის ამ ორი სუბსტანციური ცნების, ნდობისა და რწმენის დამაკავშირებელი რგოლია.

სარწმუნო(ვნ)ება, თავის მხრივ, არის ნდობის სუბსტანციური ცნების (როგორც სუბიექტის) მხრიდან რწმენის სტრატეგიულ-ტაქტიკური ინტერესების სრული, აბსოლუტური გათვალისწინებისა და რწმენის სუბსტანციური ცნების (როგორც სუბიექტის) მხრიდან ნდობის სტრატეგიულ-ტაქტიკური ინტერესების სრული, აბსოლუტური გათვალისწინების დიაპაზონის (საზღვრების) სრული, აბსოლუტური გამოვლინება იმპერსონალური გადასახედიდან.

პერსონალისტური, პიროვნული გადასახედიდან კი სარწმუნო(ვნ)ება არის ნდობის (როგორც ობიექტის) მხრიდან საკუთარი სურვილების სრული, უშუალო გამოვლინება რწმენსთან მიმართებაში და რწმენის (როგორც ობიექტის) მხრიდან საკუთარი სურვილების სრული გულწრფელი გამოვლინება ნდობასთან მიმართებაში.

რაც შეეხება სიყვარულის საპირისპირო ცნების, შიშის, აბსოლუტური დონის მიღების ფენომენს, ამოატრალეთ ყველა აქ მოყვანილი ცნება და ამას მიიღებთ. მე მასზე აქ აღარ გავჩერდები, რამეთუ, იგი უკვე საკმაოდ არის განხილული წინა თავებში.

რაც შეეხება ადამიანურ ბუნებას, ადამიანსა და ადამიანურ ბუნებას, ფუნქციონალური გადასახედიდან (ყოველგვარი შიდა მიწარევების გარეშე), პირდაპირ ევალება და ხელენიფება სიყვარულის ცნების დამკვიდრება თავისი აბსოლუტური, სრულყოფილი გაგებით მთელს, მის გარშემო არსებულ, რეალობაში. უფრო მეტსაც გეტყვი, სწორედ ეს იყო და არაფერი სხვა ადამიანის შექმნის მიზეზიცა და მიზანიც.

რისთვის? და რატომ? – ადამიანური ბუნებისთვის ორ უმთავრეს შეკითხვას წარმოადგენს (იგულისხმება ადამიანის ქვშმარიტად მართებული გზით სვლის შემთხვევაში). მათი მიმართვა ცალსახად ზესვლის, სრულყოფის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ და პასუხობდნენ.

კითხვაზე – **რისთვის?** – პასუხის გაცემის მცდელობით ადამიანის გული უნდა იყოს დაკავებული და მიმართული საკუთარი პოტენციალის თავის თავში არსებულ შიდა არსობრივ მოცულობაზე უფრო დიდი, უფრო მაღალი მორალური დონის აღქმისა და შეცნობისკენ. ეს ადამიანში არსებული გრძნობითი ნაწილის გაზრდაში გარდაიქმნება. ამ გრძნობითი ნაწილის გაზრდას ადამიანის ამბიციური ნაწილის შემცირების ხარჯზე მივიღებთ.

კითხვაზე – **რატომ?** – პასუხის გაცემის მცდელობით ადამიან-

ნის ტვინი უნდა იყოს დაკავებული და მიმართული, საკუთარი პოტენციალის თავის თავში არსებულ შიდა არსობრივ მოცულობაზე უფრო მცირე, უფრო დაბალი მორალური დონის (ობიექტური, ფუნქციონალური) შეცნობისა და აღქმისკენ. ეს ადამიანში არსებული გონებრივი ნაწილის გაზრდაში გარდაიქმნება. ამ გონებრივი ნაწილის გაზრდა კი ადამიანში არსებული ემოციური ნაწილის შემცირებით, მისი გონებრივ ნაწილად გადაქცევით მიიღება.

მე მსურს ემოციის, ადამიანური ბუნების შესაბამისი, ამბიციისა და ჭკუის განმარტება შემოვიტანო:

1. თუ გულისა და ტვინის ურთიერთობისას წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირების პროცესში გული „გაიმარჯვებს“, ანუ თავის შეხედულებას დაამტკიცებს, დაამკვიდრებს მოქმედებაში სახელმძღვანელოდ (ტვინის სასტიკი წინააღმდეგობის ფონზე), ადამიანის ამ კონკრეტულ დიაპაზონში ამბიციები გაჩნდება.
2. თუ გულისა და ტვინის ურთიერთობისას წარმოქმნილი ურთიერთდაპირისპირების პროცესში, ტვინი „გაიმარჯვებს“, ანუ თავის შეხედულებას დაამტკიცებს, დაამკვიდრებს მოქმედებაში სახელმძღვანელოდ (გულის სასტიკი წინააღმდეგობის ფონზე), ადამიანის ამ კონკრეტულ დიაპაზონში ემოციები გაჩნდება.
3. თუ გულისა და ტვინის ურთიერთობისას წარმოქმნილი ურთიერთგაგების პროცესში წარმოშობილი შეხედულებების დამტკიცება და დამკვიდრება მოხდება მოქმედებაში სახელმძღვანელოდ, ადამიანის ამ კონკრეტულ დიაპაზონში ჭკუა გაჩნდება.

რაც შეეხება გრძნობისა და გონების პარამეტრალურ ცნებებს, ისინი ადამიანურ დონეზე ქვეცნობიერად (გონება) და, დავამატებდი, ზეცნობიერად (გრძნობა) არის მიჩნეული. ადამიანის ფუნქციონალური დანიშნულება ნამდვილად გულისხმობს ამ დონეთა ცნობიერ დონეზე დაფიქსირების არ ქონის უნარს, მაგრამ ფუნქციონალური დანიშნულება ნამდვილად გულისხმობს ამ ზეცნობიერებისა და ქვეცნობიერების მსახურებას (თანაც სრული ასი პროცენტით), რათა მათ შორის არსებული ვაკუუმი ბუნებრივი „ეგო“-ს სახით გამოვლინებული ადამიანების საშუალებითა და მათ მიერ სრულად აღმოფხვრილ იქნას. თუ მსჯელობას ძალიან უხეშ და განზოგადებულ სახეს მივცემთ, მივიღებთ, რომ ადამიანის გული ზეცნობიერების, დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების, ჭეშმარიტი

გრძნობის (არაამბიციურის) სამსახურში უნდა იყოს. რაც შეეხება ტვინს, იგი ქვეცნობიერების, უკვე დამკვიდრებული ჭეშმარიტების ე. ი. ზოგადი ცნობიერების, ჭეშმარიტი გონების (არაემოციურის) სამსახურში უნდა იდგეს.

ეს მსახურება კი შემდეგნაირად უნდა განხორციელდეს: ადამიანის მამაკაცურმა სანყისმა, საკუთარ არსში არსებული ამბიციები გულის შეხედულებათა თვითკორექტირებით, ე. წ. ჭკუად უნდა გარდაქმნას. თავის მხრივ, ადამიანის ქალურმა სანყისმა საკუთარ არსში არსებული ემოციების, ტვინის შეხედულებათა თვითკორექტირებით, ე. წ. ჭკუად უნდა გარდაქმნას. გულისა და ტვინის თვითკორექტირებული ნაწილის შესაბამისი თანკვეთილი ნაწილი კი, თავისთავად, ბუნებრივად მოახდენს მთელს სამყაროში წარმოქმნილი ბუნებრივი „ეგო“-ს გარდაქმნას ბუნებრივ „მე“-დ. ეს პროცესი კი იქამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ბუნებრივი „ეგო“ სრულად, მთლიანად არ აღმოიფხვრება.

სინდისი (როგორც მორალი) და სირცხვილი (როგორც ზნეობა)

ფაქტიურად ადამიანური ბუნებისთვის (ადამიანისათვის) ერთ-ერთ ყველაზე უმთავრეს მიზნად (თუ არა ყველაზე უმნიშვნელოვანესადაც) უნდა იქნას დასახული გულსა და ტვინს შორის არსებული ურთიერთგაგების დიაპაზონში უთანხმოების არ დაშვება და მათ შორის უკვე არსებული ურთიერთგაუგებრობის ურთიერთგაგებაში გადაყვანა. სხვა, უფრო რთულ ენაზე თუ ვიტყვით, ეს ასე გამოითქმის: „მე“-ს „ეგო“-დ არ გადაქცევისა და „ეგო“-ს „მე“-დ გადაქცევის მცდელობა. არა, არ ვართულებ, უბრალოდ, ამ მიზნის, ე. წ. ზეადამიანური გადასახედიდან დანახულის, არსობრივ გადმოცემას ვცდილობ, პარალელურად, ადამიანური ბუნებიდან დანახული, გადმოცემულის არსისა.

თუ უფრო მარტივი ენით გადმოვცემთ, მივიღებთ მამაკაცსა და ქალს შორის სრული ურთიერთგაგების მდგომარეობის მუდმივად არსებობის დამკვიდრებისა და გაუმჯობესების სურვილს.

მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გულსა და ტვინს შორის დამკვიდრებული ურთიერთგაგების შედეგად მიღებულ, დამკვიდრებულ და ამ ურთიერთგაგების უზრუნველყოფელ ცნობიერ ფასეულობას შეიძლება ეწოდოს ჭკუა ადამიანური ბუნების პირობაზე.

სხვა, ყველანაირი გამოვლინება ადამიანში, ვერანაირად ვერ იქნება ის, რასაც ჭკუის ცნობიერი არსი მოიზარებს. ეს გამოვლინებები იქნებიან ამბიციები ან ემოციები (ადამიანის მიერ ჭკუად მონათლული).

ადამიანის (ადამიანური ბუნების) მიერ ჭეშმარიტად საჭირო და სასურველ მდგომარეობაში საკუთარი პერსონის მყოფებისათვის არსებობს ორი შესანიშნავი ბერკეტი. ესენია: სინდისი, როგორც მორალის დაცვის საშუალება და სირცხვილი, როგორც ზნეობის დაცვის საშუალება.

სინდისი ადამიანის მამაკაცური სანწყისის ყველაზე დიდი მეგობარი და დამხმარე საშუალება გახლავთ. იგი თავისი ბუნებით ნებისმიერი ადამიანის შინაგან ცენზორს წარმოადგენს. ეს არის მორალური პრინციპების დარღვევის უალტერნატივო მოკარნახე და მიმწოდებელი ნებისმიერი ადამიანისთვის და, აბსოლუტურად ყოველი ადამიანისთვის, აბსოლუტურად ინდივიდუალურია (ანუ არც ერთ ადამიანს არა აქვს რაღაც ცხრილური ფორმით მიწოდებული საკუთარი ცდომილებანი სინდისის მიერ).

სირცხვილი ადამიანის ქალური სანწყისის საუკეთესო დამხმარე საშუალება გახლავთ. იგი თავისი ბუნებით ნებისმიერი ადამიანის გარეგან ცენზორს წარმოადგენს. ეს არის ზნეობრივი პრინციპების უალტერნატივო მოკარნახე და მიმწოდებელი ნებისმიერი ადამიანისთვის და ისიც ყოველი მათგანისთვის ინდივიდუალურია.

ამ ორი პარამეტრის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, საჭიროდ და აუცილებლად ვთვლი, მათ სიღრმისეულ და მაქსიმალურად მობილურ განხილვასა და ჩამოყალიბებას.

უპირველეს ყოვლისა მინდა ჩამოვყალიბო ადამიანური ბუნების სასტარტო მდგომარეობის რაობა, რომელიც სრულად შეესაბამება მთელს გამოვლინებულ რეალობაში წარმოქმნილ ე. წ. ბუნებრივ „ეგო“-ს თავდაპირველად შექმნილ ადამიანური ბუნების მქონე ცოცხალ არსებებში, ადამიანებში (მაგ: ადამ და ევაში) ბუნებრივად არის კოდირებული სარწმუნოება (სარწმუნო(ვნ)ება). ეს ცნება თავის არსში მოიზარებს თვითგამოვლინების უნარს უკვე წარმოშობილი და არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს მიერ წარმოჩინებული ცნობიერების საზღვრებში.

ამ დროს მამაკაცის გული სინდისის კარნახით სიბეჯითისკენ არის მიმართული. ეს სიბეჯითე გამოიხატება განათლებისკენ სწრაფვის სურვილში. მამაკაცის ტვინი, სირცხვილის კარნახით, შეუპოვრობისკენ არის მიმართული. შეუპოვრობა კი, გამოიხატება არსებული რეალობის გაუმჯობესების სურვილში. გულის მხრიდან

სიბეჯითე და ტვინის მხრიდან შეუპოვრობა ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორიცაა სიმტკიცე. საბოლოო ჯამში, მამაკაცის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ *პო-ზიტეურობის გაზრდისკენ სწრაფვის სურვილი*.

ამავე დონეში ქალის გული სინდისის კარნახით, გულისხმიერებისკენ არის მიმართული. ეს გულისხმიერება გამოიხატება მამაკაცის გაგების სწრაფვისკენ სურვილში. ქალის ტვინი, სირცხვილის კარნახით, ცნობისწადილსკენ არის მიმართული და გამოიხატება მის გარშემო არსებული რეალობის უკეთესად შეცნობის, სიღრმისეული აღქმის სურვილში. გულის მხრიდან გულისხმიერება და ტვინის მხრიდან ცნობისწადილი ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორიცაა *თვინიერება*. საბოლოო ჯამში ქალის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ ნეგატიურობის არ გაზრდისაკენ სწრაფვის სურვილი.

ამ სასტარტო დონეს პირადად მე უფრო სტატიკურ მდგომარეობად აღვიქვამ, სადაც ადამიანის თვითგამოვლინების ტენდენცია მკვეთრად გამოხატული არ არის თავისი ინდივიდუალური „მე“-ს მიერ. აქედან შეიძლება ითქვას: ორი ერთმანეთის რადიკალურად საპირისპირო ტენდენციის განვითარება შეიძლება მოხდეს. ასეა თუ ისე, ნებისმიერ ვარიანტში, ადამიანი ე. წ. კინემატიკურ მდგომარეობაში გადავა. ჩემი პიროვნული გადასახედიდან, არსებობს ორი კინემატიკური მდგომარეობა. ესენია:

1. ადამიანური ბუნების მიერ გამოვლინებული არასასურველი კინემატიკური დონე;
2. ადამიანური ბუნების მიერ გამოვლინებული სასურველი კინემატიკური დონე.

არასასურველობისა და სასურველობის გაგება მთელი კოსმიური რეალობის ინტერესების გადასახედიდან არის ნაგულისხმევი. ვფიქრობ, ძალიან რთული იქნება ამის დატევა თავისში ადამიანისთვის, რასაც ახლა ვწერ და დავწერ, მაგრამ ადამიანის ასე გადმოცემისათვის სამი წიგნის დაწერა დამჭირდა და ამაზე მეტად, უბრალოდ, ვერ ვამართივებ. ამ უამრავ თვისებაზე ნუ ინერვიულებთ, მათ ცხრილური ფორმით ჩამოვაცალიბებ, რაც დარწმუნებული ვარ, გაგიადვილებთ აღქმას.

ადამიანის მიერ გამოვლინებული არასასურველი კინემატიკური დონე ორი ნაწილისგან შედგება:

- ა) ბუნებრივი „ეგო“-ს გაზრდა (ხელოვნური „ეგო“-ს შემოტანა);
- ბ) ბუნებრივი „მე“-ს დაკარგვა (მისი სრულად გარდაქმნა ხელოვნურ „ეგო“-დ).

ა) ბუნებრივი „ეგო“-ს გაზრდის, ანუ მასში ხელოვნური „ეგო“-ს, შემოტანის პროცესში ადამიანში სარწმუნო(ვნ)ების ნამყვანი როლის ადგილს იკავებს გემოვნება (გემო-ვნება). ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს მთელს სამყაროსეულ რეალობაში უკვე წარმოშობილი და არსული ბუნებრივი „ეგო“-ს მიერ წარმოჩინებული ცნობიერების საზღვრებს მიღმა არსებულ ბუნებრივ „მე“-ში, საკუთარ წარმოსახვაში გაურკვევლობის, ხელოვნური „ეგო“-ს შექმნას და მისი თვით-გამოვლინების უნარის უდიდესი ნაწილის შეცნობაზე დახარჯვას.

ამ დონეში მამაკაცის გული, სინდისის კარნახით, სიჯიუტისკენ არის მიმართული და დამოუკიდებლად განსწავლის სწრაფვისკენ სურვილში გამოიხატება. მამაკაცის ტვინი, სირცხვილის კარნახით, კრიტიკისკენ არის მიმართული და არსებული რეალობის შენარჩუნების სურვილში გამოიხატება. გულის მხრიდან სიჯიუტე და ტვინის მხრიდან კრიტიკა ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორცაა პატივმოყვარეობა. საბოლოო ჯამში მამაკაცის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ ნეგატიურობის არ დაშვების სურვილი.

ამავე დონეში ქალის გული, სინდისის კარნახით, სიზარმაცისკენ არის მიმართული და მამაკაცში არსებული სპეკულაციური ცოდნის საკუთარ გონებაში არ შეშვების სურვილში გამოიხატება. ქალის ტვინი, სირცხვილის კარნახით, ოცნებებისკენ არის მიმართული და მის გარშემო არსებული რეალობის უკეთეს რეალობად წარმოსახვის სურვილში გამოიხატება. გულის მხრიდან სიზარმაცე და ტვინის მხრიდან ოცნებები ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორცაა მერყეობა. საბოლოო ჯამში ქალის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ პოზიტიურობის თავისთავად წარმოშობის სურვილი პირადი ძალისხმევის გარეშე.

ამ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ აქ არის აღწერილი ის, რასაც ადამიანები ზოგადად უწოდებენ ცხოვრებას მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში. თუმცა დროთა განმავლობაში ხელოვნური „ეგო“ სულ უფრო იზრდება და ადამიანი სულ უფრო შორდება ბუნებრივი „ეგო“-ს გარშემო არსებულ საკითხებში თვითგამოვლინების აუცილებლობის გაგებას. ის ვერ იცნობიერებს იმ ფაქტორს, რომ ბუნებრივ „ეგო“-სთან ურთიერთობის განწყვეტით მთლიანად დაჰკარგავს ადამიანურ ბუნებას. მე აქ აღარ შევუდგები ამის ახსნას, თუ რად გარდაიქმნება ადამიანური ბუნება. ამაზე საკმაოდ ვრცლად წერია ამ წიგნის პირველ, მეორე და მესამე თავებში. უბრალოდ, ადამიანის მიერ გამოვლინებული არასასურველი კინემატიკური დონის მეორე ნაწილის ზოგად განხილვას

მოვახდენ, ესეც იმიტომ, რომ ადამიანური ბუნების განსაზღვრის-თვის აუცილებლად მიმართა.

ბ) ბუნებრივ „ეგო“-სთან ცნობიერი ურთიერთობის დაკარგვისა და მთლიანად ხელოვნური „ეგო“-ს ინტერესებზე კონცენტრირების პროცესში ადამიანში გემოვნების წამყვანი როლის ადგილს იკავებს აზროვნება. ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს მთელს სამყაროსეულ რეალობაში უკვე წარმოშობილი და არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს მიერ წარმოჩინებული ცნობიერების საზღვრებს მიღმა არსებულ ბუნებრივ „მე“-ში ინდივიდის (ადამიანური ბუნების) მიერვე წარმოქმნილი ხელოვნური „ეგო“-ს ერთადერთ ბუნებრივ პრობლემად წარმოჩინებას. ამ დონეში თვითგამოვლინების უნარი იხარჯება ხელოვნურ „ეგო“-სთან მაქსიმალურად შეთვისების მისაღწევად.

ამ დონეში მამაკაცის გული სინდისის კარნახით კონტროლისკენ არის მიმართული და დამოუკიდებლად განსწავლულობის რეალიზაციის სწრაფვისკენ სურვილში გამოიხატება. მამაკაცის ტვინი, სირცხვილის კარნახით, ტრახახისკენ არის მიმართული და რეალობაში არსებული გარემოს დასაკუთრების სურვილში გამოიხატება. გულის მხრიდან კონტროლი და ტვინის მხრიდან ტრახახი ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორცაა **შუ-რი**. საბოლოო ჯამში, მამაკაცის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუნოდოთ არსებული პოზიტიურობის მით(ა)ვისების სურვილი.

ამავე დონეში ქალის გული, სინდისის კარნახით, მიმბაძველობისკენ არის მიმართული და სპეკულაციური ცოდნის მატერიალურად გამოვლინებული რეალიზირებული ზედაპირულობის განსწავლის სწრაფვისკენ სურვილში გამოიხატება. ქალის ტვინი, სირცხვილის კარნახით, ცნობისმოყვარეობისკენ არის მიმართული და მის გარშემო არსებულ რეალობაში საოცნებო რეალობის პოვნის სწრაფვისკენ სურვილში გამოიხატება. გულის მხრიდან – მიმბაძველობა და ტვინის მხრიდან – ცნობისმოყვარეობა ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორცაა შეცოდ(ვ)ება. საბოლოო ჯამში, ქალის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუნოდოთ არსებული ნეგატიურობის შერბილების, მასში არარსებული პოზიტიურობის დანახვის სურვილი.

ამ დონეზე, შეიძლება ითქვას, აქ აღწერილი რეალობა საკმარისზე მეტად მიუსადაგება იმ რეალობას, რა დროშიც და რა ეპოქალურ პერიოდშიც ეს წიგნი იქმნება. ვფიქრობ, ძალიან ძნელი იქნებოდა ამ ყოველივეს ასე აღწერა, საკუთარი თვალთ რომ არ მენახა ყოველივე და არ ვყოფილიყავი უშუალოდ ამ რეალობის მიმდინარეობის პროცესში ადამიანის სახით გამოვლინებული. ისე რომ,

თუ გავითვალისწინებთ გარემოს, რომელშიც ეს წიგნი იწერება, წარმოიდგინეთ, რამდენად მცირეა ალბათობა, რომ ამას ვინმე წაიკითხავს და გაცილებით უფრო მცირეა ალბათობა, რომ გაიზიარებს. მაგრამ, თუნდაც ერთ ადამიანს თუ გამოავლინებებს და ადამიანურ ბუნებას აულორძინებს (რომ აღარაფერი ვთქვა საკუთარ პიროვნებაზე, როგორც ამ წიგნით დაკვალიანებულზე), მაშინ მიმაჩნია, რომ ეს შრომა არანაირად არ შეიძლება იყოს ფუჭი და ტყუილუბრალოდ განეული.

ახლა კი, გადავიდეთ ადამიანის მიერ გამოვლინებული სასურველი კინემატიკური დონის რაობის ახსნა-განმარტებაზე. ეს გამოვლინებულობაც ორი ნაწილისგან შედგება:

ა) ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირება.

ბ) ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა, ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნა.

ალბათ სრულიად გასაგებია, მაგრამ მაინც აღვნიშნავ იმას, რომ აქ აღნიშნულ სასურველ კინემატიკურ მიმართულებაზე გადასვლა ხდება ადამიანის სასტარტო დონიდან, ანუ საკუთარი ადამიანური ბუნების სასტარტო დონემდე მიყვანისა და მის სრულფასოვნად დაკმაყოფილების (გავლის) შემდგომ.

ა) ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირების ანუ მისი ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის მიმდინარეობის პროცესში ადამიანში სარწმუნო(ვნ)ების წამყვანი როლის ადგილს იკავებს **სასოება** (იმედოვნება). ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს მთელს სამყაროსეულ რეალობაში უკვე წარმოშობილი და არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს მიერ წარმოჩინებული ცნობიერების საზღვრებში, თვითგამოვლინების უნარის გამოყენებით, მის (ბუნებრივი „ეგო“-ს) შემცირებას (შემცირებული ნაწილის ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნით). ვფიქრობ, არასოდეს უნდა დავივიწყოთ მუდმივობის კანონი: **„არასდროს არაფერი არ იკარგება, ყველაფერი ერთმანეთში გარდაისახება რაიმენაირი ფორმით“**.

ამ დონეში მამაკაცის გული, სინდისის კარნახით, ერთგულებიდან არის მიმართული. ეს ერთგულება გამოიხატება სამყაროს უზენაესი პიროვნებისკენ სწრაფვის სურვილში. მამაკაცის ტვინი, სირცხვილის კარნახით, კომპეტენტურობისკენ არის მიმართული. ეს კომპეტენტურობა კი გამოიხატება მთელს არსებულ რეალობასთან საკუთარი პიროვნების მიერ ჩადენილი საქმიანობის მაქსიმალური საჭიროებითა და სრულყოფილებით შესრულებისკენ სწრაფვის სურვილში. გულის მხრიდან – ერთგულება და ტვინის მხრიდან – კომპეტენტურობა ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების

ისეთ ცნებას, როგორცაა **პატიოსნება**. საბოლოო ჯამში, მამაკაცის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ **პოზიტიურობის დამკვიდრებისა და დაცვის სურვილი**.

ამავე დონეში ქალის გული, სინდისის კარნახით, გულახდილობისკენ არის მიმართული. ეს გულახდილობა გამოიხატება მამაკაცისთვის საკუთარი პიროვნების (საკუთარი არსის, გონების) მთლიანად დანახვების, გაგებინების სწრაფვისკენ სურვილში. ქალის ტვინი, სირცხვილის კარნახით, კორექტულობისკენ არის მიმართული. ეს კორექტულობა კი გამოიხატება მთელს არსებულ რეალობასთან ისეთი მოპყრობით, როგორი მოპყრობის სურვილიც თვით ამ რეალობას გააჩნია საკუთარი თავის მიმართ, ანუ გამოიხატება გარემოს ბუნებრივი ნების მიღების სწრაფვისკენ სურვილში. გულის მხრიდან – გულახდილობა და ტვინის მხრიდან – კორექტულობა ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორცაა **სამართლიანობა** (და არა ობიექტურობა; მათ შორის უზარმაზარი განსხვავებაა). საბოლოო ჯამში, ქალის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ ნეგატიურობის პოზიტიურობად გარდაქმნის სურვილი.

ამ ორ დონეზე შეიძლება ითქვას, რომ აქ აღწერილი არის ის, რასაც ადამიანები უწოდებენ სულიერ ცხოვრებას მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში. ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგულისხმება ხელოვნური „ეგო“-ს ჯერ არ არსებობა, ამ დონეებში აღწერილი საქმიანობით დროთა განმავლობაში ხდება ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირება, მისი გარდაქმნა ბუნებრივ „მე“-დ. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანური ბუნება იწყებს იმ ფუნქციონალური დანიშნულების აღსრულებას საკუთარი თვითგამოვლინებით, რაც მისთვის იყო განკუთვნილი და გაპიროვნებული მისი ინდივიდუალიზირებული სახით გამომვლინებელთა მიერ. **ძირითადი ნამყვანი ძალა არის სასოება, იგივე იმედოვნება გამოვლინებული ადამიანურ ბუნებაში**. პრინციპში, ადამიანური ბუნებისთვის სწორედ ამას შეგვიძლია ვუწოდოთ ჭეშმარიტი რწმენა. ადამიანთა მიერ გამოვლინებული პატიოსნება და სამართლიანობა ორი უდიდესი მაღლის მატარებელი ხდება მათთვის, ვისაც ჭეშმარიტად შესწევთ ძალა იმისა, რომ ადამიანები (ადამიანური ბუნება) უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ. მათ უჩნდებათ ძალიან დიდი შანსი სრულად მიიყვანონ საკუთარი ინდივიდუალობა საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმუმამდე და ამით დაეხმარონ მთელს არსებულ სამყაროსაც ბუნებრივი „ეგო“-ს მთლიანად აღმოფხვრაში, ანუ მის გარდაქმნაში ბუნებრივ „მე“-დ.

ახლა კი გადავალ იმაზე, თუ რას მოიცავს თავის არსში ადამიანის (ადამიანური ბუნების) მიერ საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმუმის მიღწევა სასურველი მიმართულებით.

ბ) ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრის ანუ მისი ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის პროცესში ადამიანში სასოების (იმედოვნების) წამყვანი როლის ადგილს იკავებს სიყვარული (საამოვნება). ეს ცნება თავის არსში მოიაზრებს მთელ სამყაროსეულ რეალობაში არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს მთლიანად გარდაქმნას ბუნებრივ „მე“-დ, თვითგამოვლინების უნარის, პოტენციალის რეალიზაციით მაქსიმალურად საჭირო მიმართულებით. ვიდრე არსებობს პოტენციალი, ის რამეში უნდა დაიხარჯოს, და თუ ადამიანს უჩნდება ისეთი ასოციაცია, რომ ეს შეუძლებელია, ის აუცილებლად დაიწყებს თვითგამოვლინების უნარის გამოყენებას არასასრუველი მიმართულებით. ისე რომ, ამ შემთხვევაში შიში უმაღლეს დონეზე ასვლისა თავმდაბლობა კი არ არის, უფრო იმ პასუხისმგებლობაზე უარის თქმაა, რომელიც ძვეს ადამიანურ ბუნებაზე ე. ი. ადამიანებზე. თუ ცოცხალი არსება ადამიანად არის მოვლენილი, მაშინ კეთილი უნდა ინებოს და მასზედ დაკისრებული ფუნქციონალური დანიშნულება უნდა შეასრულოს. ადამიანი უბრალოდ ვალდებულია მუდმივად სრულყოფილებისკენ ისწრაფოდეს, ვიდრე თავისი (ადამიანური ბუნების) პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმუმს არ მიაღწევს. აი, ახლა კი, მოდით, ვნახოთ, რა არის ადამიანური ბუნებისათვის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევის რაობა.

ამ დონეში მამაკაცის გული, სინდისის კარნახით, უშუალობისკენ არის მიმართული. ეს უშუალობა კი გამოიხატება ნებისმიერი სიტუაციის წინასწარ განჭვრეტასა და დაგეგმვისაგან გათავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილში. მამაკაცის ტვინი სირცხვილის კარნახით მყუდროებისკენ არის მიმართული. ეს მყუდროება კი გამოიხატება მთელს არსებულ რეალობაში საკუთარი პიროვნების მიერ ჩადენილი საქმიანობისაგან და ამ საქმიანობის შედეგებისაგან განჯაჭვულობისკენ (არ მიწებებისკენ) სწრაფვის სურვილში. გულის მხრიდან – უშუალობა და ტვინის მხრიდან – მყუდროება ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორიცაა **ღირსეულობა**. საბოლოო ჯამში მამაკაცის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ **არსებული ნეგატიურობისაგან გამიჯვნის (განდგომის, განზე დგომის) სურვილი**.

ამავე დონეში ქალის გული, სინდისის კარნახით, კდემამოსილებისაკენ (სიღრმეში წვდომის სურვილისაკენ) არის მიმართული. ეს კდემამოსილება გამოიხატება მამაკაცის (განმგებლის) გამოვ-

ლინებული ნების მთლიანად მიღებისკენ სწრაფვის სურვილში. ქალის ტვინი, სირცხვილის კარნახით, სიფაქიზისკენ (სიღრმეში წვდომით აღქმულის დაცვისკენ) არის მიმართული. ეს სიფაქიზე კი გამოიხატება მთელ არსებულ რეალობაში გამოვლინებული გარემოსაგან განჯაჭვულობისკენ (არაფერზე და არაფერზე არ მიჯაჭვულობისკენ) სწრაფვის სურვილში. გულის მხრიდან – კდემამოსილება და ტვინის მხრიდან – სიფაქიზე ერთად ქმნიან ჭკუის გამოვლინების ისეთ ცნებას, როგორიცაა **თანაგრძნობა**. საბოლოო ჯამში ქალის ამ დონეში მოქმედებას შეგვიძლია ვუწოდოთ **არსებული პოზიტიურობის ობიექტურად შეფასების სურვილი**.

ამ დონეებზე შეიძლება ითქვას, რომ აქ აღწერილი არის ის, რასაც ადამიანები უწოდებენ სულიერ სამყაროში დაბრუნებას მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდშიც კი. ეს გახლავთ ადამიანის (ადამიანური ბუნების) მიერ საკუთარი ფუნქციონალური დანიშნულების მთლიანად აღსრულებულობის გამოსატვის ფენომენი. ძირითადი წამყვანი ძალა ამ შემთხვევაში არის სიყვარული, იგივე ადამიანურ ბუნებაში გამოვლინებული საამოვნება. პრინციპში ადამიანური ბუნებისათვის სწორედ ამას შეგვიძლია ვუწოდოთ ჭეშმარიტი ნდობა. ადამიანთა მიერ გამოვლინებული ღირსეულობა და თანაგრძნობა არიან ის ორი უდიდესი მადლის მატარებელი, როლებსაც შესწევთ ძალა იმისა, რომ ადამიანებს საკუთარი თვითგამოვლინების უნარის მაქსიმალურად საჭირო და სასურველი გამოვლინება შეაძლებინონ. ამით ისინი ადამიანური ბუნების საზღვრებში მაქსიმალურ, დადებით ზღვარს აღწევენ და მთელს არსებულ სამყაროსაც (თავისდაუნებურადაც კი) ეხმარებიან მასში არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნაში.

აი, ეს გახლავთ ადამიანური ბუნების მთელი დიაპაზონი. ახლა კი ამ ყველაფერს, რაც დაინერა ამ დიაპაზონთან დაკავშირებით, ერთ ცხრილურ ფორმაში მოვაქცევ, რათა უფრო ადვილი იყოს ამდენი ცნების ერთად დანახვა, დაკომპლექტება და მათი საშუალებით ხელმძღვანელობა ცხოვრებაში.

ეს არის ადამიანური ბუნების შესაძლო თვითგამოვლინების მთელი დიაპაზონის აღმწერელი ცხრილი.

მეორე ნაწილი

**სულიერ სამყაროში თვითდამკვიდრებისათვის,
ალარ დაცემისა და ალარ ჩამოვარდნისათვის
საჭირო და აუცილებელი
ცოდნა**

წინამდებარე სახელმძღვანელოს ეს ნაწილი მოიცავს ადამიანური ბუნების მიერ გამოვლინებულ სასურველ კინემატიკურ და ამავე ბუნების მიერ გამოვლინებულ სასურველ დინამიკურ დონეებს. თავად ადამიანი და ადამიანური ბუნება ამ შემთხვევაში განიხილება როგორც დაბალი იერარქიული საფეხურის წარმომადგენლობითი ნაწილი.

ამ ნაწილს მიეკუთვნებიან აგრეთვე ზეადამიანური ანუ ღვთიური და ე. წ. ცოცხალი, ცხოველი ბუნების წარმომადგენლობითი ნაწილები. ისინი მარადიული სამყაროს წარმომადგენლები და ადამიანური ბუნების გამოვლინების მიზეზნი არიან. ღმერთები და მათ გარემოცვაში არსებული ნახევარღმერთები ინდივიდუალური გამოვლინებულობის ყველაზე მაღალი და უმაღლესი იერარქიული საფეხურის წარმომადგენლობით ნაწილს წარმოადგენენ.

ამ ნაწილს მიეკუთვნება აგრეთვე აბსოლუტის (აბსოლუტური ქეშმარიტებისა და აბსოლუტური ცნობიერების) შესახებ აუცილებლად შესაცნობი ცოდნა. ის წარმოდგენილი იქნება მცირედი, ზედაპირული სახით, იმხელაზე, რამხელაზეც აუცილებლად საჭიროა დაცემისაგან თავდასაცავად.

**სქესობრივი აქტის ფუნქციონალური და
ვიზუალური რაობა ადამიანური
ბუნების გადასახედიდან**

აქ აღარანაირი სახით ალარ შევხებით ადამიანური ბუნების გამოვლინებას არასასურველი კინემატიკური და არასასურველი დინამიკური მიმართულებით. ჩათვალეთ, რომ აქ ათვლის სათავე დადებულია ადამიანური ბუნების სასტარტო, სტატიკურ დონეზე და განიხილება მხოლოდ საჭირო და სასურველი მიმართულებების ზოგადცნობიერული საკითხები. ვისაც არასაჭირო და არასასურველი მიმართულებების განხილვის სურვილი აქვს შეუძლია, ჩართოს ტელევიზორი, მოუსმინოს რადიოს, გაისეირნოს ქუჩაში, დაე-

ლაპარაკოს ადამიანთა უმრავლესობას და, ვფიქრობ, სრულად შეძლებს თავისი ინტერესების მთლიანად დაკმაყოფილებას.

მაშ ასე, მოდით, იმას დავუბრუნდეთ, რაც აქ განისაზღვრა განსახილველად. ვინაიდან ადამიანური ბუნება კონკრეტული გამოვლინებული სახით არის წარმოდგენილი, იგულისხმება, რომ ე. წ. ბუნებრივი „ეგო“ არსებობს და მასთან არასწორად მიდგომა მამაკაცსა და ქალს შორის ურთიერთგაუგებრობის, „განხეთქილების ვაშლის“ მიზეზი შეიძლება გახდეს. თავისზე უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ ზეადამიანურ წარმომადგელებთან შეთანხმების გარეშე ადამიანები (მამაკაცი ან ქალი) არ უნდა დაინტერესდნენ აბსოლუტის ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და აბსოლუტური ცნობიერების შეცნობით. ეს ძალიან ვრცელი თემაა, უამრავ გრაფიკულ ახსნა-განმარტებითი მონაცემების წარმოდგენას მოითხოვს და ამ წიგნით არ შეიძლება მოგეცეთ. ეს თავად უნდა მიიღოთ სამყაროს უზენაესი პიროვნებისა და სამყაროს უწმინდესი პიროვნების მხრიდან უშუალოდ (სათითაოდ ყველას).

მამაკაცშიც და ქალშიც სასურველი კინემატიკური თვითგამოვლინების პროცესში ჩნდება ამ თვითგამოვლინებულობის შესაბამისი ცოდნა. კერძოდ, მამაკაცში – დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების შესახებ, ხოლო ქალში – დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების დამკვიდრების (ზოგად ცნობიერებად გარდაქმნის) აუცილებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცისთვის მინიჭებული ცოდნა გაცილებით უფრო კონკრეტულია (თუმც, ამკარად აბსტრაქტულია), ვიდრე ქალისთვის მინიჭებული ცოდნა. ქალისთვის მინიჭებული ე. წ. ცოდნა უფრო ემოციური პოტენციური ენერგიაა, რომელიც გონებრივ დონეზე უნდა გამოვლინდეს. ხოლო მამაკაცისთვის მინიჭებული ცოდნა უფრო ამბიციური პოტენციური ენერგიაა, რომელიც გრძნობისმიერ დონეზე უნდა გამოვლინდეს.

ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციონალური გადასახედიდან სწორედ დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს. რაც შეეხება ვიზუალურ ასპექტს, ეს უნდა იყოს სრული ურთიერთგაგებით გაჯერებული ურთიერთობები, სადაც შინაგანი დაპირისპირება, ნყენა, ბრაზი, როგორც ასეთი, საერთოდ არ უნდა არსებობდეს.

ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის ხდება საკუთარი შეხედულებების ურთიერთგაზიარების დონეზე. თავად ამ შეხედულებებს კი, ამ ორ ადამიანში არსებული ინტერესები აყალიბებენ.

ალბათ არც ისე რთულ რალაცას წარმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ ადრე თუ გვიან ურთიერთგაზიარების ფორმა საკუთარი შეხედულებების ერთმანეთისთვის სრულად გადაცემას (საკუთარი არსის სრულად დახარჯვას) ვერ უზრუნველყოფს. მინდა აღვნიშნო, რომ ეს თავად შედეგი იქნება მამაკაცში და ქალში ამოტივტივებული პირადი ინდივიდუალური ინტერესებისა, საკუთარ პიროვნებაზე ან ნებისმიერ რაიმეზე ან ვინმეზე თუნდაც მცირედი, იოტისოდენა მიჯაჭვებისა, მიწებებისა. აი, სწორედ ამ დროს ჩნდება მათ შორის სქესობრივი აქტის აუცილებლობა.

კონკრეტულად ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ადამიანები წარმოდგენილი იქნებიან წარმოსახვითი, მენტალური სხეულებით, თუ ხორციელი, მატერიალური სხეულებით. მთელი დატვირთვა გადადის სქესობრივი აქტის შინაგანი აღქმის რაობაზე ადამიანების მხრიდან. ეს აქტი ცალსახად უნდა ემსახურებოდეს როგორც მამაკაცში, ისე ქალში სქესობრივი ლტოლვის სურვილის წარმოშობამდე არსებული სულიერი მთლიანობის, სრული ურთიერთგაგების აღდგენას. თვით აქტის პროცესში კი მამაკაცში უნდა მოხდეს ჩაგროვილი ამბიციების გრძნობის პარამეტრად გარდაქმნა, ხოლო ქალში უნდა მოხდეს ჩაგროვილი ემოციების გონების პარამეტრად გარდაქმნა. შეიძლება ვინმეს ეს ადვილად მოეჩვენოს, მაგრამ პირადად ჩემი მხრიდან მინდა გითხრათ, რომ ამის აღქმამდე და შეგრძნებამდე მისვლას იმდენი დრო დასჭირდა, რა ასაკისაც ვარ და ისიც საკუთარ თავზე ინტენსიური, 24-საათიანი მუშაობის საშუალებით. ამის ცოდნა და პრაქტიკულად განხორციელების უნარი ნებისმიერ ადამიანს არათუ სულიერ სამყაროში დააბრუნებს, მუდმივად უკეთესობისკენ, სულიერად გაზრდისკენ წაიყვანს და მთელი ამ პროცესების მიმდინარეობის განმავლობაში მაქსიმალური ბედნიერებისა და ნეტარების მდგომარეობაში ამყოფებს.

ახლა ამის ახსნას შევეცდები ე. წ. ვიზუალური გადასახედიდან, ანუ ადამიანური ცნობიერების გადასახედიდან (ადამიანურ ენაზე). მამაკაცმა არასოდეს არ უნდა მოინდომოს დაამყაროს არაკანონიერი სქესობრივი კონტაქტი ქალთან (ღვთისა და ადამიანების კანონმდებლობის მიხედვით). კანონით მინიჭებული უფლების შემთხვევაშიც კი არასოდეს არ უნდა მოინდომოს ქალი, როგორც მატერიალური სხეული. ყოველთვის უნდა ეცადოს აღიქვას ქალი, როგორც სულიერი სხეული და ჩასწვდეს მისი სულიერი ბუნების რეალურ არსს. თავისთვის უნდა განსაზღვროს და განაზოგადოს,

რა შეხედულებები შეიძლება მიანოდოს ქალს თავისი მხრიდან და რისი მიცემა არ შეიძლება (რა არის ნაადრევი). განგების მიერ მისთვის განსაზღვრულ, მასთან თანამცხოვრებ ქალს (მეუღლეს) ისე უნდა უდგებოდეს და აღიქვამდეს, როგორც საკუთარ „მე“-ს, თავის სულიერ ნაწილს. სქესობრივი აქტის პროცესში, მისი სხეულის დაუფლებაზე კი არა, პირიქით, საკუთარი სხეულის ქალისთვის მთლიანად მიცემაზე, მისი სურვილების საშუალებად გადაქცევაზე უნდა ზრუნავდეს (იგულისხმება საკუთარი სხეული). სამაგიეროდ მთლიანად უნდა შეიგრძნოს ქალის ინდივიდუალური სული და საკუთარი ინდივიდუალური სულიდან ის გადასცეს, რაც მას ჭეშმარიტად სჭირდება და რისი ალების უნარიც ჭეშმარიტად გააჩნია. ქალის სხეულს კი სქესობრივი აქტის პროცესში ზედმინვნით სათუთად უნდა ექცეოდეს და ისე უნდა მოახერხოს, რომ ქალს სასურველიც კი არაფერი დარჩეს. იმდენად სრულყოფილად უნდა ასიანოვნოს, რომ ქალი აბსოლუტურად, სრულად დაკმაყოფილდეს. ასეთი დონის სქესობრივი აქტის შედეგად ქალი მთლიანად მიენდობა მამაკაცს და მასში ემოციები გონებად გარდაიქმნება.

ახლა კი ქალთან დაკავშირებულ შეხედულებებს შევეხებით სქესობრივ აქტთან მიმართებაში.

ქალმა საერთოდ, ალბათობის დონეზეც კი, უნდა გამორიცხოს არაკანონიერი კონტაქტის დამყარება მამაკაცთან. კანონით მინიჭებული უფლების შემთხვევაშიც კი არ უნდა მისცეს საკუთარ თავს იმის უფლება, რომ მამაკაცი საკუთარი სხეულის დაკმაყოფილების საშუალებად აღიქვას. ყოველთვის უნდა ეცადოს, მიიღოს მამაკაცი ისეთად, როგორც ის არის, საკუთარ ტვინში მისი „ცუდი“ მხარეების ძიება არ მოინდომოს (ამით ქალი მამაკაცს, როგორც სულიერი სხეულის აღქმასა და მის სულიერ ბუნებრივ არსში წვდომას, თავისდაუნებურადაც კი მოახდენს). თავისთვის უნდა განსაზღვროს და განაზოგადოს, რის შესახებ სურს მამაკაცის შეხედულებების გაგება (რა რაოდენობითა და რა ხარისხით). განგების მიერ მისთვის განსაზღვრულ, მასთან თანამცხოვრებელ მამაკაცს (მეუღლეს) ისე უნდა უდგებოდეს და აღიქვამდეს, როგორც თავის „მე“-ს, საკუთარ მატერიალურ (ან მენტალურ) ნაწილს. სქესობრივი აქტის პროცესში, მამაკაცის მიერ საკუთარი სხეულის შეფასებაზე (საკუთარი სხეულით მის მოხიბვლაზე) კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ პირიქით, უნდა სურდეს საკუთარი ინდივიდუალური სულით (საკუთარი სულის მთლიანად დანახვებით და შეგრძნებინებით) დააინტერესოს იგი. სამაგიეროდ, თავად მთლიანად უნდა

შეიგრძნოს მამაკაცის ინდივიდუალური სხეული და საკუთარი ინდივიდუალური სხეულით უნდა შეეცადოს მთლიანდ შეერწყას მას. ეს იმხელაზე უნდა მოხდეს, რამხელა ემოციური გამოვლინებაც არსებობს ქალში. მამაკაცის სულს კი (ამ შემთხვევაში მამაკაცის ნებას), სქესობრივი აქტის პროცესში სრული მორჩილების სულისკვეთებით უნდა მიჰყვეს და ისე უნდა მოახერხოს, რომ მამაკაცის ნება მთლიანად სრულყოფილად დააკმაყოფილოს. ამის შედეგად მამაკაცი სრულ სიამოვნებას, ნეტარებას განიცდის, ხოლო ქალი სრულ კმაყოფილებას, ბედნიერებას მოიპოვებს.

ასეთი დონის სქესობრივი აქტის შედეგად მამაკაცი მთლიანად დარწმუნდება იმაში, რომ ეს ქალი მისი სრულფასოვანი, აბსოლუტურად შესაბამისი სულიერი ნაწილია და მასში ამბიციები გრძნობად გარდაიქმნება.

ასეთი დონის სქესობრივი აქტი (ადამიანური ბუნების მქონეთათვის) ადამიანებისათვის სრული ურთიერთგაგების აღდგენის იდეალურ საშუალებას წარმოადგენს და ადამიანთა სრულყოფილებისკენ სწრაფვის გზის გაგრძელების აღდგენას ემსახურება.

ადამიანთა (ადამიანური ბუნების) ჭეშმარიტად საჭირო და სასურველი თვითრეალიზაციის რაობა

აქ ლაპარაკი გვექნება ისეთ საქმიანობებზე, რომელთა ზედმიწევნით სრულყოფილად შესრულება მთლიანად უზრუნველყოფდა მამაკაცსა და ქალს (თითოეულის გულსა და ტვინს) შორის აბსოლუტური ურთიერთგაგების უცვლელი, მუდმივი, მდგრადი ატმოსფეროს დამყარებას. ეს არის ის დონე, ვიდრე სქესობრივი ლტოლვა წარმოიქმნებოდა. სწორედ ამ საქმიანობათა დარღვევის შედეგად ხდება აუცილებელი სქესობრივი აქტის ჩატარება. როგორც არ უნდა სრულქმნათ სქესობრივი აქტის პროცესი, ის მაინც საჭირო საქმიანობის დარღვევის შედეგი გახლავთ და თავად სქესობრივი აქტის მიზანიც ამ საქმიანობაზე ადამიანის დაბრუნებაა. ეს საქმიანობა ნორმალურად მიმდინარეობს, ვიდრე ადამიანში ბრაზი (ამბიციია) და ვნება (ემოცია) ჩაისახება.

ეს შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ დამენახებინა, თუ რამდენად გრანდიოზული მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის იმას, რის დანერსაც ახლა ვაპირებ. ეს საქმიანობა ოთხი საფეხურით შეგვიძლია გადმოვცეთ. აქედან ორი იქნება სასურველი კინემატი-

კური დონის დაკმაყოფილების შესაბამისი (მამაკაცისთვის და ქალისთვის ცალ-ცალკე) და ორი იქნება სასურველი დინამიკური დონის დაკმაყოფილების შესაბამისი. მათ ასახსნელად იმ ცოდნის ფუნქციონალურ დანიშნულებას გამოვიყენებ, რა ცოდნაც ახალი აღქმის შვიდ საიდუმლოდ მოხსენიებულ და ადამიანებისათვის სპეკულაციურად მიწოდებულ ცნობიერ გაგებაში ძვეს (რაც ჯერ არ გამოუყენებიათ ადამიანებს დანიშნულებისამებრ).

ადამიანური ბუნების მიერ სასურველ კინემატიკურ დონეში თვითრეალიზაცია (თვითგამოვლინება)

1. მამაკაცის სასურველი თვითგამოვლინება კინემატიკურ დონეში

საკუთარ წარმოსახვაში არსებული ინდივიდუალური შეხედულებების გაზიარება ნებაყოფილებითობისა და არაძალადობის სრული დაცვით

1. ა) სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან, მამა ღმერთთან, მიმართებაში, მამაკაცმა საკუთარი შეხედულებების გაზიარება უნდა მოახდინოს მორჩილი თაყვანისცემის (ტვინის მხრიდან) და სრულყოფილებისაკენ სწრაფვის (გულის მხრიდან) სულისკვეთებით. ეს მამაკაცისთვის გაზიარების უზენაეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც თავისზე მაღალი ეთიკური დონის უზენაეს წარმომადგენლობით ნაწილთან, განსახილველი საკითხების ყველაზე კომპეტენტურ შემფასებელთან.

ამ მიმართულებით, თვითგაზიარებულობის პროცესში მამაკაცის (ზოგადად მამაკაცური სანყისის) გულში აღსარებისა – და ტვინში – სინანულის გამოხატვისა და შეგრძნების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული აღსარება იქნება გარანტი იმისა, რომ მამაკაცი მთლიანად გახსნილად, ხელისგულზე გადაშლილივით უჩვენებს მამა ღმერთს თავის სულს. ეს საუკეთესო და, ალბათ, ერთადერთი საშუალებაა კინემატიკის დონეზე მამა ღმერთისადმი სრული ერთგულების გამოხატვისა მისი მხრიდან.

ტვინის მხრიდან გამოსული სინანული კი, გარანტი იქნება იმისა, რომ მამაკაცი მთლიანად დაიხარჯა განსახილველი საკითხების დამოუკიდებლად განხილვაში, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამ საკითხის საჭიროდ შეცნობა. მას აქვს უზარმაზარი რიდი და პატი-

ვისცემა მამა ღმერთისადმი და ეუხერხულება მისი შენუხება საკუთარი პერსონის პრობლემატიკაში დახმარების თხოვნით. ეს ალბათ ერთადერთი და საუკეთესო საშუალებაა კინემატიკურ დონეზე მამა ღმერთისათვის საკუთარი კომპეტენტურობის ხარისხის დონის მთელი სიგრძე-სიგანით დანახვებისა.

აი ასეთი სულისკვეთებით (აღსარებითა და სინანულით) მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) მიმართვა მამა ღმერთისადმი საკუთარი შეხედულებების გაზიარებისა და მათი ობიექტურად შეფასებაში დახმარების სურვილით, არასოდეს დარჩება პასუხგაუცემელი სამყაროს უზენაესი პიროვნების მხრიდან. იგი თავისი მხრიდან ამ შეხედულებების ზედმინვენით შესაბამის შეფასებებს, აბსოლუტურად კომპეტენტურ და ზუსტად საჭირო (რაოდენობითა და ხარისხით) ცოდნას მიანიჭებს მამაკაცს შინაგანი წარმოსახვის დონეზე. აი, ეს მიღებული ცოდნა კი შემდგომ მამაკაცის მიერ სრულყოფილად უნდა გადაიხარშოს ჯერ და მყარად უნდა გაჯდეს საკუთარ არსში (წარმოსახვაში). შემდგომ ამისა, ქალური სანყისისკენ უნდა იქნას მივლინებული, როგორც სამყაროში არსებული ბუნებრივი „ეგო“-ს რაღაც ნაწილის ბუნებრივი „მე“-დ გარდაქმნის ერთადერთი ბუნებრივი საშუალება. გარწმუნებთ, მამა ღმერთიცა და მამაკაცი-ადამიანიც ზედმინვენით უსაზღვრო სიამოვნებას მიიღებენ ამ ზიარებით.

1. ბ. მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) მხრიდან ქალთან (ქალურ სანყისთან) საკუთარი არსის გაზიარება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მამა ღმერთთან გაზიარების შემდგომ მისთვის მინიჭებული ცოდნის გაჯერება მოხდება მასში (მამა ღმერთთან გაზიარებამდე არსებული ვერ გაცნობიერული ცოდნის გარშემო). ეს მამაკაცისათვის გაზიარების უწმინდეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც თავისზე დაბალი ეთიკური დონის, მაგრამ თავისზე მაღალი ესთეტიკური დონის წარმომადგენლობით ნაწილთან, განხილული საკითხების ესთეტიკური ფორმით გამომხატველთან.

ამ მიმართულებით თვითგაზიარების პროცესში მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) გულში მღვდლობისა და ტვინში ნათლისღების გამოხატვისა და დამკვიდრების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული მღვდლობა იქნება გარანტი იმისა, რომ მამაკაცი ქალთან (ქალურ სანყისთან) მიმართებაში იქნება მთლიანად თავისუფალი პიროვნული ანგარებისაგან. ეს არის საუკეთესო და ალბათ ერთადერთი საშუალება იმისა, რომ კინემატიკის დონეზე მამაკაცი ქალთან მიმართებაში მთლიანად იყოს გუ-

ლახდელი ანუ იყოს ის, რაც არის, არ გამოერიოს მასში სიყალბის თუნდაც ციციქნა გამოვლინება.

ტვინის მხრიდან გამოსული ნათლისლება იქნება გარანტი იმისა, რომ მამაკაცმა აღიაროს ქალის (ქალური სანყისის) უპირატესობა ესთეტიკისა და ესთეტიზირების საკითხებში ანუ არ დაავადდეს საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებით. ეს არის საუკეთესო და, ვგონებ, ერთადერთი საშუალება კინემატიკის დონეზე მამაკაცი (მამაკაცური სანყისი) ქალთან (ქალურ სანყისთან) მიმართებაში იყოს ზედმინვენით კორექტული ანუ არ მისცეს საკუთარ თავს იმის უფლება, ღმერთის მიერ მისთვის უნაგაროდ ბოძებული ცოდნის საფუძველზე ქალს „ზემოდან“ დაუნყოს ყურება და თავისზე დაბლა მდგომ ცოცხალ არსებად მონათლოს.

დამერწმუნეთ, აქ ჩამოთვლილი თითქოს ელემენტარული თეზისების შესრულება ძალიან რთულ საქმეს წარმოადგენს. სწორედ მათი დარღვევა იწვევს ხოლმე მამაკაცსა და ქალს (მამაკაცურ და ქალურ სანყისებს) შორის ურთიერთგაგების ურთიერთგაუგებრობად, შემდგომ კი – ურთიერთდაპირისპირებად გადაქცევას.

თუ მამაკაცის მხრიდან კინემატიკის დონეში ეს ე. წ. წესები დაცული იქნება (გარედან უხეში არ ჩერევის შემთხვევაში), ქალის მხრიდან აუცილებლად იქნება ადეკვატური პასუხი. ის აუცილებლად შეისმენს და გაიზიარებს მამაკაცის გაფილტრულ შეხედულებებს და უფრო მეტი სიყვარულითა და სითბოთი მოეკიდება მას, ვიდრე აქამდე ამას აკეთებდა. ქალისთვის ხომ სათნოების, ქველმოქმედების გამოვლინება ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს.

მე პირადად ერთი სურვილი და თხოვნა მექნებოდა მამაკაცების მიმართ:

მამაკაცებო, გაუფრთხილდით ქალებს! მათზე ძვირფასი თქვენ არაფერი არც გყოლიათ, არც გყავთ და ვერც გეყოლებათ. სანამ მათგან მოითხოვთ, თქვენში არ დაუშვათ ანგარება და ზედმეტად თავის დაფასება.

2. ქალის სასურველი თვითგამოვლინება კინემატიკურ დონეში გამოსახულებაში (შექმნილ რეალურ გამოვლინებაში) შემოსული შეხედულებების გაცნობა-გაზიარება ცხოველი ინტერესით

2. ა) ქალის (ქალური სანყისის) მხრიდან უნდა მომდინარეობდეს ცხოველი ინტერესი (სურვილი) მამაკაცის (მამაკაცური სანყი-

სის) მიერ მისთვის ახალი შეხედულებების მიწოდებისა, რომლებიც, თავის მხრივ, მთელი არსებული სამყაროს (გამოვლინებული რეალობის) გაკეთილშობილებას შეუწყობს ხელს და მათი განხორციელებით (რეალიზაციით) ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის პროცესს მოემსახურება. ეს ქალისთვისაც, ისევე როგორც მამაკაცისთვის, ურთიერთგაზიარების უნმინდეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს. ქალისთვის მამაკაცთან ურთიერთობა კინემატიკის დონეში უნდა წარმოადგენდეს თავისზე უფრო მაღალი ეთიკური დონის, მაგრამ თავისზე უფრო დაბალი ესთეტიკური დონის წარმომადგენელთან კონტაქტს.

ამ მიმართულებით ზიარების პროცესში, ქალის (ქალური სანყისის) გულში ქორწინებისა და ტვინში მრონცხების მიღწევის სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული ქორწინება იქნება გარანტი იმისა, რომ ქალი მთლიანად გათავისუფლდება გაზიარების წყაროს ძიებისაგან. ეს არის კინემატიკის დონეზე საუკეთესო და ერთადერთი საშუალება, რომ ქალი მამაკაცთან მიმართებაში იყოს სრულყოფილად გულისხმიერი, ანუ საკუთარი გულის კონცენტრირება მოახდინოს ერთ კონკრეტულ კინემატიკურ წყაროზე, მისთვის კანონიერად განსაზღვრულ მამაკაცზე.

ტვინის მხრიდან გამოსული მრონცხების სურვილი კი იქნება გარანტი იმისა, რომ ქალმა აღიაროს მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) უპირატესობა ეთიკის საკითხებში ანუ არ დაავადდეს საკუთარი უმნიშვნელობის შეგრძნებით (რამეთუ ვერ განეხორციელებინება ბუნებრივი მიდრეკილება, თავისზე მცირე ეთიკის მქონეებს გაუტოლოს თავი). ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება, კინემატიკის დონეში ქალი მამაკაცის მიმართ ცნობისწადილის სურვილით იყოს განმსჭვალული. ამის შედეგად ის აღარ მისცემს თავის თავს იმის უფლებას, რომ საკუთარი თავი მამაკაცზე ზევით დააყენოს და მამაკაცის მიერ მისთვის მიწოდებულ ცოდნაში (იგულისხმება ჭეშმარიტად ღირებული ცოდნა) ეჭვი შეიტანოს.

ამის შედეგად ქალი სტატიკური დონიდან კინემატიკურში გადაინაცვლებს, მისი ემოციები კი გონებისმიერ ცოდნად გარდაქმნება. ცნობისათვის ვიჭყვი, რომ მრონი, რომელიც ხატებიდან გარდმოდის (და კიდევ კარგი, ამის დანახვა და შეხება მანც შეუძლია ყველას) სხვა არაფერია თუ არა განრწმენდილი ადამიანისაგან (ან უფრო მაღალი იერარქიული დონის წარმომადგენლებისაგან) გამომავალი ე. წ. ოფლი. დიახ, წმინდანების ოფლიც საამო და სა-

თავყვანებელია. ეს, უხეშად რომ ითქვას, მათ ემოციებს (უფრო ადამიანურ ენაზე რომ ითქვას, მათ წუხილს) წარმოადგენს მთელს სამყაროში მიმდინარე არასწორად ორიენტირებულობაზე.

თუ ქალის მხრიდან ეს ე. წ. წესები იქნება დაცული, იგი აუცილებლად მისი მოსიყვარულე და მასზე მზრუნველი მამაკაცის გვერდში აღმოჩნდება და იქამდე იქნება ასეთ ბედნიერ ყოფაში, ვიდრე ამ წესებს არ დაარღვევს.

2. ბ) ქალის (ქალური სანყისის) მხრიდან სამყაროს უწმინდეს პიროვნებასთან საკუთარი არსის გაზიარება უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) მიერ მისთვის მინიჭებული ცოდნის მასში სრულად გაჯერება მოხდება (მამაკაცთან გაზიარებამდე არ არსებული ცნობიერების გარშემო). ეს ქალისთვის (ქალური სანყისისთვის) გაზიარების უზენაეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც თავისზე უფრო მაღალი ესთეტიკური დონის უზენაეს წარმომადგენლობით ნაწილთან, ესთეტიკურად სრულქმნის შეუპოვარი ძალისხმევის მქონესთან.

ამ მიმართულებით თვითგაზიარებულობის პროცესში ქალის (ქალური სანყისის) გულში ზეთის კურთხევის და ტვინში ზიარების გამოხატვისა და შეგრძნების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული ზეთის კურთხევა იქნება გარანტი იმისა, რომ ქალი მთლიანად სუფთა, არაემოციურ, ზოგად ცნობიერულ ცოდნას სთავაზობს სულიწმიდას საკუთარი სულის შესაფასებლად, განსახილველად. მას სურს გაიგოს, რა აზრისაა სულიწმიდა ამ ყოველივეს შესახებ. ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება კინემატიკის დონეში ჭეშმარიტი სიბეჯითის გამოვლინებისა სულიწმიდასთან, დედა ღმერთთან მიმართებაში.

ტვინის მხრიდან გამოსული ზიარების სურვილი კი, იქნება გარანტი იმისა, რომ ქალს ჭეშმარიტად მთლიანად სურს სულიწმიდას დაექვემდებაროს. აქაც (ისევე, როგორც მამაკაცის მამა ღმერთთან ურთიერთობისას) იკითხება უზარმაზარი რიდი და პატივისცემა დედა ღმერთის, როგორც სამყაროს უწმინდესი პიროვნების მიმართ. მიუხედავად პიროვნული კონტაქტისა, ის დისტანცია, რაც უნდა სუფევდეს ღმერთსა და ადამიანს შორის, ადამიანის (ქალის) მიერ მთლიანად უზრუნველყოფილია. ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება კინემატიკურ დონეზე სულიწმიდასთვის საკუთარი შეუპოვრობის დანახვებისა ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის სურვილში.

აი, ასეთი სულისკვეთებით ქალის (ქალური სანყისის) მიმართვა სულიწმიდისადმი არასოდეს დარჩება პასუხგაუცემელი სამყაროს უწმინდესი პიროვნების მხრიდან. იგი ქალს (ქალურ სანყისს) მინიმუმ იმ ცოდნის შესაბამისი რეალიზირებული გარემოთი უზრუნველყოფს, რასაც ეს ცოდნა, უხეშად რომ ვთქვათ, ინონის სამყაროში ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირების და მისი ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის საქმიანობის გადასახედიდან. ამიტომ მას ინდუიზმში ბედის ქალღმერთადაც მოიხსენიებენ. მაქსიმუმ კი, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ქალური სანყისიდან სულიწმიდამდე იმდენად ღირებულმა ცოდნამ მიაღწიოს, რომ სამომავლოდ თავის საქმიანობაში პატარა (ან უიშვიათეს შემთხვევებში დიდ) დამხმარე საშუალებადაც კი გამოიყენოს. ასეთი ცოდნის მიმწოდებელი, ჩემი შეხედულებით, თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ჭეშმარიტად ღირებული ცხოვრებით იქნება დაკავებული ამ ცოდნის მიღების, ადაპტირებისა და სულიწმიდისთვის მორიდებულად მიწოდების პერიოდში. ამ პერიოდში მისი ბედნიერება გარანტირებულია.

შენიშვნა: მთელი ამ თხზილ კინემატიკური დონის შესრულება ერთი ადამიანისთვისაცაა შესაძლებელი, თუკი იგი საკუთარ მამაკაცურ და ქალურ სანყისებს თავის „მე“-ში აღმოაჩენს, განაზოგავდებს, აღიქვამს და საჭირო საქმიანობით დააკავებს.

ადამიანური ბუნების მიერ სასურველ დინამიკურ დონეში თვითრეალიზაცია (თვითგამოვლინება)

3. მამაკაცის სასურველი თვითგამოვლინება დინამიკურ დონეში

საკუთარ წარმოსახვაში არსებული არაინდივიდუალური შეხედულებების გაზიარება სრულყოფილებისკენ სწრაფვისა და საკუთარი შიდა არსის გამჭვირვალობის სრული დაცვით

ეს იქნება ფუნქციონალურად უფრო მაღალი (უმაღლესი) საფეხური ადამიანური ბუნების მამაკაცური სანყისისათვის. იგი იქნება საკუთარი ინდივიდუალური სულის საჭიროდ მართვის უნარის ათვისება, მაშინ როდესაც წინამდებარე (კინემატიკური დონის) საფეხური იყო საკუთარი ინდივიდუალური მატერიალური (ან მენტალური) სხეულის საჭიროდ მართვის უნარის შეძენა. ამ, ე. წ. დინამიკურ დონეში, სრულად თვითგამოვლინების შემდგომ, შეიძლება ითქვას, რომ მამაკაცი (მამაკაცური სანყისი) თავისი შესაძ-

ლებლობების მაქსიმუმს მიაღწევს ადამიანური ბუნების გადასახედ-
დიდან და ე. წ. ზე-ადამიანურ, ღვთიურ ბუნებაში გადასვლის უფ-
ლებას მოიპოვებს, რაც, თავის მხრივ, იმით იქნება გამოხატული,
რომ არა მარტო სამყაროში წარმოქმნილი ბუნებრივი „ეგო“-ს დია-
პაზონში ექნება ცნობიერების აღქმა, არამედ მთელი იმ დონის
ცნობიერების აღქმის უნარი მიეცემა, რასაც თავად სამყაროს უზე-
ნაესი პიროვნება (მამა ღმერთი) ფლობს. ვფიქრობ, ახლა მაინც უნ-
და დამეთანხმოთ, რომ ამაზე დიდი და ღირებული მიზანი შეუძლე-
ბელია მამაკაცს (მამაკაცურ სანყისს) ჰქონდეს.

3.4) მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) მხრიდან ქალთან (ქა-
ლურ სანყისთან) ურთიერთობა ურთიერთგაგების ურთიერთმეგ-
რძნებად გარდაქმნას უნდა ემსახურებოდეს. ეს მამაკაცისთვის გა-
ზიარების უზენაეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც მასზე
უფრო დაბალი ეთიკური დონის, მაგრამ უფრო მაღალი ესთეტიკუ-
რი დონის წარმომადგენლობითი ნაწილის მიერ განსახილველი სა-
კითხების ესთეტიკური ფორმით ჩამოყალიბებისა და გამოვლინე-
ბის დახმარების განვევის საშუალება.

ამ მიმართულებით, თვითრეალიზაციის პროცესში მამაკაცის
(მამაკაცური სანყისის) გულში ღვთისნიერებისა (მამა ღმერთისნა-
ირობა ამ დიაპაზონში) და ტვინში ნეტარების (ნატვრის, სურვილის
აღარ ქონა კუთვნილებითი თვალსაზრისით) გამოხატვისა და დამ-
კვიდრების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული ღვთისნიერება იქნება გარანტი
იმისა, რომ სამყაროში არსებული ურთიერთგაუგებრობის დიაპა-
ზონში მამაკაცი მამა ღმერთის ნების რეალიზაციის საშუალებად
გადაიქცევა ქალთან (ქალურ სანყისთან) მიმართებაში. ეს არის სა-
უკეთესო და ალბათ ერთადერთი საშუალება იმისა, რომ დინამიკის
დონეზე მამაკაცი ქალისთვის იყოს ჭეშმარიტი სიკეთის მომტანი
და მიმნიჭებელი.

ტვინის მხრიდან გამოსული ნეტარება იქნება გარანტი იმისა,
რომ მამაკაცი ქალთან მიმართებაში ფარდობითობებით, შედარე-
ბითობებით არ იხელმძღვანელებს ანუ ვერ იარსებებს ვერანაირი
საბაბიც კი რაიმე გაუგებრობის, რაიმეზე მიჯაჭვულობის წარმოქ-
მნისა. ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება დინამიკის
დონეზე მამაკაცის (მამაკაცური სანყისის) მიერ ქალის (ქალური
სანყისის) საჭიროდ და სრულყოფილად სიამოვნების მინიჭებისა.

ფაქტობრივად აქ ჩამოთვლილი თეზისების სრულყოფილად
ზედმიწვევით შესრულების მიმდინარეობის პროცესში საერთოდ

ვერ წარმოიქმნება ურთიერთშეგრძნების მდგომარეობაში ვაკუუმი ანუ სქესობრივი (სექსუალური) აქტი აღარანაირ საჭიროებას აღარ წარმოადგენს და მამაკაცი, თავის მხრივ, იმავე მდგომარეობაში გადადის არა წამიერი გაელვებით, არამედ მუდმივ-ხანგრძლივი დროით, რაც სექსუალური ურთიერთობის კულმინაციის პროცესში მიიღება ხოლმე. დიახ, ეს ერთგვარი ორგაზმის მდგომარეობა გახლავთ.

3 ბ) მამა ღმერთთან, სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან მიმართებაში ურთიერთობის პროცესში დინამიკის დონეზე გადასული მამაკაცი-ადამიანი (მამაკაცური სანყისი) მამა ღმერთის სრულყოფილ და უზენაეს არსებად აღქმისკენ სწრაფვით უნდა იყოს დაშუბტული. ეს მამაკაცისთვის გაზიარების უწმინდეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს, როგორც მასზე უფრო მაღალი ეთიკური დონის წარმომადგენელთან.

ამ მიმართულებით თვითგაზიარებულობის პროცესში მამაკაცის (ზოგადად მამაკაცური სანყისის) გულში უშუალობისა და ტვინში მყუდროების გამოხატვისა და შეგრძნების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული უშუალობა იქნება გარანტი იმისა, რომ მამაკაცი სამყაროს უზენაესი პიროვნების წინაშე იქნება აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე. უშუალობა უკვე ბუნებრივად იქნება მაჩვენებელი იმისა, რომ მამაკაცმა სრულად დაამთავრა ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნა თავის წარმოსახვაში და ახლა მთლიანად მინდობილი ღმერთსა და განგებას, მათ ბრძანებებსა და მითითებებს ელოდება.

ტვინის მიერ გამოხატული მყუდროება გარანტი იქნება იმისა, რომ მამაკაცი მზად არის თავისი „მე“ ღვთის ნების რეალიზაციის საშუალებად გამოაცხადოს. იგი მთლიანად სრულ დამოკიდებულებაში იმყოფება თავისზე უფრო მაღალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში და სრულიად დამოუკიდებლობაში (არა მიჯაჭვულობაში) იმყოფება მასზე უფრო დაბალ ეთიკურ დონესთან მიმართებაში.

ამ პარამეტრების სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში მამაკაცს (მამაკაცურ სანყისს), როგორც ადამიანური ბუნების წარმომადგენელს, ეთვლება, რომ მან ადამიანური ბუნების სასურველი მიმართულების დიაპაზონური სპექტრი სრულად დაფარა და ენიჭება უფლება, ზეადამიანური ბუნების წარმომადგენლობით ნაწილში იქნას მიღებული. რა თქმა უნდა, პიროვნულ ინტერესებზეა დამოკიდებული, სად მოხვდება შემდგომში, მაგრამ

იერარქიულად უფრო მაღალ ეთიკურ საფეხურზე რომ ავა, ეს უდავო ფაქტია. თუ ადამიანური ტერმინოლოგიით ვილაპარაკებთ, ადამიანური ბუნების მქონე ეს მამაკაცური სანყისის წარმომადგენელი, სიცოცხლის წიგნში იქნება ჩანერილი და ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრის შემდგომაც რეალურ დონეზე იგი გააგრძელებს ინდივიდუალური სულის გამოვლინებულობის სახით ცხოვრებას.

4. ქალის სასურველი თვითგამოვლინება დინამიკურ დონეში შექმნილი და მიმდინარე გამოვლინებულობის ესთეტიკურად გაუმჯობესებისთვის შემოტანილი ეთიკური შეხედულებების შემეცნება მორჩილი თაყვანისცემისა და გულწრფელობის სრული დაცვით

ეს იქნება ფუნქციონალურად უფრო მაღალი (უმალღესი) საფეხური ადამიანური ბუნების ქალური სანყისისათვის. მასაც (როგორც მამაკაცური სანყისის შემთხვევაში), ექნება საკუთარი ინდივიდუალური სულის საჭიროდ მართვის უნარის შექმნა მაშინ, როდესაც წინამდებარე (კინემატიკური დონის) საფეხური იყო საკუთარი ინდივიდუალური მატერიალური (ან მენტალური) სხეულის საჭიროდ მართვის უნარის შექმნა. ამ, ე. წ. დინამიკურ დონეში, სრულად თვითგამოვლინების შემდგომ, შეიძლება ითქვას, რომ ქალი (ქალური სანყისი) თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწევს ადამიანური ბუნების გადასახედიდან და ე. წ. ზეადამიანური, ცოცხალ ბუნებაში გადასვლის უფლებას მოიპოვებს. ეს კი, თავის მხრივ, იმით იქნება გამოხატული, რომ არა მარტო სამყაროში წარმოქმნილი ბუნებრივი „ეგო“-ს დიაპაზონში ექნება ცნობიერების აღქმა, არამედ მთელი იმ დონის ცნობიერების აღქმის უნარი მიეცემა, რასაც თავად სამყაროს უნმინდესი პიროვნება (სულიწმიდა) ფლობს და მართავს. ის, თუ რა საქმიანობით დაკავდება ქალი (ქალური სანყისი) ამის შემდგომ, შემდეგ თავში გიაგმობთ. ამ დონეზე კი ალბათ უდავოა, ამაზე დიდი პატივი და ამაზე დიდი მიზანი აბსოლუტურად შეუძლებელია სხვა რაიმე იყოს (იგულისხმება ქალისა და ქალური სანყისის პირობებზე).

4 ა) სულიწმიდასთან, სამყაროს უნმინდეს პიროვნებასთან ურთიერთობის პროცესში, დინამიკის დონეზე ქალი (ქალური სანყისი) საკუთარ არსში დამკვიდრებული კერპების აღქმისკენ და მათგან ძირფესვიანად გათავისუფლების სწრაფვის სურვილით უნდა იყოს დამუხტული. ეს ქალისთვის უნმინდეს ფორმას უნდა წარ-

მოადგენდეს გაზიარებისა, როგორც თავისზე უფრო მაღალი (უმდალესი) ესთეტიკური დონის წარმომადგენელთან (როგორც პიროვნებასთან) და ყველანაირ რეალობაში სუბიექტურობის არ დამშვებთან (ობიექტური რეალობის დამამკვიდრებელთან და მმართველთან).

ამ მიმართულებით თვითგაზიარებულობის პროცესში ქალის (ქალური სანყისის) გულში კდემამოსილებისა და ტვინში სიფაქიზის გამოხატვისა და შეგრძნების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულში გამოხატული კდემამოსილება იქნება გარანტი იმისა, რომ ქალი (ქალური სანყისი) არანაირად არ იქნება მიჯაჭვული საკუთარ მატერიალურ (ან მენტალურ) სხეულზე და მთლიანად ღიად და გამჭვირვალედ წარსდგება დედა ღმერთის წინაშე. კდემამოსილება (კვდომა-მოსილება – გარდაცვალების აუცილებლობის და გარდაუვლობის მიღების უნარი) სიკვდილის ცნების დამარცხების აღმნიშვნელი ფსაეულობაა და მისი რეალურად არ არსებულობის აღქმის უნარს ნიშნავს. ვისაც საკუთარი „მე“ სხეულად მიაჩნია მისი ამაში დარწმუნება აბსოლუტურად შეუძლებელია და, ვფიქრობ, აქ, დინამიკის ამ დონეზე მათ აღზრდაზე ზრუნვა ნამდვილად არასწორი იქნებოდა.

ტვინის მხრიდან გამოვლინებული სიფაქიზე კი იქნება გარანტი იმისა, რომ ქალი მთელი გამოვლინებული რეალობის საჭიროდ და სწორი მიმართულებით წარმართვის დამკვიდრებას დაახარჯებს თავის პიროვნებას. სიფაქიზე გახლავთ უნარი სიღრმეში ნვდომისა, ქემმარიტი პრობლემატიკის აღქმისა.

ფაქტიურად, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ამ ორი პარამეტრის სრულყოფილად აღქმისა და დაცვის შემთხვევაში დინამიკის დონეზე ქალი (ქალური სანყისი ადამიანური ბუნებისა) შეძლებს არსებული პოზიტიურობის ობიექტურად შეფასებას მთელს ბუნებრივ „ეგო“-ში გამოვლინებული რეალობის დიაპაზონში.

4 ა) ქალის (ქალური სანყისის) მხრიდან მამაკაცთან (მამაკაცური სანყისთან) ურთიერთობა ე. წ. დინამიკურ დონეზე მათ შორის არსებული ურთიერთგაუგებრობის სრულ აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს. ეს იქნება ერთგვარი სახელმძღვანელო მთელს სამყაროში წარმოქმნილი ბუნებრივი „ეგო“-ს სრული გარდაქმნისა ბუნებრივ „მე“-დ.

ამ მიმართულებით თვითრეალიზაციის პროცესში ქალის (ქალური სანყისის) გულში სინმინდისა და ტვინში ბედნიერების გამოხატვისა და დამკვიდრების სურვილი უნდა სუფევდეს.

გულის მხრიდან გამოსული სინმინდე იქნება გარანტი იმისა, რომ ურთიერთგაუგებრობა (ნებისმიერი რაოდენობისა და ხარისხისა) არასოდეს არ გადავა ურთიერთდაპირისპირებაში და ურთიერთგაგების არსებული სპექტრი კი ყოველთვის იქნება დაფასებული და ზედმეტად არ გადაფასებული. ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება დინამიკის დონეზე ქალის (ქალური სანყისის) მიერ ჭეშმარიტი ბოროტების (ნეგატიურობის გაზრდის) ბლოკირებისა და არსებულ სიკეთეზე (არსებულ ნაწილზე) კონცენტრირებისა.

ტვინის მხრიდან გამოსული ბედნიერება (ბედ-ნ-იერ(ი)-ება) იქნება გარანტი იმისა, რომ ურთიერთგაუგებარი (ნეგატიური) ნაწილი ურთიერთგაგებად გარდაიქმნას და ნეგატიურობა ჭეშმარიტ პოზიტიურობად გადააქციოს. უხეშად თუ განვმარტავთ, ეს ბედის ყურებას, საკუთარი ცხოვრების მიმდინარეობის გვერდიდან ყურების უნარს ნიშნავს, სადაც წარმოუდგენელია დაუკმაყოფილებლობა გამოვლინდეს მამაკაცთან მიმართებაში. ეს არის საუკეთესო და ერთადერთი საშუალება დინამიკის დონეზე ქალის მიერ მამაკაცის საჭიროდ და სასურველად დაკმაყოფილებისა.

ამ ყოველივეს სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში, ადამიანური ბუნების ქალური სანყისის პიროვნული წარმომადგენელი (ქალი) იერარქიულად უფრო მაღალ ესთეტიკურ დონეზე გადასვლის უფლებას მოიპოვებს უშუალოდ სულიწმიდის მიერ ბოძებულს და ე. წ. ზეადამიანური ბუნების წარმომადგენლობით ნაწილში იქნება გადაგზავნილი. ისიც, ისევე როგორც მამაკაციც, ადამიანური ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სიცოცხლის წიგნში იქნება ჩანერილი და ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრის შემდეგაც გააგრძელებს ცხოვრებას ინდივიდუალური სულის სახით.

მეხუთე თავი

ნ ს თ ე ტ ი კ ა

პოტენციური ენერჯის საკუთარ არაინდივიდუალიზმზე კონცენტრირებული ნაწილი

ამ თავში წარმოჩინებული ნაწილი მთელს გამოვლინებულ-ბაში არსებული რეალობის *გონების* ნაწილს წარმოადგენს. ის ე. წ. ბუნებრივ „ეგო“-ში ანუ სულიერ სამყაროში არსებობს მხოლოდ და მეტი ვერსად.

ესთეტიკა სულიერი სამყაროს ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს ქალუ-რი საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია და პირდაპირი კავში-რი აქვს VI თავში წარმოჩინებულ ნაწილთან, ეთიკასთან.

ესთეტიკაში, როგორც ფორმაციულ წარმონაქმნში, თავისუფ-ლად შეიძლება ითქვას, რომ ცხოველი, ცოცხალი ბუნება დომინი-რებს და, თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, ეთიკურ ბუნებასთან კონტაქტის დამყარების მიდრეკილებითაა დამუხტული.

სულიერ სამყაროში ყოფნის პერიოდში საკუთარ არსში ესთე-ტიკაზე სრულად დამოკიდებულებაში მოქცევის მცდელობები შე-აძლებინებს ცოცხალ არსებას ცხოველი ბუნების მონურ ბუნებად არ გადაქცევის უნარს, ევოლუციური პროცესის ბუნებრივად მი-ყოლას და საკუთარი არაინდივიდუალიზმის გაზრდასაც კი. ერთი მთლიანი ეპოქალური ციკლის ბოლოს კი, ზეციურ სამყაროში გა-დასვლას.

ნ ე ო ც ე ნ ტ რ ი ზ მ ი

რას ნიშნავს ამ შემთხვევაშიც ნეოცენტრიზმი და რატომ ის? – ეს ცნება ამ შემთხვევაში მოიაზრებს ბუნებრივი „ეგო“-ს არსებო-ბის პერიოდში ბუნებრივი „ეგო“-ს გამოვლინებულობის ზღვრული მაჩვენებლის მიყოლას. თუ გავამარტივებთ, მივიღებთ შემდეგს: ბუნებრივი „ეგო“-ს ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნაზე პასუხისმგებე-ლი უზენაესი პიროვნება გახლავთ სულიწმიდა. იგი აბსოლუტის შემადგენელი აბსოლუტური ცნობიერების პირადი წარმომადგენე-ლია. სულიწმიდა მთლიანად ბუნებრივ „ეგო“-ში წარმოქმნილი რე-ალობის პოზიტიური მიმართულებით გარდაქმნაში არის დაინტე-

რესებული. ნეოცენტრიზმი სწორედ ამაში გამოიხატება, რომ დედა ღმერთი ბუნებრივი „ეგო“-ს შემცირების ბუნებრივი სვლის პროცესს თანამიმდევრულად ანხორციელებს და მიყვება და არა სპონტანურად, შიგადაშიგ. იგი არც არაფერს ანელებს და არც არაფერს აჩქარებს. ერთი რამ, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, გახლავთ ის, რომ სულიწმიდა ყოველთვის საჭირო მიმართულებით მიმართავს მოვლენებს, რაც ახალი პრობლემების შექმნას გამორიცხავს. ანუ მუდმივად პირადი კონტროლის ქვეშ აქვს დაყენებული პროცესთა მიმდინარეობა, განსაკუთრებით კი, ის პროცესები, რომლებიც უშუალოდ რეალური ბუნებრივი „ეგო“-ს ამ წამიერ გამოვლინებულობაში მიმდინარეობს. აი, რას გულისხმობს ამ შემთხვევაში ნეოცენტრიზმი და რატომ შეიძლება ითქვას, რომ სულიწმიდა ნეოცენტრიზმზეა კონცენტრირებული.

ადრე თუ გვიან კი ბუნებრივი „ეგო“ აუცილებლად გარდაქმნება ბუნებრივი „მე“-დ. თუ უფრო დავაზუსტებთ, ეს მთელი ერთი ციკლის მიმდინარეობის დროითი ინტერვალის 60%-ს მოიცავს, რის შემდგომაც დარჩენილი 40% ბუნებრივი „მე“-ს უკვე არსებულ მთელს „მე“-სთან შეთვისებასა და შედუღაბებას, მის ერთიან, უკვე მთლიანად აღქმულობის სრულყოფილ ნაწილად გარდაქმნას მოხმარდება.

ამ პერიოდში სულიწმიდის მიდგომა ნეოცენტრიზმიდან ე. წ. ეკოცენტრიზმისკენ მიმართვით იქნება გამოხატული. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ არავითარი შიდა გაუგებრობა აღარ იარსებებს დედა ღმერთსა და მამა ღმერთს შორის და, საერთოდ, მთელს მამაკაცურ და ქალურ სანყისებს შორის. დადგება პერიოდი, რომელშიც მიღწეულით ტკობის კანონიერად მოპოვებული უფლების განხორციელება დაიწყება. ეკოცენტრიზმი ნიშნავს მთელ არსებულ შიდა კოსმიურ გამოვლინებულობაში ე. წ. „ეკოლოგიური“ მდგომარეობის (ყველა ცოცხალი არსების საჭიროდ და სასურველად მოქმედების მიღწევის) სრულყოფილად დაცვას. ყველა და ნებისმიერი ცოცხალი არსება კი, რომელიც ვერ ან არ მიიღებს ე. წ. „ეკოლოგიური“ პირობების საუკეთესოდ უზრუნველყოფისთვის საკუთარი თავის მიმართვას, ერთგვარ გამოუვლენელ მდგომარეობაში გადავა. ამ პერიოდში ფაქტიურად, ზეციური სამყაროს ერთადერთ რეალურ გამოვლინებულობაზეა ლაპარაკი.

**სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობის აღქმა
ესთეტიკის წარმომადგენლობითი ნაწილის
გადასახედიდან**

*ზეადამიანური ცოცხალი, ცხოველი ბუნების გადასახედიდან სქესობრივი (სექსუალური) აქტი აღიქმება ისეთივე ასოციაციურ ქრილში, როგორც ადამიანური გადასახედიდან არის აღქმული ნა-
რკულტიკები. მას ენიჭება ურთიერთგაუგებრობის დიაპაზონში არ-
სებული ემოციური ნაწილის დროებითი გაბრუნების საშუალების
სტატუსი.*

ესთეტიკურობის უზენაესი ნაწილის გადასახედიდან, ბუნებ-
რივი „ეგო“-ს (ურთიერთგაუგებრობის) დიაპაზონში წარმატების
მიღწევის მსურველი არსებები (ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას,
ადამიანები) არაფრით არ შეიძლება ურთიერთანგარიშგანევის ძი-
რითადი ორიენტაციული ტენდენციით იმართებოდნენ. ვიმედოვ-
ნებ, იმას ავტომატურად იგულისხმებთ, რომ, რაიმენაირი ფორმით
ურთიერთდაპირისპირებისკენ სწრაფვის ან მისი ოდნავი დაშვების
მცდელობებიც კი არ უნდა არსებობდეს ადამიანებისთვის, აი, ამ
გადასახედიდან.

ურთიერთანგარიშგანევის სურვილი თანდათან ანელებს და
ბოლოს სულ მთლად აქრობს ცნობისწადილს ადამიანებში (ჭეშმა-
რიტად ფუნქციონალური საქმიანობა) და, რაოდენ უცნაურადაც
არ უნდა მოგერვნოთ, ფუნქციონალურ საკითხებთან კონტაქტის
ერთადერთი საშუალება სწორედ რომ სქესობრივი აქტით ხდება.
სხვათა შორის, ეს საკმაოდ გადაგვარებული სახითაც კი შეიძლება
გამოვლინდეს და სქესობრივი ფიზიკური ურთიერთობებით დაკავ-
დნენ არა მარტო მამაკაცი და ქალი, არამედ მამაკაცი მამაკაცთან,
ქალი ქალთან, მამაკაცი ბავშვთან, ქალი საკუთარ შვილთან, მრავალი
ადამიანი ერთმანეთთან ერთდროულად და ა. შ.

მაშინ როდესაც ფუნქციონალური დანიშნულება იგნორირე-
ბულია ადამიანების მიერ ერთურთისთვის ცალსახად ანგარიშის
განევის სურვილის პირველადობისდა გამო, ესთეტიკური გამოვ-
ლინების ფორმები საშინლად მახინჯ გამოვლინებებში გადადის და
ადამიანების არაინდივიდუალური ცნობიერებანი თითქოს ერთმა-
ნეთის ანგარიშსწორებით კავდებიან, საკუთარი პიროვნების ფუნ-
ქციონალური ასპექტიდან მონყვეტის დადანაშაულების ბრალდე-
ბით.

თუმც მანაც შეიძლება ითქვას, რომ ადამიანისთვის სქესობრივი აქტის პროცესის მწვერვალი (ორგაზმის წამიერი შეგრძნება) მართლაც ნარკოტიკისმაგვარ რამეს წარმოადგენს და ის, ვინც ერთხელ ამას შეიგრძნობს, მას აუცილებლად უნდება მთელი ცხოვრება ამის პერიოდული გამეორება, ვიდრე მასში პოტენციური სასიცოცხლო ენერჯია ამის საშუალებას აძლევს. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ადამიანი ამის შეგრძნების შემდეგ აღარ ცდილობს სულიერებასთან კონტაქტში, ამ ორგაზმულ მდგომარეობაში სხვა გზით შევიდეს, რომელიც უფრო საამოც არის და უფრო ხანგრძლივიც.

ესთეტიკისთვის საერთოდ დაუშვებელია ორგაზმის მდგომარეობის შესაგრძობად უკანონო სქესობრივი ურთიერთობების დამყარება. წინასწარ კონტრაცეპტივებისა და პრეზერვატივების გამოყენებით. შეგიძლიათ დიდად გაიკვირვოთ და სასტიკად დამცინოთ, მაგრამ, მე მინდა გითხრათ, რომ ეს ქმედებები, ეს ყველა ჩატარებული აქტები, გახლავთ სულის სამართლის დანაშაულებები და ყველა, ვინც ამით არის დაკავებული, სულის სამართლის დამნაშავეა.

ისე, მარტივი დაკვირვებითაც შეგიძლიათ დაინახოთ, რომ მამაკაცთა და ქალების აღვირაბსანილი სქესობრივი ურთიერთობების დაწყებამდე გაცილებით უფრო ესთეტიკურნი და სათნონი არიან, ვიდრე ამ ურთიერთობების შემდგომ. ისინი სექსუალური ჟინის დაკმაყოფილების მართონში ებმებიან და უკვე ველარც კი ამჩნევენ, როგორი მომხმარებლური სულისკვეთებით უდგებიან გარშემო მყოფ ადამიანებს. სიყვარული მათთვის შიშველი სხეულის დაუფლება ხდება, ხოლო სინმინდე – საკუთარი სასქესო ორგანოს დაკმაყოფილება.

თუმც ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ესთეტიკა არანაირად არ ეწინააღმდეგება მამაკაცისა და ქალის სექსუალურ ურთიერთობებს, თუ იგი ურთიერთგაუგებრობის ჩაგროვილი ნაწილის განეიტრალებას ემსახურება. მაგრამ აქაც უნდა აღინიშნოს ის, რომ თუ აქტი განეიტრალებისათვის ჩვევაში გადავა, ადრე თუ გვიან, ისევ იმ გადაგვარებულ ფორმას მივიღებთ, სადაც, აქტის მონაწილეთა მხრიდან ფუნქციონალური ასპექტი მთლიანად დაგინეებს მიეცემა.

I. არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს აღქმის, ანუ ურთიერთგაუგებრობის ვიზუალური გამოვლინებულობის ობიექტურად შეფასების უნარი

ეს არის ძალიან სერიოზული საფეხური, რომელზედაც გადასვლის შემდგომ ზეადამიანურ დონეზე გადასვლა ხდება ადამიანთა მიერ. ვფიქრობ, აქ აშკარად იკითხება ესთეტიკის ნამყვანი როლი და ფუნქცია, თუმცა, ეთიკა უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ამ საფეხურის ღრმად განხილვისას.

როგორც ალბათ უკვე ხვდებით, ადამიანის მიერ საკუთარი ინდივიდუალური მატერიალური ან მენტალური სხეულის მართვის უნარი შემეცნებული და შეგრძნების დონეზე გათავისებული უნდა იყოს. განსახილველი საფეხურის ასახსნელად რაღაც ახალის შემოტანასა და დამკვიდრებას ნამდვილად არ ვაპირებ. ვიხელმძღვანელებ იმით, რაც ათი მცნების სახელითაა ადამიანთათვის ცნობილი, უბრალოდ, ამ მცნებათა უფრო ხარისხობრივ-ფუნქციონალურ დახასიათებას შევეცდები. ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ ათი მცნება ზნეობრივობის მონესრიგების საშუალებად შეგვიძლია აღვიქვათ ადამიანური ბუნების მქონე არსებათათვის. ეს ზნეობრივობის ზეადამიანური გადასახედიდან, უფრო ესთეტიკის შეხედულებათა კანონიკური ნუსხაა ე. ნ. ქვეადამიანურ განყოფილებაში არსებულთათვის, რათა, ელემენტარულად, მათ იმის თვალნათლივ გარჩევა შეძლონ, თუ რა არის სასირცხვილო.

ათი მცნების ნუსხა, ესთეტიკის უმაღლესი დონის გადასახედიდან (კანონიკური სტილი მოღწეული პირველწყაროსი დაცულია):

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე;
2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველივე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა-ქვეშე ქვეყანასა. არა თაყვანსა სცემდე მათ, არცა მსახურობდე მათ;
3. არა მოილო სახელი ღვთისა უფლისა შენისა ამოსა ზედა;
4. მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმინდა-ჰყავ იგი. ექვსი დღე იქმოდე და ჰქმენი მათ შინა ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა;
5. პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა;

6. არა (კაც) ჰკლა;
7. არა იმრუშო;
8. არა იპარო;
9. არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებთა ცრუითა;
10. არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არ გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არც ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხეველისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.

ეს ათი მცნება შემდეგი ათი პრინციპის წარმოებულ შედეგად შეგვიძლია აღვიქვათ. ანუ, ათი პრინციპი დაედო მათ საფუძვლად.

1. მარადიული სამყაროს უწმინდესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა;
2. სამყაროში წარმოქმნილი „ეგო“-ს ცნების არანაირი ფორმით არ დაშვება, არ შეშვება „მე“-ს ცნებაში;
3. არასრულყოფილების ბლოკირება, გამიჯვნა სრულყოფილებისაგან და მისი სრულყოფილად გარდაქმნის ძიება;
4. თაყვანისცემა, ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე;
5. გარემოს შესახებ გაცნობიერებული არსის გამჭვირვალობა და გაცემა;
6. გულახდილობა;
7. დიდაქტიკა;
8. „კულტ(ი)“-ური თანამიმდევრულობა;
9. ყოფითკმარობა;
10. ნებისყოფა.

ეს ათი პრინციპი, თავის მხრივ, წარმოებულია და ეყრდნობა იმას, რაც მოხსენიებულია შვიდ ნიჭად სულწმიდისა, რომელთა საჭირო მიმართულებით განვითარების შედეგად მიიღება სწორედ ცხრა შედეგი სულიწმიდისა, როგორც სამყაროში არსებული ურთიერთგაუგებრობის აღარ არსებობის თვალსაჩინო ნიშანი.

1. შიში ღვთისა;
2. ღვთის მსახურება;
3. ძლიერება;
4. განზრახვა;
5. მეცნიერება;
6. გულის-ხმის-ყოფა;
7. სიბრძნე;
8. **აღზრდა;**

9. *განცხრომა („მე“-ს კონტროლზე უარის თქმა);*

10. *არსებობა („მე“-ს კონტროლი);*

მაშასადამე, დავინწყით პირველი საფეხურის განხილვა, ანუ იმის, თუ ადამიანმა როგორ უნდა მოახერხოს გარემოს ობიექტურად აღქმა.

დავინწყებ იქიდან, რომ ამის საქმნელად ადამიანი უკვე რალაც დონეს უნდა იყოს მიღწეული. ამ შემთხვევაში, ზნეობრივი მოთხოვნილებების რალაცა კრიტერიუმებს უკვე უნდა აკმაყოფილებდეს. კერძოდ, მისი მამაკაცური სანყისის მიერ ძალაუფლებაზე უარი უნდა იყოს გამოცხადებული, ხოლო მისი ქალური სანყისის მიერ საკუთარი პიროვნების კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს (როგორც გულისა და ტვინის გამოვლინებები) და ეს იმდენად ბუნებრივად უნდა იყოს გამჟღადარი ადამიანში, რომ მათი სრულყოფილად შესრულებისათვის არანაირი ძალისხმევა არ ესაჭიროებოდეს.

უფრო გასაგებს თუ გავხდით, შეიძლება ითქვას, რომ (პირველი საფეხურის დასაკმაყოფილებლად) ესთეტიკის შესაბამისი მცნებებიდან მეცხრესა და მეათეს კი არ უნდა ასრულებდეს, უბრალოდ მათი დარღვევა საკუთარ პიროვნებაში წარმოუდგენლად უნდა იყოს მიჩნეული ადამიანში. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ადამიანის მატერიალურ (ან მენტალურ) სხეულში ტრანსფორმირების პროცესი დამთავრებული უნდა იყოს, ანუ საკუთარ მატერიალურ (ან მენტარულ) სხეულში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა დასრულებულად უნდა გამოცხადდეს. ეს გახლავთ ის აუცილებელი პირობები, რომლებიც საჭიროა პირველ საფეხურზე გადასვლისათვის სასტარტო პირობების დასაკმაყოფილებლად.

ეს არის ზედმიწევნით გონებისმიერი პროცესი, სადაც თვით ისეთი დიდი ფასეულობებიც კი, როგორებიცაა კდემამოსილება, სიფაქიზე, სინმინდე და ბედნიერება ძალიან ცოტაა, თუმც, მათი არ არსებობის შემთხვევაში ამ საფეხურზე მოხვედრა საერთოდ შეუძლებელსა და უტოპიურს წარმოადგენს. ეს საფეხური მოიცავს ცივილიზირების დონის აღქმას, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობს არა მარტო საკუთარი ინდივიდუალური სხეულის მართებული გზით მართვის უნარს, არამედ მთელი მატერიალური გამოვლინებულობის მართებული გზით თვითგამოვლინების აღქმის უნარს.

ესთეტიკურ-ზნეობრივ დონეზე უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, თუ რა, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვინ, როგორ და რამ-

დენი უნდა იქნას დაფასებული უკვე გაცნობიერებულობის შედეგად ჩამოყალიბებული ზოგადი ცნობიერების საფუძველზე გამოვლინებულ გარემოში.

პროცესუალურად ეს არის ტრანსფორმირების პროცესის გადასვლა ცივილიზირების პროცესში. პირადად ჩემთვის ეს პროცესუალური შეფასება არის ყველაზე მაღალი რანგისა იმ შეფასებათა ნუსხაში, რითიც საერთოდ შეიძლება დახასიათდეს ეს საფეხური.

თავად ამ დონის თვალნათელი დახასიათება კი ესთეტიკის მე-7 და მე-8 მცნებებით არის მოცული. ისინი ავტომატურად მოიცავენ მე-9 და მე-10 მცნებებს და მათი ბუნებრივ დონემდე გათავისების შემთხვევაში ეს ბოლო ორი ხაზგასმით აღნიშვნის საჭიროებისა და მათი საკუთარ არსში დაფიქსირების აუცილებლობა უბრალოდ ქრება.

პირველ საფეხურზე ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა ხდება საკუთარი „მე“-ს ოთხივე შემადგენელ ნაწილში (ანუ მთელი „მე“) გათავისუფლებულია, ე. ი. რეფლექსუალურობისაგან თავისუფალია.

ეს ყოველივე აქ იმაში გამოიხატება, რომ მთელი ბუნებრივი „ეგო“-ს განხორციელებული ნაწილის გვერდიდან ჭვრეტის უნარი გააჩნია ისე, რომ არავის და არაფერს არ მიეჯაჭვოს და იქ მყოფის მისკენ მიმართული ნებისმიერი ურთიერთობა ადეკვატური (საჭიროდ შესაბამისი) ფორმით დააკმაყოფილოს.

ამ საფეხურზე ყოვლად დაუშვებელია აქტიურობა საკუთარი პიროვნების მხრიდან. ნებისმიერ სიტუაციას ის უნდა აღიქვამდეს, როგორც გარემოსთვის საჭირო წამლის დამზადების საშუალებას მისი ძირფესვიანი განხილვის შედეგად. ამდენად, ის ვერანაირი ფორმით ვერ მიეჯაჭვება ვერაფერს და, მით უმეტეს – ვერავის, და არც იმით იქნება დაინტერესებული, რომ მას თავად მიეჯაჭვოს ვინმე.

ამ საფეხურზე ყოვლად დაუშვებელია პასიურობაც საკუთარი პიროვნების მხრიდან. მან აუცილებლად უნდა მისცეს საპასუხო რეაქცია მის მიმართ ჩადენილ ნებისმიერ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო ქმედებას. თუმც თვითონ არასოდეს არ უნდა იყოს ინიციატორი სიმყუდროვის დარღვევისა, არანაირი ფორმით. ვინმეს დახმარება, გამოჯანმრთელება (თუნდაც გაცოცხლება) ან, პირიქით, ხელის შეშლა რაიმეში, ღირსების შელახვა (ან თუნდაც მოკვდინება) აქ განიხილება როგორც საპასუხო რეაქციის გამოვლინება, რომლის წამომწყები და შემქმნელი გარემოა.

ფაქტიურად, ეს არის გარემოს გვერდიდან კვლევის მეცნიერება და ამ კვლევის მიმდინარეობის პროცესში მოვალეობრივი კუთხიდან, უფლება-მოვალეობრივი ბალანსის დაცვა. ეს პასუხისმგებლობის აღქმის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს უკლებლივ ყველასთვის და ყველაფერისათვის ხელოვნური „ეგო“-ს გამოვლინებულობის მთელს დიაპაზონში.

- ვინც ვილაცაზე ან რალაცაზე უფლებას იღებს და ამ უფლებების შესაბამის მოვალეობას არ ითავისებს, თავის გაკერპებას ახდენს.
- ვინც ვილაცაზე ან რალაცაზე მოვალეობას იღებს და ამ მოვალეობის შესაბამის უფლებას არ მოითხოვს, თავისდაუნებურადაც კი, კერპის თავყვანისმცემელი ხდება.

აი, ამ ორი ტენდენციის მიზეზთა აღწერის, აღქმისა და განკუთვნიების სულისკვეთებითაა განმსჭვალული ამ პირველი საფეხურის ფუნქციონალური არსი და ესაა ფაქტიურად მისი დანიშნულება. მენტალურ დონეზე, ეს საკუთარი კონსტიტუციური მდგომარეობის განსაზღვრაა ამ ორი ტენდენციით მცხოვრებლებთან თანაარსებობის პირობებში. ეს არის ავადმყოფობისათვის დიაგნოზის დასმისა და განკურნების საშუალების დამზადებისა და მიცემის (წამლის) ფენომენის გამოვლინება მთელი არსებული საზოგადოებისათვის.

ამ ფენომენის თვალნათელი გამოხატულების მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ღვთის ძის, იესო ქრისტედ მოვლინების, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის პერიოდი. ის ადამიანებში სწორედ ამ პასუხისმგებლობაზე კონცენტრირებისა და მისი ზედმინვენით დაცვის დანერგვისთვის იყო ჩამობრძანებული დედამიწაზე.

ყველაზე საინტერესო კითხვა კი, მაინც (ყოველ შემთხვევაში – პირადად ჩემთვის) არის ის, თუ რატომ არის ეს ყოველივე გან(რ)წმენდილი „მე“-ს ემოციური ნაწილის გამოვლინება? – პასუხი ამ კითხვისა შემდგომში მდგომარეობს: ეს ყოველივე, ვფიქრობ, აშკარად კეთილშობილური სურვილებიდან გამომდინარეობს. მაგრამ, როგორც დაორსულებული ქალი ცხრა თვეზე ადრე და ვერც ცხრა თვეზე მეტ დროში ვერ გააჩენს ბავშვს, ისევე საზოგადოება ერთი მთლიანი ციკლის მიერ განსაზღვრულ დროზე ადრე ვერ შეძლებს ხელოვნური „ეგო“-სგან გათავისუფლებას. მთელი გემო ამ პროცესისა კი იმაში მდგომარეობს, რომ თვით ამ პასუხისმგებლობის დამკვიდრების მსურველი თავისუფლდება ჭარბი დახმარების, ბრმა სიკეთის ქმნის სურვილისაგან და იძენს ისეთ უძვირფასეს თვისებას,

როგორცაა განდევნილობის დაცვა ხელოვნურ „ეგო“-სთან მიმართებაში. ამის საშუალებით თვითონ მხოლოდ პასიური მონაწილეა მიმდინარე მოვლენებისა და სრულიად კმაყოფილდება მოვლენების დეფაქტო გამოვლინების ჭეშმარიტ მიზეზთა აღნუსხვითა და აღქმით. ამ აღქმის პროცესში კი მასში ავტომატურად აღმოიფხვრება ბუნებრივი „ეგო“, რაც, თავის სიღრმისეულ აღქმაში, სხვა არაფერია, თუ არა იმაზე მეტი ინფორმაციის მიწოდება ამ ინფორმაციის (აღრე თუ გვიან) ამთვისებელი ადრესატისთვის, ვიდრე მას ამის ასე ერთბაშად ადაპტაციის უნარი გააჩნია. ამონახსნი ამ ამოცანისა კი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა მიეცეს ზუსტად იმ ხარისხისა და რაოდენობის ინფორმაცია, რომელიც ამ ე. წ. ადრესატს თავად ჭეშმარიტად სურს.

აქვე, აუცილებლად მინდა აღვნიშნო: ღვთის ძის შედარება ჩვეულებრივ, რიგით ინდივიდუალურ სულებთან პირდაპირი მკრეხელობა იქნებოდა, რამეთუ ის, რაც მან ჩამოიტანა და დაამკვიდრა დედამიწაზე, იესო ქრისტედ ყოფნის პერიოდში, სწორედაც რომ ერთი მთლიანი ციკლისთვის შესაბამისობიდან გამომდინარეობდა და საჭიროდ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე მოხდა. ჩემი დაბეჯითებითი თხოვნა იქნება: ნურავინ გაბედავთ შეედაროთ ღმერთს, იქნება ეს მამა ღმერთი, სულთნმიდა, ღვთის ძე თუ ღვთის ასული. მე, უბრალოდ, მინდა გაგაფრთხილოთ, ჩემი ვალი მოვიხადო, მაგრამ რასაც მოიმკით, საკუთარ თავს უნდა დააბრალოთ.

რაც შეეხება ამ საფეხურისთვის შესაბამის იესო ქრისტეს მიერ მოწოდებულ ცოდნას, გეტყვით, რომ მან პირდაპირ განუცხადა ადამიანებს, რომ აზიარა იმ ცოდნას, რისი მიღებისა და აღქმის უნარიც გააჩნდათ იმ კონკრეტულ ეპოქალურ დროსა და ადგილზე. მან პირდაპირ განუცხადა ადამიანებს, რომ იმ ინფორმაციაზე მეტს უბრალოდ ვერ იტვირთავდნენ ისინი, ვიდრე მიაწოდა ადამიანებს თანაცხოვრების დროს. როდესაც ისრაელის მოძღვრად წოდებულმა ნიკოდემოსმა სთხოვა, მისთვის იმ ეპოქაში გაცნობიერებულ ცოდნაზე მეტი ცოდნა გაეზიარებინა მისთვის, იესო ქრისტეს კითხვით მიმართა: **„როგორ შეიძლება ზრდასრული ადამიანი იმავე ცხოვრებაში ხელახლა იშვასო?“** – ასეთი პასუხი მიიღო: **„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ვლასპარაკობ იმის შესახებ, რაც გვინახავს, მაგრამ თქვენ ვერ ღებულობთ ჩვენს მოწმობას. თუ მინიერზე გითხარით და არ გწამთ, როგორ იწამებთ ზეციურზე რომ გითხრათ?“** (ახალი აღქმა).

ეს ყოველივე არის ამ საფეხურის ქვაკუთხედი და მიმდინარე დროისა და ადგილისათვის შესაბამის აღზრდასა და სიბრძნის ცნებათა სრულყოფილად დაკმაყოფილებას მოითხოვს.

იმისათვის, რომ განკითხვის სურვილის ტყვეობაში არ აღმოჩნდეს, ადამიანმა საკუთარი მატერიალური ან მენტალური სხეულიდან გამონვეული შედარებითობით ზომვას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დააღწიოს თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერას-გზით ვერ შევა იქ, რასაც ამ პირველი საფეხურის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოიცავს თავის ცნობიერ არსში.

ამ საფეხურის წამყვანი გაგება სრულიად საფუძვლიანადაა დიდაქტიკური სწავლება, რომლის საშუალებითაც კულტური თანამიმდევრულობა უნდა იქნას გადმოცემული, მაგრამ დიდაქტიკა არასოდეს არ უნდა გადაიზარდოს აღსაზრდელის ინტერესების ცალმხრივ განსაზღვრაში აღმზრდელის გადასახედიდან დანახულში და აღსაზრდელის ნება-სურვილთა ნაწილობრივ იგნორირებაში (რომელიც აუცილებლად გადაიზრდება აბსოლუტურ, სრულ იგნორირებაში). მე-8 მცნება (**არ იპარო**) ამ გადასახედიდან მოიაზრებს იმას, რომ ვინც საკუთარი აღზრდისთვის ძალისხმევასა და ნებისყოფას დაიშურებს, თავის პიროვნებას ართმევს საუკეთესოს, რაც კი შეიძლება, რომ მიიღოს. მე-7 მცნება (**არ იმრუშო**), ამ გადასახედიდან, მოიაზრებს იმას, რომ ვინც სხვათა აღზრდისათვის ჭარბ ძალისხმევას და დაუკმაყოფილებულობას გამოავლენს, საკუთარ პიროვნებას მოახვევს სხვას. ის ყველაზე სანუკვარსა და საუკეთესოს ნაძალადევობისა და ძნელადაღსაზრდელობის მანტიას მოასხამს.

სიბრძნე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ადამიანმა ძალიან ბევრი რაიმე იცის ძალიან ბევრის შესახებ.

ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება იწოდოს ბრძენად, როდესაც მან იცის რა, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისთვის, როგორ და რამდენი ვასცხვს (და, უეჭველად ეს უნდა იყოს ის, რაც ჭეშმარიტად საჭიროა და ვასაცემია).

აღზრდილად კი მხოლოდ მაშინ შეიძლება იწოდოს ადამიანი, როდესაც მან იცის რა, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისგან, როგორ და რამდენი მიიღოს. (და უეჭველად ეს უნდა იყოს ის, რაც ჭეშმარიტად საჭიროა და მისაღებია).

ეს საფეხური გახლავთ ჭეშმარიტი ნდობის პირველი საფეხურის (ემოციების ჭეშმარიტად მიზნობრივად მიმართვის) გამოვლინება ესთეტიკურ და ზნეობრივ ასპექტებში.

II. არსებული მატერიალური და მენტალური გარემოს მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება

არსებულ მატერიალურ (ან მენტალურ) გარემოში მიმდინარე პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღების სურვილი ადამიანში ერთ-ერთი უძლიერესი ინსტინქტია და მის „მე“-ში ბუნებრივი „ეგო“-ს ამბიციურ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ უფლების მიღებისთვის სრულიად უნდა იყოს აღქმული და დაცული ადამიანის მიერ ამ უფლების შესაბამისი, შესატყვისი მოვალეობა.

ამ მმართველობაში მონაწილეობის უფლების მიღების სურვილი არანაირად არ წარმოადგენს, თავისი ჭეშმარიტი გაგებით, გარემოზე ძალაუფლების მიღების სურვილს. ვინც ამას ასეთად ვერ აღიქვამს, ვერასდროს გახდება გარემოს საჭირო და სასურველი გზით მიმართვის საქმეში დამხმარე. უფრო მეტსაც კი გეტყვით, ყველაფერი პირიქით ხდება. იგი ხელისშემშლელი და ჭეშმარიტი გზიდან საპირისპირო მიმართულებით წარმმართველი ძალის თანამდები გახდება. ეს უფლება თავის თავში მოიაზრებს ადამიანის მიერ სიკეთის, ჭეშმარიტად საკეთებლის კეთებას გარემოსთვის.

ამ შემთხვევაში, ისე როგორც არასოდეს, უნდა აღიქვას ადამიანი, რომ ის მხოლოდ საშუალება უნდა იყოს და საშუალებად უნდა აღიქვამდეს საკუთარ პიროვნებას და ერთადერთ მომქმედად (თავისზე დაქვემდებარებულ ნაწილთან მიმართებაში), თუნდაც მთელმა მატერიალურმა სამყარომ იგი ერთადერთ მმართველად, მეფედ, კერპად აღიაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უბედურებები და სულიერი უკუსვლა არ ასცდება მთელ გარემოსა და თავად ამ გაყოყონებულ, უმეცრებაში გადასულ ადამიანს.

ეს არის ურთულესი და უმაღლესი გამოცდა ადამიანისათვის ზოგადად და, მისი ღირსეულად გადალახვის შემდგომ, ადამიანი უდიდეს პატივს იმსახურებს განგების მხრიდან. იგი ცათა სასუფეველში ან თვით ზეცაშიც კი შეიძლება იქნას გადაყვანილი და მიღებული.

ფაქტიურად, ამ საფეხურზე გადასული ადამიანი (ისევე როგორც წინამდებარე) უკვე ზეადამიანად შეიძლება იქნას მოხსენიებული ყოველგვარი შიშისა და მკრეხელობის შეგრძნების გარეშე. ის ადამიანებისთვისაც კი ზეადამიანად არის მიჩნეული, ანუ არსებულ პირველქმნილ ადამიანურ ბუნებაზე მაღლა დამდგარ ევოლუციურებულ-გაკეთილშობილებულ არსებად და როგორც ნეფე-პატარძალი ირთვება ქორწილის წინ, ისეა მორთული ასეთი ადამიანი

სულიერად, რათა სულიერ სამყაროში საკუთარი ინდივიდისთვის ჭეშმარიტად საპატიო ადგილი დაიკავოს იქ, სადაც განგების მიერ მისთვის ობიექტურად იქნება განკუთვნილი და გამოყოფილი.

ადამიანების მიერ შეცდომების დაშვება ცხოვრების განმავლობაში, თუნდაც იდეალურად მართებული სვლის შემთხვევაშიც კი, გარდაუვალი პროცესია, მაგრამ მათი ეტაპობრივი აღმოფხვრა ამ შეცდომებს, ანუ მცდარ შეხედულებებს, ჭეშმარიტების შეცნობად და აღქმად გარდაქმნის. აი, ეს საფეხური არის ის ბოლო, უკანასკნელი საფეხური, რომელზეც ადამიანმა სასურველია და საჭიროა, რომ შეცდომები აღარ ჩაიდინოს და ველარ დაუშვას. აქ ჩადენილი შეცდომა ხომ მთელს გარემოს აზიანებს. გამოდის, რომ ამ საფეხურზე ადამიანმა ადამიანური დონის პოტენციური პოზიტიურობის დაცვის მაქსიმუმს უნდა მიაღწიოს, გახდეს „მნიფე ნაყოფი“ და როგორც ერთი ანთებული სანთლით უამრავი ჯერ არ ანთებულის ანთება შეიძლება, ისე აანთოს ყველას გული, ვინც მისი განმგებლობის ქვეშ იქნება უშუალოდ.

იყო მართებული – აი, რა არის მთავარი მართვაში მონაწილეობის უფლების მიმღებისათვის. თუ იქნები მართებული (ჭეშმარიტი ცოდნისა და ჭეშმარიტი თანაგრძნობის გზით მავალი), იქნები მართალი; თუ იქნები მართალი, არ იქნება შენში თუნდაც ერთი მისხალი ტყუილისა და სიმართლესა და სამართალს დაამკვიდრებ შენი განგებულობის საზღვრებში. სამართალი კი თავად ამოძირკვავს შუღლს, დაპირისპირებას, სიცრუეს, გზამრუდობას, შიშს, გაუტანლობას, სასონარკვეთას, ურწმუნოებასა და ა. შ. და ა. შ. დამკვიდრდება ურთიერთგაგების სურვილი, სიმართლისა და სამართლის უზენაესობა, თანადგომისა და ღირსეულობისკენ სწრაფვა. ადამიანები აღარ იქნებიან უპირატესობის მოპოვებისკენ მიდრეკილნი, გარშემო იქნება მშვიდობა და სიყვარული.

რაც ყველაზე მთავარია, ადამიანები ეცდებიან მიბაძონ თავისზე ჭეშმარიტად უკეთეს ადამიანებს და უკეთესობა არ იქნება აზომილი თანამდებობის საკუთარ ინტერესებში სარფიანად (გავლენიანობისათვის) გამოყენებით, მატერიალური დოვლათით, ფიზიკური ძალმომრეობით, დაშინების უნარით, „სქელკანიანობით“ და ა. შ., რამეთუ, რაც უფრო მაღალ სოციალურ თუ თანამდებობრივ საფეხურზე იქნება ადამიანი, მით უფრო დიდი იქნება მასზე გაპიროვნებული პასუხისმგებლობა და ნებისმიერი, ვინც გაზრდის თავის არსში ჭეშმარიტი პასუხისმგებლობის გრძნობას, აუცილებლად მიაღწევს წარმატებას იმ მიმართულებით, საითაც მოისურ-

ვებს და იმხელაზე, რამხელაზეც მისი პასუხისმგებლობა გაიზრდება; ე. ი. საზოგადოებაში წახალისებული იქნება სულიერი სიზარმაცისა და სიჯიუტის აღმოფხვრა.

შეიძლება ვინმეს ეს სულელურ ოცნებად მოეჩვენოს, მაგრამ მე მინდა გითხრათ, რომ ეს სისტემა, ასეთი ტიპის მმართველობა და მმართველები მალე დედამინაზეც კი მოვლენ და თქვენ ყველანი თავად შეძლებთ ამ ყველაფრის დანახვასა და გაგებას. ეს იმაზე მალეც კი მოხდება, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ.

ეს ყოველივე ესთეტიკურ-ზნეობრივი ფორმაციული გამოვლინებაა ამ მეორე საფეხურის არსობრივი რაობისა. მე იმითაც კი შევიგრძნობ ბედნიერებას, რომ ახლა ამას ვწერ, რამეთუ არა მარტო ვწერ, მე ამას ვხედავ, მე ეს მესმის, მე ამას შევიგრძნობ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რა მდგომარეობაა... და ეს ყველაფერი ზემოდან, მმართველობითი რგოლიდან უნდა გამომდინარეობდეს, შეგრძნება უნდა განაგებდეს გარემოს და არა ხელოვნური იმიტირებული ფრაზები, არა ილუზიური, უტოპიური იდეა თანასწორუფლებიანობისა და თანასწორმოვალეობიანობისა ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იდეა თანასწორობისა. შეუძლებელია, ორი ადამიანიც კი იპოვოთ, რომელიც თანასწორი იქნება ან ერთმანეთთან მიმართებაში, ან მინიერ კანონებთან მიმართებაში, ან თუნდაც სულიერ კანონებთან მიმართებაში. ყველასთვის სულიერი და მინიერი კანონები უნდა იყოს უზენაესი და ადამიანები ერთმანეთს თანასწორობაში არ უნდა ეცილებოდნენ, რადგან სწორედ ეს შობს შულსა და დაპირისპირებას.

ან ვის ატყუებთ ადამიანებო, საკუთარ თავებს? ვითომ თქვენს მიერ არჩეული მმართველები (პარტიის თავჯდომარე იქნება, პარლამენტის დეპუტატი თუ პრეზიდენტი) თქვენი პიროვნებების თანასწორებად მიგაჩნიათ? და არც უნდა იყოთ, მაგრამ რატომ გინდათ, იცხოვროთ ამ სულელური ტყუილებით. მმართველი ამ გზით მოსული ხომ ყოველთვის თქვენზე უარესი იქნება ანუ პასუხისმგებლობის შეგრძნება სულ მცირე და მცირე გახდება, ვიდრე სულ ბოლომდე არ გაქრება და თქვენში არსებული ადამიანური ბუნებიდან როდესაც საერთოდ აღარაფერი დარჩება, მაშინ ნებისმიერი დაბალი იერარქიის ცოცხალი არსება თქვენზე გაცილებით უკეთესი გახდება და თქვენ კი, პასუხისმგებლობა და შეგნებადაკარგულ არსებებს, არ აგცდებთ და არც უნდა აგცდეთ ის, რასაც ობიექტური შეფასების საფუძველზე დაიმსახურებთ.

რა თქმა უნდა, ადმიანებში ჩანერგილ, ზომბირებულ მსოფ-
ლმხედველობაზე მე ამით ალბათ დიდ ზეგავლენას ვერ მოვახდენ
და რომ მოვახდინო კიდევ ეს დიდი-დიდი პირველ შემხვედრთან
დალაპარაკებამდე გაჰყვებათ, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ მაშინ,
როდესაც კრიტიკული მომენტი დადგენა დედამიწაზე, იქნება რა-
ღაცაში ნაგებმართო ეს ნაწერი. არასოდეს არ არის გვიან, ადამიან-
მა ხელახლა დაიწყოს ცხოვრება, თუნდაც სიკვდილამდე ერთი მუა-
სელი წამით ადრე.

ახლა კი ამ საფეხურის მცნებათა დონეზე განხილვა დავინ-
ყოთ. თუ მოკლე ფორმულირებით გადმოვცემთ, ეს საფეხური არის
საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ცივილიზირებულობის
მდგომარეობიდან ჰარმონიზირებულობის მდგომარეობაში გადაყ-
ვანის საშუალება. უფრო მარტივი ენით თუ ვიტყვით, ეს არის მა-
ტერიალური ხიზლისაგან, მატერიალური რეფლექსუალურობიდან,
ხელოვნური „ეგო“-სგან სრულად გათავისუფლების საშუალება. ეს
ყოველივე კი იმაში იქნება გამოხატული, რომ მატერიალურ გარე-
მოსთან კონტაქტიც კი ვერ შეძლებს ადამიანის სიამოვნების მიღე-
ბის სურვილში ჩათრევას ჭეშმარიტების დარღვევის ფასად. იგი
თავისი გულის-ხმის-ყოფით ხელმძღვანელობს უკვე. იმისათვის,
რომ ეს შეძლოს, ადამიანი ამ საფეხურზე ყოველთვის, ყველგან და
ყველასთან გულახდილი უნდა იყოს. ნებისმიერი დაფარული, დამა-
ლული, გულში ჩახვეული რამ, თუნდაც სულ უმნიშვნელოც კი,
მკვლელობის დონეზე განიხილება. იკვლება სიმართლე, რაც ადრე
თუ გვიან სიძულვილამდე მიიყვანს ნებისმიერს. ეს, ადამიანის ქა-
ლური სანყისისთვის ამ საფეხურზე უზენაესი კანონი უნდა იყოს,
ხოლო ადამიანის მამაკაცური სანყისისთვის უზენაეს კანონად მე-5
მცნება შემოდის ესთეტიკურ-ზნეობრივი დონისა. ეს არის გარე-
მოს შესახებ უკვე გაცნობიერებული ნაწილის უმნიშვნელო პატივის-
ცემა, გამჭვირვალობა და სხვათათვის გაზიარება. ამ სხვათათვის
ეს ცოდნა გარემოს შესახებ, ფაქტიურად, მეცნიერებად იქნება აღ-
ქმული, მეცნიერებად, როგორც ცოდნად გარემოს ვიზუალური ნა-
წილის შესახებ.

ალბათ დაგაინტერესებთ, რა შუაშია აქ მამა და დედა (მე-5
მცნებაში ციტირებულს ვგულისხმობ). საქმე იმაშია, რომ ადამიან-
ის მიერ გარემოს შესახებ უმნიშვნელოდ შეცნობილი ცოდნა სწო-
რედ მშობლების ცოდნას მოიცავს ზედმიწევნით. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში, ადამიანი მათ შვილად ვერ დაიბადებოდა (ეს თემა კარ-

გადაა გაშლილი ჩემი პირველი ნიგნის, „ფასეულობათა ანბანის“ მეორე თავის ქვეთავში „შვილები“).

ე. ი. ამ საფეხურზე ხდება ადამიანის კონცენტრირება მე-5 და მე-6 მცნებებზე და ის აქ გადმოერთვება მე-7 და მე-8 მცნებებიდან. აქაც გეტყვით, რომ მე-5 და მე-6 მცნებებს სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში თქვენ სრულყოფილად შეძლებთ V, VI, VII, VIII, IX და X მცნებების დაცვას. ამის შედეგად ადამიანი მთლიანად დაასრულებს ადამიანური ბუნებისთვის შესაბამის ესთეტიკურ-ზნეობრივი მაქსიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ე. წ. ზეადამიანური ბუნებიდან უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე (ცოცხალ, ცხოველ ბუნებაში) გადასვლის უფლებას მოიპოვებს. სრულიად არ გამიკვირდება, თუ ეს ყოველივე, რასაც ახლა ვწერ, გაუგებრად მოეჩვენება ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ მათგან თუნდაც ერთისათვისაც თუ იქნება ეს სასიცოცხლო ინტერესების მატარებელი, მიმაჩნია, რომ ამაზე უკეთესს ვერაფერს ვიზამდი. მომიტევეთ, მაგრამ მე ისინი უფრო მაინტერესებენ, მათ ხომ დედამიწაზე თითქმის ვერავინ და, შეგნებულადაც კი, არავინ არ ეხმარება. განსაკუთრებით, ეს პრობლემატურ საკითხს დღეს-დღეისობით წარმოადგენს, როდესაც ძალაუფლების მოპოვება ყოველგვარი უმსგავსო გზით გახდა შესაძლებელი და პირიქით – ღირსეული გზით დამსახურებული ძალაუფლების მიღება სრულიად შეუძლებელიც კი გახდა.

ეს ძალიან მალე, უახლოეს მომავალში შეიცვლება და, ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ამ გარდაუვალი არეულობის პროცესში ეს ნიგნი ღირსეულ ადამიანებს ჭეშმარიტ გზაზე დაყენებაში სერიოზულ დახმარებას გაუწევს. ვფიქრობ, განგება თავად განსაზღვრავს ამ ნიგნის ბედ-იღბალს. აი, საკუთარი ბედ-იღბალი ნამდვილად ინდივიდუალურად თითოეული ადამიანის გადასაწყვეტი გახდება.

საბოლოო დასკვნის სახით ამ საფეხურის გარშემო კი შეიძლება ითქვას, რომ მისი სრულყოფილად საჭიროდ გავლის შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი თვით სულიწმიდის მიერ უნდა იქნას აღიარებული ადამიანური ბუნებისთვის მაქსიმალური მოთხოვნების სრულყოფილად შემსრულებლად და თუ რაიმე ანომალიურ, კატასტროფულ სისულელეს არ ჩაიდენს, სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს სულიერ სამყაროში. ეს უზარმაზარი წარმატებაა ადამიანისათვის.

სულიწმიდა, უხეშად რომ ვთქვათ, დედაა აბსოლუტურად ყველაფერი გამოვლინებულისა (დროებით გამოვლინებულობას ვგუ-

ლისხმობ) და როდესაც ძალიან დიდი ნაწილი გამოუვლენელ მდგომარეობაში გადავა, ერთგვარ ძილს მიეცემა, რაღაცა ნაწილი კი საერთოდ საშინელ ყოფაში აღმოჩნდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ უსაშველოდ დიდი დროის განმავლობაში აბსოლუტური სრულყოფილების საზღვრებიდან იქნება გაძევებული; ამ საფეხურის გამვლელი ადამიანები სრულიად გამოვლინებულ მდგომარეობაში, ადამიანებისათვის წარმოუდენელ ბედნიერ მდგომარეობაში იქნებიან.

მომიტევით, მაგრამ ამის ახლა აქ დანახვება, უბრალოდ, შეუძლებელია. მაგრამ დამერწმუნეთ, თქვენ თავად დაინახავთ ამ ყოველივეს ცნობიერების თვალებით, თუ ამ საფეხურისათვის შესაბამის ცოდნასა და მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ და არანაირი ხიბლისათვის არ დაარღვევთ, ვიდრე დედამიწაზე მატერიალურ სხეულში იქნებით. რაც შეეხება ამ საფეხურის გამოვლინებასა და ხედვას ადამიანის ცხოვრებაში, მიუხედავად მისი მხრიდან ძალაუფლების სურვილის არ ქონისა, იგი მატერიალური გარემოს მხრიდან რჩეულ და ღირსეულ ადამიანთა რიცხვში აღიქმება.

მატერიალური და მენტალური გარემოს მართვაში მონაწილეობის უფლება მოიაზრებს ამ გარმოსთვის ქვეშარიტად საჭირო და სასურველი მატერიალური ცოდნის გაზიარებას. უფლებამოსილებამინიჭებული ადამიანი უნდა იყოს თავის განმგებლობაში გაპიროვნებული გარემოს გემოვნების დახვეწისა და შეგნების აწევის ინტერესით დაკავებული. ამ პროცესში მან აუცილებლად უნდა დაიცვას იდეალურობასთან მიახლოებული ზომიერება და ამავე დროს უნდა იყოს გულახდილი ყოველთვის, ყველგან და ყველგან. თუ პროცესის მიმდინარეობისას ადამიანი კორექტულობას ვერ დაიცავს, მწყობრიდან გამოვა და უხეშობაზე გადავა, ეს უნდა იყოს ნიშანი იმისა, რომ რაღაც ჭარბი, ზედმეტი შემოაქვს გარემოს ცხოვრებაში. თუ, პირიქით, მათმებლობასა და მლიქვნელობას შეეცდება, ამით ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ იმაზე ნაკლები შემოაქვს გარემოს ცხოვრებაში, ვიდრე ეს მას ევალება.

მაშინ, როდესაც ადამიანი საკუთარი ინდივიდუალური ინტერესების უზრუნველყოფისთვის გამოიყენებს მასზე გაპიროვნებულ უფლებებს, მაშინ ამ ადამიანს ველარაფერს გააგებინებთ, რამეთუ, იგი სიამოვნების ხიბლით ავხორცობას ჰყავს თავისზე მიჯაჭვული და ამდენი ნვალებით მიღწეულ წარმატებას თავისივე ხელით „ყრის წყალში“.

III. ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის აღქმა

ჭეშმარიტ რწმენას (ამ შემთხვევაში ჭეშმარიტად სრულყოფილ ცოდნას ბუნებრივი „ეგო“-ს გამოვლინებულობის შესახებ) მიიღებს ის, ვისშიც იქნება ჭეშმარიტი ნდობა (ამ შემთხვევაში სულიწმიდის ობიექტური აღქმა). აქ ლაპარაკია უკვე არა ადამიანურ ან ზეადამიანურ, არამედ ცხოველმყოფელ, ცოცხალ ბუნებაზე. ეს აშკარად ღვთიური ბუნებაა, მაგრამ ტერმინებით რეალობის გადმოცემის აღრევა რომ არ მოხდეს, ჯობს აქვე განვსაზღვროთ: ეს არის აბსოლუტის ქალური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილის რაობის ახსნის მცდელობა. ეს სანყისი, ძალიან უხეშად თუ მოვიხსენიებთ, მთელს წარსულს განაგებს, უსასრულოდ შორეული წარსულიდან მოყოლებული. აქ ამ დონეზე ყველაფერი მეტისმეტად სხვანაირია და მისი გადმოცემა მეტისმეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. ამას სამოთხეს ვერ შეადარებ, ვერ შეადარებ იერარქიულად უფრო მაღალ მდგომარეობასაც. თვითონ სამოთხე ამ დონის პატარა ნამცეცს წარმოადგენს და მთლიანად მის ინტერესებს ემსახურება. ეს ესთეტიკის აკადემიური სახით გამოვლინებულობას წარმოადგენს. ის იმდენად მშვენიერია და უმანკო, რომ აქ მოხვედრის შემდგომ ცნობიერება თავისდაუნებურად ერთგვარი გამოუვლინებლობის სულისკვეთებით იმსჭვალება, რომ რაიმე უხეში ქმედებით შემთხვევით არაფერი არ დაეზიანებინოს.

აი, ამ დონეზე შესვლის უფლების მიღების შესახებ მოგვითხრობს ეს საფეხური. ცხოველმყოფელი ბუნება არის იქ, სადაც ხდება ყველაფერი საუკეთესოსა და ღირებულის დაფიქსირება, დაღეჟვა და ერთგვარ სავანედ ჩამოყალიბება. ალბათ უნდა დამეთანხმოთ, რომ არასდროს არაფერი უკვალოდ არ იკარგება. თქვენ წარმოიდგინეთ, რა შეგრძნება დაგეუფლებათ როდესმე სადმე არსებული ყველაფერი მშვენიერი და საუკეთესო ერთად შეკრებილი ერთიანად, ერთბაშად რომ იხილოთ. წარმოიდგინეთ რამხელა უმეცრებაა ცოცხალი არსების მიერ გამოვლინებული, როდესაც ამ ყოველივესთვის დაწესებულ უმაღლეს პიროვნებას საკუთარი ეგოისტური სურვილების განხორციელებით ანთებული არ აფასებს ჯეროვნად და უფრო მეტიც, მასთან დაპირისპირებასაც კი, ბედავს და ცდილობს. მე სულაც არ მიკვირს, რომ მეტისმეტად გათავხედებული პიროვნებები დროთა განმავლობაში კოსმიურ ნაგავსაყრელზე ამოჰყოფენ ხოლმე თავს. შემდგომ ამ ნაგავს ბევრჯერ მოუწევს მიკროსკოპულ დონეზე გადამუშავება და იმ პი-

როვნებების მთლიანად დაშლა, პიროვნულობის ანულირება. ის ვინც საკუთარი ინდივიდუალურობის გავლენის გაზრდით იყო დაკავებული და წარმოდგენილად დიდ ძალისხმევას ახმარდა ამას, საბოლოო ჯამში, მთლიანად ჰკარგავს ამ ინდივიდუალურობას.

ვისაც ეს იდეა გამოძრავებთ, თუ ასე გსურთ გააგრძელოთ თქვენი გზა, მე მინდა უკვე გავთავისუფლდე იმ სურვილისაგან, რომ როგორმე მოგაბრუნოთ ამ გზიდან. მე მიმაჩნია, რომ ამისთვის საკმარისი შრომა მაქვს განუწეული. მინდა გითხრა, რომ ამიერიდან მე თქვენზე აღარ ვიზრუნებ და საკუთარი სულის და თუნდაც საკუთარი სხეულის (ვიდრე დედამინაზე ვიმყოფები) საფუძვლიანი, ფუნქციონალური ინტერესების განხორციელებით დავსაქმდები. თუ ვინმეს გსურთ ჩემი და ჩემნაირების დახმარება მიიღოთ, კეთილი ინებეთ, აიღეთ ჩვენი წიგნები და მასში ჩადებული სულიკვეთებით განიმსჭვალეთ! მე თქვენ დამალეთ, ბატონებო, და ქალბატონებო, საკუთარი უაზრობის ფრქვევითა და უმიზნო ცხოვრებით. მე მინდა სერიოზულად განვაცხადო, რომ მე თქვენ აღარ მაინტერესებთ. ამით სრულიად გავთავისუფლდები დაცემისკენ მიდრეკილი ორიენტაციის დამოკიდებულებისაგან, ანუ გავთავისუფლდები მატერიალურ სამყაროზე დამოკიდებულებისაგან – აი, ასეთი მიდგომა (აშკარად ემოციური) შეიძლება მართლაც გახდეს მატერიალური სამყაროს დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების საშუალება, მაგრამ გარანტირებულად შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ დროებითი იქნება. ეს გათავისუფლება იქამდე ვერ მოხდება, ვიდრე ცოცხალი არსება, სხვათა დადანაშაულების ნაცვლად, საკუთარ თავს არ განიხილავს ობიექტური თვალვით და არ აღიარებს, რომ მატერიალურ სამყაროში იგი სწორედ საკუთარი ინდივიდუალურობის გავლენის გამოვლინებისა და გაზრდის სურვილმა მოიყვანა და არა რაიმე სხვამ. ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლება ერთიან ცნობიერებაში დაბრუნება და ამ ცნობიერების მენტალიტეტის აღქმა.

ახლა კი, ეს საფეხური მცნებათა დონეზე განვიხილოთ. ესთეტიკურ-ზნეობრივი განმსაზღვრელი მცნებებიდან ამ საფეხურს მიესადაგება მე-3 და მე-4 მცნება.

მე-3 მცნება იქნება ე. წ. მამაკაცური სანყისის საქმიანობის გამოხატველი ამ დონისათვის საერთოდ და ასე გამოითქმის:

არა მოილო ღვთისა უფლისა სახელი ამოსა ზედა.

მე-3 პრინციპი არის:

არასრულყოფილების ბლოკირება, გამოიჯვნა არასრულყოფილებისაგან და მისი სრულყოფილებად გარდაქმნის ძიება.

მე-3 ნიჭი სულიწმიდისა კი გახლავთ:
ძლიერება.

მე-4 მცნება იქნება ე. წ. ქალური სანყისის საქმიანობის გამომხატველი და ასე გამოითქმის:

მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი, ექვსი დღე იქმოდე და ჰქმენი მათ შინა ყოველი საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.

მე-4 პრინციპი არის:

თავჯანისცემა ყოველგვარი პირადი მოსაზრების გარეშე.

მე-4 ნიჭი სულიწმიდისა კი გახლავთ:
განზრახვა.

ამ მცნებებსა და მათ შესაბამის პრინციპებზე გადმოსვლა უნდა მოხდეს მე-5 და მე-6 მცნებებიდან. აგრეთვე მინდა აღვნიშნო ის, რომ ამ ცოცხალ არსებას ჰარმონიზირებულობა გავლილი აქვს და ტრანსტენდენციურებაზე გადადის. ვფიქრობ, ამის უფრო დაწვრილებით ახსნა ნამდვილად ღირს.

ჰარმონიზირებულობა ცოცხალი არსებისა იმაში მდგომარეობს, რომ მთლიანად დაიხარჯა იგი იმ გარემოსთვის, რომელიც განგებამ განუსაზღვრა და, თავის მხრივ, შესაძლო დახმარების მიქსიმუმი გაიღო. ამის საფუძველზე ცოცხალ არსებას, როგორც ინდივიდს განგების მიერ ეძლევა უფლება უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლოს (რა თქმა უნდა, თუ ის გარემოს არ მიეჯაჭვა და ეს ზესვლა სურს). აქ მას ეძლევა შანსი, სრულად შეიცნოს ბუნებრივი „ეგო“-ს არსი ესთეტიკისა და ზნეობრივობის გადასახედიდან. ფაქტიურად, ეს არსება ევოლუციას განიცდის, მაგრამ ეს ევოლუციურებაზე არა კონცენტრირებული, თავისთავადი, ბუნებრივი ევოლუციის გამომხატველი ფორმა გახლავთ. ის უფრო ტრანსულ მდგომარეობას განიცდის, ვიდრე წინსვლის ტენდენციას. ეს ტრანსცენდენციურება ცოცხალი არსების ერთიან ცნობიერებასთან ურთიერთობის, მისი აღქმის საშუალება ხდება და არა პასიური სიამოვნების მიღების პროცესი.

ამ საფეხურის ქვედა შკალის დამცველი ე. წ. ქალური სანყისის გამომხატველი მე-4 მცნება და მისი შესაბამისი მე-4 პრინციპი უზრუნველყოფენ ცოცხალი არსების არ დაცემას ქვედა იერარქიულ

საფეხურზე, ამჯერად, ადამიანურ ბუნებაში არ გადასვლას. ამის მშვენიერი გამომხატველი გახლავთ ე. წ. მე-4 ნიჭი სულიწმიდისა ანუ *განზრახვა*. რაც არ უნდა მოხდეს ცოცხალი არსების ცნობიერებაში (მაგალითად: უცაბედი აღფრთოვანება ან აღშფოთება), მასში უკვე არსებობს ამ შეგრძნების შინაგანად შეკავების უნარი. მიუხედავად მომენტალური შიდა აფეთქებისა ერთიანი შიდა ცნობიერული სისტემა მართავს და ათვისებებს ამ აფეთქებას და მას გარეთ გამოშვების უფლებას არ აძლევს. მე ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი უნიკალური თვისებაა, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ინდივიდის მართვის უნარს ნებისმიერ სიტუაციაში. უკვე ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ მე-4 პრინციპის მნიშვნელობაზე, ანუ *თაყვანისცემაზე პირადი მოსაზრებების მიუხედავად*. ეს თვისება ისევე როგორც განზრახვა, მთელი შიდა ერთიანი ცნობიერების იმპულსურობის მართვის ბრწყინვალე საშუალებაა. ასე მარტივად, ხელალებით ვერანაირად ვეღარ მოხერხდება წარსულში დამკვიდრებული თაყვანისცემის ობიექტისა თუ თაყვანისცემის ცნების იგნორირება. ხდება შიდა სკურპულოზური განხილვა, ყველა მხრიდან შეხედვა და ამ პროცესში იმპულსის პროვოკაციული მუხტი ნელ-ნელა გაიწოვება.

ფაქტიურად, მოხდება ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა საკუთარი „მე“-ს გონებისმიერ ნაწილში. ეს ეხება როგორც ამ საფეხურის ე. წ. ქალური სანყისის დონეს, ისევე საფეხურის ე. წ. მამაკაცური სანყისის დონეს.

თვითონ მე-4 მცნების რაობაზე თუ შევჩერდებით, ვიტყვი, რომ ეს ადამიანებისთვის არის შემოტანილი და ადამიანური ბუნების მქონე არსებები (ადამიანები, რომლებმაც ადამიანური ბუნება არ დაკარგეს და უფრო გაიზარდნენ) ამ მცნების დაცვით, მუდმივად კონტაქტში იქნებიან სულიწმიდასთან და მის პირად წარმომადგენლებთან და მონური ან სატანური ბუნების მიღებას გადაურჩებიან, აღარ მოხვდებიან სპეკულაციური ცოდნის ზეგავლენის ქვეშ და ამ ცოდნის ტყვეობაში.

ახლა კი, მოდით, განვიხილოთ ამ საფეხურის ზედა შკალის დამცველი ე. წ. მამაკაცური სანყისის გამომხატველი მე-3 მცნება და მისი შესაბამისი მე-3 პრინციპი და მე-3 ნიჭი სულიწმიდისა, მათი ფუნქციონალური რაობის გადასახედიდან. ისინი ნამდვილად არინ უნივერსალური დამცველები ცოცხალი არსებისა ყოველგვარი ზედმეტობისაგან. ვნახოთ რაში გამოიხატება ეს დაცვა.

ერთგვარი ბუნებრივი მოკრძალების ქონის აუცილებლობა იკითხება თავად მე-3 მცნებაში (*არა მოილო ღვთისა უფლისა სახელი ამოსა ზედა*). ანუ თუ ცოცხალი არსება უფალს მიმართეს, შეანუხებს მას საკუთარი ცნობისნადილის დასაკმაყოფილებლად, ეს მართლა ღირებული უნდა იყოს. საინტერესოა როგორღა განვსაზღვრო, რა არის ეს *ღირებული*? უფლისათვის ხომ ვერ იქნება ღირებული ეს, რამეთუ მისთვის ის ყოველივე, რაც ამ ცოცხალი არსებიდან მომდინარეობს, აბსოლუტურად და ზედმიწევნით გაცნობიერებულს რამეს წარმოადგენს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს თვითონ ცოცხალი არსებისათვის უნდა იყოს კრიტიკულობის ზღვარზე ყოფნის მდგომარეობიდან უფლის მოხმობა, ანუ, ვიდრე იგი უფალს მიმართავს, ჯერ თავად უნდა დაიხარჯოს სრულად ამ საკითხის შეცნობაზე, რათა შემდგომ, ჭეშმარიტად ღირსეულად შეძლოს იმის დაფასება, ვინც ამ საკითხს გადაწყვეტინებს. საკითხს, რომლის გადაწყვეტისათვის, თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, თავად პასუხი ვერ მოუძებნა. უფრო მეტსაც გეტყვით, თუ მოხდა სასწაული და ძალიან რთულ საკითხს ცოცხალი არსება დამოუკიდებლად ამოხსნის, მაშინ უკვე აუცილებლად უნდა მიმართოს უფალს და სთხოვოს, შეამოწმოს მის მიერ მოძიებული ამონახსნი ჭეშმარიტად სწორია თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში მასში მნიშვნელოვნების გრძნობა, სრულყოფილების კომპლექსი დაიდებს ბინას და, ვფიქრობ, არ არის ძნელი მისახვედრი, რომ იგი ტრანსცენდენციურების პროცესიდან ამოვარდება. მასში დემონური ბუნება დაიწყებს შესვლას და ისევ ქვემოთ ჩამოვარდება, რასაც სატანურ ბუნებაში გადასვლაც არ ასცდება მომავალში.

ახლა, მოდით, მე-3 პრინციპი და მე-3 ნიჭი სულიწმიდისა განვიხილოთ. *ძლიერება* იმაში გამოიხატება, რომ საკუთარ არსში არსებული სრულყოფილი ნაწილი (უმანკობა) არაფრისა და არავის გულისთვის არ შებღალღოს, არ გაიბინძუროს. ცოცხალმა არსებამ არ უნდა უკირკიტოს იმას, რაც უკვე აღქმულია, განგების მიერ აღიარებულია და დამტკიცებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ბუნებრივი „ეგო“-ს ზრდას გამოიწვევს. პირიქით, ის უნდა ეცადოს აღასრულოს მე-3 პრინციპის მოთხოვნილება: კერძოდ, არასრულყოფილება გამოყოს ცალკე და მის სრულყოფილებად გარდაქმნაზე იზრუნოს. ვფიქრობ, ეს მართლა დიდ ძალასა და შეუპოვრობას მოითხოვს ცოცხალი არსების მხრიდან. ბუნებრივია, აქაც იმ პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს ინდივიდმა, რაც ზემოთ ვახსენე, ანუ დამოუკიდებლად შეეცადოს, მაქსიმალურად დაიხარჯოს

არასრულყოფილების სრულყოფილებად გარდაქმნის საქმეში. ეს მშვენიერი საშუალება იქნება იმისა, რომ გონება არ დაიჩლუნგოს და არ გაიზარმაცოს. როდესაც ცოცხალი არსება მიხვდება, რომ ამა თუ იმ საკითხში თავად, დამოუკიდებლად ამის გადანყვეტის უნარი არ გააჩნია, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს უფალს. მე შემძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრა, რომ ცოცხალ არსებას აუცილებლად გამოეხმაურება უფალი, მაგრამ ეს მოხდება იმხელაზე, რამხელაზეც ის ამას დაიმსახურებს. ერთი რამ კი არასოდეს უნდა დაივიწყოს ინდივიდმა: როგორც უფალი ეხმარება მას გაჭირვების ჟამს, ზუსტად ასევე უანგაროდ უნდა დაეხმაროს იგი სხვა ცოცხალ არსებებს, როდესაც ისინი მას მიმართავენ და არასოდეს არ უნდა დაამადლოს და დააყვედროს თავისი სამსახური არავის. ცოცხალი არსების უფალთან კონტაქტის ხარისხი, საბოლოო ჯამში, სწორედ ამ პარამეტრით განისაზღვრება. **და ერთიცაა: ნუ ჩაერევით საკუთარი ინიციატივით სხვათა პრობლემატიკის გადანყვეტაში. ამით თქვენ, უბრალოდ, გააზარმაცებთ და გარყვნით თქვენთან კონტაქტში მყოფთ!**

აი, ასეთი გზით შეიძლება ცოცხალი არსება ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის აღქმას ეზიაროს და სხვანაირად ეს, უბრალოდ, შეუძლებელიც კი გახლავთ.

ჭეშმარიტი რწმენა იმდენად მოგეცემათ განგების მიერ, რამდენადაც არსებობს თქვენში ნდობა განგებისა და ნებისმიერი სიტუაციის გარდაუვალი ობიექტურობისა.

IV. ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება

*„უსასყიდლოდ ღებულობთ და
უსასყიდლოდვე გაეცით“*

ნდობის გამოცხადების უფლება საკუთარი ინდივიდის დაზიანების გარეშე მიეცემა და შეეძლება მას, ვისშიც ჭეშმარიტი რწმენა იარსებებს, ანუ მას ეცოდინება გამოვლინებული ბუნებრივი „ეგო“-ს ყოველგვარი ილუზიებისგან გათავისუფლებული ობიექტურად რეალური რაობა.

ეს საფეხური გახლავთ ცხოველმყოფელი ბუნების აბსოლუტურ ცნობიერებასთან ურთიერთობის ამსახველი დონე. აბსოლუტური ცნობიერება ამ შემთხვევაში ისე უნდა იქნას აღქმული, რო-

გორც აბსოლუტის ქალური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილი. აქ ბუნებრივი „ეგო“-ს ცნება საერთოდ ქრება და ერთიანი ბუნებრივი „მე“-ს აღქმის დონემდე დაიყვანება. თავისი ფუნქციონალური დატვირთვით, ეს გახლავთ სივრცის ერთიანად, დაუნაწევრებლად აღქმის რაობა, სადაც შიდა ფარდობითი, შედარებითი ფორმები, უბრალოდ, აზრს კარგავენ.

ცოცხალი არსებისთვის ერთიანი ცნობიერების საკუთარ არსში განზოგადება უკიდურესად უმაღლეს ფორმას წარმოადგენს. ერთიანი ცნობიერების მენტალიტეტის მართვაში მონაწილეობის უფლებას ცოცხალ არსებას ამ საფეხურის ღირსეულად გავლის უნარი ანიჭებს. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ეს არსება არა მარტო ერთიანად აღიქვამს მთელ ცნობიერებას წარმოქმნილი ბუნებრივი „ეგო“-ს საზღვრებში, არამედ ამ „ეგო“-ს წარმოშობამდე არსებული ცნობიერების აღქმისა და მასთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების წარმოჩინების უფლებაც კი ეძლევა. იგი, ფაქტიურად, აბსოლუტის ქალური სანყისის სამსახურში მიიღება. ამ ნაწილის პირად წარმომადგენელს, ცოცხალი არსების სახით, თავად სულიწმიდა, დედა ღმერთი წარმოადგენს. დიახ, ეს გახლავთ მარადიულ სამყაროში გადასვლის უფლების მოპოვების მომცემი საფეხური ამ სამყაროში ცოცხალი არსების ერთ-ერთ რიგით და სრულყოფილებიან წევრად მისი გადაქცევით.

ვფიქრობ, არაა ძნელი მისახვედრი, რომ აქ პასუხისმგებლობა ერთი-ორად იზრდება. მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით შემოძლია ვთქვა, რომ ბუნებრივ „ეგო“-ში უშუალოდ მონაწილეთაგან (განსაკუთრებით მატერიალური სამყაროებიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვესამყაროებზე) ერთეულები თუ შეძლებენ დაიმსახურონ ეს უდიდესი პატივი.

თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ როდესაც რაღაც საოცრად ამაღლებულს, ღვთიურს, წმინდას ისმენენ ადამიანები, ე. ი. საკუთარი წარმოსახვით ამას ეხებიან, ერთი-ორი წამით შეიძლება შეიგრძნონ შინაგანი აღფრთოვანება და შემდეგ საკუთარ დაპროგრამებულ ცხოვრებას დაბრუნებულნი ისე მოიგონებენ ამ წამებს, როგორც ბავშვობაში ნაკითხულ ზღაპრებს. იცით, რა მსურს ამით ვთქვა? – თუ ადამიანებს ეს ზეცნობიერება საკუთარი სხეულის გარშემო მომხდარ მოვლენებზე და ამ მოვლენებიდან მომდინარე ინფორმაციებზე გაცილებით უფრო მეტად არ იზიდავთ, ისინი ვერანაირად ვერ აღიქვამენ ერთიანი ცნობიერების გაგების რაობას.

ეს ადამიანები მეტისმეტად არიან დაკავებულნი საკუთარი სხეულის ინტერესებით.

მე კი გეტყვით: ვიდრე თქვენი მატერიალური (ან მენტალური) სხეულები სულიწმიდის ნების რეალიზაციის საშუალებად არ იქნებიან გამოყენებულნი, იცოდეთ, თქვენ იოტისოდენა შანსიც კი არ გაგაჩნიათ ზეცაში მოხვედრისა. ვიდრე თქვენ საკუთარ სხეულზე იმაზე მეტად ზრუნავთ, ვიდრე ეს ამ სხეულის ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის დაკმაყოფილებას ესაჭიროება, თქვენ სხეულზე და, ზოგადად, მატერიაზე, ხელოვნურ „ეგო“-ზე მიჯაჭვულ არსებად იქნებით მოხსენიებული. აქ კი თვით ბუნებრივი „ეგო“-ს საკუთარ არსში დაძლევაზეა ლაპარაკი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის, ვინც ხელოვნურ „ეგო“-ს დაძლევს თავის თავში, განგება მას ბუნებრივი „ეგო“-ს ათვისებაში დაეხმარება.

აქ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თქვენი პირადი სულისკვეთება. თქვენ სულიერი სამყაროს აღქმის უნარი უნდა გამოიმუშავოთ აქვე, მატერიალურ სამყაროში. ეს თქვენი შანსია და, თუ გასურთ, თქვენი მოვალეობა ყველასა და ყველაფრის წინაშე საკუთარი ინდივიდის ჩათვლით.

ერთიანი ცნობიერი მენტალიტეტის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღების საფეხურის დაძლევისას ხდება ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა საკუთარი „მე“-ს გრძნობისმიერ ნაწილში, რაც, ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ცოცხალი არსების მიერ ბუნებრივი „ეგო“ ბუნებრივ „მე“-დ გარდაიქმნება და მთელი გამოვლინებულობის აღქმამდე არსებულ ბუნებრივ „მე“-ს ეზიარება.

ახლა კი, მოდით, ეს საფეხური მცნებათა დონეზე განვიხილოთ. ესთეტიკურ-ზნეობრივის განმსაზღვრელი მცნებებიდან ამ საფეხურს მიესადაგება პირველი და მეორე მცნება.

პირველი მცნება იქნება ე. წ. მამაკაცური სანყისის საქმიანობის გამომხატველი ამ დონისათვის საერთოდ და ასე გამოითქმის:

მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა ვარემუე.

პირველი პრინციპი არის:

მარადიული სამყაროს უწმინდესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა.

პირველი ნიჭი სულიწმიდისა კი გახლავთ:

შიში ღვთისა.

მე-2 მცნება იქნება ე. წ. ქალური სანყისის საქმიანობის გამომხატველი ამ დონისათვის საერთოდ და ასე გამოითქმის:

არა ჰქმნე თავისა შინისა კერპი, არცა ყოველი მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა-ზე, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა-ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა-ქვეშე ქვეყანასა, არა თაყვანსა სცემდე მათ არცა მსახურობდე მათ.

მე-2 პრინციპი არის:

სამყაროში წარმოქმნილი „ეგო“-ს ცნების არანაირი ფორმით არ დაშვება, არ შეშვება „მე“-ს ცნებაში.

მე-2 ნიჭი სულიწმიდისა კი გახლავთ:

ღვთის მსახურება.

ამ მცნებებსა და მათ შესაბამის პრინციპებზე გადმოსვლა უნდა მოხდეს მე-3 და მე-4 მცნებებიდან. ის, ვინც პირველ და მეორე მცნებებს დაიცავს და გაითავისებს, ის ავტომატურად შეძლებს ათივე მცნების დაცვას, ისე რომ ამისათვის მას არანაირი ძალისხმევა არ დასჭირდება.

აგრეთვე მინდა აღვნიშნო ის, რომ ამ ცოცხალ არსებას ტრანსცენდენტირება განვლილი აქვს და ევოლუცირებაზე გადადის. ამ შემთხვევაში *ევოლუცირებაში* იგულისხმება ის, რომ ცოცხალი არსების ცნობიერებაში ბუნებრივი „ეგო“ მთლიანად არის უკვე გარდაქმნილი ბუნებრივ „მე“-დ და აბსოლუტურ ცნობიერებასთან კონტაქტში შედის მისი სულიწმიდის (აბსოლუტური ცნობიერების) პირად წარმომადგენლად აღიარების აღქმით. ამიერიდან იგი არა ცნობიერების ფრაგმენტალური ნაწილის გაკეთილშობილებითა და არასრულყოფილების აღმოფხვრით იქნება დაკავებული, არამედ აბსოლუტური სულიერი ცოდნის ადაპტაციით მთელი აბსოლუტური ცნობიერების სასიკეთოდ. ანუ ცოცხალი არსება ხვდება ისეთ დიაპაზონში, სადაც არასრულყოფილება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. ეს ჭეშმარიტად უდიდესი მიღწევაა ცოცხალი არსებისათვის, როგორც ინდივიდისთვის.

ამ საფეხურის ქვედა შკალის დამცველი ე. წ. ქალური სანყისის გამომხატველი მეორე მცნება და მისი შესაბამისი მეორე პრინციპი უზრუნველყოფენ ცოცხალი არსების პასიურ მდგომარეობაში არ გადასვლას. ის თითქოს მუდმივად უნდა იყოს გონების ფხიზელ მდგომარეობაში მყოფობით დაკავებული, რათა რაიმე სისულელე არ ჩაედინინოს. თვითონ მცნება პირდაპირ მიუთითებს იმ საშიშროებას, რომ იგი შეიძლება რაიმე კერპის ხატებამ გაიტაცოს

საკუთარი მენტალური სხეულის ჩათვლით. მცნება ღალადებს: *არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი და არც რაიმე ან ვინმე დაისახო კერპად.*

ვინაიდან ცოცხალი არსება რაიმეზე მაინც უნდა ორიენტირდებოდეს, მის საკუთარ დანიშნულებად რაიმე აუცილებლად უნდა ჰქონდეს აღქმული, და, ბოლოსდაბოლოს, ის ხომ რალაცით უნდა იყოს დაკავებული! აი, ეს რალაცა ამ არსებისთვის გახლავთ ის, რასაც მეორე ნიჭი სულიწმიდისა კარნახობს ანუ *ღვთის მსახურება*.

როგორც არ უნდა ვატრიალოთ, ესთეტიკისა და ზნეობის განყოფილება მიმყოლი რგოლია და მას ყოველთვის უნდა ჰქონდეს დასახული რაიმე მიზანი უფრო მაღალი რანგის მხრიდან და ეს მაღალი რანგი არ უნდა იყოს ბუტაფორიული, არამედ უნდა იყოს ჭეშმარიტი და ღირსეული. როდესაც ცოცხალი არსება იმ აზრით იქნება განმსჭვალული, რომ ღმერთს ემსახურება, იგი აღარანაირ კერპს აღარ გაიჩენს და სრული ერთგულებითა და სკურპულოზურობით შეასრულებს თავის საქმეს.

სხვათაშორის, ერთი რალაცა მინდა აღვნიშნო: თუნდაც ამ საფეხურზე მყოფ არსებაშიც კი, თუ რაიმე ვაკუუმი იქმნება ანუ მას პოტენციალი გააჩნია და არ იცის, ეს რაში დახარჯოს, პრინციპში, ძალიან დიდია ალბათობა, რომ იგი კერპთაყვანისმცემელი გახდეს.

ამისთვის პროფილაქტიკის მშვენიერ საშუალებას წარმოადგენს მეორე პრინციპი, რომელიც ღალადებს: *არანაირი ფორმით არ იქნას დაშვებული „ეგო“ საკუთარ „მე“-ში*. თუ ცოცხალი არსება ამ თეზისს მუდმივად ატარებს თავისში და, რალა თქმა უნდა, სულიწმიდის, მარადიული სამყაროს უწმინდესი პიროვნების წინაშე იგრძნობს თავს მუდმივად ანგარიშვალდებულად, მისი დაცემა ვეღარ მოხდება.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რასაც ახლა ვწერ. ამ საფეხურზე მყოფი არსება ხომ თავად უნდა იყოს ცხოველმყოფელი ანუ სიცოცხლის მატარებელი. **ის მუდამ რალაცა სიახლით უნდა იყოს დაინტერესებული, თავად იყოს ინიციატივანი, არ უნდა ჩაიკეტოს თავისში რალაცის მიღწევის შემდგომ. ეს არის ერთადერთი რეცეპტი რაც ახლა შემიძლია აქ დაწვერო დაცემის სანინააღმდეგოდ. ცხოველ ინტერესს ვერც ერთ ცოცხალ არსებაში ვერავინ შექმნის ხელოვნურად, თუ იგი მასში ბუნებრივად არ არის. რაც შეიძლება მას დაეხმაროს ამ საქმეში გახლავთ ის, რომ თუ იგი წარსულში საკუთარ არც თუ სასიამოვნო მდგომარეო-**

ბას გაიხსენებს, ეს ყოველთვის დაიცავს მას ასე წვალებით მიღწეული საპატიო მდგომარეობიდან დაცემისაგან.

ამ საფეხურის ზედა შკალის დამცველი, ე. წ. მამაკაცური სანყისის გამომხატველი, პირველი მცნება და მისი შესაბამისი პირველი პრინციპი უზრუნველყოფენ ცოცხალი არსების ზედმეტად აქტიურ მდგომარეობაში არ გადასვლას. ეს, უხეშად რომ ვთქვათ, ცნობისმოყვარეობის არ დაშვებისგან იცავს ცოცხალ არსებას. ამისთვის პირველი მცნება უნდა დაიცვას ცოცხალმა არსებამ, რომელიც იუნყება: *მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა ვარემე*. ვფიქრობ, არ არის ძნელი მისახვედრი, რომ ამ შემთხვევაში ცოცხალი არსება ჭარბი ცნობისნადილისგან დაცული იქნება, თუ იგი სულიწმიდას თავის უპირველეს და უზენაეს გამზიარებლად აღიქვამს. რაც არ უნდა იყოს მისი ცნობისნადილის საგანი, პირველ რიგში დედა ღმერთს უნდა აუნყოს ეს და მაშინ მას აღარ დაემუქრება იმაზე უფრო შორს გასვლის (სამოქმედოდ საჭირო დიაპაზონის საზღვრების დარღვევის) საშიშროება. უეჭველად უნდა შეისმინოს ის, რასაც სულიწმიდა ეტყვის მას და ჩაულმავდეს ამ თქმულს. არ უნდა დაავიწყდეს, რომ სულიწმიდასთან პირონული ურთიერთობა უდიდესი პატივია მისთვის. ისევ და ისევ ვიტყვი იმას, რომ ყოველთვის უნდა ახსოვდეს: ამ პატივს ძალიან, ძალიან ბევრი ნატრობს, რომ დაიმსახუროს და ძალიან ცოტა აღწევს და კარგი იქნება, გაუფრთხილდეს იმას, რაც გააჩნია.

ამ საქმეში მისი დამხმარე არის პირველი პრინციპიც: *მარადიული სამყაროს უწმინდესი პიროვნება, სულიწმიდა, სრულყოფილ არსებად უნდა ჰყავდეს აღიარებული და აღქმული*.

ერთიან ცნობიერებაში ხომ უმთავრესი მაინც სინმინდის დაცვაა და უკვე მეორე რიგის ამოცანას წარმოადგენს ჭეშმარიტებიდან მოწოდებული სულიერი ცოდნის ცნობიერებად გარდაქმნა. ეს თეზისი იქნება მისი მფარველი უკუნითი უკუნისამდე, თუკი ცოცხალი არსება ამას არ დაარღვევს. აქ სინმინდის ცნება ხომ ლიტონი სიტყვები არ არის და სრულყოფილი სახით არის გამოვლინებული. **განა რა უნდა იყოს ისეთი, რომ რალაცისთვის ან ვილაცისთვის სინმინდე გაისვაროს? – პასუხი ცალსახაა: ვერაფერი და ვერაზინ!**

მესამე დამხმარე საშუალება გახლავთ პირველი ნიჭი სულიწმიდისა, ანუ: *შიში ღვთისა*. აქ არ არის ლაპარაკი პანიკურ შიშზე. ეს უფრო იმ მოკრძალებას გადმოსცემს, რაც ყოველთვის უნდა ჰქონ-

დეს იერარქიულად უფრო დაბლა მყოფ ცოცხალ არსებას იერარქიულად უფრო მაღლა მყოფ ცოცხალი არსებასთან მიმართებაში. შიშის მიზეზი აქ იმ სიყვარულის არ ქონაა, რომელიც ზემო ესთეტიკურ დონეზე მდგარ ცოცხალ არსებას გააჩნია და, უფრო მეტსაც გეტყვით, სწორედ ეს უნდა იყოს ცოცხალი არსებაში მასტიმულირებელი ცნობისწადილის წარმოქმნისა. ის ცხოველმყოფელობა, რაც ამ არსებას გააჩნია, გარდა იმისა, რომ დანიშნულებისამებრ გამოიყენოს სხვა ცოცხალ არსებებთან მიმართებაში, უნდა იზრდებოდეს, მაგრამ (კიდევ გავიმეორებ) სინმინდის ზედმიწევნით დაცვით, მისი არანაირი ფორმით არ შებლავით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაცემა არ ასცდება.

მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ საფეხურზე ყოფნის მიუხედავადაც კი, ცოცხალ არსებებს, უხეშად თუ ვიტყვით, სიზარმაცე შეეპარებათ ხოლმე, თითქოს უნდებათ იმის დანახვა, საკუთარი მეცადინეობით შექნილი ცნობიერება ხილულ დონეზე როგორ გამოიყურება.

მინდა ვთქვა, რომ ადრე თუ გვიან ახალი ბუნებრივი „ეგო“-ს წარმოქმნა გარდაუვალი პროცესია, მაგრამ ყველა ცოცხალი არსება (ამ საფეხურზე მყოფი) როდი მიილტვის მისკენ. ასეა თუ ისე, ყველაფერი, რაც მომხდარა, რაც ხდება და რაც მოხდება მთლიანად ექვემდებარება კანონზომიერებას და ვერასოდეს ვერ გამოვიაბსოლუტის კონტროლის ფარგლებიდან.

ამით მსურს დავამთავრო ესთეტიკური დონის განხილვა და ყველას ვუსურვო წარმატება ერთიან ცნობიერებასთან ურთიერთობაში მოხვედრის საქმეში. ეცადეთ მაქსიმალურად გან(რ)წმინდეთ თქვენი ზრახვები, სურვილები, მიზნები. იყავით ერთმანეთთან ლოიალურები, ერთმანეთის გაგების მოსურნენი და სულიწმიდა აუცილებლად დაგიფასებთ თქვენს შრომას.

ქეშმარიტი ნდობა უნდა გამოუცხადოთ მათ, და მხოლოდ მათ, ვისშიც ქეშმარიტი რწმენა სუფევს. ამით შეძლებთ, შექმნათ იდეალური ოჯახი და ბედნიერნი იყოთ იქამდე, ვიდრე სხეულს არ დატოვებთ. სხეულის დატოვების შემდგომ კი, სულიერ სამყაროში გადასვლის პატივით დაჯილდოვდებით და დედამიწაზე შეგრძნებული ბედნიერება ამ მდგომარეობასთან შედარებით მცირე სიხარულად მოგეჩვენებათ.

მეექვსე თავი

ეთიკა

პოტენციური ენერჯის მთელ არაინდივიდუალიზმზე კონცენტრირებული ნაწილი

ამ თავში წარმოჩინებული ნაწილი მთელ გამოვლინებაში არსებული რეალობის *გრძნობილ* ნაწილს წარმოადგენს. ის ე. წ. ბუნებრივ „ეგო“-ში ანუ სულიერ სამყაროში არსებობს მხოლოდ და მეტი არსად.

ეთიკა სულიერი სამყაროს ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს მამაკაცური საწყისის წარმომადგენლობითი ნაწილია და მას პირდაპირი კავშირი აქვს V თავში წარმოჩინებულ ნაწილთან, ესთეტიკასთან.

ეთიკაში, როგორც ფორმაციულ წარმონაქმნში თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ღვთიური ბუნება დომინირებს და, თავისივე ბუნებიდან გამომდინარე, ესთეტიკასთან, ცოცხალ ბუნებასთან კონტაქტის დამყარების მიდრეკილებითაა დამუხტული.

სულიერ სამყაროში ყოფნის პერიოდში საკუთარი არსის ეთიკაზე სრულად დამოკიდებულებაში მოქცევის მცდელობები გამოუმუშავებს ცოცხალ არსებას ღვთიური ბუნების დემონურ ბუნებად არ გადაქცევის უნარს, ევოლუციური პროცესის ბუნებრივად გაძლოლას თავისზე მინიჭებული მოქმედების დიაპაზონში და არსებული გამოვლინების დასრულების შემდგომ ზეციურ სამყაროში გადასვლას.

ექსცენტრიზმი

რას ნიშნავს ამ შემთვევაში *ექსცენტრიზმი* და რატომ ის? – ეს ცნება ამ შემთხვევაში მოიაზრებს ბუნებრივი „ეგო“-ს არსებობის პერიოდში ბუნებრივი „ეგო“-ს შესაბამისი ბუნებრივი „მე“-ს მრავალნაირი ფორმით ჩამოყალიბებას, განხილვას, შეცნობასა და ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრაზე, გარდაქმნაზე პასუხისმგებელი ინდივიდისთვის ამ ცოდნის მიწოდებას. ანუ, მარტივი ფორმით თუ ვიტყვი, ექსცენტრიზმის გაგება ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივი „ეგო“ (როგორც ე. წ. პრობლემა) უკვე ცნობილია, ე. ი. წარსულს წარმოადგენს. უბრალოდ, მუდმივად ხდება სხვა-

დასხვა ფორმით გამოხატვა ამ ე. წ. პრობლემის აღმოსაფხვრელად. საბოლოო არსი და დანიშნულება ამ ქმედებებისა კი იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტური ცნობიერების პირადმა წარმომადგენელმა, სულიწმიდამ და აბსოლუტური ქვეყნარსებების პირადმა წარმომადგენელმა, მამა ღმერთმა, სრულიად უნდა აღმოფხვრან ერთმანეთში არსებული უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ურთიერთგაუგებრობა (რომელიც არასოდეს არ გადაიზრდება ურთიერთდაპირისპირებაში). ამ ურთიერთგაუგებრობის გამოვლინებულ ფორმას კი, ზუსტად ბუნებრივი „ეგო“ წარმოადგენს.

აი, იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ექსცენტრიზმი ამ შემთხვევაში და რატომ არის მამა ღმერთი ექსცენტრიზმზე კონცენტრირებული. მას შემდეგ კი, რაც ბუნებრივი „ეგო“, როგორც ურთიერთგაუგებრობის რაიმენაირი ფორმით გამოვლინებულობა, მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის (მთელს მამაკაცურ და ქალურ სანყისებს შორის), აღარანაირად აღარ იარსებებს, მამა ღმერთი და მთელი მამაკაცური სანყისი ცვლის თავის კონცეფტუალურ მიდგომას და ექსცენტრიზმიდან ჰელიოცენტრიზმზე გადაერთვება. მოდით, ავხსნათ, რას ნიშნავს ეს. ჰელიოცენტრიზმი ადამიანური ტერმინია (ისევე როგორც აბსოლუტურად ყველა, რაც ადამიანის ცნობიერების დიაპაზონში არსებობს) და მზეზე კონცენტრირებას ნიშნავს, უხეშად რომ ავიღოთ. რა თქმა უნდა, მამა ღმერთი მზეზე არ კონცენტრირდება (ის თვითონ არის მზის ენერჯის მასაზრდოველები). იგი უკვე ახალი ინფორმაციული მონაცემების მოძიებითა და სულიწმიდასათვის მიწოდებით კავდება სხვადასხვა სიტუაციების შესაბამისად. ვინაიდან არც ერთი სიტუაცია არ შეიძლება აბსოლუტურად ერთნაირი იყოს, ამ საქმიანობის რაიმენაირი სახით მეთოდური ჩამოყალიბება შეუძლებელია. ეს იმდენად არაორდინალური და ბუნებრივი პროცესია, რომ მისი ჩამოყალიბების მცდელობაც კი სისულელემდე მიგვიყვანდა ან კიდევ უარესამდე (შეიძლება ახალი უნებური გლობალური შეცდომები, ცოდვები ჩაგვედინინოს). ასე რომ, ამ თემატიკას სჯობს მამინ გაეკაროთ, როდესაც მამა ღმერთის სიახლოვეში, ახლო წრეში ერთ-ერთი წევრი იქნებით საკუთარი დამსახურებისა და მამა ღმერთის კეთილი ნების საფუძველზე.

სქესობრივი (სექსუალური) აქტის რაობის აღქმა ეთიკის წარმომადგენლობითი ნაწილის გადასახედიდან

ზეადამიანური ღვთიური ბუნების გადასახედიდან, სქესობრივი (სექსუალური) აქტი აღიქმება ისეთივე ასოციაციურ ჭრილში, როგორც ადამიანური გადასახედიდან არის აღქმული ზიანის მომტანი, მავნე ჩვევა, რომლის დაკმაყოფილებისათვისაც კოლოსალური რაოდენობის ენერგია იხარჯება აბსოლუტურად ფუჭად. მას ენიჭება ურთიერთგაუგებრობის დიაპაზონში არსებული ამბიციური ნაწილის დროებითი გაბრუნების საშუალების სტატუსი.

ეთიკის უზენაესი ნაწილის მხრიდან ბუნებრივი „ეგო“-ს გამოვლინებულ ნაწილში იდება სიამოვნების მიღების სურვილი, რაც, თავის მხრივ, ცოცხალი არსებების თვითკმაყოფილების მდგომარეობიდან გამოყვანის საშუალებას წარმოადგენს. აი, ზუსტად იმაზეა აქ ლაპარაკი, თუ საით მიმართავს ამ სურვილს ადამიანი (ამ შემთხვევაში იგულისხმება „ადამიანი“, როგორც გონიერი ცოცხალი არსება). რა თქმა უნდა, უდავოდ სასურველია, რომ ეთიკის დაცვის, არ დარღვევის საფუძველზე მოახდინოს ამ სურვილის განხორციელება. სქესობრივი (სექსუალური) აქტის ჩატარების სურვილი კი ამ სურვილის სწორედ რომ ეთიკის დარღვევის გზით შესრულებაა. ეს ჭეშმარიტად უზარმაზარი ენერგიაა, რომელიც საკუთარი არსისა და გარემოს გაკეთილშობილებას უნდა მოხმარდეს თავისი ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად.

არაფუნქციონალური სქესობრივი აქტის რაობა უმაღლესი ეთიკური დონის გადასახედიდან შეგვიძლია შევადაროთ მზეზე მცხოვრები არსების მიერ ცეცხლის დანთებას სინათლისა და სითბოს მისაღებად. ეს არაფუნქციონალური აქტი საკუთარი სულის ეგოისტური სურვილების შესრულებას ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ და თვითონ სქესობრივ პარტნიორსაც კი არაფერში არგია.

ძალიან ხშირად მომისმენია ადამიანების მხრიდან იმის შესახებ, რომ იდეალური ქმარია, არ სვამს, არ ეწევა, არ ჩხუბობს, ფულიც მთლიანად ოჯახში მიაქვს და ოჯახისთვის იხარჯება და ცოლს რაღაც სულელური პრეტენზიები აქვს, ბავშვები ვის დაემსგავსნენ ვერ გაიგებ, ხელიდან მიდიან. გოგო ბიჭებში დაძვრება, ბიჭი კი რაღაცნაირი მობუზულია, სახლში ჩაკეტილია და ყველაფერის მიმართ შიშით არის განწყობილი. დაახლოებით აი, ასე გამოიყურება კლასიკური სურათი იმისა, როდესაც მამაკაცი და ქალი არაფუნქციონალური მიმართულებით მოძრაობენ და სიყვარუ-

ლის გაგებას სტაგნაციური მდგომარეობის დამყარებასთან აიგივებენ. თუმცა, გვერდიდან არანაირი კანონი არ არის დარღვეული, შეიძლება ითქვას, რომ ისინი სულიერი იმპოტენციით არიან დაავადებულნი. ასეთი სტილით მაცხოვრებელ ადამიანებს უწყდებათ ახალი პოტენციური ენერჯის მინიჭება კოსმოსიდან და ისინი (საკუთარ იდეალურობაში დარწმუნებულნი) აუცილებელი და გარდაუვალი გარდაცვალების წინაშე დგებიან, რამეთუ უკვე სიცოცხლეში ისინი მკვდრებს უფრო გვანან, ვიდრე ცოცხლებს.

I. არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს სულიერი მდგომარეობის აღქმის, ანუ ურთიერთგაუგებრობის ფუნქციონალური გამოვლინების ობიექტურად შეფასების უნარი

ეს გახლავთ სერიოზული საფეხური, რომლამდე მიღწევის შემდგომაც ზეადამიანურ დონეზე გადასვლა ხდება ადამიანთა მიერ. აქ აშკარად იკითხება ეთიკის წამყვანი როლი და ფუნქცია, თუმცა ესთეტიკა უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ამ საფეხურის საფუძვლიანად და ღრმად განხილვისას.

ალბათ ხვდებით, თუ არსობრივი აღქმის დონეზე კითხულობთ, ადამიანის მიერ საკუთარი ინდივიდუალური სულის მართვის უნარი უკვე შემეცნებული და შეგრძნების დონეზე გათავისებული უნდა იყოს, ამ საფეხურზე გადასვლის უფლება რომ მიიღოს.

ამ საფეხურის ასახსნელად იმ პრინციპებს გამოვიყენებ, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა და დაინერა ჩემი სამივე წიგნი ამ წიგნის ჩათვლით. ზოგადად, შემიძლია გითხრა, რომ ის ათი პრინციპი, რომელთაც აქ ჩამოვაცალიებ მორალური მდგომარეობის მონესრიგების საშუალებად შეგვიძლია აღვიქვათ ადამიანური ბუნების მქონე არსებებისათვის. მორალი, ზეადამიანური გადასახედიდან, უფრო ეთიკის შეხედულებათა კანონიკური ნუსხაა ე. წ. ქვეადამიანურ განყოფილებაში მყოფი არსებებისათვის (და აგრეთვე ადამიანურ განყოფილებაში მყოფი არსებებისთვისაც), რათა მათ ელემენტარულად იმის გარჩევა შეძლონ, რა არის სინდისის დაცვა და სინდისის დარღვევა (უსინდისობა).

ათი მცნების ნუსხა ეთიკის უმაღლესი დონის გადასახედოდან:

1. გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა;
2. გიყვარდეს მოყვასი, შენი ვითარცა თავი თვისი;
3. ყოველთვის ეცადე, გახდე იმაზე უკეთესი, ვიდრე ხარ;
4. პატივი მიაგე და დაემორჩილე მას, ვინც შენზე უფრო მაღალია სულიერად, უპირატესია შენზე;
5. მხოლოდ მაშინ უნდა მოახდინო საკუთარი არსის გაცემა, როდესაც ეს სურს მას, ვისთვისაც გაცემ შენს შიდა არსს, ანუ შენს „მე“-ს;
6. ეცადე, არასოდეს არ დაუშვა შენში ტყუილი და ყოველთვის, ყველგან და ყველგან იყავი ის, რაც ხარ.
7. შენზე სულიერად დაბლა მდგომს მხოლოდ მაშინ შეასწავლე, რაც იცი, როდესაც ის ამას გთხოვს. ამით შენ უფრო საჭირო იქნები მისთვის, ვიდრე ის შენთვის და არ მიეჯახები მას;
8. ეცადე, მოიძიო შენს სულიერ დონეზე უფრო მაღალი დონის მეორე პიროვნება, დაუმონაფდი, შენს მასწავლებლად აღიარე იგი და სთხოვე, გასწავლოს, რაც არ იცი;
9. ნუ ეცდები გონება გაუხსნა მას, ვინც შენზე მცირეა სულიერად და ეს არ ანალვლებს (რომ მცირეა მისი სულიერება). ის უფრო მცირე გახდება სულიერად და შენი მიცემული ცოდნით კი ბევრს გაამწარებს შემდგომ. ამაზე კი პასუხი შენ მოგეთხოვება შემდგომ;
10. თუ მიგაჩნია, რომ ის, რაც იცი, აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელია შენთვის, მაშინ ყველგან თავი უნდა დაანებო და საკუთარი ცხოველური ნება განახორციელო ისე, რომ აზროვნება აღარ მიაშველო მას.

ეს ათი მცნება წარმოებულია შემდეგი ათი პრინციპიდან:

1. მარადიული სამყაროს უზენაესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა;
2. აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსების, ინდივიდუალური სულის „მე“-დ (არა უცხოოდ, სხვად, მტრად, „ეგო“-დ) აღიარება და აღქმა;
3. სრულყოფილებად გარდაქმნისკენ მიმართვა;
4. მორჩილი თავყვანისცემა;

5. საკუთარი არსის გამჭვირვალეობა და გაცემა;
6. გულწრფელობა;
7. არაძალადობა;
8. მონაფეობრივი თანამიმდევრულობა;
9. თვითკმარობა;
10. ნებაყოფილობითობა.

ათი პრინციპი, თავის მხრივ, წარმოებულია და ეყრდნობა იმას, რაც მოხსენიებულია ცხრა შედეგად სულიწმიდის საქმიანობისა ანუ სამყაროში არსებული ურთიერთგაუგებრობის სრულიად ახსნისა და მისი ურთიერთგაგებად, არ აღქმული ინფორმაციის აბსოლუტურად გაცნობიერებისა და შეგრძნების შედეგად. ბოლო, მეათე ჩამონათვალს არ განეკუთვნება, მაგრამ ვინაიდან პროცესში გარდაუვლად აუცილებელ რგოლს წარმოადგენს, მეათე პრინციპი არსის სახით არის წარმოდგენილი:

1. სიყვარული;
2. სიხარული;
3. მშვიდობა;
4. სულგრძელობა;
5. სიტკბოება;
6. სინმინდე;
7. სარწმუნოება;
8. მყუდროება;
9. მოთმინება;
10. ცხოველური)ნება.

დავიწყოთ პირველი საფეხურის განხილვა, ანუ ის, თუ ადამიანმა როგორ უნდა მოახერხოს გარემოს სულიერი მდგომარეობის ობიექტურად აღქმა. ამისათვის აუცილებელი სასტარტო დონის მონაცემები შემდგომში მდგომარეობს: ადამიანის მამაკაცურ სანყისს მთელს თავის პიროვნებაზე უნდა გააჩნდეს ძალაუფლება (რაც, პრინციპში, გულისხმობს იმას, რომ მასში ხელოვნური „ეგო“ არ უნდა სუფევდეს). ადამიანის ქალურ სანყისს კი კონტროლის თუნდაც უმცირეს გამოვლინებაზეც კი უარი უნდა ჰქონდეს ნათქვამი. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, აშკარად ჩანს მორალური მოთხოვნილებების რაღაცა პლატფორმის არსებობის აუცილებლობა. ეს ყოველივე ადამიანში აბსოლუტურად ბუნებრივობის დონემდე უნდა იყოს გამჯდარი.

ქრონოლოგიურად თუ გამოვყოფთ, ეთიკის შესაბამისი მცნებებიდან მეცხრესა და მეათეს კი არ უნდა ასრულებდეს, მათი არ შესრულება უნდა იყოს წარმოუდგენელი და გასაკვირველი ადამიანში. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ინდივიდუალური სულის, ადამიანური ბუნების საზღვრებში შესატანი არაინდივიდუალური ტრანსფორმირება დამთავრებული უნდა იყოს. ანუ, ადამიანში ადამიანური ბუნების დიაპაზონში, მაქსიმალური ზღვრული შესაძლო წინსვლა მიღწეული უნდა იყოს. ეს გახლავთ აუცილებელი პირობები, რომლებიც საჭიროა პირველ საფეხურზე გადასვლისათვის საჭირო სასტარტო პირობების დასაკმაყოფილებლად.

ეს იმდენად ზედმინვენით მგრძნობიარე პროცესი უნდა იყოს, რომ თვით ისეთი დიდი ფასეულობებიც კი, როგორიცაა უშუალობა, ღვთისნიერება თუ ნეტარება, ძალიან ცოტაა, თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მათი არ არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია ამ საფეხურზე გადასვლა. ამ საფეხურზე ლაპარაკია ცივილიზირებულობის დონის აღქმაზე, ე. ი. არა მარტო საკუთარი პერსონის სწორედ, მართებული გზით მიმართვის უნარზე, არამედ მთელი არსებული გამოვლინების მართებული შედეგობრივობის აღქმის უნარზე.

ეთიკურ-მორალურ დონეზე უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, თუ *რის, როდის, სად, რისთვის, რატომ, ვისთვის, როგორ და რამდენის სწავლება უნდა ხდებოდეს ჯერ არ გაცნობიერებულობის უკვე დამკვიდრებულ ზოგად ცნობიერულ დონეში*. ეს გახლავთ ტრანსფორმირების გადასვლა ცივილიზირების პროცესში პროცესუალური შეფასებითი გადასახედიდან.

ამ საფეხურის დახასიათებას ახდენს ეთიკის მცნებათა მე-7 და მე-8 მცნებები. ალბათ დამეთანხმებით, შეგნების და შეგრძნების დონის სერიოზული წინსვლის გარანტია იქნება თუ ადამიანი ამ ორ მცნებას ისევე გაითავისებს, როგორც სასტარტო მდგომარეობაში მე-9 და მე-10 ჰქონდა გათავისებულები.

ეთიკის განყოფილებაში პირველი საფეხურის გავლის პროცესში ცოცხალმა არსებამ მისდამი გამოხატული უხეშობის მიმართ ე. წ. იმუნიტეტი უნდა გამოიმუშავოს, ე. ი. არ შევიდეს რეზონანსში მასთან. ადამიანმა კი ეს გარემოში არსებული გადაგვარებული სულიერი მდგომარეობის აღქმაში, მის ობიექტურად შეფასებაში უნდა გამოიყენოს. უხეშობა თავად ე. წ. ბოროტების, ღვარძლის, გულჩახვეულობის პირდაპირი გამოვლინებაა. მაგრამ ამ გა-

მოვლინებულ უხეშობაზე მეტად ადამიანი უნდა ერიდოს მისდამი გამოთქმულ მათემატიკობასა და მლიქვნელობას. ეს მისი გარყვნისა და სულიერად დაცემის მექანიზმია. თუ ადამიანი არანაირად არ მიეწებება მლიქვნელობას და მლიქვნელის ობიექტურად შეფასებას მოახდენს, სულის გაბინძურებას გადაურჩება. ლიქვნა გარემოში არსებული გადაგვარებული სულიერი მდგომარეობის არაპირდაპირ, შენიღბულ ფორმას წარმოადგენს და ვნების აღძვრის პირდაპირი საშუალებაა (ლიქვნა თავად ე. წ. უმეცრების, გაორების, გულგრილობის პირდაპირი გამოვლინება გახლავთ).

ზეადამიანურ დონეზე გადასვლის პირველ საფეხურზე ეს ორი უმთავრესი წინააღმდეგობის შემქმნელი რამ არსებობს.

ამ საფეხურზე ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა ხდება საკუთარი „მე“-ს ემოციურ ნაწილში (ამჯერად ეთიკისა და მორალის გადასახედიდან), ხოლო ხელოვნური „ეგო“ „მე“-ში მთლიანად უნდა იყოს უკვე აღმოფხვრილი ანუ ადამიანი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს მატერიალური რეფლექსებისაგან.

ამ საფეხურზე გადასვლის მსურველთათვის მატერიალურ სამყაროში ცხოვრება ერთგვარი **ჰობი** უფრო უნდა იყოს, ვიდრე რაღაც ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმიანობა. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, მატერიალურ სამყაროში ცხოვრება ამ ადამიანისთვის უბრალოდ „თამაში“ უნდა იყოს, რომლის მიმდინარეობის პროცესშიც არანაირი ფორმით არავისა და არაფერს არ მიეჯახება.

თუ მცნებების ენით ვილაპარაკებთ, ადამიანის მიერ თავისში ბუნებრივად არის აღქმული თვითკმარობა (მამაკაცური სანყისის დონეზე) და ნებაყოფილობითობა (ქალური სანყისის დონეზე). ისინი უფრო მაღალი რანგის მორალურ და ეთიკურ დონეზე უნდა გადავიდნენ. მამაკაცური სანყისის დონეზე ეს უნდა გამოიხატოს არაძალადობაში, რაც იმაში იქნება გამოხატული, რომ ის მხოლოდ იმ დიაპაზონში გამოავლენს თავის პიროვნებას გარემოსთან მიმართებაში, რაც კოსმოსის მიერ ეთიკურ-მორალური კრიტერიუმებით არის დადგენილი ამ გარემოსთვის და არანაირ შემთხვევაში არ გავა ამ დიაპაზონის საზღვრებს გარეთ. ქალური სანყისის დონეზე კი ადამიანი უნდა გადავიდეს მონაფეობრივ თანამიმდევრულობაში გარემოსთან ურთიერთობისას, რაც, თავის მხრივ, გახლავთ კოსმოსის მიერ ეთიკურ-მორალური კრიტერიუმებით ამ გარემოსთვის დაწესებული საზღვრების მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მუდმივად უნდა ცდილობდეს

გარემოში არსებულ პოზიტიურობასთან კონტაქტში შესვლას. თან ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ მასში პოზიტიურობასთან ერთად ნეგატიურობაც არ შეიპაროს.

აი, ამისათვის, რათა ეს რთული ამოცანა გადაიჭრას, თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად საკმარისია არ მიჯაჭვება-მინებების პრინციპი დაიცვას, მატერიალური გარემო არასოდეს, არაფერში, არავის გამო არ დააყენოს სულიერი მდგომარეობის ობიექტურად შეფასების აუცილებლობაზე, კოსმოსზე (როგორც ერთიან ორგანიზმზე), ღმერთზე, განგებაზე ზევით.

როგორც კი სულიერი მდგომარეობის კვლევის პროცესი (ანუ სულიერი მდგომარეობის კვლევის საგანი) ადამიანისთვის მიზნად გადაიქცევა და ველარ იქნება აღქმული გარემოს სულიერი მდგომარეობის შესწავლისა და აღქმის საშუალებად, მასში მომენტალურად გაიღვიძებს საკუთარი „მე“-ს მიმდინარე მოვლენების მმართველად წარმოჩინების სურვილი. ეს თავისთავად უკვე ძალაუფლების მიღების მოთხოვნილებაში გადაიზრდება და დაუფლების სურვილი უკვე ძნელი მოსაშორებელი გახდება. ზოგადად, იმიტომ ვუსვამ ხაზს ადამიანს (რაც სამი წიგნის მთელს მასალაში არ გამოკეთებია), რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის (ადამიანური ბუნების) გადასვლასთან ზეადამიანურ ბუნებაში. ეს საფეხურები კი გადამყვანი რგოლებია, განსაკუთრებით პირველი და მეორე, როგორც ეთიკის ისევე ესთეტიკის წარმომადგენლობით ნაწილში.

ის, თუ როგორ მივხვდე იმას, საშუალება მიზნად გადავიქციე თუ არა, ძალიან მარტივი გასარკვევია. თუ რეფლექსუალურობისაგან გათავისუფლების შემდგომ გარემოსთან კონტაქტისას ხელახლა გაიღვიძებს ადამიანში რეფლექსები (მაგალითად, სქესობრივი ლტოლვის სურვილი), ე. ი. ეს მოხდა და მან ვერ გაართვა თავი გარემოს სულიერი მდგომარეობის ობიექტურად შეფასებისა და აღქმის ამოცანის გადამწყვეტას.

ძალიან გთხოვთ, ნუ მონათლავთ ყოველივე ამას ისე, თითქოს მე სქესობრივი კონტაქტს (თქვენს მიერ დარქმეულ სექსუალურ აქტს) ვუარყოფდე. რა თქმა უნდა, ის აუცილებელი ატრიბუტია მატერიალური სამყაროს ცხოვრებაში. მაგრამ სქესობრივი აქტის პროცესი ლაკმუსის ქალღმერთის მატერიალურ სამყაროში ადამიანის სულიერი მდგომარეობის შესაფასებლად და გასარკვევად. მაგალითად, კრშნას, ბჰაგავად-გიტას ავტორს, ისტორიული მონაცემების მიხედვით, უამრავი ცოლი და შვილები ჰყავდა. მაგრამ თუნდაც მილიონი ცოლიც ჰყოლოდა კრშნას, არც ერთ მათგანზე

არ იქნებოდა მიჯაჭვული და არც მათი სხეულების დაუფლების სურვილით არ უხელმძღვანელია არასოდეს მათთან ურთიერთობის დროს (თუნდაც ურთიერთობების ყველაზე ინტიმურ და პიკანტურ მომენტებშიც კი).

ადამიანს კი ერთი სქესობრივი აქტის შემდეგაც კი არ შესწევს იმის უნარი, რომ არ მიეჯაჭვოს პარტნიორის სხეულს და შემდგომ ამ აქტის განმეორებითობის სურვილით (ანუ წარმოსახვითი იმიტაციით) არ დაიმიუხტოს. ვფიქრობ, ადამიანები ამას ვერ გაიგებენ, ყოველ შემთხვევაში, მათი ძალიან დიდი უმრავლესობა მაინც. მაგრამ, ერთი რამ აუცილებლად უნდა შეიგნონ: საკუთარი სპეკულაციური არგუმენტაციების საფუძველზე არასოდეს არ შეიძლება ზეადამიანური დონის კრიტიკა გაბედონ. ჯობს, იმაზე დაფიქრდნენ, რამდენი რამე აქვთ ჯერ კიდევ გასასწორებელი საკუთარ არსში. თვით სქესობრივი აქტიც ხომ სწორედ გაუგებარი საკითხების აღმოფხვრასა და ურთიერთგაგებად გარდაქმნას უნდა ემსახურებოდეს თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით და არა უკვე არსებული ურთიერთგაგების დამახინჯებას.

იმისათვის, რომ ვნების სურვილების ტყვეობაში არ აღმოჩნდეს ადამიანმა საკუთარი ინდივიდუალური სულიერი მდგომარეობის, მასთან შედარებითობით ზომვას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დააღწიოს თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ მდგომარეობას, რასაც ამ საფეხურზე არსებული დასამკვიდრებელი ცნობიერება მოიაზრებს საკუთარ არსში. სრულიად ვეთანხმები იმ აზრს, რომ ამ საფეხურის წამყვანი გაგება სარწმუნო(ვნ)ება უნდა იყოს, რომლის საშუალებითაც მყუდროება უნდა იყოს დამკვიდრებული და დაცული მთელი მატერიალური სამყაროს შიდა სულიერ რეალობაში. ცხოვრებისეულ რეალობაში კი ეს შემდეგნაირად უნდა ხორციელდებოდეს: **სწავლების პროცესი საზოგადოებაში სასიამოვნო და სასურველ საქმიანობად უნდა აღიქმებოდეს (თავის წარმოსახვაში ესახებოდეს). ყველასა და ყველაფერს, სადაც განმსწავლებელი ანუ მასწავლებელი მხოლოდ მას შეასწავლის რასმე, ვინც მონაფეობრივი სულისკვეთებით მიუდგება მას და იმდენად შეასწავლის, რამდენსაც თავის მონაფედ აღქმული პიროვნება ითხოვს. ამით, ავტომატურად მოხდება იმის დაცვა, რომ მასწავლებელი ვერანაირად ვერ მიეჯაჭვება მონაფეს იმაზე მეტად, ვიდრე მონაფე მასწავლებელს. ამგვარად, მასწავლებელი უფრო საჭირო გახდება მოსწავლისათვის, ვიდრე მოსწავლე მასწავლებლისათვის და მთელ მატერიალურ გარემო-**

ში (ადამიანთა საზოგადოებაში) არ დაირღვევა ის უხილავი სულიერი დისტანცია, რომელიც ყოველთვის უნდა სუფევდეს ცოდნის გამავრცელებელსა და ცოდნის მაძიებელს შორის.

ჭეშმარიტი მასწავლებლობა და მოძღვრობა ის კი არ არის, როდესაც ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად გამოავლინოს ის, რაც შეუსწავლია და იცის. ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტი მასწავლებელი და მოძღვარი, როდესაც ის მისკენ ცოდნის ძიების სურვილით მიმართულ ადამიანს მისცემს მხოლოდ და მხოლოდ იმას (არც ნაკლებსა და, მით უმეტეს, არც მეტს), რაც და რამდენადაც ამ ადამიანს სურს. ეს მისი სულიერი ცნობისნადილის მაქსიმუმია ამ მომენტში და მცირე ან ჭარბი რაოდენობა ცოდნისა მხოლოდ ზიანის მომტანია.

ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს ჭეშმარიტი მონაფე, როდესაც ის მასწავლებელთან მიმართებაში თავყვანისცემისა და სიმდაბლის სულისკვეთებითაა განმსჭვალული და ამოდრავებს ჭეშმარიტი ცოდნის შეცნობის წყურვილი და არა შეცნობილი ან შესაცნობი ცოდნის გამოყენების სურვილი საკუთარი, პირადი ინტერესების (უპირატესობის ან გამორჩევის, „ჭიის გახარების“) განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში მონაფისათვის საშუალება მიზნად გადაიქცევა.

II. არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება

არსებული მატერიალური ან მენტალური გარემოს სულიერი მდგომარეობის ბუნებრივი სვლის მიმდინარეობის მართვაში მონაწილეობის მიღების სურვილი ადამიანში ერთ-ერთი უმთავრესი ბუნებრივი ინსტინქტია და ბუნებრივი „ეგო“-ს ამბიციურ ნაწილს წარმოადგენს ადამიანის „მე“-ში. ამ შემთხვევაშიც უფლების მიღებისთვის სრულიად უნდა იყოს აღქმული და დაცული ადამიანის მიერ ამ უფლების შესაბამისი მოვალეობა. ამ მმართველობაში მონაწილეობის უფლების მიღების სურვილი არანაირად არ წარმოადგენს თავისი ჭეშმარიტი გაგებით საკუთარი პიროვნების სულიერ ლიდერად აღიარების მიღწევის სურვილს. ვინც ამას ასეთად ვერ აღიქვამს, ვერასოდეს გახდება გარემოს სულიერი მდგომარეობის ბუნებრივი წინსვლის საქმეში სარგებლობის მომტანი. უფრო მეტსაც გეტყვით, ის ამ წინსვლის შემაფერხებელი, დამაბრკოლებელი

გახდება საკუთარი პიროვნების უკვე აღიარებულობის არ შემცირების, შენარჩუნების სურვილით მართული და, რეტროგრადაულობას ვინღა სჩივის, უძრაობაში გადაიყვანს მუდმივად წინსვლისათვის განკუთვნილ პროცესს.

ეს უფლება თავის თავში მოიაზრებს ადამიანის მიერ სულიერი ევოლუციურებისათვის საჭირო მომავლის გზის გაკვლევას, ჩვენებასა და დაკვალიანებას (რამხელაზეც ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება და მოეთხოვება). ამ შემთხვევაში ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ ის ღვთის ნების რეალიზაციის საშუალება უნდა იყოს და განგების სამსახურში უნდა აღიქვამდეს საკუთარ პიროვნებას (თავისი პიროვნების მაქსიმალურად არაინდივიდუალური მხრიდან წარმოჩინებისკენ უნდა იყოს მიდრეკილი). თუნდაც მთელმა სამყარომ იგი სულიერების საუკეთესო წარმომადგენლად, საკუთარ კერპად აღიქვას, ამ საფეხურზე მყოფმა ადამიანმა ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე უნდა შეძლოს საკუთარი პიროვნება სრულ დამოკიდებულებაში ამყოფოს სამყაროს უზენაეს პიროვნებასთან და მის წარმომადგენლებთან მიმართებაში, და სრულიად უნდა იყოს არადამოკიდებული, არამიჯაჭვული იმ გარემოზე, რომელსაც ის სულიერად მიმართავს. რა თქმა უნდა, ეს „განზე დგომილება“ გარემოსთან მიმართებაში მასთან კონტაქტის არ ქონას არ მოიაზრებს. პირიქით, სწორედ კონტაქტის, მაქსიმალური კონტაქტის პროცესში უნდა მოახერხოს მან ის, რომ ობიექტური მიდგომის უნარი არ დაკარგოს. ის უფრო „დამკვირვებელი“ იქნება ამ გარემოსთან მიმართებაში და არა „მონაწილე“, რითაც სრული უფლება ექნება, ობიექტურობის კრიტერიუმად იქნას მიღებული ამ გარემოს მიერ.

ეს არის უდიდესი და უზენაესი გამოცდა ზოგადად ადამიანისათვის და მისი გადალახვის შემდგომ, ადამიანი უდიდეს პატივს, უზენაეს ღირსებას იმსახურებს განგების მხრიდან. იგი მარადიულ სამყაროში, ანუ ზეცაში გადასვლის უფლების მიღებით ჯილდოვდება.

ამ საფეხურზე ასული ადამიანი აშკარად ზეადამიანურ დონეზე გადასული და ღვთიური ბუნების შექმნის კანდიდატი ხდება. იგი ნამდვილად აღარ არის დამოკიდებული მატერიალურ ან მენტალურ გარემოზე, მაგრამ ეს აუცილებელი გამოსაცდელი საფეხურია. რისი გამოცდა ხდება? – ამ ადამიანის სხეულში მყოფი უკვე ზეადამიანური ბუნების მქონე არსების მოთმინების გამოცდა.

ძალიან უხემ შედარებას თუ გავაკეთებ, ძალიან ძნელია მაგალითად, უმაღლესი მათემატიკის მცოდნემ გამრავლების ტაბულა აუხსნას სხვებს ისე, რომ გაზიარების პრინციპი არ დაარღვიოს. ამას ემატება კიდევ მისდამი გამოხატული ბრმა ფანატიკური (მლიქვნელობისკენ მიდრეკილი) მიდგომა და უაზრო, თითიდან გამონოვლილი მიზანმიმართული განკითხვითი (დაპირსპირებისკენ, უტაქტობისკენ მიდრეკილი) მიდგომა. ეს ადამიანი ნებისმიერ არაობიექტურ მიდგომას უნდა ისხლტდეს. რამდენადაც დიდია მისი სიღრმისეული წვდომის უნარი, იმდენად დიდი უნდა იყოს მასში სულგრძელობის გაზრდის უნარი. თუ რაიმეს გამო ვინმესთან დაპირისპირებაში შევა, ეს უნდა იყოს სულიერების გზის სწორედ მიმართვის ინტერესების გამო (და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში) და არავითარ შემთხვევაში საკუთარი პიროვნების ინდივიდუალური ინტერესების გამო. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანის ინდივიდუალური ინტერესები ფაქტიურად მთლიანად დაკავებული უნდა იყოს არაინდივიდუალური ინტერესების მსახურებით და საკუთარი პოტენციალის მხოლოდ ის მცირეოდენი ნაწილი უნდა მოახმაროს საკუთარ ინდივიდუალურ ნაწილს, რაც არაინდივიდუალური ინტერესების მსახურების ჭეშმარიტად სრულყოფილად შესრულების შედეგად დარჩება ხოლმე (სხვათა შორის, ეს მისი ციცქნა ნაწილი ბევრად აღმატებული იქნება ბევრი ადამიანის მთელს პოტენციალზე).

მოკლედ, ეს იმდენად რთული საფეხურია, რომ პირადად მე არანაირად არ ვისურვებდი მის გავლას, თუ ეს შესაძლებელია, რომ ამის გარეშე შეძლოს ადამიანმა ევოლუციურების გზის მაქსიმუმისკენ სრულყოფილად საჭირო სვლით იაროს.

აქ, ფაქტიურად, რეალურ, მიმდინარე ცხოვრებაში მამოძრავებელ იდეათა შემოტანაზეა ლაპარაკი, რომლებიც იმხელა პასუხისმგებლობას ადებენ ადამიანს, რომ საკუთარი ინდივიდის არაფუნქციონალური ინტერესების განხორციელების ნდომაზე, მათ გაფიქრებაზეც კი არ უნდა (არ შეიძლება) რჩებოდეს დრო.

რეკომენდაციასავით მინდა მივანერო: ვისაც მთელი არსებულის გარემოს დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება სურს, რაღა თქმა უნდა, სულიერ სამყაროზე სრულ დამოკიდებულებაში საკუთარი პიროვნების მოსაქცევად ჭეშმარიტი რწმენით უნდა იხელმძღვანელოს მთელს მატერიალურ სამყაროსთან მიმართებაში ყოველთვის, ყველგან, ყველასთან და ყველაფერში. მას, ვისაც სულიერ სამყაროში გადასვლა არა აქვს უმთავრეს მიზნად დასახული,

მატერიალურ სამყაროზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლება მისთვის სრული უაზრობაა.

თუ ადამიანი, ამ მიზნის არ ქონის მიუხედავად, ამას მანაც აკეთებს, მას მატერიალური სამყაროს მმართველობა სურს და იგი აუცილებლად სატანური ბუნების ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდება. ეს ის ფენომენია, რაც ურნმუნო, უმეცარი და ხარბი ადამიანების მიერ თავისუფლებად არის მონათლული. ისინი თავისი ქკუით ჩარჩოებიდან გადიან, სინამდვილეში მათ მხოლოდ უფლებები უნდათ ჰქონდეთ და მოვალეობები არანაირი ფორმით არ სურთ აიღონ საკუთარ თავზე, ე.ი. თვითგაკერპებულნი არიან.

რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცი, რომ უკვე თვითგაკერპებული ადამიანი ამ ყოველივეს არ მოუსმენს და, მით უმეტეს, არ ნაიკითხავს (არ შეისმენს). ამ ნაწერით მე უფრო ის მინდა ავაცვილო თვითგაკერპების გზას, ვისაც აქეთკენ აქვს მიდრეკილება, მაგრამ შიგნიდან სინდისისა და გარედან სირცხვილის ხმის გაგონების უნარი კიდევ შემორჩა.

ახლა კი ამ საფეხურის ძირითად თემატიკას დავუბრუნდეთ. ქემარიტი რწმენით ხელმძღვანელობა მთელს არსებულ გარემოსთან მიმართებაში ობიექტურობის გარანტი (თუ ის მართლა ქემარიტი იქნება) ამით უნდა ხდებოდეს ამ საფეხურზე მყოფი ადამიანის თვითგამოვლინება ყველასთან მიმართაში განურჩევლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერასოდეს ვერ გაივლის ამ ქემარიტად ურთულეს საფეხურს.

ახლა კი ამ საფეხურის მცნებათა დონეზე განხილვა დავიწყოთ. თუ მოკლე ფორმულირებით გადმოვცემთ, ეს საფეხური არის საკუთარი სულიერების ცივილიზირებულობის მდგომარეობიდან ჰარმონიზირებულობის მდგომარეობაში გადაყვანის საშუალება. უფრო მარტივი ენით თუ ვიტყვით, ეს არის მატერიალური იდეოლოგიისგან, მატერიალური რეფლექსუალურობისგან, ხელოვნური „ეგო“-სგან სრულად გათავისუფლების გზა. ეს ყოველივე კი იმაში გამოიხატება, რომ მატერიალური გარემოს სულიერ მდგომარეობასთან კონტაქტიც კი ვერ შეძლებს ადამიანის მყუდროებისა და მასში არსებული სინმინდის დარღვევას.

ამ საფეხურზე ადამიანის კონცენტრირება უნდა მოხდეს ეთიკისა და მორალის მცნებათა ნუსხიდან მე-5 და მე-6 მცნებებზე გადმოსვლა, რომლებზეც მე-7 და მე-8 მცნებებიდან უნდა გადმოვიდეს. ადამიანის ქალური სანყისისთვის ვიხელმძღვანელებ მე-6 მცნებით ანუ: *ეცადე არ დაუშვა შენში ტყუილი და ყველგან, ყვე-*

ლასთან და ყველაფერში იყავი ის, რაც ხარ. ეს ადამიანს პატივმოყვარეობის სენით დაავადებისაგან გარანტირებულად დაიცავს და საკუთარ პატიოსნებასა და ღირსებას არ შეუბღალავს.

თუ ათი პრინციპიდან და ცხრა ნაყოფიდან სულიწმიდისა მე-6 პუქტებს ამ მცნების არსობრივ რაობასთან შევადრებთ, მივიღებთ, რომ ადამიანი ამ საფეხურზე ღირსეულად თავის გამოვლინებისთვის უნდა იყოს აუცილებლად გულწრფელი და ამის შედეგად აუცილებლად დაიმკვიდრებს სინმინდეს.

მე ვფიქრობ, ეს ჭეშმარიტად მშვენიერი სახელმძღვანელო იქნება ადამიანებისთვის საკუთარი სულიერი მდგომარეობის ქვედა შკალის არ ჩამოვარდნის, ქვევით არ დანევის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის მამაკაცური სანყისთვის ვიხელმძღვანელებ მე-5 მცნებით: *მხოლოდ მაშინ უნდა მოახდინო საკუთარი არსის გაცემა, როდესაც ეს სურს მას, ვისთვისაც ვასცემ შენს შიდა არსს, ანუ შენს „მე“-ს.* ეს კი, ადამიანს გაზიარების პრინციპის არ დარღვევისაგან საიმედოდ დაიცავს, თუ ურთიერთობისას თავადვე არ დაარღვევს ამ მცნებას. ის ამით ნელ-ნელა იმასაც მიეჩვევა, რომ ნაკლები ილაპარაკოს საკუთარი ინდივიდუალური სხეულის პრაქტიკული გამოცდილების შესახებ და ძირითადად „მე“-ს ხსენებისას ინდივიდუალური სული და არაინდივიდუალიზმის გაცემა იგულისხმოს.

თუ ათი პრინციპიდან და ცხრა ნაყოფიდან სულიწმიდისა მე-5 პუნქტს ამ მცნების არსობრივ რაობასთან დავაკავშირებთ, მივიღებთ, რომ ადამიანმა ამ საფეხურზე თავის ღირსეულად გამოვლინებისთვის საკუთარი არსის გამჭვირვალობა და გაცემა (გაზიარების პრინციპის უმნიკვლოდ დაცვა) უნდა მოახდინოს და ამის შედეგად აუცილებლად მიიღებს იმ მდგომარეობას, რასაც სიტკბოება ჰქვია.

ეს კი უმშვენიერესი ცოდნაა იმისათვის, რომ ადამიანისთვის საკუთარი მდგომარეობის ზედა შკალის არც ზევით და არც ქვემოთ გარღვევა არ მოხდეს. ვფიქრობ, ვინც აქამდე მომყვა კარგად ხვდება, რომ ზევით გარღვევა უარესი შედეგის მომტანი იქნება ამ შემთხვევაში, ვიდრე ქვემოთ ჩამოსვლა. თუმცა სულაც არა ვარ იმის მომხრე, რომ ქვემოთ ჩამოვარდნა ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს, მით უმეტეს ამ საფეხურის მოთხოვნების დონესთან შედარებით. ის უნდა იყოს ის, რაც უნდა იყოს.

ის, ვინც შეძლებს მე-5 და მე-6 მცნებების ჭეშმარიტ დაცვას ავტომატურად მოახდენს VII, VIII, IX და X მცნებათა სრულყოფი-

ლად დაცვასაც. ისე რომ, აბსოლუტური სისულელეა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე-6 მცნებას იცავს, თუ, მაგალითად, მე-8 მცნებას „ცოტათი“ არღვევს („ცოტათი“ იმიტომ ჩავსვი ბრჭყალებში, რომ ეს სულელური თავის მოტყუება გამეშიშვლებინა. შეუძლებელია, ნებისმიერი მცნება ცოტათი შეასრულო, ან ცოტათი დაარღვიო – მათ ან იცავ, ან არღვევ). ასეთი პიროვნება არა მარტო სხვებს ატყუებს, მას საკუთარი თავიც მოტყუებული ჰყავს. ამაზე დიდი საშინელება კი, ვფიქრობ, საერთოდ შეუძლებელიც კია დაემართოს ადამიანს. **საკუთარი თავის შეგნებულად (ან თუნდაც შეუგნებლად) ტყუილში მყოფობა სრული გარანტიაა ადამიანის განუწყვეტილ სულიერად დაცემისა.**

საბოლოო დასკვნის სახით ამ საფეხურის გარშემო შეიძლება ითქვას, რომ მისი სრულყოფილად საჭიროდ გავლის შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანი თვით მამა ღმერთის მიერ იქნება აღიარებული ადამიანური ბუნებისთვის მაქსიმალური მოთხოვნების სრულყოფილად შემსრულებლად და, რაიმე კატასტროფულ სისულელეს თუ არ ჩაიდენს, სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს სულიერ სამყაროში. ეს უდიდესი მადლია, რასაც ადამიანმა შეიძლება მიაღწიოს.

მამა ღმერთი, უხეშად რომ ვთქვათ, მამაა აბსოლუტურად ყველაფერი გამოვლინებულისა (ამ შემთხვევაში დროებით გამოვლინებულ სამყაროებს ვგულისხმობ) და როდესაც ეს სამყაროები გამოუვლენელ მდგომარეობაში გადავლენ, მის მიერ გამორჩეული ინდივიდუალური სულები (რომლებიც „სიცოცხლის წიგნში“ იქნებიან შეყვანილნი) ამ სამყაროებიდან მარადიულ სამყაროში გადასახლდებიან, სადაც სრული ნეტარება სუფევს. აქ მოხვედრილთ სანატრელიც კი აღარ ექნებათ არაფერი, იმდენად წარმოუდგენლად დიდი იქნება ის სასიამოვნო მდგომარეობა, რომელშიც ისინი აღმოჩნდებიან.

მაშინ ამ ადამიანს მამა ღმერთის სიყვარულის პიროვნულ დონეზე აღქმა შეეძლება, მის უმუშალო სიახლოვეში იქნება და ნეტარების ოკეანეში ინებივრებს. იმისათვის, რომ ეს აქვე რაიმენაირად აღიქვათ, მე გირჩევთ ეცადოთ ღირსეულად გაიაროთ ეს საფეხური, რომელიც ახლა აღვწერე.

რაც შეეხება ამ საფეხურზე გადასული ადამიანის განხილვას მატერიალური ან მენტალური გარემოს სულიერი მდგომარეობის გადასახედიდან, ანუ „ქვემოდან“, იგი, თავისდაუნებურადაც კი,

ხდება პიროვნება, რომელსაც ერთ-ერთ სულიერ ლიდერად მოიხსენიებენ.

რა ევალება სულიერ ლიდერს? – უხეშად რომ ვთქვათ, სამწყსო დარწმუნებული უნდა იყოს და მუდმივად რწმუნდებოდეს სულიერი მოძღვრის ობიექტურობაში ყველგან და ყველაფერში. მისგან უნდა მომდინარეობდეს გულწრფელობა და მართებულობა, სინამდვილე და სიტკბოება. ეს ამ ადამიანის ჩვეულებრივი მდგომარეობა უნდა იყოს.

ამ ადამიანს არანაირად არ ეპატიება რევოლუციური რეფორმატულობა და რეტროგრადული დოგმატურობა. ის გარემოს სულიერი მდგომარეობის პულსივით უნდა იყოს და მუდმივად მისი გაუმჯობესების მცდელობის სამსახურში უნდა იდგეს. ფაქტიურად, ამისათვის ნებისმიერი ადამიანის შინაგანი შეგვრძნება უნდა შეეძლოს და არათუ მისი გულის თუ ტვინის დაკმაყოფილებაზე და სიამოვნებაზე იზრუნოს – ან პირიქით განკითხვაზე და ზომბირებაზე, არამედ კონკრეტულად, ნებისმიერისათვის საჭირო კონკრეტული სულიერი პრობლემატიკის გადაწყვეტის გზის დანახვა და დანახვება უნდა შეეძლოს. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფსევდოსულიერი ლიდერი იქნება და ვერაფერს ღირებულს ის ვერც გარემოს სულიერ მდგომარეობას მოუტანს და ვერც საკუთარ სულს არგებს.

III. ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის აღქმა

ჭეშმარიტ ნდობას (ამ შემთხვევაში – სრულყოფილ ცოდნას ბუნებრივი „ეგო“-ს სულიერი მდგომარეობის შესახებ) მიიღებს ის, ვისშიც იქნება ჭეშმარიტი რწმენა (ამ შემთხვევაში – მამა ღმერთის ობიექტური აღქმა).

აქ ლაპარაკია ღვთიური ბუნების გარშემო და მის შესახებ. თუ უფრო სკურპულოზურად მივუდგებით, ეს არის აბსოლუტის მამაკაცური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილის რაობის ახსნის მცდელობა. ეს სანყისი, ძალიან უხეშად თუ განვმარტავთ, განაგებს მთელს მომავალს უსასრულოდ შორეული მომავლიდან მოყოლებული.

ეს გახლავთ უკვე გამოვლინებული ე. წ. წარსულისთვის სულიერი ცოდნისა და შეგვრძნების მიმწოდებელი ძალა. რატომ ვიძახი წარსულზე და მომავალზე უხეშად? – ამ გადასახედიდან დრო (წარსული, აწმყო და მომავალი) როგორც ასეთი, საერთოდ აღარ

არსებობს და ისინი ერთმანეთში იმდენად ურთიერთგადაკვეთილნი არიან, რომ ასე დაყოფა, უბრალოდ, უაზრობაა. ამ ტერმინებით მხოლოდ იმიტომ ვხელმძღვანელობ, რომ აქ, დედამიწაზე სხვანაირად აღქმის უნარი არავის არ გააჩნია. მაგალითად, თვითონ წარსულში, მუდმივად არსებობს პოტენციური მომავალი რეალობის მონახაზი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის სახით. ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავადვე იგრძნოს. სხვათაშორის, მონანიებისა და აღსარების მექანიზმი ადამიანმა სწორედ ამაზე უნდა ააწყოს. თუ თქვენ წარსულში უკვე მომხდარ რაიმე მოვლენას თქვენთან დაკავშირებულს დაუბრუნდებით შინაგანი წარმოსახვის საშუალებით და ამ დროს საკუთარი ჩადენილი ქმედების შეგრცხვებათ, თქვენ ალბათ უნდა მოგიხდეთ ის, რომ ეს ქმედება არ ჩაგედინათ. აი, სწორედ ამ სისტემით, დაბეჯითებით შემოძლია გითხრათ, რომ თქვენ შეგიძლიათ, ეს ქმედება შეცვალოთ და გააკეთოთ ის, რაც ამ სირცხვილის გრძნობას სიმშვიდის გრძნობად გადაგიქცევს. – როგორ? – შინაგანი წარმოსახვის დონეზე. თუ ამას მატერიალური თვალებით ვერ ხედავთ და მატერიალური ხელებით და ფეხებით ან ნებისმიერი ნაწილით სხეულისა ვერ ახორციელებთ, დამერწმუნეთ, არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ამას ვერ მოახერხებთ გულში და ტვინში. კოსმოსი, განგება, უფალი აუცილებლად დააფიქსირებს ყოველივე ამას და, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თქვენი წარსული აუცილებლად შეიცვლება. აი, რაში გამოიხატება მომავლის არსებობა და წარსულში გამოვლინება.

ასეთივე წარმატებით შეიძლება მონანიებისა და აღსარების ქმნა მომავალში (მომავლის წარსულში). ახლავე აგიხსნით, რას ნიშნავს ეს: თუ თქვენ რაღაც განზრახვა გაგაჩნდათ დაგეგმარებული მომავალში განსახორციელებლად, მაგრამ ჯერ არ არის იგი განხორციელებული თქვენს მიერ, ის, ვფიქრობ, უდავოდ მომავალს უნდა წარმოადგენდეს დროითი კლასიფიცირების შემთხვევაში. თუ ამ სურვილს მის განხორციელებამდე ჩაულრმავდებით და რაღაცნაირად სინდისის ქენჯნას იგრძნობთ ანუ აღმოაჩენთ რაღაცა ისეთს მასში, რაც თავადვე მოგეჩვენებათ, რბილად რომ ვთქვათ, არამართებულად, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უფრო ადვილი გასაგებიც კია, რომ შინაგანი წარმოსახვის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ, ეს წინასწარ დაგეგმილი ქმედება შეცვალოთ, გადაასხვაფეროთ. ამ შემთხვევაშიც, თქვენი მომავალი ავტომატურად ცვლილებას განიცდის და კოსმოსის, განგების, უფლის მხრიდან თქვენდამი მიდგომა აუცილებლად შეიცვლება იმის შესაბამისად, თქვენი სურვილი გახდა

ეთიკურად უფრო უკეთესი ან, პირიქით, უფრო უარესი, ვიდრე იგი იყო თქვენს მიერ მის გადაკეთებამდე.

საბოლოო ჯამში ამასთან დაკავშირებით შემოიძლია გითხრათ, რომ ე. წ. წარსულისა თუ ე. წ. მომავლის კორექტირება, შეცდომების (ცოდვების) გამოსყიდვის, მონანიებისა და აღსარების გზით იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ერთმანეთისგან ცალ-ცალკე განხილვა სისულელეც კია. გონიერი ადამიანისთვის, ვფიქრობ, ეს საკმაოდ მარტივი, ყოველ შემთხვევაში გაგების უნარის საზღვრებში მყოფი რამაა.

პრინციპში შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ერთადერთი გზა ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის აღქმის მსურველისათვის. ვინც თავის არსში დროის ერთიან, დაუნაწევრებელ პარამეტრად აღქმას ვერ შეძლებს, ვერანაირად ვერ შემოვა ამ საფეხურისათვის შესაბამის ეთიკურ დონეში იმდენად, რამდენადაც აქ არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ესაჭიროება.

ახლა, მოდი, ეს საფეხური მცნებათა დონეზე განვიხილოთ. ეთიკურ-მორალურობისათვის განსაზღვრული მცნებებიდან ამ საფეხურს მიესადაგება მე-3 და მე-4 მცნება.

მე-3 მცნება ე. წ. მამაკაცური სანყისის გამომხატველი:

ყოველთვის ეცადე, გახდე იმაზე უკეთესი, ვიდრე ხარ.

მე-3 პრინციპი ეთიკისა ასე გამოიყურება:

სრულყოფილებილებად გარდაქმნისკენ მიმართვა.

მე-3 ნაყოფი სულიწმიდისა:

მშვიდობა.

ამ საფეხურის ე. წ. ქალური სანყისის გამომხატველი კი გახლავთ ეთიკურ-მორალური მცნებათა ნუსხიდან მე-4 მცნება:

პატივი მიაგე და დაემორჩილე მას, ვინც შენზე უფრო მაღალია სულიერად, უპირატესია შენზე.

მე-4 პრინციპი:

მორჩილი თაყვანისცემა.

მე-4 ნაყოფი სულიწმიდისა:

სულგრძელობა.

ეს ჩამონათვალი გახლავთ ჩონჩხი იმისა, რის საფუძველზეც ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის, აბსოლუტური ქვამარიტების მენტალიტეტის აღქმა შესაძლებელი.

ამ მცნებებსა და მათ ცნობიერ აღქმაზე გადმოსვლა უნდა მოხდეს მე-5 და მე-6 მცნებებიდან. ის, ვინც მე-3 და მე-4 მცნებების ქვეშარტად დაცვას შეძლებს, ის უკვე ავტომატურად გახდება ღვთიური ბუნების წარმომადგენელი. ეს არსება ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, თავისდაუნებურად შეძლებს V, VI, VII, VIII, IX და X მცნებების სრულყოფილ და ზედმინევენით დაცვას.

აქაც, ისევე როგორც ესთეტიკის მე-3 საფეხურის განყოფილებაში, აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე მოსულ არსებას ჰარმონიზირება განვლილი აქვს და იგი ტრანსცენდენტცირების პროცესში გადადის.

ეს თავისთავად პატარა გამოფვრას მაინც მოითხოვს ესთეტიკის მე-3 საფეხურზე გაშიფრულობის მიუხედავად. ჰარმონიზირებულობაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ცოცხალი არსების მიერ სრული თვითრეალიზირებულობის პროცესში ამბიციებისა და ემოციების წარსულში დატოვება, მათი გრძნობად და გონებად გარდაქმნისა და, შემდგომ, ამ გრძნობისა და გონების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის საქმეში. ეს თავისთავად უკვე გულისხმობს საკუთარი სულიერების სრულყოფილად და საჭიროდ დახარჯულობას გარემოსთვის სულიერების მიწოდების, მინიჭების საქმეში (რამეთუ ამის გარეშე ის ვერ მოახერხებდა ჰარმონიზირებას). ის, თუ რამდენად მიიღებს და გაიზიარებს გარემო ამ სულიერებას, ამაზე ეს ცოცხალი არსება არც ღვთისა და არც გარემოს წინაშე პასუხს არ აკებს.

ტრანსცენდენტულობის პროცესში გადასვლა კი ნიშნავს ინდივიდის შინაგანი სულიერი მდგომარეობის თავისდაუნებურ ევოლუცირებას, როდესაც ის განგების წინაშე წარსდგება საკუთარი „მე“-დან ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრის სურვილით. ანუ მას სურს უბრალოდ კი არ არსებობდეს, არამედ სამყაროს ინტერესების სასიკეთოდ შრომობდეს და ამ შემთხვევაში უფალს სთხოვს დახმარებას, გახდეს უკეთესი იმდენად, რომ სულიერ სამყაროში, კონკრეტულად, უფლის სიახლოვეში ყოფნის უფლება მოიპოვოს.

ამ საფეხურის ქვედა შკალის დამცველი ე. წ. ქალური სანყისის გამომხატველი მე-4 მცნება, პრინციპი, ნაყოფი სულიწმიდისა უზრუნველყოფენ ღვთიური ბუნების ადამიანურ ბუნებამდე არ დაცემას. ამას ბრწყინვალედ გადმოსცემს სამივე ორიენტირი. ავილოთ დასანყისისთვის მცნება, რომელიც ადამიანებისთვის გათვალისწინებულიადაც შეიძლება ჩაითვალოს, რათა ადამიანისთვის შესაძლებელი იყოს ღვთიურ დონესთან ურთიერთობა, თუნდაც იმი-

სათვის, რომ მან უბრალოდ ის მაინც იცოდეს, როგორი მიდგომა გამოიმუშავოს მასთან. მომაქვს მე-4 მცნება: *პატივი მიაგე და დაემორჩილე მას, ვინც შენზე უფრო მაღალია სულიერად, უპირატესია შენზე*. ეს არის ჭეშმარიტად იდეალური მიდგომა ადამიანური ბუნების მხრიდან ღვთიურ ბუნებასთან მიმართებაში. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ის დაიცავს ნებისმიერ ადამიანს საკუთარი თავის გაკერპებისაგან. აქ შეუმჩნეველად იგრძნობა ერთგვარი შიშნარევი რიდიც, რაც ადამიანს მორალურ დონეზე უნდა გააჩინდეს. ეს იქნება აგრეთვე უზარმაზარი სტიმულიც საკუთარი სინდისისა და სირცხვილის მოსმენისა და შესმენის საქმეში, მონანიებისა და აღსარების აუცილებლობის სურვილში. იქ, სადაც სულიერი ასპექტი არ იქნება წამყვანი, ადამიანი აუცილებლად და გარდაუვლად გადაგვარდება, საზიზღარ დონემდე დაეცემა. საუკეთესო შემთხვევაში თავის სახეობაზე უფრო დაბალ სახეობად გარდაიქმნება და მასში მკვეთრად მოიმატებს ცხოველური ბუნება.

ახლა, მოდით, მე-4 პრინციპსაც შევეხოთ: *მორჩილი თავყვანისცემა*. ეს უკვე აშკარად თვითონ ღვთიურ ბუნებაში ახლად გადასულ მიდგომას ეხება. ეს არის უნივერსალური საშუალება სამყაროს უზენაესი პიროვნების ჯეროვნად შეფასებისა. ეს თვისება მიიყვანს ცოცხალ არსებას იმ დონემდე, რომ განგება მას ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრისთვის გონებრივ პოტენციალს გაუზრდის. იგი ამას აუცილებლად დაიმსახურებს, თუკი მორჩილებითა და თავყვანისცემით იქნება განწყობილი მამა ღმერთის მიმართ. და ბოლოს, მე-4 ნაყოფი სულიწმიდისა ანუ *სულგრძელობა* გახლავთ სრული გარანტორი იმისა, რომ, ვიდრე სულგრძელობას შეინარჩუნებს ცოცხალი არსება ქვევით ვერანაირად ვეღარ ჩამოვარდება ადამიანური ბუნების დონემდე.

ახლა კი, მოდით, განვიხილოთ ამ საფეხურის ზედა საზღვრის დამცველი ე. წ. მამაკაცური სანყისის გამომხატველი მე-3 მცნება და მისი შესაბამისი მე-3 პრინციპი და მე-3 ნაყოფი სულიწმიდისა მათი ფუნქციონალური რაობის გადასახედიდან.

ეს მესამე პუნქტები (ყველა) უნივერსალური დამცველია ცოცხალი არსებისა, როგორც ყოველგვარი ზედმეტი მცდელობებისაგან, ისე არასაკმარისი ძალისხმევისაგან. ავილოთ მცნება — *(ყოველთვის ეცადე გახდე იმაზე უკეთესი, ვიდრე ხარ)*, ისევე როგორც თავად მე-3 პრინციპი *(სრულყოფილებად გარდაქმნისკენ მიმართვა)* არ ტოვებს არანაირ ვაკუუმს მათი შესრულების შემთხვევაში, რომ ცოცხალი არსება რალაცის მიღწევის ან მოპოვების

შემდგომ მისი შენარჩუნების სურვილით შეიპყრობა და ყოველგვარი სახის ძიებაზე ან ვინმესთვის ძიებაში დახმარების განწევაზე უარს იტყვის. სხვათაშორის, ეს არის ერთ-ერთი ის პრობლემა, რომელიც ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალშიც.

აქსიომას წარმოადგენს ის, რომ ვინც რალაცის ან ვილაცის შენარჩუნებას ცდილობს, აუცილებლად დაკარგავს ამ რალაცას ან ვილაცას.

განგება არავის მისცემს უფლებას, მისი გულისთვის სამყაროში მიმდინარე მოვლენები გააჩეროს და ყველაფერი სიკვდილის მდგომარეობაში, სრულ უმოქმედობაში გადაიყვანოს.

ახლა კი ვნახოთ მე-3 ნაყოფი სულიწმიდისა. ეს გახლავთ: *მშვიდობა*. სრულყოფილებისკენ არ სწრაფვა, უკან არასრულყოფილების დატოვებით, ავტომატურად ომსა და დაპირისპირებას გულისხმობს. ე. ი. ამ შემთხვევაში უკვე შემოდის მთელი სამყაროსა და ყველაფერი არსებულის ერთიან, მთლიან ორგანიზმად აღქმის გაგება. თუ ვილაც, სადლაც ჩემი საშუალებით შეიძლება გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის და მე ამას არ ვაკეთებ, მაშინ დავთესავ დაპირისპირებას, რადგან არ აღმოვფხვერი იგი. ამ შეგნებით განმსჭვალული ცოცხალი არსება უაზროდ, თავქუდმოგლეჯით ზევით კი აღარ გარბის, ცდილობს მთლიანად მოემსახუროს მთელი, ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის გაჯანსაღებას. აი, ამისთვის კი მას უსათოდ ესაჭიროება ამ სულიერი მდგომარეობის აღქმა. ამგვარად, ცოცხალი არსება მიდის იმის გაგებამდე, რომ იქ, სადაც განგებამ მისი ყოფნა განსაზღვრა, მას ზედმინევნით შეესაბამება (განჭვრეტს რა მთელი, ერთიანი გარემოს სულიერ მდგომარეობას), ეცადოს ერთიანი ცნობიერების სულიერ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოსაყვანი გზები და საშუალებები, იპოვოს და კვალიფიციურად, ყველასათვის გასაგებ და მისაწვდომ ენაზე გადმოსცეს ეს. ეს ყოველივე იმის შესახებ, თუ რას მოიაზრებს თავის არსში *სრულყოფილებად გარდაქმნისკენ მიმართვა*.

რალა თქმა უნდა, ამ შეგნების დონეზე მოსული ცოცხალი არსება უფალი ღმერთის მფარველობის უფლებით ჯილდოვდება. შემიძლია ისიც კი ვთქვა, რომ იგი უშუალოდ მამა ღმერთის მიერ ღებულობს კურთხევას და, ფაქტიურად, ნებიმიერ წინააღმდეგობას, რასაც მასზე დაბალი რანგის არსებები უქმნიან მას, იგი უპრობლემოდ ლახავს.

საერთოდ, ღვთიური ბუნების მქონე ცოცხალი არსების წინაშე სხვა ბუნების მქონე ცოცხალი არსებები უსუსურად გამოიყურებიან, რამეთუ ღვთიური ბუნების მქონე არსება განგების მხრიდან ყველაზე დიდი და ყველაზე უპირატესი დახმარებით სარგებლობს. ადამიანური ბუნების ღვთიურ ბუნებაში გადასვლა ყველაზე დიდი წარმატებაა ნებისმიერი ადამიანისათვის. ეს ძალიან, ძალიან რთულია, მაგრამ ამავე დროს ისიც მინდა გითხრათ, რომ ეს სრულიად შესაძლებელია.

თუ ამ თავის თემატიკას დავუბრუნდებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აქ აღწერილი გზით ცოცხალი არსება შეიძლება ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის აღქმას ეზიაროს. ვფიქრობ, სხვანაირად ეს შეუძლებელი რამ იქნება.

იმდენად გენდობათ განგება თქვენ და ვაგიმხელთ საკუთარ სულიერ არსს, რამხელა ცთვენიში ნებიმიერი გამოვლინებული სიტუაციის ობიექტურ რეალობად აღქმის უნარი იქნება, ე. ი. რამხელა ცთვენიში განგებისადმი ჭეშმარიტი რწმენა.

იცხოვრეთ ისე, თითქოს თითოეული მიმდინარე წამი თქვენი სიცოცხლის ბოლო წამი იყოს და მაშინ შენარჩუნებაზე ზრუნვას გადაეჩვევით.

III. ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღება

ჭეშმარიტი რწმენის გაცემის უფლება (ამ შემთხვევაში ბუნებრივი „მე“-ს შესახებ) მიეცემა მას, ვინც მთლიანად მინდობილი იქნება ბუნებრივ „მე“-სა და მის პირად წარმომადგენელს, სამყაროს უზენაეს პიროვნებას, ანუ ვის მიერაც სრულად იქნება აღქმული ბუნებრივი „ეგო“-ს სულიერი მდგომარეობა და საკუთარ არსში ბუნებრივ „მე“-დ იქნება გარდაქმნილი.

ეს საფეხური გახლავთ ღვთიური ბუნების აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან ურთიერთობის ამსახველი დონე. ამ შემთხვევაში აბსოლუტური ჭეშმარიტება ისე უნდა იქნას აღქმული, როგორც აბსოლუტის მამაკაცური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილი. აქ ბუნებრივი „ეგო“-ს ცნება ბუნებრივ „მე“-დ გარდაქმნის მდგომარეობაში გადადის. თავისი ფუნქციონალური დატვირთვით ეს გახლავთ დროის ერთიან, დაუნაწევრებლად აღქმის რაობა, სადაც კონკრეტული, ამწამიერი მიმდინარეობის ცნება ყოველგვარ აზრს კარგავს.

რას ნიშნავს ეს? – ეს არის ისეთი „დროითი სარტყელი“, სადაც გადაადგილება შესაძლებელი ხდება უკიდურეს წარსულში ან უკიდურეს მომავალში და ცოცხალი არსება ერთ კონკრეტულ მიმდინარე წამზე აღარ არის დამოკიდებული. ვფიქრობ, არც ისე ძნელი უნდა იყოს იმის გაგება, რამდენად სპეტაკი უნდა იყოს ის ცოცხალი არსება მორალურად და ეთიკურად, რომ მას ამის უფლება მიენიჭოს. ფუნქციური დანიშნულება ამ გადაადგილებებისა კი უნდა იყოს ერთიანი ცნობიერების სულიერი ტრანსცენდენტული მდგომარეობის მართვა და უზრუნველყოფა. ალბათ ოდნავ მაინც ხვდებით, თუ რა შედეგებს მოუტანს მთელ ცნობიერებას, თუნდაც ერთი, თითქოს უმნიშვნელო ე. წ. შეცდომა. არ შემოიძლია ამ შეცდომის რაობაზე არ შევჩერდე. ვფიქრობ, ეს საუკეთესოდ დაეხმარება მას, ვისაც სულიერი ნინსვლა და წარმატებები სწყურია. სწორედ ეს შეცდომა გახლავთ ის, რასაც ცოდვად მოიხსენიებენ დედამინაზე. თუ ცოცხალი არსება ერთიან ცნობიერებას იმაზე ნაკლებ სულიერ ცოდნას მიაწვდის, ვიდრე ეს მას ესაჭიროება (რა თქმა უნდა, თუ ეს თავად გააჩნია), მაშინ ის ცოდვას, შეცდომას ჩაიდენს. მაგრამ თუ იგი იმაზე მეტ სულიერ ცოდნას მიაწვდის ერთიანი ცნობიერების წარმომადგენლობით ნაწილს, ვიდრე მას ამის აღქმის უნარი გააჩნია, ეს ზემოთ ხსენებულ ცოდვაზე, შეცდომაზე, გაცილებით უფრო უარესი შედეგების მომტანი გახდება. ამიტომ იგი ტრანსცენდენტული მდგომარეობიდან ამოაგდებს მთელს ცნობიერებასა და ბუნებრივი „ეგო“-ს შექმნას გამოიწვევს. პირველად მოხსენიებული შეცდომა გაცილებით უფრო ადვილი გამოსასწორებელია, ვიდრე – მეორედ მოხსენიებული (თუმცა, იმასაც დავამატებდი, რომ პირველი მეორეს აუცილებლად, გარდაუვლად გამოიწვევს).

აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენელი გახლავთ სამყაროს უზენაესი პიროვნება, მამა ღმერთი, და ყოველი ახალი პორციალური სულიერი ცოდნის შეტანა ყოველთვის ერთიან ცნობიერებაში უშუალოდ მასთან შეთანხმებით და მისი გადწყვეტილებით უნდა ხდებოდეს.

ვფიქრობ, თავისთავად იკითხება, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ აქ არის პასუხისმგებლობისა და, თუ გსურთ, უფლებამოსილების მაქსიმუმი, რაც კი შეიძლება გაპიროვნებულ იქნას ზოგადად ცოცხალ არსებაზე. ისე, რომ აქ მოხვედრილი ნებისმიერი ცოცხალი არსება უდავოდ დიადი სულია. თუმცა უეჭველია ისიც, რომ აქაც არსებობს იერაქიული საფეხურები, რომელთა განსაზ-

ღვრასაც მე აქ არ ვაპირებ. ეს მეტისმეტად რთული რამ არის ამ გადასახედიდან აღსაქმელად და, ვფიქრობ, ყოველგვარ საჭიროებას არის მოკლებული.

თუ ადამიანი საკუთარ ინდივიდუალურ სულზე მიჯაჭვულობისაგან ვერ გათავისუფლდება, რაც იმაშია გამოხატული, რომ საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება სურს (არა იმიტომ, რომ ეს საჭიროებას მოახმაროს, არამედ იმიტომ, რომ შეუძლია და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის უნარით სურს დატკბეს) ვერასოდეს ვერ შეძლებს ამ საფეხურის გავლას. ფორმულასავით გეტყვი: თუ ცოცხალი არსება მამა ღმერთის ნების რეალიზაციის საშუალება არ გახდება საკუთარ აღქმაში, ის არ არის ღირსი იმისა, რომ ზეცაში დაიდოს ბინა. ეს არავის ჯინი არ არის. უბრალოდ, ეს არსება ძალიან ბევრ უბედურებებსა და არეულობებს მოუტანდა ერთიან ცნობიერებას.

ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის მართვაში მონაწილეობის უფლების მიღების საფეხურის დაძლევისას ხდება ბუნებრივი „ეგო“-ს აღმოფხვრა საკუთარი „მე“-ს გრძნობისმიერ ნაწილში, რითაც ბუნებრივი „ეგო“ ცოცხალი არსების ცნობიერებაში მთლიანად გარდაიქმნება ბუნებრივ „მე“-დ.

ახლა კი, მოდით, ეს საფეხური მცნებათა დონეზე განვიხილოთ ეთიკურ-მორალურობის განმსაზღვრელი მცნებებიდან. ამ საფეხურს შეესაბამებინ პირველი და მეორე მცნება.

პირველი მცნება იქნება ე. წ. მამაკაცური სანყისის გამომხატველი ამ დონისათვის საერთოდ და შემდეგში მდგომარეობს:

გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.

პირველი პრინციპი:

მარადიული სამყაროს უზენაესი პიროვნების სრულყოფილ არსებად აღიარება და აღქმა.

პირველი ნაყოფი სულიწმიდისა:

სიყვარული.

მეორე მცნება იქნება ე. წ. ქალური სანყისის გამომხატველი ამ დონისათვის საერთოდ და შემდეგში მდგომარეობს:

გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

მეორე პრინციპი:

აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსების, ინდივიდუალური სულის „მე“-დ (არა უცხოად, სხვად, მტრად, „ეგო“-დ) აღიარება და აღქმა.

მეორე ნაყოფი სულიწმიდისა:

სიხარული.

ეს გახლავთ ჩონჩხი იმისა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება ამ საფეხურის ახსნა და აღწერა.

ამ მცნებებსა და მათ ცნობიერ აღქმაზე გადმოსვლა უნდა მოხდეს მე-3 და მე-4 მცნებებიდან. ეს არსება ყოველგვარი ძალის-ხმევის გარეშე, თავისდაუნებურად შექლებს III, IV, V, VI, VII, VIII, IX და X მცნებების სრულყოფილ და ზედმინევნით დაცვას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე მოსულ არსებას სულიერი ტრანსცენდენციერება გავლილი აქვს და იგი სულიერი ევოლუციურების პროცესში გადადის. ამ შემთხვევაში ტრანსცენდენციერებაში იგულისხმება ის, რომ ცოცხალმა არსებამ უკვე შეძლო საკუთარი ინდივიდუალური სულის ღვთის ნების რეალიზაციის საშუალებად გარდაქმნა, ხოლო ევოლუციერებაში კი იგულისხმება ის, რომ მას ეძლევა უფლება, მონაწილეობა მიიღოს სრულყოფილ ცნობიერებაში სიახლის შეტანის პროცესში, თავისი შეხედულება და აზრი გამოთქვას. ამ დონეზე ხომ ბუნებრივი „ეგო“ უკვე ბუნებრივ „მე“-დ არის გარდაქმნილი და ცოცხალი არსება ფრაგმენტალური ცნობიერებასთან კონტაქტურობის მდგომარეობიდან მთელი, ერთიან ცნობიერების სულიერ მდგომარეობასთან კონტაქტში შეჰყავს განგებას. ფაქტიურად ის ერთიანი, არაფრაგმენტალური ქემპარიტების აღქმის უნარით (ე. წ. მეხსიერების აღდგენის საშუალებით) ჯილდოვდება.

ამ საფეხურის ქვედა შკალის დამცველი ე. წ. ქალური სანყის გამომხატველი მეორე მცნება და მისი შესაბამისი მეორე პრინციპი უზრუნველყოფენ ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის ჯეროვნად შეფასებას. მათი საშუალებით ცოცხალმა არსებამ უნდა გაისიგრძეგანოს ის მოთხოვნილება, ის პასუხისმგებლობა, რაც ამ საფეხურზე მყოფს აკისრია. თვითონ მეორე მცნება გვაუწყებს: *გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი*. ამაზე განსაკუთრებულად მსურს შევჩერდე. მოყვასი, არათუ ამ შემთხვევაში, არამედ ნებისმიერ შემთხვევაში, გახლავთ ის ცოცხალი არსებები, რომლებიც მთელი ერთიანი ცნობიერებისა და ამ ცნობიერების სულიერი მდგომარეობის საჭიროდ მიმართვის ინტერესებით

არიან განმსჭვალულნი და არა ის ცოცხალი არსებები, რომლებიც პირად, ეგოისტურ სურვილებს შეუპყრიათ. მათ ხომ საკუთარი მიზნების მიღწევა სხვათა ეთიკურად მართებული მდგომარეობის დაზიანების ხარჯზე სურთ აიხდინონ. ეს არის ის მიდგომა, რასაც აქ ადამიანები არანაირად არ ეთანხმებიან და ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი მიზეზია მატერიალურ სამყაროში საერთო მდგომარეობის საზიზღარ მდგომარეობამდე მიყვანისა. ყოველ შემთხვევაში, მე პირადად, ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ამ მცნებას ასეთ ჭრილში განიხილავს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია აბსოლუტური ჭეშმარიტების წარმომადგენლობითი ნაწილის ურთიერთობაზე აბსოლუტურ ცნობიერებასთან, თავისთავად იგულისხმება ის, რომ აქ „ეგო“ არ არსებობს და ვერც ეგოისტური ბუნების არსებები ვერ იქნებიან. ასე რომ, აბსოლუტური ჭეშმარიტების წარმომადგენლობით ნაწილში მოხვედრილ ცოცხალ არსებას არც საბაბი უნდა ჰქონდეს და არც უფლება უნდა მისცეს თავის თავს, რომ ერთიანი ცნობიერების წარმომადგენლები მოყვასად არ აღიქვას და ისე არ უდგებოდეს მათ, როგორც საკუთარ თავს. ეს, ჭეშმარიტად ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი გახდება ამ საფეხურამდე მოღწეული ცოცხალი არსებისათვის, რომ იგი აღარ დაეცეს.

აქვე შეგვიძლია, მოვიშველიოთ მეორე პრინციპი, რომელიც გვეუბნება, რომ *აბსოლუტურად ყველა ცოცხალი არსება ამ ინდივიდუალურმა სულმა „მე“-დ უნდა აღიაროს და აღიქვას*. წინააღმდეგ შემთხვევაში მასში აუცილებლად გაიხსნება ე. წ. „ეგო“-ს ხვრელი.

მეორე ნაყოფი სულიწმიდისა გახალვთ *სიხარული*. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ამ საფეხურზე მოხვედრილი ცოცხალი არსება უნდა იყოს დამუხტული იმით, რომ სიხარული მიაწიჭოს ერთიან ცნობიერებას (რითაც თავადვე უნდა გრძნობდეს უსაზღვრო სიხარულს). თუ ზოგად ჭრილში განვიხილავთ ამ ყოველივეს, ეთიკა სწორედ რომ სიხარულს უნდა ანიჭებდეს ესთეტიკას. ამით იგი მუდმივ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში ამყოფებს ერთიან ცნობიერებასა და თვითონაც მუდმივ ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში იქნება იმ სულიერი შეგრძნებით, რომ ამ წმინდა გამოვლინებულობისათვის თვითონ, როგორც ინდივიდი, გულწრფელი სიხარულის გამოვლინების მიზეზი გახდა.

ამ საფეხურის ზედა შკალის დამცველი ე. წ. მამაკაცური სან-ყისის გამომხატველი პირველი მცნება და მისი შესაბამისი პირველი პრინციპი უზრუნველყოფენ ერთიან ცნობიერებაში შესატანი სულიერი ცოდნის ჭარბი მცდელობებისაგან ცოცხალი არსების დაცვას. მათი მეშვეობით ცოცხალმა არსებამ უნდა შეიმეცნოს საკუთარი შესაძლებლობების, საკუთარი უფლებამოსილების ზღვარი, რათა ჭარბი მცდელობებით მართლაც სავალალო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს. ეს, ჩემი შეხედულებით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია იმ საკითხთა შორის, რომელთაც როდესმე შევხებივარ. ისევ მცნებას მოვიშველიებ. ის გვეუბნება: *გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა.*

ანუ ნებისმიერ ცოცხალ არსებას, თუნდაც აბსოლუტური ჭეშმარიტების წარმომადგენლობით ნაწილში მყოფსაც კი, სჭირდება ზედა საზღვარი. უფრო მეტიც კი შეიძლება ითქვას, ეს სწორედ რომ პირველ რიგში მას სჭირდება, რამეთუ აბსოლუტურად ყველა გადახრა იდეალური მდგომარეობიდან სწორედ რომ აქედან ხდება. ამისათვის ყოველი მათგანისათვის აბსოლუტური ჭეშმარიტების პირადი წარმომადგენელი, მათზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ არსებად აღიარებული თავად აბსოლუტის მიერ, უდიდეს ავტორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ აქ ლაპარაკია ისეთ ცოცხალ არსებებზე, რომლებიც ჭეშმარიტად დიადი სულები არიან (უკლებლივ ყველა). წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქ უბრალოდ ვერ მოხვდებოდნენ.

პირველი პრინციპის დაცვა კიდევ უფრო განამტკიცებს ამ მიდგომას, რამეთუ სრულყოფილების მუდმივი წარმომადგენლის არსებობას აუცილებლად საჭიროებს სულიერი მდგომარეობის მართვის პროცესი. პირველი პრინციპი გვეუბნება:

მარადიული სამყაროს უზენაესი პიროვნება სრულყოფილ არსებად უნდა იქნას აღიარებული და აღქმული.

მამა ღმერთისადმი ასეთი დამოკიდებულება მთლიანად გამორიცხავს და აღმოფხვრის იმ საშიშროებას, რასაც ზედა შკალის დარღვევაში ვგულისხმობდი. ის არის უშუალოდ და პირადად გარანტი სრულყოფილი მდგომარეობის სრულყოფილად მართვისა და სრულყოფილების მატებისა იდეალური პორციალური დოზირებულიობით.

პირველი ნაყოფი სულიწმიდისა გახლავთ *სიყვარული* ანუ საბოლოო ჯამში ეს არის ის, რაც უნდა სუფევდეს ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის მასაზრდოებელსა და ერთიანი ცნობიერების სულიერი მდგომარეობის ამთვისებელს შორის. ეს შეიძლება იწოდოს ურთიერთობად აბსოლუტურ ჭეშმარიტებასა და აბსოლუტურ ცნობიერებას შორის საკუთარი წარმომადგენლობითი ნაწილების საშუალებით. ამ ურთიერთობის იდეალური მდგომარეობის ამსახველი კი აღმოჩნდა ის ფასეულობრივი ცნობიერება, რასაც *სიყვარული* თავის არსობრივ რაობაში გულისხმობს.

თუ მამა ღმერთსა და სულიწმიდაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ერთგვარი გონებრივი განზოგადების მცდელობით, პირადად ჩემი შეხედულებით, თავად მამა ღმერთი, სამყაროს უზენაესი პიროვნება, აბსოლუტური ჭეშმარიტების ნების რეალიზაციის საშუალებად აღიქვამს საკუთარ „მე“-ს. თავად სულიწმიდა კი, სამყაროს უწმინდესი პიროვნება, აბსოლუტური ცნობიერების ნების რეალიზაციის საშუალებად აღიქვამს საკუთარ „მე“-ს.

ვფიქრობ, არანაირ მკრეხელობად არ უნდა ჩაითვალოს ეს განზოგადება და თუ ობიექტურად გადმოცემის რაიმენაირ დონეზეა ლაპარაკი, მიმაჩნია, რომ ობიექტურად ამის ასახვა სხვაგვარად ალბათ უფრო ბუნდოვანს გახდიდა ამ ორი უმაღლესი პიროვნების აღქმისა და შეცნობის მცდელობას.

ამით მსურს, დავასრულო ეთიკის დონის განხილვა და ვისურვო, რომ მოვხვდე (მეც და ყველა, ვისაც სულიერი სრულყოფის სურვილი ამოძრავებს) იქ, სადაც მაქსიმალურად დიდია ეთიკა და მორალური პრინციპებია დაცული. უკლებლივ ყველას ვუსურვებ სულიერ წარმატებებს და გეტყვით, რომ აუცილებლად ზუსტად მიიღებთ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში, რასაც იმსახურებთ.

ჭეშმარიტი რწმენა უნდა მისცეთ მათ და მხოლოდ მათ, ვინც ჭეშმარიტად ნდობით არის თქვენს მიმართ განმსჭვალული და არანაირი თვალთმაქცობა და ჩასაფრებულობა არ არის მათში თქვეთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ბოროტებას დათესავთ.


მეშვიდე თავი

სულიერი ჰარმონია

სულიერი ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფა

მთელ ამ წიგნში არსებული უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი საკვანძო საკითხების ერთ გრაფიკულ ფორმაში გამოსახვის მცდელობა იქნება ჩადებული ამ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციაში და საერთოდაც ეს თავი თავისდაუნებურად მთლიანად ყოველივეს შეაჯამებს.

აბსოლუტური ჭეშმარიტება



დროებით (არამარადიულ) სამყაროთა გაჩენა-გაუჩინარების ერთი ციკლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

მამა ღმერთი, როგორც მამაკაცური სანყისის უზენაესი წარმომადგენელი და მთელი მამაკაცური სანყისიც, მასში არსებული ინდივიდუალურად გამოვლინებული ცოცხალი არსებების სახით, დროებით სამყაროთა (ანუ ბუნებრივი „ეგო“-ს) წარმოქმნამდე დაკავებული იყო სულიერი სრულყოფილების საკითხებში თვითრეალიზირებით (ინფორმაციულ ენაზე, ორიენტაციის დანახვებაზე იყო აქცენტირებული). როგორც ბალანსის, წონასწორობის დაცვის განსაზღვრისათვის, ისე ფუნქციონალური საქმიანობის სრულყოფილად უზრუნველყოფისათვის მამა ღმერთი (და მთელი მამაკაცური სანყისი) მოძიებულ ინფორმაციას, შეძენილ და გადაამუშავებულ სულიერ ცოდნას სულიწმიდას, როგორც ქალური სანყისის უზენაეს წარმომადგენელს აწვდიდა მთლიანად (შესაბამისად, მამაკაცური სანყისის ყველა ინდივიდუალური ცოცხალი არსება თავის მოძიებულს თავის შესაბამის ინდივიდუალურ ცოცხალ არსებას აწვდიდა ქალური სანყისის წარმომადგენლობითი ნაწილიდან).

სულიწმიდა და მთელი ქალური სანყისი, ე. ი. ამ სანყისის ყველა წარმომადგენელი კი, თავის მხრივ, დაკავებული იყო ამ მიწოდებული სულიერი ცოდნის ათვისებით, შეთვისებით, გათავისებითა და შემეცნებით (ინფორმაციულ ენაზე ადაპტაციაზე იყო აქცენტირებული). მოკლედ, სატია-იუგა ანუ პოვნის ეპოქა იყო. ანუ მამა ღმერთსა და სულიწმიდას შორის (იგულისხმება მამაკაცური და ქალური სანყისების ეტალონებს შორის) სრული ურთიერთგაგება (ხოლო სიღრმისეულ ენაზე სრული ტრანსცენდენტულობა) სუფევდა.

– სატია-იუგას დასასრული და ტრეტა-იუგას დასაწყისი –

მაგრამ, ერთხელ, მოხდა ისე, რომ სულიწმიდამ მამა ღმერთის მიერ მიწოდებული ცოდნის სრული ადაპტაცია ვერ შეძლო. ეს მამა ღმერთისათვის, როგორც ობიექტურობის სრულყოფილად უზრუნველმყოფელისთვის, ნიშანი გახდა იმისა, რომ მან იმაზე მეტი ინფორმაცია მიანოდა სულიწმიდას, ვიდრე მას ამის ათვისება შეეძლო ერთბაშად (სრულად). ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შეიქნა საჭიროება ისეთი ცნების შემოტანისა, როგორიცაა *დროის პარამეტრი* (ანუ აქამდე დრო, როგორც ასეთი „არ არსებობდა“).

რას ნიშნავს ეს? – მამა ღმერთმა მომენტალურად შეწყვიტა სულიწმიდისთვის ახალი ცოდნის მიწოდებაზე ზრუნვა და თვითონაც ავტომატურად შეწყვიტა ახალი სულიერი ცოდნის მოპოვებაზე ზრუნვა. ის „გაჩერდა“, იმისათვის და იქამდე, ვიდრე სულიწმიდა უკვე მიღებულ, მაგრამ ჯერ ვერ ათვისებულ ინფორმაციას ათვისებდა და შეიმეცნებდა. ამავე დროს, მამა ღმერთმა მთელს მამაკაცურ სანყისში **ბრძანა**, რომ, ვიდრე იგი საჭიროდ არ ჩათვლიდა, *ყველა ცოცხალ არსებას დროებით თავი დაენებებინა სულიერი სრულყოფის ძიებისათვის, ანუ ახალი სულიერი ცოდნის მოძიებისათვის.*

ეს ცოცხალი არსებები (ინდივიდუალური სულები) უდავოდ უდიდესი ეთიკური სიმაღლის, მამა ღმერთთან პიროვნულ დონეზე ახლო ურთიერთობებში მყოფი, არსებები არიან.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი ეთიკური დონისაც კი, უზომოდ ძნელია, ჩვევად ქცეული ნებისმიერი ქმედების ჩადენის სურვილს სძლიო და ამ შემთხვევაში ერთადერთი, რითაც შეიძლება ინდივიდუალური სულის საკუთარი შეცდომის დაშვებისაგან დაცვა (სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ), არის შიში ავტორიტეტული წყაროსი, ამ შემთხვევაში – მამა ღმერთისა.

რა თქმა უნდა, უდავოდ შეგნებაა უძლიერესი იარაღი შეცდომებისაგან თავდაცვისა, მაგრამ სადაც ჩვევა ზეა ლაპარაკი, იქ იგულისხმება, რომ შეგნება არ არსებობს.

სავარაუდოდ, ის ინდივიდუალური სული გაბედავს მამა ღმერთის ნების დარღვევას, რომელიც ყველაზე ახლოსაა მასთან, რამეთუ ფიქრობს, რომ რაც არ უნდა აკეთოს (მით უმეტეს, თუ ჰგონია, რომ საჭიროსა და კარგს აკეთებს და მამა ღმერთის შეცდომას ასწორებს), მამა ღმერთი მას, ასე ვთქვათ, არ გაიმეტებს, თუნდაც რადიკალურად არ მოეწონოს მისი საქციელი, ანუ შეიცოდებს და ყველაფერს აპატიებს.

აბსოლუტურად ყველა და ნებისმიერი ბოროტება თავის სანყის სტადიაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კეთილი სურვილებიდან იწყებოდა, იწყება და დაიწყება.

ჰგონია რა, რომ სიკეთეს (ჭეშმარიტად საკეთებელს) აკეთებს და მამა ღმერთი შეცდა და როცა ამ შეცდომას მიხვდება, აღიარებს მისი საქციელის მართებულობასა და მის პიროვნულ ღირსეულობას, მამა ღმერთის ყველაზე მეტად ახლოს მყოფი ინდივიდუალური სული (ეთიკურ-ესთეტიკური პარამეტრით) ჯერ გაუბედავად, ჩუმად, შემდეგ უფრო გაბედულად აგრძელებს ახალი სულიერი ინ-

ფორმაციის ძიებასა და გადამუშავებას. მას მიმდევრებიც უჩნდებიან და მამაკაცურ საწყისში ნელ-ნელა ხდება განხეთქილება, თუმცა ის ჯერ არანაირი ფორმით არ ვლინდება.

ვინაიდან ამ ახალ მოპოვებულ ცოდნას განონასწორების მექანიზმი ქალური საწყისისთვის გაზიარებით არ აკონტროლებს, არ ანეიტრალებს, არ ადასტურებს (ინფორმაციულ ენაზე, ეს ახალი მიმდინარეობა იმპროვიზაციულ ინტერპრეტაციაზე კონცენტრირდება). ინფორმაცია მოიპოვება და გროვდება მაშინ, როდესაც მისი რეალიზაცია ანუ ადაპტაცია ვერ ხერხდება. უნდა ეს თუ არა, ამ ყველაზე ნიჭიერ და მალაღვანივითარებულ ცოცხალ არსებას მამა ღმერთის გარემოცვიდან და მის მიმდევრებს, ისინი ნელ-ნელა აგრესიულნი, გაუნონასწორებელნი ხდებიან, თუმცა საკუთარ თავზე ძალისხმევის ხარჯზე ახერხებენ საკუთარი თავის კონტროლირებას.

ამასობაში კი, ვნახოთ, რა ხდება სულიწმიდასთან და ქალურ საწყისში?

სულიწმიდისა და მისი გარემოს, მთელი ქალური საწყისის, თვითგამორკვევისათვის მამა ღმერთს ყველა პირობა აქვს შექმნილი, ანუ მისი ნებართვის გარეშე ვერაფერს შეძლებს მათთვის რაიმე სხვა ახალი ინფორმაციის მიწოდებას, ვიდრე ის ამას არ მიიჩნევს დასაშვებად, ანუ ვიდრე ჯერ ვერ გადამუშავებული ინფორმაციის სრული ათვისება არ მოხდება.

სულიწმიდა კი იწყებს დროებითი სულიერი სამყაროს შექმნას, განსხვავებით მუდმივი, მარადიული სამყაროსგან. ის, რაც წარმოსახვით ვერ აღიქვა, სურს გამოსახვით (წარმოსახვის ვიზუალური ფორმით) და გამოსახულის ბუნებრივი თანამიმდევრული სვლის განხილვით შეიცნოს და გაითავისოს. ამისათვის კი საჭირო ხდება, არც მეტი და არც ნაკლები, მთელი უკვე შეცნობილი ცოდნის გამოსახვა, სულიერ სამყაროდ ჩამოყალიბებისა და შექმნის სახით. ე. ი. შექმნა და გამოსახვა ხილული, ვიზუალური სახით ხდება აბსოლუტურად ყველაფრისა, რაც კი როდესმე მამაკაცური საწყისის მხრიდან ქალური საწყისისთვის იქნა მიწოდებული სულიერი ცოდნის სახით და რაც უკვე სრულად ადაპტირებულია და გათავისებულია ქალური საწყისის მიერ.

უხეშად თუ ავიღებთ, ეს არის ცოცხალი არსებების ცოცხალი, ცხოველი ბუნების გამოვლინება მათი სულიერი ცოდნის შესაბამისად. ეს ცოცხალი არსებები სულიერი (მენტალური) სხეულების მქონენი არიან. სულიწმიდა, აქამდე თუ ადაპტაციით იყო დაკავე-

ბული, ახლა უკვე დამოუკიდებლად სულიერი განვითარების, ევოლუციონების ორიენტაციული საკითხებით კავდება მხოლოდ და ისიც, მხოლოდ იმ დიაპაზონში, რომლის აღქმაც ვერ შეძლო და მთელს ქალურ საწყისსა და მასში არსებულ ინდივიდუალურ სულებს უცხადებს, *უბრძანებს, რომ დროებით ადაპტაციაზე, სხვა ახალი სულიერი ცოდნის მიღებაზე უარი უნდა თქვან იქამდე, ვიდრე ვერადაპტირებულ ნაწილს მთელი ქალური საწყისი არ აითვისებს.*

რა თქმა უნდა, აქაც ჩნდება ერთგვარი ჩუმი განხეთქილება, ანუ სულიწმიდის პიროვნებასთან ძალიან დაახლოებული ცოცხალი არსება ბედავს ისევ ადაპტაციაზე იყოს კონცენტრირებული, რამეთუ მას სულიწმიდის შიში არ გააჩნია, მიაჩნია რა, რომ სულიწმიდა მას რისხვისთვის არ გაიმეტებს. ფაქტიურად, ეს ურჩი არსება საკუთარ ჩვევებს ვერ ელევა (თუმც, მე მას არ ვამართლებ, მაგრამ ეს ყოველივე ჩვეულებრივი ბუნებრივი პროცესია და უნდა ეს ვინმეს თუ არა, მიანიც მოხდეს). ავტომატურად ამ ინდივიდუალურ სულსაც უჩნდება თავისი მიმდევრები და ქალურ საწყისშიც ჩნდება ჩუმი განხეთქილება.

ამ მიმდევრობასაც ერთი სული აქვს, აღმოაჩინოს ახალი სულიერი ცოდნა და მისი ათვისება დაიწყოს. ინფორმაციულ დონეზე ეს ახალი მიმდინარეობა ინერციაზე კონცენტრირდება.

აქ შემოდის ცნება – ადამიანური ბუნება (ადამიანი).

ამ დროისათვის იკვეთება ზოგადი ცნობიერების ის ხარისხობრივ-რაოდენობრივი დონე და მისი ე. წ. ტერიტორიული საზღვრები (ვიზუალურად აღქმადი გამოსახულება), რომელიც ვერ იქნა ათვისებული და ადაპტირებული. აი ამ საზღვრების ათვისებისათვის სულიწმიდა ქმნის თვისობრივად სრულიად ახალ, უკვე გამოვლინებული არსებებისაგან განსხვავებულ, მენტალურ სხეულს, რომელსაც მამა ღმერთი შთაბერავს უკვე არსებული ინდივიდუალური სულებებისაგან განსხვავებულ, თვისობრივად სრულიად ახალ სულს, რომელსაც ამ ტერიტორიული საზღვრების თანამიმდევრული (მონაფეობრივი) ათვისების უნარი გააჩნია. ეს ახლად შექმნილი არსება გახლავთ მამაკაცური საწყისით მკვეთრად გამოხატული ადამიანი (ადამი). შეიძლება, გასაკვირდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ სწორედ იგი ხდება ცენტრალური ფიგურა ასათვისებელი ზოგადი ცნობიერების ფუნქციონალური ასპექტის მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში (ანუ ინფორმაციულ ენაზე, ორიენტაციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის საშუალებით ფიქსაციის საქმეში).

მაგრამ, ამავდროულად ამ არსებისათვის აუცილებელი ხდება მისთვის შესაბამისი ქალური სანყისით გამოვლინებული არსების შექმნა, როგორც მისი გეზის წონასწორობაში მოყვანის, მართებული მიმართულებიდან არ გადახვევის, საშუალება. ამ არსების შექმნა ხდება მთლიანად უკვე შექმნილის არსობრივი შინაარსის მიხედვით, თუმც, ისიც უდავოდ არის ადამიანური ბუნების მქონე არსება, ანუ ადამიანი, მაგრამ ქალური სანყისით მკვეთრად გამოხატული (ქალი, იგივე ევა). ეს არსება კი ხდება ცენტრალური ფიგურა არ ათვისებული ზოგადი ცნობიერების ვიზუალური ასპექტის მოპოვებისა და გადამუშავების საქმეში (ანუ ინფორმაციულ ენაზე ადაპტაციისა და ინერციის საშუალებით რელაქსაციის საქმეში).

მამაკაცი-ადამიანი, კონცენტრირებულია რა მამა ღმერთზე, ეძლევა ვერ ათვისებული ზოგადი ცნობიერების შესახებ დისკრეტული, პორციალური ინფორმაციები, რომლებსაც აყალიბებს იდეის დონემდე და აწვდის ქალ-ადამიანს, რომელიც ამ იდეის ესთეტიკური ფორმით რეალიზაციას ახდენს ე. წ. ხელოვნების გამოვლინებულ ფორმებში. ამ გამოვლინებული ფორმების განჭვრეტის შემდეგ სულიწმიდა ახდენს ამ პორციალური ნაწილის წარმოსახვის დონეზე ათვისებას და გაათავისებას.

მაგრამ ეს პროცესი იქამდე გრძელდება, ვიდრე მამაკაცურ და ქალურ სანყისში წარმოქმნილი ჩუმი მიმდინარეობები არ ერევიან ამ საქმეში. მათ უმთავრეს მიზანს ამ არ ათვისებული ზოგადი ცნობიერების რაც შეიძლება სწრაფად ადაპტირება წარმოადგენს, რათა ისევე იმ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნდნენ მამა ღმერთი და სულიწმიდა (როგორც ყველაზე გავლენიანი და მმართველი ფიგურები) და თვითონაც, ერთმანეთთან ურთიერთობით, ტრანსცენდენტულ მდგომარეობას დაუბრუნდნენ. ამისათვის კი მამაკაცურ სანყისში წარმოქმნილი მიმდინარეობის ყველაზე გაბედული არსება (ანუ „ლიდერი“) თავად, უშუალოდ ამყარებს კონტაქტს ქალ-ადამიანთან და ცდილობს იმაზე მეტი ინფორმაცია მიანოდოს ჯერ არ შეცნობილი ზოგადი ცნობიერების გარშემო, ვიდრე ამ უკანასკნელს ამის აღქმის უნარი გააჩნია (ფრიად საგულისხმოა ის, რომ ამ „ლიდერს“ მამაკაცი-ადამიანის თავისზე კონცენტრირების უნარი არა აქვს). ეს „მეკობრული“ ინფორმაცია ქალ-ადამიანში ერთგვარ გაორებას იწვევს, რამეთუ იგი იწყებს საკუთარი სულიერი მეკობრის (თავისზე უპირატესად მიჩნეულის), მამაკაცი-ადამიანისა და ამ ახლად გამოჩენილი, მასზედ უფრო ინფორმირებული არსების შედარებას ერთმანეთთან, თუ ვინ უფრო

უპირატესია და ყველაფერი აბსოლუტურად ამ ფარდობითი ხედვის ქრილში ხდება აღქმადი (ანუ იგი ერთგვარი ტრანს-ჰარმონიზირებულობის მდგომარეობიდან გამოდის).

რეალურად, ბიბლიურ მითოლოგიაში მოთხრობილი ნაყოფი კეთილისა და ბოროტის შესახებ სწორედ ეს ფენომენი გახლავთ. მამაკაც-ადამიანთან ურთიერთობის შემდეგ, ქალი-ადამიანი გულახდითად უზიარებს იმ ინფორმაციას, რაც ამ ახლად გამოჩენილმა არსებამ აუწყა. ეს მამაკაცი-ადამიანისათვის სერიოზული დაექვევების მიზეზი ხდება მამა ღმერთის უზენაესობის რაობაში. მასშიც ერთგვარი გაორება ჩნდება იმის გამო, თუ ვინ არის უპირატესი, მამა ღმერთად მისთვის აღქმული არსება, თუ ეს ვილაცა. ამ ეჭვებთან ერთად ავტომატურად ჩნდება საშიშროება იმისა, რომ მამაკაც-ადამიანს თავად მოუხდეს საკუთარი ეთიკური დონის ქვემოთ მყოფ არსებებზე უხეში, ძალადობრივი დიქტატურა დაამყაროს, რათა მამა ღმერთთანაც და ამ ვილაც ახალ „ღმერთის ტოლ არსებასთანაც“ საერთოდ განწყვიტოს კავშირი (იმისათვის, რომ ქალი-ადამიანის თვალში საკუთარი ღირსება და პატივი შეინარჩუნოს). ანუ, ფაქტიურად, თავად გამოაცხადოს საკუთარი პიროვნება ღმერთად.

ბიბლიურ მითოლოგიაში ეს ასეა მოხსენიებული: „თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა გახდა ადამი, როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა, არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მონყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს.“

გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა (თავისში არსებული ჭეშმარიტი გრძნობა), საიდანაც იყო აღებული. განდევნა ადამი, ედემს კი აღმოსავლეთით ქერუბინები და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დაუყენა, რათა სიცოცხლის ხესთან მისასვლელი დაეცვათ“.

ანუ, შეუწყვიტა მამა ღმერთმა არ შეცნობილი ზოგადი ცნობიერების შესახებ მამაკაც-ადამიანს ინფორმაციის მიწოდება და აბსოლუტურად ყველა მამაკაცურ საწყისში მყოფ არსებასაც სრულად აუკრძალა მისთვის ან ქალი-ადამიანისათვის რაიმე სახის ინფორმაციის გაცემა-მინიჭება (ამის ირიბ, ერთგვარ მითოლოგიურ, დასტურად მოვიყვანდი პრომეთეს მიერ „ცეცხლის“ მიცემას ადამიანებისათვის). თავის გარემოცვაში ყველაზე ახლოს მყოფი არსება კი, ვინც ადამიანებში ეჭვის აღმოცენება გამოიწვია, განდევნა

თავისი გარემოცვიდანაც და ზეციდანაც, საკუთარი შეცდომების აღსაქმელად და მის სრულყოფილად გამოსასწორებლად.

ვფიქრობ, არც ისე ძნელი აღსაქმელი და მისახვედრია ის, რომ ამ ყოველივემ მატერიალური სამყაროს შექმნის აუცილებლობა გამოიწვია, რამეთუ ასათვისებელი ზოგადი ცნობიერების წარმოქმნის შედეგად წარმოქმნილი დროის ცნების შესაბამისი მოვლენების ბუნებრივი სვლის შეჩერების შემდგომ ტრაექტორია მიმდინარე ე. წ. იდეალური სპირალისა ადამიანისთვის შეიცვალა და შეიცვალა მთელი არსებული ცოცხალი არსებებისათვის, მამაკაცური და ქალური სანყისების ალტერნატიული მიმდინარეობებისათვის. *იქმნება სულიერი სამყაროს პარალელური სამყარო მატერიალური სახით.*

– აი აქ მთავრდება ტრეტა იუგა, როგორც ძიების ეპოქა და იწყება დვაპარა იუგა, როგორც შენარჩუნების ეპოქა.

რამხელა ხელოვნური პრობლემის შექმნაც მოუხდა მამაკაც-ადამიანს და რამხელა ცნობისმოყვარეობითაც დაიმუხტა ქალი-ადამიანი, იმხელა ხელოვნური პრობლემების წინაშე აყენებენ მამა ღმერთი და სულიწმიდა მათ. მათში ეს პრობლემები გამოვლინდება კვების, უსაფრთხოების მოძიების, ფიზიკურად გამოხატულებისა და თვითგამოვლინებული იმპროვიზაციული ნაწილის გადაამუშავების, გადახედვის აუცილებლობის სახით. აგრეთვე, ხდება მამა ღმერთის მიერ მამაკაცურ სანყისში წარმოქმნილი ახალი მიმდევრობის ლიდერისა და მისი მიმდევრების სულიერი სამყაროდან განდევნა, მატერიალურ სამყაროში გადაგზავნა, რომელთაც ბრმად მიჰყვებიან ქალურ სანყისში გამოვლინებული ახალი მიმდინარეობის ლიდერი და მისი მიმდევრები. ისინი მატერიალურ სამყაროში ვლინდებიან ფაუნისა და ფლორის შემადგენელი ნაწილების სახით. თუმცა ზოგი მათგანი (მეტისმეტად თვითგაკერპებულნი და ამ მეტისმეტად თვითგაკერპებულთა მხურვალე თაყვანისმცემელნი) მატერიალურ სამყაროშიც კი ვერ ხვდებიან და ისინი მოჩვენებათა სამყაროში ან ქვესკნელში, ჯოჯოხეთში გადაიგზავნებიან, სადაც მატერიალური სახით გამოვლინებულობაც კი შეუძლებელსა და სანატრელს რასმე წარმოადგენს.

თუ ძალიან უხეშად დავაკომპლექტებთ მამაკაცურ სანყისში წარმოქმნილი, მამა ღმერთის ოპოზიციური მიმდევრები მტაცებელი მატერიალური სხეულებით ევლინებიან, რაც მათ მიერ სხვა მა-

ტერიალიზირებულ ცოცხალ არსებათა ფიზიკური სხეულებით კვებას, მათთვის საფრთხის შექმნას, თვითნებურ თვითგამოვლინებასა და სულიერ სამყაროში ჩადენილი თვითგამოვლინების არ გადახედვაში გამოიხატება; ხოლო ქალურ სანყისში წარმოქმნილი, სულიწმიდის ოპოზიციური მიმდევრები მშვიდობიანი მატერიალური სხეულებით ჩნდებიან. მათი არსებობა საკუთარი ფიზიკური სხეულის გამოკვებაში და სულიერ სამყაროში არ მოხდენილი თვითგამოვლინების არ გადახედვაში გამოიხატება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა მისთვის განკუთვნილი ფუნქციის შესრულების მიმართულებას გადაუხვია, ის მაინც ყველაზე ძლიერი და უპირატესი ცოცხალი არსება ხდება მატერიალურ სამყაროში, რამეთუ დასამკვიდრებელ ზოგად ცნობიერებასთან პატარა, მაგრამ რალაც „ძაფი“ მაინც აკავშირებს. ცენტრალური საკითხი კი, რის გამოც და რის გარშემოც ამ ყოველივეს გამოვლინება მოხდა, სწორედ ზოგადი ცნობიერების ის ნაწილია, რომელიც სულიწმიდის მიერ ჯერ ათვისებული არ არის, ამ შემთხვევაში უკვე, ინტერესთა სფეროს გადასახედიდან, მამაკაცი-ადამიანი იმპროვიზაციული ინტერპრეტაციით კავდება, რომლის უმთავრესი მიზანიც ამ კონკრეტულ ეპოქაში საკუთარი შეცდომის გულწრფელი აღიარება და საკუთარ არსში მამა ღმერთის ერთგულების აღდგენა უნდა იყოს, ხოლო ქალი-ადამიანი ინერციით კავდება, რომლის უმთავრესი მიზანიც, ამ კონკრეტულ ეპოქაში, საკუთარი შეცდომის გულახდილი მონანიება და სულიწმიდის ერთგულების აღდგენა უნდა იყოს.

ახლა კი ვნახოთ, რა ხდება ამ დროს სულიერ სამყაროში.

ამ პერიოდში მამა ღმერთი ღებულობს გადანყვეტილებას, რომ სულიწმიდას უშუალოდ მენტალური, „ფიზიკური“ კონტაქტის საშუალებით მიანოდოს ინფორმაცია ამ უკანასკნელის მიერ ვერ მიღებული, ვერ აღქმული საკითხების შესახებ. მათ შორის ხდება უშუალოდ პიროვნული (უხეში გადასახედიდან – ფიზიკური) კონტაქტი, რასაც ადამიანურ ენაზე სქესობრივ (სექსუალურ) კონტაქტს უწოდებენ და რისი მეშვეობითაც სულიწმიდა კონტაქტის პროცესში უბრუნდება იმ ორგანულ მდგომარეობას, რომელიც ყოველგვარი ფიზიკური კონტაქტის გარეშე სუფევდა მასში, ვიდრე ეს გაუცნობიერებელი საკითხი წარმოიქმნებოდა, ანუ სულიწმიდაში მამა ღმერთის მიერ უშუალოდ ხდება ამოცანის ამონახსნის ჩადება, მაგრამ ამ დროისთვის უკვე აუცილებელი ხდება მთელს გამოვლინებულ რეალობაში წარმოქმნილი გაურკვეველი საკითხის

გაფართოებული ფორმით გამოვლინებულობის პირვანდელ, სრულ განონასწორებულ მდგომარეობაში დაბრუნება. სწორედ ეს ხდება სულიწმიდის ხელმეორედ ტრანსცენდენტული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზეზი. ის ხომ მთელს არსებულ რეალობაში ყველა ცოცხალი არსების ურთიერთგაგებასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაზე პასუხისმგებელი (ზრუნავს).

მამა ღმერთის მიერ სულიწმიდაში მიწოდებული, ჩადებული ცოდნა სულიწმიდის მიერ შიგნით, სრულიად ცალკე, ხელშეუხებლად გადაიდება, მთლიანად გადამუშავდება გონების მიერ და ნაყოფის სახით იგი უშუალოდ შობს ორ ცოცხალ არსებას, რომელთაგანაც ერთი არის ამ გადამუშავებული ზოგადი ცნობიერების მცოდნე, მამაკაცური სანყისის წარმომადგენელი (ძე ღვთისა) და მეორე არის ამ გადამუშავებული ზოგადი ცნობიერების ხორცშესხმის უნარის მქონე, ქალური სანყისის წარმომადგენელი (ასული ღვთისა). სხვათა შორის, ამ უკანასკნელის მიერ ხდება მატერიალური სამყაროს გამოვლინება ისეთად, როგორაც მატერიალური სამყარო ვლინდება. ვედებში და ინდუიზმში იგი მოხსენიებულია უფალი ბრაჰმას სახელით.

რეალურად ამ ორ, ახლადშემოსულ არსებაში ნებისმიერი სხვა ინდივიდუალური ცოცხალი არსების მიერ რაიმე სახის დისონანსის შეტანა (მათ ჭკუაზე ზემოქმედება) სრულიად შეუძლებელია. ეს ორი ახალი პერსონაჟი ზედმინევენით იდეალურად შეძლებს შეასრელოს ის, რაც ადამიანებს (მამაკაცსა და ქალს) იდეალური სვლის შემთხვევაში უნდა შეესრულებინათ.

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო ხაზგასმით ის, რომ მამაკაცი-ადამიანისა და ქალი-ადამიანის ფუნქციონალურ დანიშნულებაში საერთოდ არ შედიოდა ფიზიკური გამრავლება. მინდა მოვიყვანო ციტატა ბჰაგავად-გიტადან: „სამყაროს შექმნის დასაწყისში ყოველი არსებულის უფალმა დასაბამი მისცა კაცთა და ნახევარღმერთთა მოდგმას და ამ სიტყვებით აკურთხა ისინი: „იბედნიერეთ ამ იაჯნათი (მსხვერპლშენირვით), ვინაიდან მისი შესრულება მოგიტანთ ყველაფერს ბედნიერი ცხოვრებისა და განთავისუფლებისათვის“.

ახლა კი მსურს, იოანეს გამოცხადებიდან მოვიყვანო ციტატა, რომელიც სულიწმიდის მიერ ღვთის ძის შობას ეხება: „გამოჩნდა ცაში ნიშანი – დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე. მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით. ფეხშიძემდ იყო და ყვიროდა, იტანჯებოდა მშობიარობის ტკივილებით...“

... და შვა ძე, ვაჟი, რომელმაც უნდა მწყემსოს ყველა ხალხი რკინის კვერთხით და ატაცებულ იქნა მისი ბავშვი ღმერთთან და მის ტახტთან.

დედაკაცი კი გაიქცა უდაბნოში, სადაც მისთვის მომზადებული იყო ადგილი ღვთისაგან, რათა იქ გამოეკვება იგი ათას ორას სამოც დღეს.“

სერიოზული განჭვრეტით, სულ მცირე ზედაპირული გადახედვითაც კი შეიძლება დაფიქსირდეს, რომ მე-8 საფეხურის დასრულება 2016 წელს მთავრდება, რასაც სულ რაღაც ათი წელი და ცხრა თვე გვაშორებს, თუმცა ამაზე ლაპარაკი, ვფიქრობ, ამჟამად სისულელეა, ამას ახლა ვერავის ავუხსნი.

დავუბრუნდები ზოგად განხილვას. მას შემდეგ, რაც მთავრდება ღვთის ძისა და ღვთის ასულის მშობლების მიერ აღზრდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათში კოდირებული იდეალურობისკენ სწრაფვის სურვილი არსებული რეალობისთვის შესაბამისი, გარდაუვლად აუცილებელი ცოდნით ჩანაცვლება, მათ ეძლევათ სრული ძალაუფლება განხორციელებულ სუბიექტურ რეალობაზე. ხოლო სუბიექტური რეალობის სანაცვლოდ, ობიექტური რეალობის შესაბამისი ინფორმაციისა და ამ ინფორმაციის განხორციელებაში დახმარების განწევის შეტანის შემდგომ მათ ეძლევათ სრული ძალაუფლება სულიერ სამყაროზეც, სადაც ობიექტური რეალობა არ დარღვეულა, ხოლო მამა ღმერთი და სულიწმიდა მათთვის სრულიად ახალ, თვისობრივად განსხვავებულ რეალობაში გადადიან, სადაც ისინი სხვა ცოცხალი არსებების მიერ უკვე არაინდივიდუალურ გამოვლინებად აღიქმებიან. თუმც, ეს ამ ცოცხალ არსებათა, მათთან შედარებით, გაცილებით უფრო მცირე ეთიკურ-ესთეტიკური დონის შედეგია (ეს ისე, ნაუცბათევად, მშობელთა და შვილთა ურთიერთობების რაობის შესახებ).

მაგრამ, ვიდრე სულიერ სამყაროში ეს პროცესები მოხდება, მატერიალურ სამყაროში ადამიანური ბუნება ჰქმნის უკვე მატერიალურ სხეულზე და მატერიალური სხეულისათვის აწყობილ სისტემას, თუმცა მაინც, შეიძლება ითქვას, რომ სულიერების ასპექტი მასში აშკარად გადამწყვეტ როლს თამაშობს საკუთარ არსში არსებული ღვთის წინაშე შიშის ხარჯზე. მე ვიტყვოდი, ამ დროს ორი უდიდესი ცნება მართავს ადამიანებს, ესენია: **სინდისი** და **სირცხვილი**. ისინი ჯერ კიდევ აკავშირებენ ადამიანებს მამა ღმერთთან და სულიწმიდასთან და, ყველა სხვა სახის მატერიალიზირე-

ბულ ცოცხალ არსებასთან შედარებით, უფრო მაღალ ეთიკურ-ეს-თეტიკურ საფეხურზე ამყოფებენ მათ.

ამ დროს ხდება ღვთის ძისა და ღვთის ასულის ძალისხმევის გააქტიურება ადამიანებში ფუნქციონალური ინტერესების გაღვიძების სურვილით, რათა სინდისი მათი (შიში ღვთისა) მამა ღმერთისადმი სიყვარულად გარდაქმნან, ხოლო სირცხვილი მათი (შიში სულიწმიდისა) სულიწმიდისადმი სიყვარულში გარდააქმნევიონ, უშუალონი გახადონ, ერთურთთან ურთიერთგაგებისა და სიყვარულის სურვილი ჩაუნერგონ.

- აი აქ მთავრდება დავაპარა იუგა (შენარჩუნების ეპოქა) და იწყება კალი იუგა ანუ დაკარგვის ეპოქა -

ამ ეპოქაში სრულიად იკარგება სუბიექტური შეფასების სურვილი (პიროვნული შებრალების შედეგად წარმოქმნილი) სულიერ სამყაროში და სრულიად იკარგება ობიექტური შეფასების სურვილი (ეგოიზმის დამკვიდრების შედეგად წარმოქმნილი) მატერიალურ სამყაროში. ხდება ძალიან სერიოზული გამიჯვნა სიკეთისა და ბოროტების, ფასეულობათა სრულყოფილი ჩამოყალიბებით ზოგადცნობიერულ დონეზე. უკლებლივ ყველას და ყველაფერს ენიჭება ის, რასაც იმსახურებს. ამ ეპოქაში მოვლენები გაცილებით უფრო მაღე ვითარდება.

დავინყებ მატერიალური სამყაროს რეალობის განხილვით ამ ეპოქაში. მამაკაცი-ადამიანი მეტწილად ცნობისმოყვარეობით შეიპყრობა და, ინტერესების სფეროს გადასახედიდან, ინერციით იმართება, ხოლო ქალი-ადამიანი ტრაბახის სურვილით (ძალაუფლების მოპოვების სურვილით) შეიპყრობა და, ინტერესების სფეროს გადასახედიდან, იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის სურვილით იმართება. ზოგადად, ადამიანები მთლიანად რალაციის ან ვილაციის იმიტაციით არიან დაკავებულნი და სრულად იწყებენ სულიერებასთან კონტაქტის დაკარგვას. ისინი სპეკულაციური მეთოდებით ყველაფერს თავის პიროვნებაზე მორგებისათვის იყენებენ და საკუთარი სხეულისა და მისი არაფუნქციონალური სურვილების უზრუნველყოფის მეტს აღარაფერს აკეთებენ. შეგნებულად თუ ბრმად, ადამიანები მიზანდასახულად უპირისპირდებიან მამა ღმერთს, სულიწმიდას, ღვთის ძეს, ღვთის ასულს და საერთოდ სულიერ სამყაროს მთლიანად, აცხადებს რა თავის პოპულაციას (ადამიანს) ერთადერთ ღმერთად და ევოლუციის პროცესის ერთა-

დერთი უმაღლესი გამოვლინების შედეგად. ამ დროს ხდება ადამიანთა რაოდენობის უზომოდ ზრდა და სხვა მატერიალიზირებული ცოცხალი არსებების მეთოდური შევიწროება და ფიზიკური განადგურება ადამიანთა მიერ. რალაცა ზღვრამდე მისვლის შემდგომ კი, როცა არსებობისთვის ბრძოლაში ყოფითი, თუ ცნობიერი დაპირისპირება ხდება ადამიანთა შორის, ისინი ერთმანეთის განადგურების სურვილით იმუხტებიან. თან, პარალელურად ამისა, ისინი ცდილობენ მთელი მატერიალურად გამოვლინებული კოსმიური გამოვლინების ათვისებას, შეცნობასა და დაპყრობას (კოლონიზირებას), როგორც „მკალი“ ან რაიმე მავნე ბაქტერია. ერთი ადგილის რესურსების ამონურვის შემდგომ, მეორე გამოიყენონ (გადაჭამონ) და გაანადგურონ, შემდეგ მესამე, მეოთხე და ა. შ. უსასრულოდ.

რა ხდება ამ დროს სულიერ სამყაროში? ჭეშმარიტად საჭირო და პორციალურად ზუსტად განსაზღვრული ზოგადი ცნობიერების მიწოდების შემდგომ ღვთის ძისა და ღვთის ასულის საშუალებით სულიერი სამყარო ცდილობს აბსოლუტური ობიექტურობა გამოიჩინოს მატერიალური სამყაროს მიმართ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მიზეზი ყოველივეს ასეთად გამოვლინებულობამდე მისვლისა, და თუნდაც, სულ თავიდან, ზოგადი ცნობიერების რალაცა ნაწილის ვერ აღქმისა სულიწმიდის მიერ (რომელიც მამა ღმერთისგან იქნა მიწოდებული), მოხდა პიროვნული ხათრის გამო. აი, ამ სუბიექტურობის მოცილებას ცდილობს სულიერი სამყარო საკუთარი შიდა არსიდან (იმ არსიდან, რითიც ის რეალურად იმართება).

ამ დროს და ამ დონეზე, უკვე ორმაგოვნების ცნებაზე ლაპარაკი აბსოლუტურად უადგილოა და ცალსახად კეთდება ის, რაც შექმნილი სიტუაციისათვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ეს არის ის ერთადერთი გზა, რასაც ჭეშმარიტი სიკეთე შეიძლება ეწოდოს.

სულიერ სამყაროში მცხოვრებთა და, მით უმეტეს, მის უმაღლეს წარმომადგენელთა უზომო სიხარულს იწვევს ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ ეპოქისთვის შესაბამის გადაგვარებულ ყოფიერებაში მყოფ მატერიალურ სამყაროში ჩნდება ადამიანი (ან ადამიანთა ჯგუფი), რომელიც დამკვიდრებული მანკიერი ორიენტაციიდან ახერხებს თავის დაღწევას და სწორ, მართებულ გზას ადგება. სულიერი სამყარო ამ ადამიანს (ან ადამიანთა ჯგუფს) არასოდეს მიატოვებს „ბედის ანაბარა“ ამ მართლაც მძიმე პერიოდში ისე, რომ არ მიხედოს, არ უპატრონოს და განსაკუთრებულ აღრიცხვა-

ზე არ ჰყავდეს აყვანილი. ამ ადამიანებს მინდა ვუთხრა, რომ თუ ისინი შეძლებენ ზოგადად, ადამიანისათვის თავდაპირველად ღვთის მიერ ჩანაფიქრში არსებულ, ფუნქციონალურ ინტერესებზე კონცენტრირებულ, მდგომარეობას დაუბრუნდნენ, ღვთის გადასახედიდან აღქმული ადამიანური ბუნება შეიძინონ, მაშინ მათი სახელები სიცოცხლის წიგნში ჩაინერება და მათ მიეცემათ უფლება მარადიულ სამყაროში, მამა ღმერთისა და სულიწმიდის სასუფეველში გადასახლდნენ. ღვთის ძე და ღვთის ასული კი მათი მუდმივი დამხმარე და უზრუნველყოფელი იქნებიან მთლიანად მატერიალურ სამყაროში ყოფნის პერიოდში, ვიდრე არ მოხდება მათი გავლა ზოგადი ცნობიერების არაღქმული ნაწილის შესაბამისი ყოფიერი მდგომარეობიდან (ანუ სანსარადან). აქ იგულისხმება არა ერთი ადამიანური ცხოვრება, არამედ მრავალი ინკარნაცია და არა მარტო მატერიალური სამყარო, არამედ სულიერი სამყაროს ის ნაწილიც, რომელშიც ხდება *ათვისებული ცნობიერების თანმიმდევრული, მონაფეობრივი ათვისება, შესწავლა, გაათავისება და შეცნობა*.

მინდა აღვნიშნო, რომ სიცოცხლის წიგნში მხოლოდ ამ დროს ხდება ახალი ინდივიდუალური სულების (ჭეშმარიტად ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეულების) შეყვანა.

რაც შეეხება დანარჩენ ადამიანებს, სულიერი სამყაროს მიერ (უდავოდ არანაირი პირადული და შურისმაძიებლური მოტივის გამო) განსაზღვრული აქვთ ხანგრძლივი რეაბილიტაციის პერიოდი (ე. წ. თავისუფლების აღკვეთის პერიოდი), სადაც ეს ადამიანები ყველა თავის ნამოქმედარზე პასუხისგების წინაშე დადგებიან ე. წ. იძულების გზით. ეს არის არც თუ სასიამოვნო აღზრდის მეთოდი, რომლითაც ისინი უნდა მიეჩვივნენ იმას, რომ სხვას არ გაუკეთონ ის, რაც არ უნდათ, რომ იმ სხვამ მათ გაუკეთოს. რაც შეეხება იმ დონის მიღწევას, რომ ვიღაც ან რაღაც „სხვადა“ მოხსენიებული „მე“-დ აღიქვან და არ დაყონ თავის არსში ყველა და ყველაფერი „მე“-დ და უცხოოდ („ეგო“-დ), ანუ აღმოფხვრან „ეგო“-ს ცნება საკუთარ შიდა არსში, მათთვის ამ საფეხურზე ეს შეუძლებელსა და მიუღწეველ მიზანს წარმოადგენს.

**- კალი იუგას ეპოქის დასრულებისას ხდება
ერთგვარი გადანაწილება უკლებლივ ყველა ცოცხალი
არსებისა და ხელახლა იწყება სატია იუგა -**

ამ ეპოქის დადგომისთანავე, მამა ღმერთი (და მთელი, მის გარემოცვაში ყოფნის უფლების მქონე ცოცხალი არსებები) და სულიწმიდა (და მთელი, მის გარემოცვაში ყოფნის უფლების მქონე ცოცხალი არსებები) ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში გადადიან.

მამაკაცური სანყისი, მამა ღმერთის ხელმძღვანელობითა და მმართველობით, ახდენს სულიერი ცოდნის (დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების) მოპოვებას და ქალური სანყისისთვის ამ მოპოვებული ცოდნის მიწოდებას, რომელიც თავის მხრივ ამ ცოდნას სულიწმიდას ხელმძღვანელობითა და მმართველობით ზოგად ცნობიერებად გარდაქმნის შემოქმედების საშუალებით (ყოველგვარი ვიზუალური გამოსახვის გარეშე) და აბსოლუტურად ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში იმყოფება ორივე მხარე.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის, რომ აქ მყოფ ყველა ცოცხალ არსებას თავისი ზედმიწევნით შესატყვისი საპირისპირო სანყისის წარმომადგენელი პარტნიორი ჰყავს. თუ ჯერ ვერ აღიქვით, გეტყვით, რომ აქ დროის ცნება აღარ არსებობს და, თუნდაც, აქედან გამომდინარე უნდა მიხვდეთ, რომ რეფლექსუალური ანუ შეუგნებელი ჩვეულების ცნების არსებობაზე ლაპარაკი უხერხულიც კია აქ აღწერილ ეთიკურ-ესთეტიკურ დონეში.

მოკლედ, ამაზე აღარ შევჩერდები, რამეთუ, ვისაც შეეძლო – მან უკვე გაიგო, ვინც ვერ გაიგო – ის მაინც ვერ შეიძლებს აქამდე მოსვლას.

ახლა კი, დავუბრუნდეთ იმას, თუ რა ხდება ღვთის ძესთან და ღვთის ასულთან და იმ „აჯაფსანდალთან“, რაც გამიჯვნის შემდეგ მოხდა (ვგულისხმობ ქვედა დონეს).

ღვთის ძე და ღვთის ასული და მთელი მათი გარემოცვა კი ამ დროს აგრძელებენ მთელს სამყაროში შექმნილი ქაოსის მოთვინიერებას. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ზემოთ გადმოცემული ტრანსცენდენტალური გარემო და ეს დარჩენილი გარემო ერთმანეთისაგან ცალსახად იმიჯნება და ერთმანეთთან არანაირი კონტაქტი აღარ გააჩნიათ (ეს ძალიან მნიშვნელოვანია და იმიტომ აღვნიშნავ).

ღვთის ძე და ღვთის ასული და მათი გარემოცვა კი იქამდე აგრძელებს ზემოქმედებას, ვიდრე ქაოსს მთლიანად არ აღმოფხვრიან და მშვიდობასა და მყუდროებას არ დაამყარებენ.

ამის შემდგომ, ისინი ერთგვარ არაინდივიდუალურ მდგომარეობაში გადადიან სხვა ცოცხალი არსებების აღქმის დონეზე (მათი გადასახედიდან), იქამდე ვიდრე სამყაროში მათი ჩარევის აუცილებლობა არ გახდება საჭირო.

ქაოსის არ არსებობის დროს, ღვთის ძე და ღვთის ასული, დამოუკიდებლად ყველასაგან და ერთურთისაგან, მედიტაციურ ტრანსში შედიან და აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და, აბსოლუტური ცნობიერების შეცნობის სურვილით დამუხტულები, წარმოსახვისა და წარმოსახულის უკიდევანო სივრცეებში მოგზაურობენ, თუმცა, ვფიქრობ, ეს, ალბათ, ძნელი გასაგები იქნება. უფრო მარტივი ენით რომ ითქვას, ისინი მუდმივად საკუთარი არაინდივიდუალიზმის გაზრდის მცდელობით, „მე“-ს შეცნობით არიან დაკავებული.

ეს არის დროებით სამყაროთა გაჩენა-გაუჩინარების ერთი ციკლის მოკლე ისტორიული განხილვა.

**ეპოქათა თანამიმდევრული ურთიერთცვალებადობის მიზეზი,
როგორც სულიერი ყოფიერების გარდაუვალი
აუცილებლობის უზრუნველყოფა**

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ აქ საქმე გვაქვს მუდმივი მამოძრავებელი ძალის, აბსოლუტის ე. წ. პიროვნული ბუნების შეძლებისდაგვარად სიღრმისეული გადმოცემის მცდელობასთან. დაახლოებით ვხვდები, როგორი კრიტიკული განწყობა გაუჩნდება ჩემი პიროვნების მიმართ იმ ადამიანებს, რომლებიც ამას წაიკითხავენ (იგულისხმებიან ჭეშმარიტად გონიერი, არასპეკულიაციურად განათლებული ადამიანები, თორემ სულიერად დაბლა დაცემულს, ამას ვერც წააკითხებ და რომც წაიკითხოს, მაინც ვერაფერს გაიგებს). ასე რომ, ვიდრე ამის განხილვას დავიწყებდე, ჯერ, ალბათ უნდა აგისხნათ, რა მინდა ამ „დაუკრფავში“ და რაში დამჭირდა საერთოდ ამ თემის მოყვანა.

ვინაიდან ისე მოხდა, რომ ჩემი მეცადინეობა და შემოქმედება ძალიან გლობალურ საკითხებს შეეხო, პირადად ჩემთვის აუცილებელი გახდა ისეთი სისტემის ჩამოყალიბება საკუთარ „მე“-ში, რომელიც რაიმე სულელური (უმეცრებითი) შეცდომებისაგან დამი-

ცავდა. მე, როგორც ერთ კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები მოკვდავი ადამიანი, „უკვდავ-უბერებელ“, მარადიულ ცნებებს ვეცნობოდი და აუცილებელი ხდებოდა, ამ ცნებების ასე თუ ისე შეცნობის შემდგომ იმაზე მეტად დამეცვა ეთიკაც, ესთეტიკაც, მორალიცა და ზნეობაც, ვიდრე მათ შეცნობამდე ვიცავდი. მიინდა გითხრათ, რომ ეს არც თუ ისე მარტივი საქმე აღმოჩნდა. და აი, რატომ: იმ დროს, როდესაც მე თვალსა და ხელს შუა ვიცვლებოდი უკეთესობისკენ (ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი), გარემო ან უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა (განსაკუთრებით, ჩემში მიმდინარე პროცესებთან შედარებით), ან უარესობისკენ მიისწრაფოდა. ასეთ პირობებში განკითხვის, ბრაზისა და დაპირისპირების არ აღმოცენებისათვის, გულწრფელად ვალიარებ, ძალიან დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა. ამავდროულად, ისიც გაითვალისწინეთ, რომ გარემოსთან ჩემი თანამშრომლობა ამ საკითხების გარშემო განგების მიერ მთლიანად ბლოკირებული იყო და, რა თქმა უნდა, ბლოკირებული უნდა ყოფილიყო კიდევ ინტერესთა კომფლიქტისაგან დაცვის მიზნით. – რატომ? – იმიტომ, რომ ჩემს „მე“-ში უკეთესად გადაქცევის სურვილი არანაირად არ ნელდებოდა და რაც დრო გადიოდა, უფრო მეტი გულმოდგინებით და მორჩილი თაყვანისცემის სულისკვეთებით მივყვებოდი ჩემს მიერ არჩეულ გზას. ანუ მე „მონაფეობის“ სტატუსში მყოფ არსებად ვირიცხებოდი, კოსმიური რეალობისა და მისი განმგებლის, განგების გადასახედიდან. მე თავად დავწერე ამ ჩემი ხელებით და მთელს ჩემს მეორე წიგნს („სულიერი ცხოვრების გზა მატერიალურ სამყაროში“) წითელ ზოლად გასდევს ის აზრი, რომ ერთდროულად ორი რადიკალურად დაპირისპირებული მიმართულებით სვლის სურვილის არსებობა, ადამიანში აბსოლუტურად არასასურველია და ჩემნაირი ადამიანისათვის კი სრულიად დაუშვებელია (რამეთუ, ჩემნაირი ადამიანის მიერ დაშვებული შეცდომები გაცილებით უფრო დიდ ზიანს და უბედურებას მოუტანს ყველასა და ყველაფერს). ადამიანურ ენაზე რომ ვთქვა – იყო „მოსწავლე“ და თან იყო „მასწავლებელი“ ასეთ საკითხებში უბრალოდ მიუღებელია.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი „მე“-სთვის აუცილებელი გახდა შემეცნების რალაცა დონის დასრულებულ, ბოლო ნაწილად მიღება. მე თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ეს რალაც ჩემთვის აღქმის მაქსიმუმია (რამეთუ უკლებლივ ყველა ცოცხალ არსებას თავის აღქმის დიაპაზონში რალაც ზღვარი გააჩნია), მაგ-

რამ განგების მიერ ჩემი განსწავლა-განათლება ამით არ მთავრდება და ეს ადვილი მისახვედრი იყო.

და აი, გამოჩნდა ის, რაც ჩემი „მე“-ს განათლება-განსწავლის დამამთვრებელი იქნება. სწორედ ეს გახლავთ ჩემი აღქმის დიაპაზონში არსებული ზღვარი. ამის შემდეგ, თუნდაც ასი ტონა ქალაქი რომ გავავსო ნაწერით, იქიდან ერთი ასოც კი აღარ იქნება ამ თემატიკის შესაბამის ეთიკურ-ესთეტიკურ დონეზე მაღალი.

ამ თავის ბოლომდე ჩამთავრებით და, ზოგადად, ამ წიგნის დამთვრებით, ვაცხადებ, რომ ჩემი მონაფეოების პერიოდი მთავრდება (ყოველ შემთხვევაში, ამ სხეულში არსებობისა და მასში ყოფნის ბოლომდე, როგორც მინიმუმ და, ვფიქრობ, ამის შემდგომ კიდევ საკმაოდ შთამბეჭდავ ხანსაც კი). აი, ამ გარემოებებმა მომიყვანა ასეთი დიდი, ჩემთვის უზარმაზარი და უმაღლესი თემატიკის განხილვის აუცილებლობამდე, რასაც ახლა ვწერ.

ახლა კი, მოდით, თემატიკის არსობრივ რაობას დავუბრუნდეთ. თუ, ჯერ კიდევ ვერ მიხვდით, რატომ გავაკეთე ამხელა შესავალი, გაუნყებთ, რომ ეს თემა მოიცავს აბსოლუტის, როგორც სუბიექტის რეალობის ობიექტურად განხილვის მცდელობას.

თუ აბსოლუტს როგორც სუბიექტს განვიხილავთ, საიდანაც ყველა და ყველაფერი მომდინარეობს, აქაც, ისევე როგორც ყველაფერში, ორი სანყისის რაობის შემოტანა მოგვიწევს. ეს ორი სანყისია:

1. მამაკაცური სანყისი ანუ დასამკვიდრებელი ჭეშმარიტება თავისი აბსოლუტური მაჩვენებლით, ე. ი. ის, რაც ცნობიერების დონეზე ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.
2. ქალური სანყისი ანუ დამკვიდრებელი ჭეშმარიტება, თავისი აბსოლუტური მაჩვენებლით, ე. ი. ის, რაც ცნობიერების დონეზე უკვე ჩამოყალიბებულია და, ასე ვთქვათ, განხორციელებულ, ადაპტირებულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ამხელა ფორმულირებები რომ არ „ვათრიოთ“, მოდით, აქვე შევთანხმდეთ იმაში, რომ აბსოლუტის მამაკაცური სანყისი მოვიხსენიოთ **აბსოლუტური ჭეშმარიტების** სახელით, ხოლო ქალური სანყისი კი, მოვიხსენიოთ **აბსოლუტური ცნობიერების** სახელით.

აბსოლუტში მუდმივად მიმდინარეობს რაღაც პროცესები. აი, ამ პროცესების სახეობათა განზოგადება და ჩამოყალიბება მიიწვევს გავაკეთო ახლა. ისინი სულიერი ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფას ემსახურებიან და უშუალოდ აბსოლუტის, როგორც სუბიექტის, მიერ იმართებიან.

უბრალოდ, გაკვრით ვიტყვი, რომ მატერიალიზირებულ (ანუ მატერიალურ სამყაროებში) ეს პროცესები რადიკალურად გადაგვარებული ფორმით არიან წარმოდგენილნი და მათში აბსოლუტი, როგორც სუბიექტი, არანაირი ფორმით არ ერევა. ამ მატერიალურ სამყაროს აბსოლუტის მიერ არჩეული პირადი წარმომადგენლები და ამ წარმომადგენლების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ნაწილი მართავს და განაგებს. ამ, გადაგვარებული პროცესების უხეში ჩამონათვალია: ქაოსი, წესრიგი, ინვოლუცია და ტრანსმუტაცია (ფსევდოცივილიზაცია). მე მათზე არ გავაჩერებ ყურადღებას, იმიტომ, რომ ეს წყლის ნაყვად მიმაჩნია.

სულიერი ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფისას თავისდაუნებურად, ბუნებრივად წარმოქმნილ პროცესთა ჩამონათვალი გახლავთ: ჰარმონიზირება, ტრანსცენდენცირება, ევოლუცირება და ცივილიზირება. ამ პროცესების ერთმანეთში გადასვლა ისევე აუცილებელი და საჭიროა, როგორც დედის მუცლიდან შვილის გარდაუვალი გამოსვლა. სწორედ აქ მინდა გავაკეთოთ პირველი „გაჩერება“. ანუ რა ბედი ეწევა მას, ვინც პროცესის ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლას შეეწინააღმდეგება თავისი ქკუით. ამ გადასახედიდან ალბათ ხვდებით, რომ ეს პირდაპირ აბსოლუტთან, როგორც სუბიექტთან, დაპირისპირებას ნიშნავს. გარეგნულად კი, ეს არსება აბსოლუტის მიერ არჩეულ პირად წარმომადგენლებს უპირისპირდება (ძირითადად, ის ამას ვერც კი იცნობიერებს) და, სწორედ ამის გამო, ხდება მატერიალურ სამყაროში გადაგზავნა, საიდანაც ალბათ, ძალიან, ძალიან დიდი ხანი დასჭირდება, რომ თავი დააღწიოს.

მაშ ასე: რაში ვლინდება პროცესის ერთ სახეობაზე მიჯაჭვა და რა შედეგებს იძლევა ეს ფენომენი ზოგადცნობიერული ალქმის დონეზე.

1) ჰარმონიზირების პროცესზე მიჯაჭვის შემთხვევაში, როდესაც დანარჩენი სამი პროცესის სახეობა მეტ-ნაკლებად იგნორირებულია, ინდივიდის შიდა არაინდივიდუალური ნაწილი დისკომფორტულ შეგრძნებაში გადადის. მას უჩნდება იმის სურვილი, ყველა არსებას თავის გარშემო ისე შეაგრძნობინოს ყველაფერი, როგორც თვითონ გრძნობს. ამგვარად, იგი ნელ-ნელა კარგავს იმის ალქმის უნარს, შესწევთ ამ არსებებს ამ შეგრძნების უნარი, თუ არა. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ეს არანაირი ანგარებითი სურვი-

ლებით და მიზნებით არ ხდება, მაგრამ იგი არის ნებისმიერ რაღაცაში ნებისმიერი სახით გამოვლენილი მოუთმენლობა.

შედეგი ჰარომნიზირების პროცესზე მიჯაჭვებისა კი გახლავთ ის, რომ ამ ინდივიდს თავადვე მოუწევს საკუთარ „მე“-ში დარღვეული ჰარმონიულობის აღდგენა და სანამ ამას ბოლომდე არ მოახერხებს, ველარავის ველარ გაუნაწილებს და გაუზიარებს საკუთარ შიდა გრძნობით ბუნებაში არსებულ სიღრმესა და სიყვარულს, რა პროცესში ყოფნაც ასე ძალიან უყვარს და მოსწონს მას.

2) ტრანსცენდენციურების პროცესზე მიჯაჭვების შემთხვევაში კი ინდივიდის შიდა არაინდივიდუალური ნაწილი ზმანების, „ძილის“ შეგრძნებაში გადადის. მას უჩნდება იმის სურვილი, რომ აღარაფრის ადაპტაცია აღარ მოახდინოს და სრულიად დაკმაყოფილებული იყოს იმით, რაც მას ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ამგვარად, იგი ნელ-ნელა კარგავს იმის აღქმის უნარს, რომ ტრანსცენდენტული მდგომარეობა მისთვის მინოდებული დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების ცნობიერებად გარდაქმნის ბუნებრივი შედეგი იყო. თუმცა აქაც აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის, რომ ეს არანაირი ვნებითი სურვილებისა და მიზნების შედეგი არ გახლავთ. ამ შემთხვევაში, ვიტყვოდი, რომ ნებისმიერ რაღაცაში ნებისმიერი სახით გამოვლინებული ზედმეტი მოთმინება, საბოლოო ჯამში, ვერასოდეს ვერ იქნება დადებითი შედეგის მომტანი და ერთგვარი გაზარმაცებისა და საკუთარ ფუნქციონალურ საქმიანობაზე უარის თქმის პროვოცირებას უწყობს ხელს.

შედეგი ტრანსცენდენციურების პროცესზე მიჯაჭვებისა კი გახლავთ ის, რომ ამ ინდივიდს მაინც მოუწევს თავადვე ტრანსული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზეზის პოვნა და ამ მიზეზის სრულყოფილად აღმოფხვრა. ის ველარ მოახერხებს ტრანსცენდენტულ მდგომარეობაში მოხვედრას, ვიდრე იგნორირებულ დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებას ზოგად ცნობიერებად ბოლომდე არ ჩამოაყალიბებს.

3) ევოლუციურების პროცესზე მიჯაჭვის შემთხვევაში, ინდივიდის ინდივიდუალური (პიროვნული) ნაწილი ერთგვარ ქაოსურ მდგომარეობაში გადადის. ის ცდილობს საკუთარ „მე“-ში არსებულ ამბიციურ ნაწილს მუდმივად აძლიოს სულ ახალი და ახალი ინფორმაციები დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების გარშემო, და ვინაიდან ამის ჰარმონიზირებას არ ახდენს, ვერ აწვდის შიდა არაინდივიდუალურ ნაწილს გადამუშავებულ ინფორმაციას. მასში უამრავი

რაოდენობის შეხედულებები ჭიანჭველებივით დაფუთფუთებენ. ჭეშმარიტებაში წვდომის სურვილი და მცდელობა ამის განხორციელებისა ამ ინდივიდისთვის მანიაკალური იდეაფიქსი ხდება და ნელ-ნელა ვერც კი ამჩნევს, რომ საერთოდ ველარ ახერხებს საკუთარი პიროვნების გარშემო არსებული რეალობის აღქმას. დროთა განმავლობაში მას უცილობლად იპყრობს ბრაზი და გარემოსთან რადიკალურ დაპირისპირებაში ხვდება იმის გამო, რომ გარემო ისე არ აღიქვამს რეალობას როგორც ის.

შედეგი ევოლუციონების პროცესზე მიჯაჭვებისა გახლავთ ის, რომ ინდივიდი, არსებული რეალობის პარალელურად, მისთვის სრულიად დასანახსა და გასაგონ რეალობას წარმოქმნის საკუთარი წარმოსახვის გამოვლინების სურვილის შედეგად. სხვა ენაზე რომ ვთქვა, იგი შიზოფრენიით ავადდება და იქამდე ველარ შეძლებს დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებასთან ურთიერთობის უფლების მიღებას, ვიდრე მიმდინარე მთავარ, ძირითად რეალობას არ აღიქვამს.

4) ცივილიზირების პროცესზე მიჯაჭვის შემთხვევაში, ინდივიდის ინდივიდუალური (პიროვნული) ნაწილი ერთგვარი წესრიგის მდგომარეობაში გადადის, ის ცდილობს საკუთარ „მე“-ში არსებულ ემოციურ ნაწილს მუდმივად აძლიოს სულ ახალი და ახალი ინფორმაციები უკვე დამკვიდრებული ჭეშმარიტების, ადაპტირებული ზოგადი ცნობიერების გარშემო, და ვინაიდან ის ტრანსცენდენცირებას ვერ ახდენს, არ აწვდის შიდა არაინდივიდუალურ ნაწილს ამ ინფორმაციას (რამეთუ ამ უკანასკნელს ეს უკვე დიდი ხანია აქვს და არაფერში არ სჭირდება), ყველანაირად ცდილობს ხელშესახეში, დასანახი თუ გასაგონი სახით მოახდინოს მათი გამოვლინება. ერთგვარად თავს იმხნევენს იმით, რომ საჭირო საქმით არის დაკავებული, ასეთი მცდელობების შედეგად ეს ინდივიდი ვერც კი ამჩნევს, როგორ იკარგება მასში არსებული ბუნებრივი რეალობის აღქმა. დროთა გარემოსთან რადიკალურად (ჩუმი) დაპირისპირების შემდეგ მატერიალურ სამყაროში გადადის თავისი სურვილების განსახორციელებლად.

შედეგი ცივილიზირების პროცესზე მიჯაჭვებისა გახლავთ ის, რომ ინდივიდი არსებულ რეალობაში მიმდინარე პროცესებს ემიჯნება, ამ რეალობასთან უშუალო კონტაქტის დამყარების სურვილი უქრება და განვლილი რეალობის იდეალურობის ფორმირების სურვილით შეიპყრობა, ანუ აუტიზმით ავადდება და იქამდე იქნება

მატერიალურ სამყაროში, ვიდრე ძირითად, „მთავარ“ რეალობაში არსებულ მიმდინარე ცნობიერებას არ განივითარებს თავისში (რეფლექსებიდან გათავისუფლების გზით).

აბსოლუტის მიერ სულიერი ყოფიერების გარდაუვალი აუცილებლობის უზრუნველყოფისათვის შექმნილ და წარმოჩინებულ და მის მიერვე მართულ პროცესებს თუ მამაკაცური და ქალური სანყისების წარმომადგენლობით დონეზე დავაკომპლექტებთ, მივიღებთ ერთობ საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვან შედეგებს. ეს შედეგები, როგორც უმაღლესი დონის დასკვნითი ფორმები, იმპერსონალისტური ორიენტაციის საშუალებები გახდებიან და, მათი ზედმიწევნითი დაცვის შემთხვევაში, აბსოლუტურად უზრუნველყოფენ შეცდომების (ცოდვების) არ ჩადენას, თუნდაც სულ უმცირესი რაოდენობითა და ხარისხითაც კი.

აბსოლუტის შემადგენელი აბსოლუტური ჭეშმარიტება (როგორც აბსოლუტის მამაკაცური სანყისის წარმომადგენელი) წარმოქმნის და განაგებს ჰარმონიზირებასა და ევოლუციონებას. აბსოლუტის შემადგენელი აბსოლუტური ცნობიერება კი (როგორც აბსოლუტის ქალური სანყისის წარმომადგენელი), წარმოქმნის და განაგებს ტრანსცენდენციონებასა და ცივილიზირებას. ეს ოთხი პროცესი უკლებლივ ყველა და ნებისმიერი ცოცხალი არსებისათვის უზენაესი კანონიკური გაგება უნდა იყოს. ისინი სრულყოფილად, აბსოლუტურად ზედმიწევნით უნდა ცდილობდნენ, დააკმაყოფილონ ამ პროცესების მიერ მათზე დაკისრებული საქმიანობა. თუ აბსოლუტის გადასახედიდან შეხედვას შევეცდებით, თვით სულიერი სამყაროც ციცქნა, ცერცვისოდენა ფორმაციულ გამოვლინებას წარმოადგენს. ასე რომ, ამ გადასახედიდან, მატერიალურ სამყაროზე ლაპარაკი და მსჯელობა ნამდვილად უაზრო და უნივთო, უფუნქციო რალაც იქნებოდა.

თუ შევეცდებით ოთხი პროცესის როგორღაც დახასიათებას, მეტ-ნაკლებად გასაგებ და აღქმად დონეზე შემდეგი სახის განზოგადებას მივიღებთ:

1. ჰარმონიზირება (გრძნობა);
2. ევოლუციონება (ამბიცია).
მამაკაცური სანყისი
3. ტრანსცენდენციონება(გონება);
4. ცივილიზირება (ემოცია).
ქალური სანყისი

**როგორი მიდგომა უნდა ჰქონდეს ცოცხალ
არსებას აბსოლუტის მიერ შექმნილ
თითოეულ პროცესთან**

მოდით, ჯერ განვიხილოთ, როგორი მიდგომა უნდა ჰქონდეს ცოცხალ არსებას აბსოლუტის მამაკაცურ საწყისთან, აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ წარმოქმნილ და განგებულ პროცესებთან: ჰარმონიზირებასთან და ევოლუციურებასთან.

1) ჰარმონიზირების პროცესთან ურთიერთობისას ინდივიდუალურმა ცოცხალმა არსებამ თავისი „მე“-ს არაინდივიდუალური (გრძნობითი) ნაწილის გაუმჯობესებაზე, მის იმაზე უკეთესად გადაქცევაზე უნდა იზრუნოს, ვიდრე ის არის.

ჰარმონია, თავის ცნობიერ არსში, მოიაზრებს აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის ერთ მთლიან ორგანიზმად, მთლიანობად აღქმას. *სიყვარული* და *სიტკბოება* საკუთარი „მე“-ს გრძნობით ნაწილში არსებული ჰარმონიულობის აღქმის საშუალებები არიან. ჰარმონიზირება საკუთარი „მე“-ს ამ ნაწილში სწორედ მათი არარსებული ნაწილის მოძიებასა და დამკვიდრებაში უნდა იყოს გამოხატული.

არსებობს ერთი აქსიომა, რომლის მიღების სურვილიც, სამწუხაროდ, თითქმის არც ერთ ცოცხალ არსებას არ ექნება, რომელთაც ინდივიდუალიზმის რაიმე ნიშან-წყალი გააჩნიათ. კერძოდ, **თუ ცოცხალ არსებაში არსებობს ინდივიდუალიზმის გამოვლინება, თუნდაც მცირე, უმცირესი ფორმით, მასში ჰარმონია, თავისი აბსოლუტური, სრულყოფილი ფორმით ვერ იქნება გამოვლინებული.**

ამას ისე ნუ გადანათლავთ, თითქოს ინდივიდუალობის ქონა დანაშაული იყოს, უბრალოდ ინდივიდუალობის მქონე ცოცხალი არსება მუდმივად უნდა ეცადოს, ვალდებულია, საკუთარი არაინდივიდუალიზმის გაზრდას მოახმაროს საკუთარი ინდივიდუალიზმი. თუ ეს არ მოხდება (ვინაიდან ინდივიდუალური ნაწილი რაიმე საქმიანობით ყველა შემთხვევაში იქნება დაკავებული), მაშინ მოხდება ამის საპირისპირო რამ, ანუ ინდივიდუალური ნაწილი ინდივიდუალიზმის გაზრდის მცდელობით დაკავდება. მინდა უბრალოდ დამიჯეროთ, მენდოთ იმაში, რომ ეს ძალიან სასიამოვნო და ლამაზი პროცესია, რომელიც წარმოუდგენლად დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

მოკლედ თუ ჩამოვაცალიბებთ:

ა) რალაც ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსების არაინდივიდუალურმა ნაწილმა (ეთიკაში იგულისხმება გრძნობითი დონე), თავის „მე“-ში უნდა მოახდინოს ჰარმონიზირება (სიყვარულისა და სიტკბოების გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო მაღლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

ბ) რალაც ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსების არაინდივიდუალურმა ნაწილმა გარემოში უნდა მოახდინოს ჰარმონიზირება (გარემოს სიყვარულისა და სიტკბოების გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო დაბლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

1) ევოლუციურების პროცესთან ურთიერთობისას ინდივიდუალურმა ცოცხალმა არსებამ თავისი „მე“-ს ინდივიდუალური (ამბიციური) ნაწილის გაუმჯობესებაზე, მის იმაზე უკეთესად გადაქცევაზე უნდა იზრუნოს, ვიდრე ის არის.

ევოლუცია თავის ცნობიერ არსში მოიაზრებს აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრისთვის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისთვის, საჭირო და სასურველი ახალი ინფორმაციის (დასამკვიდრებელი ქეშმარიტების) შემოსვლას. *სულ-გრძელობა* და *მყუდროება* საკუთარი „მე“-ს ამბიციურ ნაწილში არსებული ევოლუციურებულობის აღქმის საშუალებები არიან. ევოლუციურებულობა საკუთარი „მე“-ს ამ ნაწილში სწორედ მათი არარსებული ნაწილის მოძიებასა და დამკვიდრებაში უნდა იყოს გამოხატული.

ამ ნაწილში მოვიყვანდი შემდეგი სახის დამხმარე ფორმულირებას: **საკუთარი „მე“-ს ინდივიდუალიზმი უნდა ემსახურებოდეს საკუთარი „მე“-ს არაინდივიდუალიზმს და არავითარ შემთხვევაში პირიქით არ უნდა ხდებოდეს.**

ამ პროცესის ასეთად წარმართვის შემთხვევაში სრული გარანტია შემიძლია მოგცეთ, რომ თქვენში მყუდროება დაისადგურებს, რაც, ვფიქრობ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შინაგანი კეთილდღეობის მისაღებად.

მოკლედ თუ ჩამოვაცალიბებთ:

ა) რალაც მორალური დონის მქონე ცოცხალი არსების ინდივიდუალურმა ნაწილმა (მორალში ავტომატურად იგულისხმება ამბიციური დონე) თავის „მე“-ში უნდა მოახდინოს ევოლუციურება (სულ-გრძელობისა და მყუდროების გაზრდა), საკუთარ დონეზე უფრო მაღლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

ბ) რალაც ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსების ინდივიდუალურმა ნაწილმა გარემოში უნდა მოახდინოს ევოლუციურება (გარემოში სულგრძელობისა და მყუდროების გაზრდა), საკუთარ დონეზე უფრო დაბლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

ახლა კი, განვიხილოთ როგორი მიდგომა უნდა ჰქონდეს ცოცხალ არსებას აბსოლუტის ქალურ საწყისთან, აბსოლუტურ ცნობიერებასთან ანუ აბსოლუტური ცნობიერების მიერ წარმოქმნილ და განგებულ პროცესებთან: ტრანსცენდენციურებასთან და ცივილიზირებასთან.

1) ტრანსცენდენციურების პროცესთან ურთიერთობისას ინდივიდუალურმა ცოცხალმა არსებამ, თავისი „მე“-ს არაინდივიდუალური (გონებრივი) ნაწილის გაუმჯობესებაზე, მის იმაზე უკეთესად გადაქცევაზე უნდა იზრუნოს, ვიდრე ის არის.

ტრანსცენდენცია, თავის ცნობიერ არსში, მოიაზრებს აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბებული და აღქმული ნაწილის სრულ კმაყოფილებაში მყოფელობას.

სიხარული და *სინძინდე* საკუთარი „მე“-ს გონებით ნაწილში არსებული ტრანსცენდენტულობის აღქმის საშუალებები არიან. ტრანსცენდენციურება საკუთარი „მე“-ს გონებრივ ნაწილში სწორედ მათი არ არსებული ნაწილის მოძიებასა და დამკვიდრებაში უნდა იყოს გამოხატული.

ამ შემთხვევაში, შემდეგი სახის პოსტულატს ჩამოვაყალიბებდი: **არ არსებობს ცოცხალი არსების (ან ცოცხალ არსებათა) ინდივიდუალიზმის გამოვლინებულ ნაწილზე ზრუნვის, მისი დაკმაყოფილების თუნდაც სულ უმნიშვნელო განხორციელების მცდელობა, რომელიც ცოცხალი არსების (ან ცოცხალ არსებათა) არაინდივიდუალიზმის გამოვლინებული ნაწილის ფუნქციონალური ინტერესების ხარჯზე ღირდეს.**

ამ ე. წ. ნების დაცვის შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ტრანსცენდენციურების პროცესთან (აბსოლუტურ ცნობიერებასთან) დაპირისპირებაში არ აღმოჩნდებით და თქვენში სინძინდე არ დაიღვევა და არ გადაგვარდება. უფრო მეტსაც გეტყვით, თქვენ შინაგანი კმაყოფილების მდგომარეობას და იმკვიდრებთ და ბედნიერი ადამიანი იქნებით.

მოკლედ თუ ჩამოვაყალიბებთ:

ა) რალაც ესთეტიკური დონის მქონე ცოცხალი არსების არა-ინდივიდუალურმა ნაწილმა (ესთეტიკაში იგულისხმება გონებრივი დონე), თავის „მე“-ში უნდა მოახდინოს ტრანსცენდენცირება (სიხარულისა და სინმინდის გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო მაღლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

ბ) რალაც ესთეტიკური დონის მქონე ცოცხალი არსების არა-ინდივიდუალურმა ნაწილმა გარემოში უნდა მოახდინოს ტრანსცენდენცირება (გარემოში სიხარულისა და სინმინდის გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო დაბლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

1) ცივილიზირების პროცესთან ურთიერთობისას ინდივიდუალურმა ცოცხალმა არსებამ, თავისი „მე“-ს ინდივიდუალური (ემოციური) ნაწილის გაუმჯობესებაზე, მის იმაზე უკეთესად გადაქცევაზე უნდა იზრუნოს, ვიდრე ის არის.

ცივილიზირება, თავის ცნობიერ არსში, მოიაზრებს აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრისათვის, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისათვის მიწოდებული საჭირო და სასურველი ახალი ინფორმაციის (დასამკვიდრებელი ჭეშმარიტების) სრულყოფილად მიღებას, გადამუშავებასა და აღქმას (ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებას).

მშვიდობა და სარწმუნოება საკუთარი „მე“-ს ემოციურ ნაწილში არსებული ცივილიზირებულობის აღქმის საშუალებები არიან. ცივილიზირება საკუთარ „მე“-ს ამ ნაწილში სწორედ მათი არარსებული ნაწილის მოძიებასა და დამკვიდრებაში უნდა იყოს გამოხატული. ანუ ცივილიზირება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ არსში არსებული ემოციები გონებისმიერ ცოდნად გარდაიქმნება სულიერ სამყაროში არსებული ძირითადი რეალობისთვის საჭირო (ანუ იქ არსებული გონებრივი შკალის) დონემდე.

ცივილიზირების პროცესის ჯეროვნად დაკმაყოფილებისათვის შემდეგი სახის თეზას ჩამოვყალიბებ: **არ არსებობს უკვე დამკვიდრებული ზოგადი ცნობიერება, არაინდივიდუალური გონებრივი გამოვლინებულობა, რომლის ხელახალი განხილვა და დანვრილმანება იყოს საჭირო. ამ საქმიანობით ნებისმიერ ცოცხალ არსებაში საკუთარი „მე“-ს არაინდივიდუალური ნაწილი ინდივიდუალურ ნაწილად გარდაქმნას დაიწყებს.**

ამ ე. წ. წესის, რეკომენდაციის დაცვის შემთხვევაში, თავის სუფლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ცივილიზირების პროცეს-

თან დაპირისპირებაში აღარ აღმოჩნდებით. თქვენში მშვიდობა და სარწმუნოება ბუნებრივად დამკვიდრდება და აბსოლუტურად ყველანაირი გარეგანი კეთილდღეობით იქნებით სახსე, იქამდე, ვიდრე აი, ამ რეკომენდაციას დაიცავთ და არ დაარღვევთ.

მოკლედ თუ ჩამოვაყალიბებთ:

ა) რალაც ზნეობრივი დონის მქონე ცოცხალი არსების ინდივიდუალურმა ნაწილმა (ზნეობრივში იგულისხმება ემოციური დონე), თავის „მე“-ში უნდა მოახდინოს ცივილიზირება (მშვიდობისა და სარწმუნოების გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო მაღლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

ბ) რალაც ეთიკური დონის მქონე ცოცხალი არსების ინდივიდუალურმა ნაწილმა გარემოში უნდა მოახდინოს ცივილიზირება (გარემოს მშვიდობისა და სარწმუნოების გაზრდა) საკუთარ დონეზე უფრო დაბლა მყოფ დონესთან მიმართებაში.

და, ალბათ, საინტერესო უნდა იყოს თქვენთვის – *რა არის ის საერთო, გამაერთიანებელი ყველა აქ ჩამოთვლილი მოთხოვნებისა ცოცხალი არსებების მიმართ, უკლებლივ ყველა, ამ ოთხივე გლობალურ პროცესთან მიმართებაში?* – ასეთი ცნება ნამდვილად არის და არსებობს და ამის არ თქმა, ჩემი მხრიდან, ერთგვარი დანაშაულის თუ არა, უნებური, მაგრამ შეცდომის ჩადენის ტოლფასი იქნებოდა. ეს ფასეულობა თუ ცნება (რაც გინდათ, ის დაარქვით) გახლავთ მოთმინება. მე ახლა მის ღრმა ანალიზში კირკიტს არ დავინყებ, უბრალოდ გეტყვით, რომ აი, ამ ცნების სერიოზულად დაცვის გარეშე, ვერასოდეს მიიღწევა ის მდგომარეობა, რასაც სრულყოფილ (აბსოლუტურად ჰარმონიულ, აბსოლუტურად ტრანსცენდენტულ, აბსოლუტურად ევოლუციურ და აბსოლუტურად ცივილიზირებულ) გაგებათა დამკვიდრებულობა წარმოადგენს, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მოთმინება ავტომატურად გულისხმობს ადამიანთა აღქმაში პროცესების არ დაჩქარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანები თითქმის ვერ აღიქვამენ იმას, რომ მოთმინება აგრეთვე გულისხმობს პროცესების (მოვლენების ბუნებრივი სვლის) შენელებას. მოთმინების ცნების ჯეროვნად დაცვა ავტომატური გარანტიაა პროცესებზე არ მიჯაჭვებისა.

აბსოლუტური ქეშმარიტებისა და
აბსოლუტური ცნობიერების
ურთიერთდამოკიდებულება



ამ ურთიერთობის გამოსახატავად, ერთგვარი ხილული სახით, აღმოსავლეთში ერთიანობის ფორმის (ცნობილ ინისა და იანის) გამოხატვის საშუალებას მოვიშველიებ. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ჩემი ფურცელი მხოლოდ ორ გამზომილებას გადმოსცემს და ამ ოთხგანზომილებიან ნახატს სხვაგვარად, უფრო გასაგები ფორმით სიბრტყეზე, ვერავინ ვერ დააფიქსირებს.

სამაგიეროდ, ხედვითი ფორმების დარღვევით გადმოცემთ ამის ქეშმარიტ მნიშვნელობას. აბსოლუტის ცნების შემოტანის დროს მოყვანილ ჩანახატზე დატანებული იყო ისრები და ახლა ავსსნი იმას, თუ რას ვგულისხმობდი მათში.

ამ ნახატზე კი გეტყვით, რომ ეს არის სრულყოფილების მიღწეულობის მდგომარეობის ასახვა, სადაც გამოვლინებული სახით მხოლოდ მარადიული სამყაროა. ეს მარადიული სამყარო (ჩვენს ტერმინოლოგიაში ზეცად წოდებული) ამ ჩანახატის ცენტრში იმყოფება და, ალბათ, ერთი ნერტილის სახით თუ შეიძლება მისი წარმოდგენა საკუთარ წარმოსახვაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები (ჰარმონიზირება, ტრანსცენდენცირება, ევოლუცირება და ცივილიზირება) სტატუსს იცვლიან და კონკრეტულ ცნებებად გარდაიქმნებიან: ჰარმონიად, ტრანსცენდენციად, ევოლუციად და ცივილიზაციად. ანუ, ისინი, კინემატიკური მდგომარეობის შექმნის ნაცვლად, ერთგვარი სტატიკური მდგომარეობის დამყარების მიზეზნი ხდებიან, რაც, რეალობაში, დინამიკას წარმოადგენს. ამ პერიოდში ცოცხალი არსებები, მარადიული სამყაროს, ზეცის მაცხოვრებლები თვით აბსოლუტური ქეშმარიტებისა და აბსოლუტური ცნობიერების (როგორც აბსოლუტის მამაკაცური და ქალური საწყისების სუბიექტების) ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად ახდენენ ყოველივეს, რასაც ახდენენ. ამ დროს, აბსოლუტური ქეშმარიტება და აბსოლუტური ცნობიერება სრულად არიან ერთმანეთში შეჯვრებულნი, ანუ აღარ არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც მათ ერთმანეთში შეთანხმებული და ბოლომდე განხილული არ ჰქონდეთ. შეიძლება ეს ვილაც-ვილაცების მიერ არასასურველ მდგომარეობად, სიკვდილად და ასეთი ტიპის რალაცებებად ასოცირდება, მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ამაზე

უკეთესი მდგომარეობის არსებობა საერთოდ შეუძლებელია. ამ დროს აბსოლუტურად ყველგან ისადგურებს აბსოლუტური ნეტარება და ბედნიერება.

ახლა კი შევეცდები, აღვწერო ის, თუ რა ხდება ამ დროს ზეციურ რეალობაში. ამისათვის იქ დამკვიდრებული ოთხი ცნების (ყოფილი პროცესების) ურთიერთდამოკიდებულებას აგიღწერთ. ეს ცნებებია: ჰარმონია (გრძნობის გამოვლინება), ტრანსცენდენცია (გონების გამოვლინება), ევოლუცია (ამბიციის გამოვლინება), ცივილიზაცია (ემოციის გამოვლინება).

იმ პროცესების კვალდაკვალ, რაც ცოცხალ არსებებს გამოუმუშავდათ, ჰარმონიის წარმომადგენლები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი (აღარ ჩამოვთვლი) მიმდინარეობის უკვე შესწავლილი და გათავისებული პრინციპებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ, არანაირად არ დაარღვიონ ეს.

1. ჰარმონია თავის აღქმაში:

- ა) თავისზე მალლა აყენებს ტრანსცენდენციას;
- ბ) თავისზე დაბლა აყენებს ცივილიზაციას.

2. ტრანსცენდენცია თავის აღქმაში:

- ა) თავისზე მალლა აყენებს ჰარმონიას;
- ბ) თავისზე დაბლა აყენებს ევოლუციას.

3. ევოლუცია თავის აღქმაში:

- ა) თავისზე მალლა აყენებს ტრანსცენდენციას;
- ბ) თავისზე დაბლა აყენებს ცივილიზაციას.

4. ცივილიზაცია თავის აღქმაში:

- ა) თავისზე მალლა აყენებს ჰარმონიას;
- ბ) თავისზე დაბლა აყენებს ევოლუციას.

ანუ ჰარმონიასა და ევოლუციას ფაქტიურად ერთნაირად აქვთ აღქმული საკუთარი არსი, ისევე როგორც ტრანსცენდენციასა და ცივილიზაციას, ძალიან უხეში შედარებით თუ ვიხელმძღვანელებთ. ეს იძლევა ურთიერთობების შემდეგ ფორმებს:

1. ჰარმონიასა და ტრანსცენდენციას შორის ურთიერთთავყვანისცემაა.
2. ევოლუციასა და ტრანსცენდენციას შორის ურთიერთგაგებაა.
3. ჰარმონიასა და ცივილიზაციას შორის ურთიერთანგარიშგანევაა.
4. ევოლუციასა და ცივილიზაციას შორის ურთიერთდაპირისპირებაა.

ამ დროს ზეციურ (მარადიულ) სამყაროში პრიორიტეტები იცვლება, ანუ მამაკაცური და ქალური სანწყისების ინდივიდუალური ნაწილები აქტიური მოქმედებებით კავდებიან. ამის განსაზღვრისათვის ვიტყვი, რომ:

1. ჰარმონიის გამობატულების საშუალებები ხდებიან ის ცნებები, რაც პროცესუალური მიმდინარეობების დროს ევოლუციონებაზე იყო გაპიროვნებული. ანუ სულ-გრძელობა და მყუდროება.

2. ტრანსცენდენციის გამობატულების საშუალებები ხდებიან ის ცნებები, რაც პროცესუალური მიმდინარეობების დროს ცივილიზირებაზე იყო გაპიროვნებული. ანუ მშვიდობა და სარწმუნოება.

3. ევოლუციონების გამობატულების საშუალებები ხდებიან ის ცნებები, რაც პროცესუალური მიმდინარეობების დროს ჰარმონიზირებაზე იყო გაპიროვნებული. ანუ სიყვარული და სიტკბოება.

4. ცივილიზირების გამობატულების საშუალებები ხდებიან ის ცნებები, რაც პროცესუალური მიმდინარეობების დროს ტრანსცენდენციონებაზე იყო გაპიროვნებული. ანუ სიხარული და სინძინდე.

ეს არის ე. წ. თვითმმართველობის სისტემა ცოცხალი არსებების მიერ ჩამოყალიბებული, რა თქმა უნდა, აბსოლუტის მხრიდან ნდობის მიღების საფუძველზე. თუ შედარება გსურთ რაიმესთან, გეტყვით, რომ ეს არის ის, რასაც შეიძლება დემოკრატიული წყობა ეწოდოს. მაგრამ ეს მხოლოდ იქ არის შესაძლებელი და სასურველი, იქ, ზეციური, მარადიული სამყაროს რეალობაში, სადაც ფუნქციონალური ასპექტი (ამ წყობის მიმდინარეობის განმავლობაში) სრული ასი პროცენტით არის დაცული. სხვათა შორის, აქაც კი (ფუნქციონალური ასპექტის სრულყოფილად დაცვის მიუხედავად) აბსოლუტის მიერ დატოვებული ასათვისებელი იდეების დასამკვიდრებელ ჭეშმარიტებად გარდაქმნის, თავად ამ გარდაქმნილის ზოგად ცნობიერებად ჩამოყალიბებისა და ამ ყოველივეს სრულყოფილების შესისხლბორცების შემდეგ, დგება გარდაუვალი აუცილებლობა იმისა, რომ აბსოლუტი, როგორც სუბიექტი ჩაერიოს მოვლენათა მიმდინარეობის პროცესში და ახალი ციკლის მიმდინარეობას დაუდოს სათავე.

ამ ე. წ. დემოკრატიული წყობის მიმდინარეობის დროს კი, თუ ფუნქციონებს განუესაზღვრავთ ამ ოთხ ცნება, როგორც მამაკაცური და ქალური სანწყისების არაინდივიდუალურ და ინდივიდუალურ გამოვლინებებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

1. ჰარმონია უნდა ცდილობდეს ცივილიზაციიდან აილოს ის, რაც დასაკარგია (მოსაცილებელია) და უნდა ცდილობდეს, ამ ინფორმაციიდან პოზიტიური ნაწილის გადამუშავებით საჭირო ფორმა მოუძებნოს და ტრანსცენდენციას მიაწოდოს.

2. ტრანსცენდენცია უნდა ცდილობდეს ჰარმონიიდან აილოს ახალი მოძიებული ინფორმაცია და შემოქმედებითი, ესთეტიკური ფორმით ჩამოყალიბების შემდგომ უნდა ცდილობდეს, ეს ევოლუციას მიაწოდოს (აპოვნინოს).

3. ევოლუცია უნდა ცდილობდეს ტრანსცენდენციიდან მოიპოვოს ახალი შემეცნების საშუალება შემოქმედებითი ფორმით გადმოცემული და ამის გათავისების შემდგომ უნდა ცდილობდეს ეს ცივილიზაციას მიაწოდოს ამ უკანასკნელისთვის ყველაზე მისაღები სახით, ისე რომ არც ახლად მიწოდებულის არსობრივი რაობა არ დაიკარგოს და არც უკვე არსებულის ღირსება შეიზღავლოს (როგორღაც ძველის პატივისცემაც შეინარჩუნოს და ახლისაც დააფასოს).

4. ცივილიზაცია უნდა ცდილობდეს, ევოლუციიდან მოწოდებულის არსობრივი დატვირთვა შეინარჩუნოს და ნელ-ნელა დროთა განმავლობაში გაითავისოს და შემდგომ უნდა ცდილობდეს, ამ ახლად შეთვისებული ცოდნის პარალელურად წარსულში ამ ცოდნის შესაბამისად უფრო დაბალი ხარისხისა და დიდი რაოდენობის ცოდნა თავადვე აღმოაჩინოს, თავისი ნებით (ნებისყოფით) მოძველებულად და არაფუნქციონალურად გამოაცხადოს და გადასამუშავებლად ჰარმონიას გადასცეს. ეს, ამ შემთხვევაში, მემატრიანეში გადაგზავნად უნდა აღიქვას. ანუ მიმდინარე ცხოვრებისეულ რეალობაში ეს ისტორიული წეს-ჩვეულებები აღარ იქნება გამოყენებული.

აი, ასეთია ამ ეპოქის რეალობა, რომელიც მკვიდრდება და მიმდინარეობს მთელს გამოვლინებულ რეალობაში სრულყოფილების დამკვიდრების შემდგომ, როდესაც გამოვლინებულ დონეზე მხოლოდ და მხოლოდ მარადიული სამყარო იმყოფება.

და ბოლოს, ამ წიგნს დავამთავრებ იმით, რითაც ჩემი პირველი წიგნი დავიწყე:

**ვინც ეძებს ის იპოვის,
ვინც აღარ ეძებს, ის მხოლოდ შენარჩუნებაზე ზრუნავს,
ვინც მხოლოდ შენარჩუნებაზე ზრუნავს,
ის იმასაც გარდაუვლად დაჰკარგავს, რაც გააჩნია.**

ბოლოსიტყვაობა

ამ წიგნის დასრულებით მე თავს უფლებას ვაძლევ, განგების წინაშე, პირადად ჩემი პიროვნების მხრიდან საჭიროდ გამოსავლენი მოვალეობა შესრულებულად, აღსრულებულად ჩავთვალო ევოლუციურების თვალსაზრისით.

დასაწყისში ამ საქმიანობისა, რაც ჩემი „მე“-ს მიერ გამოვლინდა და რაც ასახულია ჩემი სახელით მოხსენიებულ სამივე წიგნში, ვთვლიდი და მიმაჩნდა, რომ ეს ვერ იქნებოდა ამონწერიული, როგორც თემატიკის სიღრმეში ნვდომის მატება და რაიმენაირად ამის საკუთარ არსში ასახვა. მიმაჩნდა, რომ ათასობით წლებისა და საუკუნეების მანძილზეც რომ ისწრაფოს ადამიანმა მართოდ, ვაკუუმურ მდგომარეობაში, ეს ერთადერთი ჭეშმარიტი გამოვლინება იქნებოდა მისი მხრიდან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცალსახად სრულყოფილებისაკენ სწრაფვაც მიღწეულის არა ჰპარმონიზირებით გარემოში, ამის დამკვიდრებაში ხელის არ შეწყობით და ამ დამკვიდრებულობით სიამოვნების არ მინიჭებით და არ მიღებით უხეში, ძალიან უხეში დარღვევა იქნებოდა იმ გზისა, რითაც უნდა იაროს ზოგადად ადამიანმა.

ამჯერად მიმაჩნია, რომ ამ წიგნის შემდგომ ჩემს მიერ სრულყოფილებისკენ სწრაფვის გაღრმავება საკუთარ არსში ყველაზე დიდი მკრეხელობა, შეცდომა, ცოდვა იქნებოდა, რაც კი შეიძლება ჩავიდინო საერთოდ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სრული თაყვანისცემით განმსჭვალულ მთელ სულიერ სამყაროს, მარადიული სამყაროს განმგებლებს, განგებას და უკლებლივ ყველასა და ყველაფერს, რომელთაც ამ სულიერი ნექტარის ჩამოსატანად დედამიწაზე მე როგორც ჭურჭელი გამომიყენეს!

უკლებლივ ყველას მინდა გისურვოთ სულიერი წარმატებებისათვის მიგელნიოთ იქამდე, ვიდრე ჯერ კიდევ მატერიალურ სხეულში იმყოფებით! ეს, ამ წიგნებით მოხდება თუ სხვა წმინდა წიგნებით, რა თქმა უნდა, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

კომპიუტერული ანყობა *დათო ყანდაშვილი*
ყდის დიზაინი *ნანა ყანდაშვილი*



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

